

ნაქსანდიჯ ახატნაი

ქართულთა მთროგენეზი

(ლოთუიკური ისტორიის საქითხევი)

თბილისი

2010

„საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ქართველი ხალხის გენეზისის საკითხი ყოვლად შეუსწავლელია“¹, სინანულით აღნიშნავდა სულმნათი ბატონი ნიკო ბერძენიშვილი.

არიან ერები, რომელთა განვითარების ისტორიაც ცნობილია და მათი ისტორიის ფილოსოფიაც ვრცლად განხილული. ქართველობას ამ მხრივ დაფიქრება და გარჯა არ მოჭარბდება. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნისას ბევრი რამ გაკეთდა, ბევრიც ახალ ცხოვრებას ელოდა.

ქართველ მეცნიერებს მშობელი ერის ვალი აწევს. ყოველი ცდა მისასაღმებელი იქნება.

წინამდებარე ნაშრომი უპრეტენზიო მონახაზია პრობლემისა, რომელსაც მომავალში ბევრი შეეჭიდება. გარკვეულ მოსაზრებათა გამო იგი მოცულობაში შეიკვეცა და ისე წარედგინება დაინტერესებულ მკითხველს.²

1 ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორიის საკითხები, თბ. 1990, გვ. 225.

2 ნაშრომში ზოგი დებულება მიზანმიმართულად შეორღედა.



რედაქტორი:

იულონ ბოლიაშვილი.

დამჯავადონებელი:

აობა ბალოიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ქეთევან გრძალიძილი

I. ლობიკური ისტორია

შიქაპი გომგაფიული გაჩემოს მნიშვნელობაზე

მზის დიამეტრი 1 392 000 კილომეტრია. დედამიწის შედარებით უმნიშვნელო, მხოლოდ 12756 კილომეტრი. მზის დიამეტრი დედამიწისას 109,125-ჯერ სჭარბობს. რა ძალა ამყოფებს და რა იცავს ამ პატარას გოლიათის აგრესიისაგან? მანძილი მზიდან დედამიწამდე 150 000 000 კილომეტრი? როგორია მათი ურთიერთობის მომავალი? პასუხი მხოლოდ მათ ისტორიულ წარსულშია.

ადამიანისათვის გლობალურ კითხვებზე პასუხებს უბრალო ინტერესის მნიშვნელობა როდი აქვს. პატარა პლანეტა – დედამიწა მისი, ჯერ ხანობით მაინც, ერთადერთი საცხოვრისია. როდის დაესახლა ის აქ? რა ისტორიული წარსული გამოიარა დღევანდლამდე? რას უნდა მოელოდეს მომავალში? ეს კითხვების კითხვებია და მეცნიერებათა მეცნიერება. ისტორიას და ისტორიის ფილოსოფიას თავისი მოკრძალებული ადგილი აქვს ამ საქმეში. შემთხვევითი როდია, რომ ძველი მოაზროვნენი ღმერთების მეფის ზევსის ცხრა მუზა (მოაზროვნე) ქალიშვილს შორის ისტორიის მფარველ კლიოს გამოყოფდნენ და საწერი ჯოხით ხელში წარმოიდგენდნენ.

ისტორია ყველაფრის მომცველია და ამსახველი. ყველაფერ არსებულს აქვს ისტორია. მისი ცოდნის გარეშე არსებულის გააზრება არასრულია. როდესაც ასტოფიზიკოსები ცდილობენ სამყაროს, მზის სისტემის, დედამიწის წარმოშობაზე შეხედულება ჩამოაყალიბონ – ამით მათი ისტორიის გაგება სურთ. როდესაც ფიქრობენ, რომ ყველაფრის საწყისი, ე. წ. დიდი აფეთქება, ხუთი თუ თხუთმეტი მილიარდი წლით განსაზღვრონ, ამით მის წარსულში ჩახედვას ცდილობენ. რამდენად ზუსტია მათი მიხედვრები სხვა საკითხია, მაგრამ პროცესი ისტორიის გაგებას ემსახურება.

პელაზგიურ-ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ზევსმა (ღმერთების მესამე თაობის მეფემ) მოინდომა ჰელიოსის (მზის ღმერთის) სავალი გზა გამოეკვლია. ორ არწივს უბრძანა აღმოსავლეთით და დასავლეთით დედამიწის დასასრულამდე ეფრინათ. უკან მობრუნებული არწივები კორინთოს ყელთან დელფოს სამისნოსთან ე. წ. ომფალო-ს (ოსის) ქვასთან შეხვდნენ. ამით გაირკვა, რომ დელფოსი მსოფლიოს ცენტრია,

მისგან ყოველი მიმართულებით თანაბარი მანძილია. მეცნიერები ერთი მხრივ ლაპარაკობენ სამყაროს უსაზღვრობაზე დროსა და სივრცეში, მეორე მხრივ კი მისი წარმოშობის თარიღს „აზუსტებენ“ და მზის სისტემის ცენტრალურ თუ განაპირა მდგომარეობაზე „საუბრობენ“. ამით ისინი ზევსის მეთოდს იმეორებენ:

იმის მიხედვით თუ როგორ შევხედავთ ყოველივეს, არის ისტორია ობიექტური (ფაქტობრივი) და ისტორია ასახვითი (სუბიექტური), ისტორია თავისთვის და ისტორია ჩვენთვის. რამდენადაც არსებულის შესახებ ისტორიას ადამიანი ობიექტურთან მიახლოებულს ასახავს, ამდენად ისტორია რეალურია, ზუსტი მეცნიერებაა.

ადამიანთა სამყარო მატერიალური სამყაროს განუყოფელ და გასაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს. როგორც შემადგენელი ნაწილი, საზოგადოება სამყაროს არსებობისა და განვითარების კანონზომიერებას ემორჩილება. როგორც განსაკუთრებული ნაწილი, მოქმედებს შინაგანი კანონზომიერების თანახმად. მათ შორის ზოგადისა და კონკრეტულის ურთიერთ მიმართებაა. ზოგადი უცილობლად ვრცელდება და მოქმედებს. კონკრეტული უკუმოქმედებს, მაგრამ ვერ ცვლის ზოგადს.

გარკვეული გაგებით, სამყაროსაგან, გარემომცველი ბუნებისაგან ადამიანთა საზოგადოების გამოცალკეება და მისი ისტორიის კვლევა პირობითია. მტკიცება, რომ ბუნებაში ბრმა ძალები მოქმედებენ, ბუნებას არა აქვს მიზანი, ყველაფერი სტიქიურად ხდება უაზრო მიზეზ-შედეგობის საფუძველზე, არაა მართებული. ასევე უმართებულოა მტკიცება, რომ საზოგადოებას აქვს მიზანი, შეგნებულად, გააზრებულად ახდენს მის რეალიზაციას. ორივე ისტორია შეიცავს გააზრებულობისა და სტიქიურობის ელემენტებს.

ადამიანის მიერ საკუთარი წარსულის კვლევა რეალურად არსებულის ასახვის მცდელობაა, გარკვეულ ცნებებში გადატანაა. ეს ასახვა არ შეიძლება შიშველი ფაქტების აღრიცხვაზე იქნას დაყვანილი. ისტორია თანაბრად მოითხოვს ფაქტის სიზუსტის დადგენას და მის შეფასებას. იგი სამ კითხვას უნდა პასუხობდეს: როდის, სად, რა. რა – ფართე შინაარსის მატარებელია. უბრალოდ ჩამოთვლის დროსაც კი თავისთავად შეიცავს მიზეზისა და შედეგის გათვალისწინებას.

ადამიანთა საზოგადოება ჰარმონიულად ერწყმის გარემო სამყაროს და მის გარეშე არსებობა არ შეუძლია. გეორგ ვილგელმ ჰეგელის მიერ ჩამოყალიბებული დიალექტიკის კანონი დაპირისპირებულთა ერთობისა

და ბრძოლის შესახებ არ შეიძლება გაგებულ იქნას ცალმხრივად. ბრძოლა არ არის წამყვანი მხარე. მცდარია აზრი საზოგადოებისა და ბუნების დაპირისპირების, მათ შორის ბრძოლის, როგორც პროგრესის მამოძრავებელი ძალის შესახებ. საზოგადოება ბუნების ნაწილია და შეთავაზებული შესაძლებლობების მიღება-მოხმარებაც ბუნებრივი პროცესია, წესია არსებობისა. საზოგადოების მიერ გარემოს შეცნობადობის ზრდა, მოხმარების ფორმების მრავალფეროვნება არ არღვევს მათი ერთობის ჰარმონიულობას, არ იწვევს გაუცხოებას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ერთი მხრივ თითქოს ათავისუფლებს საზოგადოებას ბუნებაზე მიჯაჭვულობისაგან, იწვევს მის ხარისხობრივ ზრდას, მეორე მხრივ, მოღვაწეობის დიაპაზონის ზრდის კვალობაზე უფრო გააზრებულსა და ჰარმონიულს ხდის ამ ურთიერთობას. საზოგადოება ინტელექტუალურ-ფიზიკური ხარისხობრივი განვითარების პროცესში წვდება თანდათან ბუნების მიერ შექმნილ-შემოთავაზებულ იმ შესაძლებლობებს, რომელიც ადრე დაფარული იყო არცოდნის საბურველით. გარემო სამყაროს უსაზღვროდ ბევრი რამ აქვს შექმნილი, რასაც ადამიანი მომავალში გაეცნობა და გამოიყენებს. ეს იქნება ბუნებასთან მიახლოების, ჰარმონიული ურთიერთობის მიღწევის უსასრულო პროცესი.

სამყაროს კითხვები და პრობლემები არ გააჩნია ადამიანთა საზოგადოების არსებობის მიმართ. ადამიანი არსებობს მისი შემოქმედებით, მისი ნებით და კანონზომიერად. ბუნების ის ნაწილი, რომელიც ამოწურავს საკუთარ შესაძლებლობებს – ქრება. ადამიანი კი ჯერ მხოლოდ ძალებს იკრებს და ფეხზე დგება. ამიტომ კითხვები და პრობლემები ადამიანს აქვს და პასუხების ძიებაც სირთულეთა გამო ბრძოლად მიაჩნია.

ზოგადად ადამიანს თავისი არსებობისა და სამყაროს მიმართ მრავალი გლობალური კითხვა აწუხებს, რომლებსაც პასუხი თავისავე არსებობით უნდა გასცეს: რა კანონზომიერებას ექვემდებარება ადამიანის წარმოშობა? აუცილებლობისა და შემთხვევითობის, ობიექტურობისა და სუბიექტურობის რა თანაფარდობას შეიცავს მის მიერ განვლილი გზა? რა აზრი და მიზანი აქვს ადამიანის არსებობას? თვისობრივად წინსვლაა თუ უკუსვლა, ან წრებრუნვა ადამიანთა წარსული? თუ აქვს საწყისი ადამიანის ისტორიას, როდის დაიწყო და როდემდე გაგრძელდება ეს პროცესი და ა. შ.

ადამიანის გარემომცველ ბუნებას (სამყაროს) არა აქვს დრო და სივრცე იმ გაგებით, რომ ის ყოველთვის არის და ყველგან. დრო და სივრცე აქვს ადამიანის არსებობას. სხვანაირად, ამ კატეგორიების გა-

რეშე მას საერთოდ არსებობა ვერ წარმოუდგენია. ამიტომ ცდილობს ყოველივე დროსა და სივცის ჩარჩოებში მოაქციოს.

სამყაროს (გარემომცველი ბუნების) გააზრება დროსა და სივცეში აუცილებლად მიდის კითხვებამდე: უსასრულო სამყაროში მოაზროვნე არსება, მხოლოდ ადამიანი რატომ იქნება? როდის გაჩნდა ადამიანი? რამ განაპირობა მისი გაჩენა? რა გზა გაიარა მან დღევანდლამდე?

ეს კითხვები თანაბრად შეეხება ყოველი რასისა და ეროვნების ადამიანთა საზოგადოებას. გამონაკლისი არც ქართველობაა.

ქართველობის გენეზისის შესწავლა იწყება თანამედროვე ტიპის ადამიანის წარმოშობისა და ეთნოსებად დაყოფის გარკვევიდან.

ადამიანის წარმოშობისა და განვითარების შესახებ უამრავი რამ არის გამოკვლეული. ასევე მრავლადაა, მოსაზრებები, მწირია მართებული დასკვნები.

ქართველობა?

არიან ეთნოსები, ერები, ხალხები რომელთა წარმოშობისა და განვითარების (გენეზისის) საკითხები ყოვლად შესწავლილია. ეს ახალგაზრდა ეთნოსებს, ერებს, ხალხებს შეეხება. არიან ისეთები, რომელთა გაჩენა-ჩამოყალიბება ადვილად დასადგენია. სამწუხაროდ არიან ისეთები, რომელთა წარსული შორეულ დროს განეკუთვნება და ისტორიულ ჭეშმარიტების დადგენაც თითქმის შეუძლებელი ხდება. ამ უკანასკნელებს მიეკუთვნება დღეს ქართველებად წოდებული ერის წარსული.

შეუძლებელია ეთნოსზე რაიმეს დანამდვილებით თქმა თუ მას ან მის შესახებ კაცობრიობას არ შემოუნახავს რაიმე ცნობები. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ ვარაუდების საფუძველზე ლოგიკური ისტორიის შექმნა. ისტორიული ლოგიკა კი წერილობით და უტყუარ მატერიალურ ცნობებს უნდა ეყრდნობოდეს.

ლოგიკური ისტორია კაცობრიობისა შორეულ წარსულში იკარგება. მეცნიერთა ერთი ნაწილი ამ წარსულს 70 მლნ. წლით განსაზღვრავს. მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ასაკი 5-6 მლნ. წელით შემოიფარგლება. თანამედროვე ტიპის ადამიანის არსებობას ზოგნი 50 000 წლით ფარგლავენ. საქართველოში, დმანისში, აღმოაჩინეს 1 800 000 წლის წინანდელი ადამიანის ნაშთები. რა იწვევს შეხედებულებათა სხვაობას?

ადამიანი ბუნების შვილია და მის კანონზომიერებას ექვემდებარება. შესაბამისად, იგი იცვლება ბუნებასთან ერთად. ბუნება კი მრავალ მეც-

ნიერებათა დასკვნების თანახმად პერიოდულად მკვეთრ ცვლილებებს განიცდის. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების შეცვლა ასახულია გამყინვარება-დათბობის პერიოდების მორიგეობაში.

გეოლოგ-გეოგრაფები ყინვარეული, მდინარეული და სხვა ნალექების შესწავლის შედეგად ასკვნიან, რომ ჩვენამდე გამყინვარების სამი პერიოდი იყო და ახლა ვართ მეოთხეულ პერიოდში. მაგრამ თუ დროთა ვითარებაში უფრო ადრეული გამყინვარება-დათბობის ნაშთები წაიშალა, არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს პროცესი შეიძლება მუდმივად მიმდინარეობს? რატომ უნდა დავეთანხმოთ დასკვნას, რომ გამყინვარების გეოფიზიკური პროცესი მხოლოდ 3 500 000 წლის წინ დაიწყო? მით უმეტეს, რომ მეცნიერებს დამაჯერებლად ვერ დაუდგენიათ ასეთი ცვლილებების მიზეზები. კოსმოურ-ასტრონომიული და გეოგრაფიულ-გეოლოგიური ჰიპოტეზები მრავალია, საკითხი კი გაურკვეველი.

მეცნიერების ერთი ნაწილი დედამიწაზე გამყინვარების პერიოდულობას მზის სისტემის რაღაც ნისლოვანებში შესვლას უკავშირებს. მეორე ნაწილს ეს მოვლენა მზეზე ლაქების გაჩენასთან აქვს დაკავშირებული. მესამე ნაწილს მიაჩნია, რომ დედამიწა პერიოდულად მოძრაობას იცვლის. მეოთხე ნაწილი დედამიწის პოლუსების შეცვლაზე მიუთითებს. მესუთე ნაწილი მიზეზს ატმოსფეროს შემადგენლობის ცვლილებებში ხედავს. მეექვსე ნაწილი ძლიერ ტექტონიკურ ცვლილებებზე მიუთითებს. მეშვიდენი ოკეანეები მდინარებათა შეცვლას ასახელებენ და ა. შ.

ყოველივე ისეა, როგორც უ. შექსპირი ამბობდა: ბევრი რამ ხდება ჰორაციო ქვეყნად ისეთი, რაც ჩვენსა ბრძენებს სიზმარშიც არ მოლანდებიან.

პრობლემა კი სახუმარო როდია. იმის მიხედვით თუ როგორია სინამდვილე, შეიძლება მსჯელობა საერთოდ ადამიანისა და მათ შორის ქართველობის წარსულზე.

პრობლემის ახსნასთან ვერ გვაახლოებს მრავალი ჰიპოთეზა დედამიწის წარმოშობის შესახებ. ი. კანტიდან და პ. ლაპლასიდან მოყოლებული, ათასი ცნობილი მკვლევარია საკითხს შეჭიდებული და უშედეგოდ. სამწუხაროდ, უმრავლესობა მისდევს ერთ მიზანს: დაადგინონ დედამიწის, მზის სისტემის, ჩვენი გალაქტიკის წარმოშობის მიზეზი და ასაკი. მივლენ კი სასურველ ჭეშმარიტებამდე?

დიდი მცდელობის მიუხედავად, უსუსურად გამოიყურება გამყინვარების ან დათბობის ხანგრძლივობის განსაზღვრის საკითხიც. ზოგი მეცნიერის აზრით გამყინვარებათა შორის პერიოდი 21 000 წელს

მოიცავს. სხვათა მტკიცებით ეს პერიოდი 40 000 წელს აღწევს და საბოლოო ანაგარიშით შეიძლება მილიონ წელსაც გადააჭარბოს.

არ არის აზრთა ერთობა იმ საკითხშიც კი, თუ როდის მოხდა და რამდენ ხანს გრძელდებოდა ბოლო გამყინვარება.

ერთნი ამტკიცებენ, რომ 250 000 წლის წინ დაიწყო მესამე და ყველაზე მკაცრი გამყინვარება და გაგრძელდა 125 000 წელს. ცენტრალურ ევრაზიაში ტემპერატურა გაყინვის დონეზე იყო. ტუნდრა, რომელიც ახლა უკიდურეს ჩრდილოეთ განედებს მოიცავს, მაშინ აფრიკის შიდა რაიონებამდე ვრცელდებოდა. ორივე ნახევარსფერო სქელი ყინულით იყო დაფარული.

125 000 წლის წინ გამყინვარება დასრულდა და 50 000 წლით შედარებით დათბა. ამან ხელი შეუწყო ადამიანის ახალი ტიპის-ნეანდერტალელი არსების ჩამოყალიბება, გამრავლება, განსახლება. მას უეჭველად ჰქონდა გაგების და მოსაზრების უნარი. იცოდა ცეცხლის გაჩაღება-შენახვა, ქვის იარაღების გაკეთება-მოხმარება. იყო მომთაბარე და მონადირე, ასრულებდა გარკვეულ რიტუალებს.

ამ ტიპის ადამიანის ნაშთების არეალის სიდიდე იძლევა დასკვნას, რომ 100 000 წლის წინათ მათი რაოდენობა 10 მლნ-დე უნდა ყოფილიყო, ხოლო 50 000 წლის წინ 20 მილიონამდე.

ნეანდერტალელები გარკვეულად რთულ ცხოვრებას მისდევდნენ. სტაბილური ხდება შრომის დანაწილება, დახვეწილია შრომის იარაღები, ჩნდება დაკრძალვის ცერემონია, იბადება მაგია, მკითხაობა, მიზეზ-შედეგის განსაზღვრა. სისხლით ნათესაობის საფუძველზე გაერთიანებული ჯოგები გარკვეულ შიდა განაწესს ამკვიდრებენ.

უძველესი ადამიანების შემსწავლელი მეცნიერები ორ ძირითად მსგავს გაერთიანებაზე ლაპარაკობენ. მათი აზრით აღმოსავლეთის ჯგუფის განსახლების არეალი ინდოეთიდან აღმოსავლეთით ტერიტორიებს მოიცავდა. ამ ტიპის ადამიანთა ნაკვალევი ჩინეთში, პეკინის მახლობლადაა მიკვლეული. დასავლეთის ჯგუფის საცხოვრისი ბევრად ფართოდაა წარმოდგენილი და მოიცავს აფრიკა-აზია-ევროპის დიდ ტერიტორიებს.

მეცნიერთა მტკიცებით ადამიანთა ეს ჯგუფები, ნეანდერტალელების სახელით ცნობილი, ბოლო გამყინვარების დროს გაქრნენ და ადგილი დაუთმეს ახალი ტიპის ადამიანებს, რომლებიც კრო-მანიონებად იქნენ წოდებულნი (კრო-მანიონი-მლვიმეა საფრანგეთში, სადაც პირველად იქნა მიკვლეული ახალი ტიპის ადამიანის ნაშთები).

ბევრი ცნობილი მკვლევარის მიხედვით გამყინვარება, ისევე როგორც დათბობა მრავალ ათეულ ათას წელს გრძელდება და ერთი თაობის ადამიანისათვის პრაქტიკულად შეუძნეველია კლიმატის ცვლილება. რამ გამოიწვია ძველი ტიპის ადამიანთა გაქრობა და ახალი ტიპის ადამიანებით შეცვლა მეცნიერებისათვის გაურკვეველია. გამყინვარება და დათბობა არ არის სტაბილური პროცესი. გამყინვარების დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს შედარებით დათბობის პერიოდებს და დათბობის დროს შედარებითი აციებისას. ასე მაგალითად, ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ დაახლოებით 75 ათასი წლის წინ დამთავრდა დათბობის პერიოდი და დაიწყო გამყინვარება, რომელიც 10 ათას წელს გაგრძელდა. შემდეგ მოხდა შედარებით დათბობა, რასაც მოჰყვა ძლიერი გამყინვარება და გაგებლდა 40 ათას წლამდე. 40 ათასი წლის წინ გამყინვარება კლებულობს, მერყეობს, ნაწილობრივ დათბობა ხდება. 20 ათასი წლის წინ გამყინვარება მაქსიმუმს აღწევს. ყინული ფარავს პლანეტის დიდ ნაწილს. 13 ათასი წლის წინ გამყინვარება სწრაფად მერყეობს, უკან იხევს და 2 ათასი წლის შემდეგ მთავრდება ეს პროცესი, იწყება სწრაფი დათბობა. ეს პროცესი დათბობისა ერთდროულად მიმდინარეობს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებში და დღესაც გრძელდება.

ბოლო გამყინვარების დროს რამ გამოიწვია ნეანდერტალელი ადამიანის გაქრობა და კრომანიონის ტიპის ადამიანის გამოჩენა, საბოლოოდ გაურკვეველია. მოხდა ადამიანთა სხვადასხვა ტიპებს შორის შეჯახება და ერთის დაღუპვა ან შერწყმა და გადაქმნა თუ სულაც გარემოსთან შეგუების აუცილებლობამ ძველის მოსპობა კი არ გამოიწვია, არამედ ათასწლეულების მანძილზე ძველი ისე შეიცვალა, რომ ახალ, თანამედროვე ტიპის ადამიანად ჩამოყალიბდა, ამ კითხვებს პასუხი ალბად მომავალში გაცემა.

გამყინვარება-დათბობის პერიოდების დადგენას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის განსახლებისა და ცხოვრების წესის შესწავლის საქმეში.

მკვლევართა გაანგარიშებით, გამყინვარების დროს დედამიწის მესამედი ყინულით იყო დაფარული. ყინულს 13-ჯერ მეტი ფართი ეკავა, ვიდრე დღესაა. თავის მხრივ მნიშვნელოვნად დაბალი იყო ჰაერისა და წყლის ტემპერატურა. გამყინვარების ცენტრები მარტო პლანეტის ჩრდილოეთი და სამხრეთი პოლუსები კი არა, მთების მასივებიც იყო.

წლიური ტემპერატურა 10 არ აღემატებოდა. დღეს ეს მაჩვენებელი 22 უტოლდება.

გამყინვარების დროს ადამიანის სასიცოცხლო არეალი ეკვატორის მიდამოებით შემოიფარგლებოდა. ევროპა-აზიის ჩრდილოეთი ყინულს ეკავა. ალპების, კავკასიის, პამირის მთების ჩრდილოეთით პერიოდულად და სეზონურად თუ შეიძლებოდა ადამიანთა ცხოვრება.

ქართველ მეცნიერთა მტკიცებით, უკანასკნელი ე. წ. ვიურმული გამყინვარების დროს მყინვართა სიდიდეები კავკასიაში 25-40 კმ. აღწევდა. მათი კვალი დარჩენილია ზღვის დონიდან 700-800 მ. სიმაღლეზე. ასეთ დროს საკითხავია, შეიძლებოდა თუ არა კავკასიაში მუდმივი ცხოვრების პირობების არსებობა?

გამყინვარების დროს ყინულს დაფარული ჰქონდა დაახლოებით 62 380 ათასი კმ³. ეს 57 380 ათას კმ³ წყლის ექვივალენტია. ამ მოცულობიდან ევრაზიის მთიან ყინულებს 1548 ათასი კმ³ ეკავა. ეს დაახლოებით 1424 ათას კმ³ წყალს უტოლდება. ასეთი მიახლოებითი გაანგარიშებაც კი საკმარისია, რათა მეცნიერებმა დაასკვნან, რომ დაახლოებით 12 ათასი წლის წინ მსოფლიო ოკეანის დონე 65 მ. დაბალი იყო. შესაბამისად სხვანაირი იყო კონტინენტების არა მხოლოდ მოხაზულობა, არამედ მოცულობა და დაცილებაც. უკანასკნელ მონაცემს ემატება ის ფაქტიც, რომ კონტინენტების მოძრაობა წელიწადში 4 სმ შეადგენს და ბოლო 10-11 ათასი წლის მანძილზე 400-500 მეტრამდე აღწევს.

თანამედროვე პირობებში მსოფლიო ოკეანეში წყლის მოცულობას 1305, 5 მლნ. კმ³ ანგარიშობენ. ყინულების დადნობის შემთხვევაში წყლის დონე 66 მ. მოიმატებს. აქედან გამომდინარე, ცხადი ზდება, რომ გამყინვარების დროს წყლის დონე 120 მ. დაბალია ვიდრე მათი დადნობის შემთხვევაში. ეს კი მნიშვნელოვნად ზრდის მიწის ხვედრით ფართოს და სანაპიროებზე ცივილიზაციების დაფუძნების შესაძლებლობას.

იმავე მეცნიერების დაანგარიშებით ხმელთაშუა ზღვის დონე გამყინვარების დროს 50 მ. დაბალი იყო დღევანდელთან შედარებით. ევროპაში პირინეის, აპენინის, ბალკანეთის ნახევარკუნძულები იყო ყინულისაგან თავისუფალი, ხმელეთის სანაპირო ზოლი შედარებით ფართოდ და ღრმად იჭრებოდა ზღვაში. ასევე თავისუფალი და საცხოვრებლად ვარგისიანი იყო მთელი წინა აზია კავკასიის მთების სამხრეთით. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ნაყოფიერ, ფლორით და ფაუნით მდიდარ ადგილებს

წარმოდგენდნენ დღევანდელი არაბეთის და საჰარის უდაბნოები.

მეცნიერთა მტკიცებით სწორედ ამ ადგილებში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სამხრეთ ევროპაში და წინა აზიაში ჩამოყალიბდა და განვითარდა ადამიანის ტიპი, რომელსაც პირობითად ხმელთაშუაზღვისპირეთის რასას უწოდებენ. მათ განვითარებული ქვის იარაღები ჰქონდათ, მიღედვდნენ მონადირეობას, მიწათმოქმედებას, ჰყავდათ მოშინაურებული ცხოველები.

მეცნიერება მოკლებულია შესაძლებლობას, რომ დაადგინოს ამ ტიპის ადამიანთა ეთნიკური თუ ენობრივი კუთვნილების საკითხი, თუმცა გარკვეული მიხვედრები და ჰიპოთეზები ლოგიკურობას მოკლებული არაა. პირველ ყოვლისა დგინდება, რომ ეს რასა განფენილი იყო ძალზე დიდ ტერიტორიაზე მოყოლებული ეთიოპიიდან, ჩრდილოეთ აფრიკაში, პირინეის ნახევარკუნძულზე, დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორიაზე, ირლანდიაში, ბრიტანეთის სამხრეთ ნაწილში, აპენინებზე, ბალკანეთში, ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, წინა აზიაში კავკასიისა და შუამდინარეთის ჩათვლით და ინდოეთამდე აღწევდა.

ე. წ. ხმელთაშუა ზღვისპირეთის რასა, მეცნიერთა მტკიცებით, ჩრდილოეთ აფრიკიდან გავრცელდა და ინდო-ევროპელების გამოჩენამდე წარმატებით ვითარდებოდა ძალზე ვრცელ ტერიტორიებზე. სწორედ ამ ფაქტორიდან გამომდინარე უნდა იქნეს დაანგარიშებული ცალკეული რასებისა და მთლიანად მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაურკვეველია რა ლოგიკას ეფუძნებიან მკვლევარები, როდესაც ერთნი ამტკიცებენ, რომ 40 ათასი წლის წინ მსოფლიოს მოსახლეობის რაოდენობა 0,5-ან 1 მლნ. ადამიანამდე მერყეობდა, ხოლო მეორენი მიიჩნევენ, ეს რაოდენობა 20 მლნ. აჭარბებდა.

ერთი პერიოდი, მეცნიერებს შორის ფართოდ იყო დამკვიდრებული აზრი, რომ ხმელთაშუა ზღვისპირეთის რასიდან თანდათან იწყო ჩამოყალიბება სამმა შტომ: სემიტებმა, ქამიტებმა და იაფეტებმა. ეს დაყოფა, ცხოვრების ნირის ეს ცვლილებები აისახა ჯერ შუშერთა წარმოდგენებში და შემდეგ ბიბლიაში დამკვიდრდა მითოლოგიური ნოეს ვაჟების გაყრის სახით.

600 წ. იყო გადაცილებული ნოე, როდესაც წარღვნას გადაარჩინა ადამიანთა და ცხოველ-ფრინველთა მოდგმა და კიდობანი არარატის მთას მიაყენა. აქედან გამრავლდნენ და განსახლდნენ ადამიანები. იაფეტი, როგორც უფროსი, მამის მემკვიდრედ დარჩა. ქამმა, საშუა-

ლომ, სამხრეთს მიაშურა, გამრავლდა და ეგვიპტელ-აფრიკელები მის შთამომავლობას წარმოადგენდა. სემი, უმცროსი, ჯერ აღმოსავლეთით წავიდა, შემდეგ კი სამხრეთით. მისი შთამომავლობაა სამხრეთის სემიტები-არაბები; ჩრდილოეთის სემიტები-ბაბილონები, არამეელები, ასირიელები, ებრაელები.

იგივე მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ იაფეტიდების ტიპი, რომელიც მკვიდრობდა შუამდინარეთიდან (შუმერები) და კავკასიიდან მოყოლებული ბალკანეთის, პირინეის, აპენინების ნახევარკუნძულების ჩათვლით, მკვეთრად განსხვავდება, როგორც სემიტებისაგან, ასევე ინდო-ევროპელებისაგან და შეადგენს ერთ განსაკუთრებულ ჯგუფს. ამ საფუძველზე შეიქმნა ჰიპოთეზები კავკასიელ იბერთა და პირინეის იბერთა ერთობის შესახებ, ქართველთა და ბასკებ-გასკონელების საერთო წარმომავლობაზე, სარდების, ეტრუსკების, ბალკანეთის ტომების ნათესაობაზე და ა. შ.

იმისათვის, რათა დადგენილ იქნას რეალობა, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს ადამიანის მიერ განვლილი გზა. ისტორიული წყაროები ამ ხაზით არ არსებობს. ლოგიკური აზროვნება ლოგიკურ ისტორიას მხოლოდ ზოგადად და ფრაგმენტულად წარმოგვიდგენს.

პირველ რიგში უნდა დავეთანხმოთ მტკიცებას, რომ ათეული ათასობით, ასეული ათასობით და მილიონობით წლის წინანდელი ნამარხები არ შეიძლება რომელიმე რასის ან ეთნიკური ჯგუფის წინაპარს ეკუთვნოდეს. ეს ნაშთები ზოგადად ადამიანთა არსებობაზე მიუთითებს და არა რაიმე ეროვნულ კუთვნილებაზე.

შემდეგ, უნდა დავეთანხმოთ აზრს, რომ არ ვიცით განვითარების რა დონეს აღწევდა ადამიანი წინა დათბობის დროს. რა ისპობოდა მომდევნო გამყინვარების დადგომისას და რა რჩებოდა ადამიანს გონებრივი და ფიზიკური განვითარებული შესაძლებლობების გარდა. შემორჩენილი ქვის იარაღები მხოლოდ იმის დასტურია, რომ ქვა უძლებს მკვეთრ კლიმატურ და დროის ცვლილებებს, ხე და სხვა საგნები კი ისპობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გასარკვევია, როგორ მოხდა რომ მილიონობით წლების მანძილზე ადამიანი ქვის იარაღს ვერ გასცდა, ბოლო რამდენიმე ათასწლეულში კი კოსმიური სისწრაფით ავითარებს ტექნიკურ საშუალებებს.

უნდა წარმოვიდგინოთ, ლოგიკურად რა შეიძლებოდა მომხდარიყო ბოლო გამყინვარების დროს, როგორ შეიძლებოდა მომსპარიყო ნეანდერ-

ტალელი ადამიანი და მის ნაცვლად კრომანიონელი დამკვიდრებულიყო. ახალ პირობებში საიდან გაჩნდა ეს ახალი ტიპი. ნეანდერტალელი მილიონობით წელი ვითარდებოდა და ჯოგურ ცხოვრებას ვერ გასცდა. ახლად დამკვიდრებული თავიდანვე დიდი პოტენციალის მქონეა. მოკლე დროში შეძლო წინა ტიპის ადამიანის შესაძლებლობების, საცხოვრებელი არეალის, იარაღების ათვისება და განვითარება. როგორ?

ასეულობით ათასი წელი ადამიანური არსებობა, ცხოვრება, შესაძლებლობები შენელებული ტემპით მიმდინარეობდა. ახალი ტიპის ადამიანი რამდენიმე ათასი წლის მანძილზე აჩქარებს განვითარებას. იგივე ქვის იარაღები უფრო მრავალფეროვანი და მოხერხებული ხდება. კაჟის ქვის ფირფიტებისაგან ამზადებენ შუბის წვერებს, გასატყავებელ დანებს, საფხეკებს, სათლელ იარაღს. არქეოლოგებს კაჟის ქვისაგან გაკეთებული მრავალათეული სახეობის იარაღი აქვთ მოპოვებული. სპეციალისტები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ კაჟის იარაღი არ ჩამოუვარდება მეტალისას. სწორედ ასეთი იარაღების დამზადება უყრის საფუძველს ხელოსნობას, აღრმავებს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას.

ახალი ტიპის ადამიანმა ძველისაგან ცეცხლის გაჩაღება-შენახვის წესი შეითვისა და გააუმჯობესა. იგი ცეცხლს უკვე გააზრებულად იყენებს გათბობის, საკვების მომზადების, საჭირო საგნების დამზადების საქმეში.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მოხეტიალე-მომთაბარე ცხოვრებიდან მყარ ცხოვრებაზე გადასვლას. ეს იწვევს მიწათმოქმედების, ხელოსნობის, გაცვლის გაცხოველებას, ხელს უწყობს ინფორმაციული გაცვლის საშუალებების წარმოშობას.

შრომის დანაწილება, მიწათმოქმედთა, ხელოსანთა, მეცხოველეთა საზოგადოებრივი ჯგუფების ჩამოყალიბება ადამიანური განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს, რასაც უნდა მოჰყოლოდა ურთიერთობათა და თანაცხოვრების ახალი ფორმების შექმნა.

მეცნიერთა მტკიცებით, უკვე 18-17 ათასი წლის წინ მოხდა ადამიანთა სოციალურ ჯგუფებად დაყოფა. გაჩნდნენ შედარებით უზრუნველყოფილი და ლატაკები. განვითარდა მკითხაობა, გაჩნდა მაგია, საჭირო გახდა ადამიანთა გაერთიანების მექანიზმის შემუშავება. გამოცდილების, ცოდნის დაგროვება მის გადაცემას საჭიროებდა. თაობათა შორის ინფორმაციული გაცვლა თავის მხრივ ხელს უწყობდა ბუნების მოვლენების, საგნების სახეობათა შესახებ ცოდნის გაღრმავებას, უბიძგებდა

მეცნიერული (გაზომვითი, არითმეტიკული, ასტრონომიული და სხვ.) ელემენტების შემუშავებას, რაც თავის მხრივ დამწერლობის შექმნის აუცილებლობამდე მივიდა.

სოციალური ურთიერთობის განვითარება არ არღვევდა ბუნებასთან დამოკიდებულების ხასიათს. ამ დამოკიდებულების ელემენტები სოციალურ ცხოვრებაშიც იჭრებიან. პირველ რიგში ეს ტოტემიზმში გამოიხატება. მეცნიერები (ზ. ფროიდი) ამტკიცებდნენ, რომ წარმოდგენითი წარმომავლობა ცხოველებისაგან, ფრინველებისაგან მათ გაფეტიშებად მიდიოდა და ბოლოს მკვიდრდებოდა, როგორც ამა თუ იმ ჯგუფის განმასხვავებელი ნიშანი. მიაჩნდათ, რომ წინაპართა სული გადადიოდა ამა თუ იმ ცხოველში, ფრინველში, მწერში და ა. შ. და ბოლოს მათ გაღმერთებამდეც მიდიოდნენ. ნ. ბერძენიშვილმა მნიშვნელოვანი დაკვირვებები აწარმოა ჯოგის გორაზე დასახლებიდან გვარად ჩამოყალიბების და ტომად გადაქცევის პროცესზე.

დამწერლობის ამა თუ იმ ფორმის შექმნამდე თაობათა გამოცდილება, ცოდნა, მისწრაფება ზეპირისიტყვიერების მეშვეობით გადაიცემოდა. რეალური მოვლენები დროთა მანძილზე ერწყმოდა რელიგიურ, მაგიურ წარმოდგენებს და მითებად ყალიბდებოდა.

მკვლევართა აზრით, ჯერ კიდევ 40 ათასი წლის წინ ადამიანებმა შეიმუშავეს გარკვეული ნიშნების გამოხატვის გზით ინფორმაციის გადაცემის საშუალება. გარკვეული სახის და ფორმის საგნები ამა თუ იმ ინფორმაციის მატარებლები იყო. დათქმული საგანი გარკვეულ საფრთხეზე თუ ქმედებაზე მიანიშნებდნენ მის მიძღვებს. დროთა ვითარებაში მინიშნება-გაფრთხილების სისტემები იხვეწებოდა და ბოლოს იეროგლიფურ დამწერლობად ჩამოყალიბდა, ისეთ ნიშნებად, რომლის გაგება უკვე მრავალ ადამიანს შეეძლო. ამან გამოიწვია დამწერთა და გადამწერ-წამკითხავთა ჯგუფების ჩამოყალიბება. ეს ფუნქცია, შესრულების სპეციფიკიდან გამომდინარე ქურუმების კასტის საკუთრება და შემოსავლის წყარო გახდა.

იეროგლაფიური, ლურსმული დამწერლობის შემორჩენილი ნიმუშები უძველესი ისტორიის პირველწყაროა. მითებად ქცეული რეალობა მისი მეშვეობით შეისწავლება. დამწერლობის პარალელურად ვითარდებოდა თვლის და ანგარიშის სისტემები. დადგენილია, რომ 60-იანი თვლის სისტემა შუმერებმა შეიმუშავეს. მომდევნო პერიოდში სისტემა საფუძვლად დაედო დროის ათვლას: 60 წამი 1 წუთი, 60 წუთი 1 საათი,

60- დღე მთვარის ორი თვე, წელიწადი ექვსჯერ სამოცი, ბიბლიური ნოეს და მამამთავართა ასაკი გარკვეულ დრომდე – 10 ჯერ სამოცი, 15-ჯერ სამოცი, 1,5-ჯერ სამოცი და ა. შ.

ქართველებმა დღემდე შემონახეს ათვლის ოც-ობითი სისტემა. იგი არსებითად განსხვავდება ფართედ გავრცელებული ათობითი ათვლის სისტემისაგან. ოც-ობითი ათვლა უფრო დახვეწილია და გასაგები, ვიდრე სამოც-ობითი (შუმერული). ამავე დროს უფრო მარტივია და იოლი, ვიდრე ათობითი არა ჰქონდათ ქართველთა წინაპრებს საკუთარი, ოც-ობითი ათვლის სისტემა, ისინი გაიმეორებდნენ შუმერულს ან მოგვიანებით დამკვიდრებულს.

სამწუხაროდ, არ არის გამოკვლეული ცოდნისა და თანაცხოვრების რა დონე იყო წინა დათბობის დროს. ციური სხეულების თუ მიწიერი მოვლენების შესახებ აქა-იქ შემორჩენილი ისეთი სახის ცნობები, რაც თანამედროვე მეცნიერებისთვისაც აუხსნელია და ზოგჯერ ადამიანთა სხვა პლანეტიდან გადმოსახლების შეგრძნებას ბადებს, არასაკმარისია ობიექტური დასკვნების გასაკეთებლად. ყოველმა მომდევნო გამყინვარებამ ბევრი რამ წაშალა ან გარდაქმნა. ადამიანს რჩებოდა მხოლოდ შედარებით განვითარებული – მე. ეს შესაძლებლობები უსაზღვროა, ისევე, როგორც უსაზღვროა მისი საარსებო არეალი.

ფიქრები ეთნოგენეზის აკაულზე

ადამიანთა ეთნიკურ ჯგუფებად ჩამოყალიბების თაობაზე მრავალი თვალსაზრისი არსებობს. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ წინა აზია უნდა იყოს საერთო სამშობლო ინდოევროპელების, სემიტების, იაფეტიდების, ქამიტების. იყო დრო, როცა ისინი ერთიან დედაენაზე მეტყველებდნენ. არის ამ ძირითადი ენის ელემენტების დადგენის მცდელობა. სამწუხაროდ მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონე ჭეშმარიტებასთან მიახლოებული დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. დანამდვილებით მხოლოდ იმის მტკიცება შეიძლება, რომ არ არსებობს ეთნოსი, რომელსაც არ განეცადოს მრავალჯერადი შერევა-შეჯვარების პროცესი და დარჩენილი იყოს პირვანდელი უმწიკვლო სახით.

ამ წინასწარი დასკვნის გაზიარების გარეშე აზრი ეკარგება ქართული ეთნოსის საფუძვლების ძიებას.

პირველ რიგში უნდა გავიაზროთ ქართველების სასიცოცხლო არეალი. სად შეიძლება ეცხოვრათ იმ ტომებს, ადამიანთა იმ ჯგუფებს, რომელთა თანაცხოვრებამ საბოლოო ანგარიშით ქართველობის ჩამოყალიბება განსაზღვრა.

მეცნიერება ადასტურებს იმ ისტორიულ ფაქტს, რომ ადრეულ პერიოდში, ძალზე დიდი ტერიტორიები ეკავათ იმ ჯიშის ტომებს, რომლებიც არც სემიტებს მიეკუთვნებიან და არც ინდოევროპელებს. ცნობილია, რომ შუმერები, ფინიკიელები (ეს სადაოა), მათ ჩრდილოეთით მცხოვრები ტომები კავკასიელთა ჩათვლით, დღევანდელი თურქეთის, საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთის, ირლანდიის (ესეც სადაოა) ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ – ტომები, რომლებიც ბევრი საერთო და სხვებისაგან განმასხვავებელი ნიშნებით ხასიათდებოდნენ. აქედან გამომდინარე ქართველების ეთნოგენეზის არეალი ამ ტერიტორიაზე უნდა მოიძებნოს. ტერიტორია კი ძალზე ვრცელია. კიდევ რომ ერთი წარმომავლობის ტომებს ეცხოვრათ ამ დიდ სივრცეში, დროთა ვითარებაში მათი დაშორება და გაუცხოება გარდუვალი იქნებოდა.

დიდი ხანია, მეცნიერთა ერთი ნაწილი, ავითარებს აზრს კავკასიის იბერებისა და პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იბერებს შორის ნათესაური კავშირის არსებობის შესახებ. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ფართედ იყო გავრცელებული აზრი დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერიის ეთნიკურ ერთობაზე. შემორჩენილია ძვ. წ. ა. მწერალ აპოლოლორის ცნობა იმის შესახებ, რომ დასავლეთის იბერები გადმოსახლდნენ პირინეის ნახევარკუნძულიდან კავკასიაში და ისინი კოლხეთსა და სომხეთს შორის ვრცელ ადგილებში მოსახლეობენო. მათ, კოლხეთისაგან მთები, ხოლო სომხებისაგან მდ. არაქსი ყოფს. IV-V სს. მოაზროვნე სოკრატე სქოლასტიკოსი ასევე ადასტურებს იმ აზრს, რომ პონტოს (შავ) ზღვასთან მდებარე იბერიის ქვეყანა დასავლეთიდან (პირინეის ნახევარკუნძულიდან) წამოსულებით არის დასახლებულიო. ევსევი კესარიელი (III ს. მწერალი) ეყრდნობა რა ძვ. წ. აღ. IV-III სს. მოღვაწე მეგასთენეს გამონათქვამს, ამბობს, რომ „ ნაბუქოდონოსორმა, რომელიც ჰერაკლესზე უფრო ძლიერი იყო, მის შემდეგ, რაც საომარი ჯარი შეკრიბა, მიადწია ლბიელთა ქვეყანაში და იბერთა ქვეყანაში, აჯობა მათ, გააცამტვერა და დაიმორჩილა, ერთი წილი მათგანი გადაადგილა მან პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეზე, იქ დაასახლა“. (ს. ყაუხჩიშვილი. გეორგია. ტ. 1. გვ. 30, თბ., 1961 წ.). თუ ამ ცნობას სერიოზულად მივიღებთ, გამოდის, რომ ქართველობა

ესპანეთის ტერიტორიიდან ძვ. წ. აღ. VI ს. გადმოუსახლებიათ. დადგენილია, რომ ნაბუქოდონოსორი 604-561 წწ. ძვ. წ. ცხოვრობდა.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი ვარაუდობს, რომ იბერიული მოდემის ტომები ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში (კართაგენი), პირინეის და აპენინების ნახევარკუნძულებზე, საფრანგეთის ტერიტორიაზე, ხმელთაშუა ზღვის დიდ კუნძულებზე: სარდინია, კორსიკა, სიცილია. ძველი წელთა აღრიცხვის XV საუკუნეში მათ შექმნეს ტომთა დიდი გაერთიანება და ზღვაზე ბატონობისათვის ებრძოდნენ ეგვიპტესა და ფინიკიელებს.

ძველი დროის (I-II ს. ახ. წ. აღ.) მწერლები აპიანე, პლინიუსი, დიონისე პერიეგეტი ასევე ამტკიცებენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერების ნათესაობას. ამასთან, გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ შეიძლება აზიელი იბერები იყვნენ ევროპელი იბერების წინაპრები და არა პირიქით. აზრი შეიძლება მრავალნაირად ჩამოყალიბდეს, მაგრამ არსი ერთია: ძველი დროის მრავალი მწერალი, ისტორიკოსი, გეოგრაფი მიუთითებდა ორი იბერიის მოსახლეობის ნათესაურ კავშირზე.

ეტყობა არსებული ჩანაწერების გავლენით, ასეთი აზრი ქართველ მოღვაწეებს შორისაც იყო დამკვიდრებული. კერძოდ, გიორგი მთაწმინდელი აღნიშნავდა, რომ ათონის ივერიის მონასტრის დამაარსებელმა იოანე მთაწმინდელმა. თავის ძე ექვთიმესთან და რამდენიმე სხვა ქართველ მოღვაწესთან ერთად განიზრახა დასავლეთის იბერიაში გამგზავრება 985 წ. მას სწამდა, რომ შეძლებდა პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები იბერების მონახულებას და მათთან ნათესაური კავშირის აღდგენას.

VIII ს. მოყოლებული ნათესაური ერთობის იდეა დღესაც ცოცხალია ქართველებს შორის და არც მცდელობას აკლებენ, რათა დაადასტურონ ბასკებისა და გასკონელების ერთი მხრივ და ქართველების მეორესი, ერთიანი წარმომავლობა და ძველი კავშირების აღდგენის აუცილებლობა. ეს სასიქადულო მცდელობა თუ ძველი ერთობის და მტკიცებას ვერ მოერევა, ახალ კავშირებს მაინც განამტკიცებს, რაც თავისთავად სასახელო საქმეა. ამ შემთხვევაში კი უნდა ითქვას, რომ დრონისა და მანძილის სიშორის გამო ქართველობის ეთნოგენეზის გამორკვევა კელტ-იბერების წარსული კვლევით შედეგიანი ვერ იქნება. შესაძლებელია მომავალში მეცნიერებამ რაიმე ხელშესახები მოიპოვოს, მაგრამ დღეს მტკიცება ნაადრევია.

იგივე უნდა ითქვას აპენინების ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ეტრუსკების მისამართითაც. ფუკიდიდე მათ ტირენებს ან ტირსენებს

უწოდებს. ჰეროდოტეს მითითების მიხედვით ეტრუსკები წინა აზიიდან, ქ. ტირიდან არიან გადასახლებულები დასავლეთში. თვითონ ეტრუსკები კი თავს თესალიიდან (შუა საბერძნეთიდან) გადასულებად მიიჩნევდნენ და თავის წინაპრებად თესალიელ პელაზგებს მიიჩნევდნენ. ცნობილმა მეცნიერებმა ტომოსონმა და მარმა ეტრუსკული ენა კავკასიურის მონათესავედ მიიჩნიეს. ამის და მიუხედავად ქართველობის ეთნოგენეზისის პროცესში აზრი ეტრუსკების რაიმე როლზე საფუძველს მოკლებულია.

ამრიგად, რჩება ბალკანეთის ნახევარკუნძული, ეგეოსის ზღვის კუნძულები და იქიდან მოყოლებული ტერიტორიები ძველი შუამდინარეთის, ვანისა და ურმიის ტბების მიმდებარე მიწების, კავკასიის ჩათვლით და იქ მცხოვრები უძველესი ტომები. ამ ტერიტორიებზე უძველეს დროს რამდენიმე ცივილიზაცია არსებობდა. ყოველი მათგანი საკმაოდ ახლოს იყო არა თუ ქართველების წინაპრების ძველ განსახლებასთან, არამედ დღევანდელ საქართველოსთანაც კი და ამიტომ შეუძლებელია გამოირიცხოს მათი კავშირი ან გავლენა მეზობელ ტომებზე.

მეცნიერებში პოპულარულია გამოთქმა: ცივილიზაცია იწყება შუმერიდან. უძველესი ცივილიზაცია, რომელსაც დღევანდელი მეცნიერება იცნობს შუმერულია. ბოლომდე გაურკვეველია საიდან მოვიდნენ ისინი შუამდინარეთის დაბლობზე, მოვიდნენ თუ მუდმივად აქ სახლობდნენ, მაგრამ ბევრი რამ მათ შესახებ დადგენილად ითვლება: ის, რომ მათ შექმნეს იმ დროისათვის დიდებული ქალაქ-ნიმფარეები, რელიგიური, კულტურული, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებით დამშვენებული: ერიდუ, ური, ლაგაში, ნიპური, კიში და სხვა. ის, რომ მათი ცივილიზაცია კვებავდა ეგვიპტურს, ბაბილონურს, შემდეგ ასირიულს, ფინიკიურს, ებრაულს, ეგეოსურ-ბალკანურს. დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას მათი გავლენა და კავშირები ინკების ცივილიზაციასთან. (შემორჩენილია ჰეროდოტეს მიერ მოცემული აღწერა შუმერული პირამიდებისა, რომელიც არ ჰგავს ეგვიპტურს, მაგრამ ჰგავს მექსიკის ტერიტორიაზე არსებულ პირამიდებს. ამას ემატება ინკებს შორის მთარული ლეგენდა, რომლის მიხედვით არსებული პირამიდები შექმნილია იმ ადამიანების მიერ, რომლებიც მათ მისვლამდე ცხოვრობდნენ. ორივე ცნობას ემატება მესამე, რომლის თანახმად, შუმერებმა შემოიარეს დასავლეთი ხმელთაშუა ზღვა. მკვლევარებს შორის არის ის ვერსიაც, რომ შუმერები შეიძლება ზღვით მოსულიყვნენ შუამდინარეთში. ის, რომ მათ შექმნეს დამწერლობა და დაგვიტოვეს პირველი ცნობები

წარღვნის შესახებ, რომელიც შემდეგ ებრაელებმა ბიბლიაში შეიტანეს შეცვლილი სახით. ის, რომ შუმერები იყვნენ დახელოვნებული ასტრონომები, მათემატიკოსები, ექიმები, უძველეს კანონთა კრებულის შემქმნელები და ა. შ.

ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ეს უძველესი ცივილიზაცია თუ თავის გაგვენას ასეთ შორეულ მხარეებში ავრცელებდა, უფრო ადვილი იქნებოდა კავშირების დამყარება მეზობელ წინააზიურ-კავკასიურ ტომებთან. უფრო მეტი, შუმერული ცივილიზაცია იზოლირებული ვერ იქნებოდა გარემო ტომებისაგან, მისცემდა მათ და მიიღებდა საპასუხოდ.

როდის ჩაისახა და როგორ ვითარდებოდა ეს ცივილიზაცია უცნობია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მიკვლეულია ძვ. წ. აღ. VIII ათასწლეულის დროინდელი ქალაქის ნაშთები, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველი ცივილიზაციების ასაკი 10 ათას წელს სცილდება. და თუ ამ აღმოჩენით შეიძლება შუმერებზე მსჯელობა, უპრიანია, რომ თურქეთის ტერიტორიაზე უცნობი ცივილიზაციის არსებობა ვივარაუდოთ. მით უფრო, რომ დადგენილად ითვლება IV-III ათასწლეულებში მტკვარ-არაქსის მიდამოებში ორიგინალური კულტურის არსებობა. მეცნიერება ჯერ ხანობით უძღურია დანამდვილებით იმსჯელოს მისი მაცხოვრებლების ენობრივ კუთვნილებაზე, მაგრამ ცალკეულ კავკასიურ ელემენტებზე მიუთითებენ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ძნელია რაიმეს მტკიცება, მაგრამ რამდენადაც არქეოლოგია და მითოლოგია სხვა რამეზე არ მიანიშნებენ, შეიძლება ითქვას, რომ ეს კავკასიელ ტომთა კულტურაა.

ნიშნავს ეს თუ არა, რომ დღევანდელი კავკასიელების წინაპრები მუდმივად ცხოვრობდნენ ამ არეალში? პერიოდში, როდესაც გამყინვარება უკან იხევდა და ადამიანები სულ უფრო ჩრდილოეთით იწევდნენ და ახალ ტერიტორიებს იკავებდნენ, ალბათ კავკასიაშიც ადგილი ექნებოდა მიგრაციულ პროცესებს. მცხოვრებლებთა ტომობრივ-ეთნიკურობის უცვლელობის მამტკიცებლად ვერ გამოდგება შრომის იარაღთა ერთნაირობა. ქვის იარაღები ყველგან ქვისა იყო და მათი დამუშავების ტექნიკაც, ისევე როგორც თიხის საგნებისა მეტ-ნაკლებად საყოველთაო. ეს არ ნიშნავს, რომ სხვადასხვა მხარეებში ქვის იარაღს არ ახასიათებს რიგი თავისებურებანი, მაგრამ რამდენად შეიძლება ეს ეთნოსის ნიშნად იქნეს მიჩნეული ადრეულ პერიოდებში, ჯერ კიდევ საღაოა.

ბევრად მოგვიანებით, ფიქრობენ, მეორე ათასწლეულის ბოლოს, შუმერების არეალში ბაბილონის სამეფო ყალიბდება. ბაბილონის მოსახლეობა სემიტურია. მკვლევართა დასკვნის თანახმად იგი ძველ ებრაული და ძველ არაბულ ენებთან დიდი სიახლოვეთ ხასიათდება. ფიქრობენ, რომ ისინი დასავლეთიდან მივიდნენ, შუმერებს შეერივნენ და ბოლოს ჰეგემონები გახდნენ. შესაბამისად მათ შეითვისეს შუმერთა კულტურა და ამ ნიადაგზე დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. არქეოლოგებმა ათას ნივთმტკიცებებთან ერთად, აღმოაჩინეს ნანგრევები, რომელიც თავის ზომებით ბიბლიური ბაბილონის გოდოლის რეალურად არსებობაზე მიუთითებს. აღმოჩენილი იქნა ბიბლიოთეკა 100 ათასიანი ლურსმული დამწერლობის ფირფიტებით. ამ ნიმუშების გაშიფვრამ დაადასტურა ძალზე მაღალი დონის კულტურის არსებობა კავკასიის სამხრეთით. ეს იმის მანიშნებელია, რომ ქართველთა წინაპრების საცხოვრისის უშუალო სიახლოეს მრავალი ათასი წლის განმავლობაში არსებობდა ცივილიზაცია, რომელსაც არ შეიძლება თვითიზოლაცია მოეხდინა მეზობლებისაგან.

შუმერებისაგან, შემდეგ ბაბილონელებისაგან, დასავლეთით, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ძველ დროში ჰყვავდა კულტურა, რომელსაც ბერძნულად ფინიკიური ეწოდა. ტვიროსი, ბიბლოსი, უგარიტი, სინონი მის ქალაქ სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. ფინიკიელები, როგორც დახელოვნებული გემთმშენებლები, მეზღვაურები და ვაჭრები მთელ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებს იყვნენ მოდებული. დადგენილად ითვლება, რომ ისინი კოლონიებს აარსებდნენ დასავლეთ აფრიკაში გიბლარტალის სრუტის გავლით. დასავლეთის იბერიაში მათი დაარსებულია ქალაქი გადესი (ახლა კადესად წოდებული), სამხრეთ გალიაში ქ. მარსელი, ძვ. წ. აღ. 825 წ. დააარსეს ქ. კართაგენი. ტვიროსელმა ჰირამმა მოაწყო მოგზაურობა ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე. ფინიკიელებმა შექმნეს გრძელი ხომალდები, რომლითაც აფრიკას შემოუარეს სამ წელიწადში. მათ გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ ეტრუსკებთან (აპენინების ნახევაკუნძულზე), კრეტელებთან, მიკენელებთან, ეგეოსის ზღვის კუნძულების და ბალკანეთის ნახევარკუნძულის მცხოვრებლებთან. ემეზობლებოდნენ და ეომებოდნენ ძველი ეგვიპტისა და ხეთების სამეფოებს (ეს უკანასკნელი კი მდინარე ჰალისის შუაწელზე და კაბადოკიაში მდებარეობდა).

და ბოლოს, ფინიკიელებმა უამრავ მიღწევასთან ერთად კაცობრიობას აჩუქეს ასოთი დამწერლობა, რომელიც მოგვიანებით ბერძნული ცივილიზაციის გავლენით მთელ მსოფლიოშია გავრცელებული.

საკითხავია, რამდენად შეიძლებოდა მოწყვეტილი ყოფილიყო ამ კულტურებს კავკასიის სამხრეთით მცხოვრები ტომები? და ეს იმ ვითარებაში, როცა არა მხოლოდ შუმერები, ბაბილონელები, შემდეგ ასირიელები, არამედ შორეული ეგვიპტელებიც ლაშქრობდნენ ამ მხარეებში.

მეცნიერების დღევანდელი დონე საშუალებას არ იძლევა გარკვეული იქნეს ცივილიზაციის ცალკეული კერების აღმოცენების ზუსტი დრო. დიდად საეჭვოა, რომ საკმაოდ გაცხოველებული ურთიერთობების პირობებში ცივილიზაციის ერთ კერას მეორესათვის სტიმული არ მიეცა. ისიც არარეალურია, რომ მეორე მხოლოდ პირველის დაცემის შემდეგ აღმოცენდებოდა. ამ მხრივ ლოკალური ცივილიზაციების თვალსაზრისი დაუსაბუთებელია. უფრო რეალურია ვიფიქროთ, რომ ახლო აღმოსავლეთის და ბალკანეთის ცივილიზაციები პარალელურად ვითარდებოდნენ და საერთო პროგრესს აჩქარებდნენ.

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, კუნძულ კრეტაზე, ეგეოსის კუნძულებზე ცივილიზაცია ისევე ძველია, როგორც შუმერ-ეგვიპტისა. ეს ცივილიზაცია დასავლეთის მხრიდან ემეზობლებოდა იმ არეალს, სადაც ქართველების წინაპარი ტომები შეიძლება ვიგულისხმოთ. ამასთან, ძველი ბერძნული თუ ბერძენებამდე არსებული წყაროები შედარებით ფართოდაა შემონახული და შეუდარებლად მრავალ ცნობებს შეიცავს ქართველთა ეთნოგენეზის საკითხებზე.

პირველ რიგში უნდა მიეთითოს კავკასიურ-მცირეაზიულ და ბალკანურ-კრეტულ სიანლოვეზე. თუ შუმერულთან კავკასიური ენების სიანლოვე სავარაუდოა, ბერძნულამდელ ცივილიზაციასთან ახლო კავშირებზე თვით ბერძენი მწერლები მიუთითებდნენ.

ამ ცივილიზაციის შემქმნელებს ბერძენები პელაზგებს უწოდებდნენ. პე-ლაზ-გური ენა, დამწერლობა, მითოლოგია იყო ის მძლავრი საფუძველი, რომელზეც ძველბერძნული საკაცობრიო მნიშვნელობის კულტურა გაიშალა და აყვავდა.

ბალკანეთის ნახევარკუნძულის პე-ლაზ-გე-ური ტომები ახლო ნათესაურ და სულიერ კავშირებს ამჟღავნებდნენ მცირეაზიურ და კავკასიურ ტომებთან.

მეცნიერთა მტკიცებით საკუთრივ ბერძნების წინაპრები ძველ

წელთა აღრიცხვის მეორე ათასწლეულიდან ჩნდებიან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე იონელები აწყდებიან რა ადგილობრივი ტომების დიდ წინააღმდეგობას, ვერ ახერხებენ მათ დამორჩილებას და გარკვეულ თანაცხოვრების წესზე გადადიან.

მეცნიერები ფიქრობენ, რომ ბერძენთა წინაპრების მეორე ტალღა, აქაველების სახით ძვ. წ. აღ. XVI საუკუნეში უნდა გამოჩენილიყო პელაზგებს შორის. მესამე და ყველაზე ძლიერი დამანგრეველი ძალადორიელები ძვ. წ. აღ. XII ს. შეესიენ საპელაზგიოს, რამაც საბოლოო ანგარიშით გამოიწვია წინაბერძნული მოსახლეობის განდევნა ან ასიმილაცია.

ფიქრობენ, რომ პელაზგური ენა, დამწერლობა ძვ. წ. აღ. IV საუკუნეშიც არ იყო უცხო. თვით ჰომეროსი (VIII ს.), თუ არ იყო პელაზგი, ყოველ შემთხვევაში იცოდა ეს ენა და დამწერლობა, და წარმატებით იყენებდა მას უკვდავი „ილიადა“-სა და „ოდისეა“-ს შექმნის პროცესში. ამ ცოდნის გარეშე ის ვერ შეძლებდა რამდენიმე საუკუნის წინ მომხდარი ამბების ზუსტ ასახვას. ინგლისელი მეცნიერი ჯ. ჩედვიკი აღნიშნავდა, რომ „მიკენის პერიოდის მოსახლეობაში სხვა ენების კვალი უფრო აღმოჩნდება ვიდრე ბერძნულისა“ (ჯ. ჩედვიკი. მიკენური სამყარო, თბ. 1989 წ. გვ. 42). მიკენური პერიოდის დასასრულად კი ძვ. წ. აღ. XIII ს. ითვლება. უფრო მეტი, კუნძულ კრეტაზე წარწერები არაბერძნულ ენაზეა შესრულებული ძვ. წ. აღ. IV ს. და სასაუბრო ენაც არაბერძნული იყო და კიდევ მეტი – არაბერძნული წარმოშობისადაა მიჩნეული ისეთი ცნობილი ქალაქები, როგორცაა: ათენი, მიკენი, კნოსი, კორინთო, ფივი, ტროა, ტირინფი და სხვა.

თუ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მაცხოვრებელი ტომები პელაზ-გე-ბად არიან ცნობილი, კ. კრეტაზე მაცხოვრებელ ტომებს ზღვის ხალხს უწოდებდნენ. ბერძენი მწერლების მტკიცებით, არავის არ შეეძლო ისეთი გრძელი გემების აგება, როგორც კრეტელებსა და კოლხებს. კრეტელების ფლოტი უძლიერესი იყო და ამის წყალობით ისინი ატლანტიკის ოკეანეში კანარის კუნძულებსაც აღწევდნენ. უფრო ახლო ისინი პირინეის ნახევარკუნძულის მოსახლეობასთან ამყარებდნენ კავშირს კიდევ უფრო ახლო მათ ექვემდებარებოდნენ სიცილიის, ბალკანეთის, ეგეოსის ზღვის კუნძულების მოსახლეობა. მათ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ შავი ზღვის (პონტოს) აუზის ქვეყნებთან.

ფიქრობენ, რომ ძვ. წ. აღ. V ათასწლეულში კრეტული დამწერლობა ჰიქტოგრაფიული (ნახატი) იყო. III-II ათასწლეულისათვის

იგი დაიხვეწა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა ე. წ. ა-და ბ ტიპის დამწერლობად.

დარწმუნებით ამბობენ, რომ კრეტელები პერიოდულად თავს ესხმოდნენ ეგვიპტეს XIII-XII სს. კრეტელი ლიკიელები, მცირეაზიელ კარიელებთან და ლელეგებთან ერთად იკავებენ დღევანდელი იზრაელ-პალესტინის ტერიტორიას და იღებენ ფილისტიმილიანელთა სახელწოდებას. (ეგვიპტის ფარაონის ტყვეობიდან ებრაელთა გამოსვლა და დღევანდელ ისტორიულ ტერიტორიაზე დამკვიდრება დაკავშირებულია ე. წ. ფილისტიმილიანებთან ორსაუკუნოვან ბრძოლებთან). კრეტელები იყვნენ ლიკიელები, კარიელები, ლელეგები. კარიელთა მოწმობით კი პირიქით მცირე აზიის მოსახლეობის ნაწილი გადასახლდა კუნძულ კრეტაზე. ამ შემთხვევაში არსებითაა მცირეაზიელი და კრეტული ტომების საერთო წარმომავლობა და არა ის, რომელი ტომი საით მიგრირებდა.

მკვლევართა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ვარაუდობენ, რომ არა მხოლოდ კ. კრეტა, არამედ ბალკანეთის ნახევარკუნძულიც თავდაპირველად კარიელებს და ლელეგებს ჰქონდათ დაკავებული და ამ ტერიტორიაზე პელაზგები შედარებით გვიან გადასახლდნენ მცირე აზიიდან.

ასეთი პრობლემების გარკვევის დროს ძალზე რთულ, მაგრამ არსებით საკითხს პერიოდის დადგენა წარმოადგენს. როდესაც მსჯელობაა ზღვის ხალხის შესევა-გადასახლებაზე, ასახელებენ XIII-XII სს. ეს მაშინ, როდესაც, მეორე მხრივ მსჯელობენ ებრაელების მიერ ფილისტიმნელთა დამორჩილება-ასიმილირება-განდევნაზე და მათი ტერიტორიების მისაკუთრებაზე. იგულისხმება, რომ ებრაელობას აღთქმულ მიწაზე სხვა მოსახლეობა დახვდა და მათთან ბრძოლა იყო საჭირო. იმასაც აღნიშნავენ, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ უკვე იცოდა რკინის იარაღის შექმნა-გამოყენება, ებრაელმა კი არ იცოდნენ და ამიტომ გაუჭირდათ და მთელი ორი საუკუნე გაგრძელდა დაპყრობის პროცესი. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე პირველ მაცხოვრებელთა საკითხს კი დიდი მნიშვნელობა აქვს კავკასიის მოსახლეობის წარმომავლობის გარკვევისათვის.

იყვნენ ლიკიელები, კარიელები, ლელეგები ბალკანეთის პირველი ცნობილი მაცხოვრებლები თუ არა. თუ ჰო, მაშინ როდის უნდა მისულიყვნენ იქ პელაზგები და საიდან, დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან. რა ურთიერთობა იყო ამ ორი (პირობითად) სხვადასხვა წარმომავლობის

ტომებს შორის. რატომ არის, რომ ამ ტომების მეომრები ტროას ომის დროს ტროელების გვერდით იბრძვიან, როგორც ნათესაური წარმოშობის ტომები. ხომ ცნობილია, რომ ტროელები წარმომავლობით დარდანიდები ე. ი. პელაზგები არიან. პელაზგებად ცნობილი არიან კუნძულ კრეტას, ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულების და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ძველი მაცხოვრებლები. თუ პელაზგებად ცნობილ ტომთა გაერთიანებაში ლიკიელები, კარიელები, ლელეგები შედიან, მაშინ გამოდის, რომ ამ გაერთიანების საცხოვრის არეალში უნდა იგულისხმებოდეს მცირე აზიის დასავლეთი ნაწილიც. ის ტერიტორიები, სადაც შემდეგ იზრავლ-იუდეველთა სამეფოები, ფინიკია, დიდი და მცირე ფრიგია, მეონია (შემდეგში ლიდიად წოდებული), პაფლაგონია მდებარეობდა. ამავე ტერიტორიაზე ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში ყალიბდება ხეთებად წოდებულ ტომთა გაერთიანება და სამეფო. იქვე, ძვ. წ. აღ. IV-III ათასწლეულებში, ხეთებადვე ჰყვავდა ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა, ხეთების იმპერიის დამხობის შემდეგ კი, კავკასიურ ტომთა გაერთიანებანი, ბოლოს კი ურარტუს სამეფო.

ლოგიკურია ვამტკიცოთ, რომ პელაზგიური წარმოშობის ტომები უშუალო კავშირში იქნებოდნენ კავკასიურ ტომებთან. ამ მხრივ საგულისხმო მასალებს იძლევა არა მხოლოდ არქეოლოგია, არამედ ანტიკური მითოლოგიაც.

ეთნოგენეზის არეალი

არა ინდოევროპულ და არა სემიტურ ტომთა საცხოვრისი არნიშნავს უეჭველად იბერიულ-კავკასიურ ტომთა საცხოვრისად მის აღიარებას. თუ ერთ დროს ამ ტომების ნათესაურ კავშირებს რეალურად ჰქონდათ ადგილი, ეს არ გვაძლევს უფლებას ხელალებით ვამტკიცოთ დღეს მათი შთამომავლობის ახლობლობის შესახებ. ისტორია ცხადყოფს, რომ დროთა ვითარებაში მიმდინარეობდა ეთნოსთა ჩამოყალიბების და პარალელურად ენობრივი და გენეტიკურ-ფსიქიკური გაუცხოების პროცესი. რამდენიც არ უნდა იყოს ცხადი არაბებისა და ებრაელების სემიტური ერთობა, ეს მათ ენობრივ და ეროვნულ დაახლოებას არ მოახდენს. რამდენიც არ უნდა მოიძიონ ე. წ. იაფეტური ეთნოსების ერთობის ელემენტები, ეს მათ გაუცხოებას ვერ წაშლის.

მეცნიერები აღნიშნავენ, რომ სემიტური მოდემის ჩრდილოეთით

იყო, ე. წ. იაფეტური ტომების საცხოვრისი, მაგრამ სახელდობრ რომელი ტომებისა სად, ეს უცნობია. რამდენი ტომისაგან შედგებოდა შუმერებად წოდებული საზოგადოება, რა ერქვათ ამ ტომებს, დღემდე გაურკვეველია. ამიტომ, მათ ახლობლობაზე ქართველების შორეულ წინაპრებთან, მხოლოდ დიდი სიფრთხილითა და რაღაც ცალკეულ ელემენტებზე მითითებით თუ შეიძლება მსჯელობა. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მცხოვრებ ტომებთან მიმართებითაც. ის ფაქტი, რომ ებრაელებს ტერიტორიული კამათი ნანატრ ტერიტორიაზე მისვლა-დამკვიდრების დროს ჰქონდათ ზაქარებთან და დანუნებთან, ეთნიკური ტომბრივი კუთვნილების მხრივ ბევრს ვერაფერს წარმოადგენს. ისინი შეიძლება ლიკიელ-ლელეგ-კარიელთა ერთ შტოდ იქნენ მიჩნეულნი. ეს სამი ტომი კი მოსახლეობდა ქანაანის, ფინიკიის ტერიტორიაზე, ანატოლიის სამხრეთ ნაწილში და კუნძულ კრეტაზე. ამ დიდ ტერიტორიაზე ისინი კი არ მომთაბარობდნენ ან მხოლოდ ლაშქრობდნენ, არამედ მკვიდრად ცხოვრობდნენ და ალბათ ბევრ წვრილ ერთეულადაც იყოფოდნენ. გამრავლების კვალობაზე ტომთა გაყოფა ისეთივე ბუნებრივი მოვლენა იყო, როგორც გვარების (გორების) ტომებად გაერთიანება.

არა ნაკლებ რთულადაა ბალკანეთის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის საკითხი. ცნობა იმის შესახებ, რომ პელაზგები ნახევარკუნძულზე გვიან მივიდნენ და იქ მოსახლე ტომები გააძევეს, ბევრ ვერაფერ სასიკეთოს ვერ შეიცავს ქართველობის ეთნოგენეზის არეალის განსაზღვრის საქმეში. ბერძნულ წყაროებში შემონახული ცნობები იქ მოსახლე ტომების შესახებ უფრო გეოგრაფიული განსახლების შესახებ მოგვითხრობენ, ვიდრე მათ წარმომავლობაზე. ამ მხრივ სიცხადე საკითხის გარკვევაში, ვერც ჰომეროსს შეაქვს. „ილიადაში“ მოცემული დახასიათებისათვის. ჩამოთვლა: არკადიელები, თრაკიელები, როდოსელები, და ა. შ., შეეხება არა ტომებს, არამედ მხარეებს. კრებსითია ჩამოთვლა: ჰელენები, აქაველები და სხვ. აქილევის მშობლიური ტომი მირმინდონელებია (ჰიანჭველები) და აქაველების ერთ ტომთაგანია მხოლოდ. ჰომეროსი გემთა კატალოგში მიუთითებს, რომ აქაველებს 50 ხომალდი ჰყავდათ. ეს ხომალდები მხოლოდ მირმინდონელებისა რომ ყოფილიყო მაშინ პოემაში არ ითქმებოდა აქაველებისად.

ერთი შეხედვით ამ საკითხს არცა აქვს მნიშვნელობა ქართველების ეთნოგენეზის არეალის განსაზღვრისათვის, მაგრამ ერთი შეხედვით. თუ

გავითვალისწინებთ ბერძნული მითოლოგიის მონაცემებს, აღმოვაჩინოთ, რომ ულუმბოს (ოლიმპოს) მთის ძირში მოსახლეობდა კავკონთა ტომი. ვარაუდობენ, რომ კავკონები პელაზგებს წარმოადგენდნენ და თუ მანამდე არ იყვნენ აქ, ყოველ შემთხვევაში სხვა ტომებთან ერთად უნდა გადასახლებულიყვნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. საინტერესოა, რომ ამავე სახელწოდების ტომი მოსახლეობდა მცირე აზიაში (პაფლაგონიაში) და წარმატებით მონაწილეობდა ომში ტროელების მხარეს. კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ბიბლიურ-ქართული ვერსიით, თარგამოსის ერთ-ერთ ვაჟს ერქვა კავკას-ოსი და მას, მამის ქვეყნის განაწილების დროს, ერგო კავკასიონის ქედის გადაღმა მხარე. ამ მხარეში მას თან უნდა წაეყვანა მისი მოსახლე ტომები და ახალი მიწები დაეპყრო. კავკასიანელები (ზოგადი სახელით-მთის იბერები) მხოლოდ სახელით ენათესავებიან პაფლაგონიელ და ულუმბოელ კავკონებს თუ არის მათ შორის სხვა რამ საერთო, ეს ფართე მსჯელობის საგანია, მაგრამ ამ შემთხვევაში ცხადი უნდა გახდეს, რატომაა ასეთ ვრცელ არეალზე საძებნელი ქართველთა ეთოგენეზის საკითხები. ისევე, როგორც მსჯელობის საკითხია ჰელიოსების (მზის შვილების) და კავკასიელი ჰენიოხების ურთიერთ მიმართება.

ამ ორი ტომის რაობის გარკვევა უაღრესად მნიშვნელოვანია დრონის თვალსაზრისითაც. როდის შეიძლება ისინი მოსულიყვნენ ბალკანეთიდან კავკასიაში თუ კავკასიიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ამის მიხედვით ბევრი სხვა საკითხიც შეიძლება გაირკვეს.

ბერძნული მითოლოგია უხვ მასალებს იძლევა მცირე აზიაში მცხოვრები ტომებისა და მათი პელაზგებთან ურთიერთობის შესახებ. სამწუხაროდ ეს ცნობები შეეხება ძვ. წ. ათ. II ათასწლეულს და უფრო ადრეულ პერიოდზე მხოლოდ მასზე დაყრდნობით შეიძლება საუბარი. ამასთან, გარკვეული აზრიც შეიძლება ჩამოყალიბდეს მიგრაციების მიმართულების შესახებ. ერთი კი თავიდანვე ცხადია, მცირე აზიაში მცხოვრები ტომები, რომლებიც თავიანთი წარმოშობით პელაზგებთან იყვნენ დაკავშირებულნი, არ შეიძლება უცხონი ყოფილიყვნენ კავკასიელი ტომებისათვის. დარდანები, თეკრები, ფრიგიელები, პაფლაგონიელები, ჰალიძონები (ხალიბები), მიზიელები (მისიელები), კავკონები, ლელეგები, დრიოპები, დოლიონები, და სხვა. ცხოვრობდნენ კავკასიელებთან უშუალო სიახლოვეს და შესაძლებელია (წინასწარი დასკვნით) ქართველთა (იბერ-კოლხთა) ეთნოგენეზშიც იყვნენ ჩართული.

რა შეიძლება ითქვას უშუალოდ კავკასიაში მცხოვრები ტომების შესახებ? სამწუხაროდ ძალზე ცოტა. ერთად ერთი რისი უტყუარი მტკიცებაც შეიძლება, ეს არის უწყვეტი განვითარება, რასაც არქეოლოგიური მასალა ცხადყოფს. რაც შეეხება ტომებს, ცნობილია, რომ ჰირკანებს და კასპიებს ჰქონდათ შეხება აქ მოსულ ტომებთან. გაურკვეველია ვინ იყვნენ ჰირკანები ან კასპიები, საით წავიდნენ ისინი ან ხომ არ მოხდა მათი შერევა გვიან მოსულ ტომებთან. არც ისაა ცნობილი, იყვნენ ისინი ინდოევროპული მოდგმისა თუ ენათესავებოდნენ იაფეტური მოდგმის ტომებს. სამწუხაროდ, სწორედ ისეა, როგორც ცნობილი ენათმეცნიერი პაულ კრეჩმერი ამბობდა: თუ „ჩვენ წინ ენობრივი გადმოცემა არ გვიძევს, თავის ქალები ვერ გვეტყვიან, თუ რა ენაზე ლაპარაკობდნენ ოდესღაც მათი მატარებლები.“

ამრიგად, ტომობრივი თვალსაზრისით შემოხაზულია ის არეალი, სადაც უშუალოდ მოხდებოდა ქართველთა ეთნოგენეზი. ესაა ჩრდილოეთ მესოპოტამია, ურმიისა და ვანის ტბებიდან დასავლეთით, კავკასიის ჩათვლით, ტერიტორიები ეგეოსურ სამყარომდე და ნაწილობრივ ამ სამყაროს ჩათვლით.

რას გვიმტკიცებს არქეოლოგია კავკასიაში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ეთნიკურ-კულტურული განვითარების შესახებ?

არქეოლოგიური მონახვევი

ეთნოგენეზის საკითხებზე არქეოლოგიას თავისი მტკიცე პოზიცია აქვს. ერთი მხრივ, თითქოს შეუძლებელია დანამდვილებით ცოდნა იმისა ქვის ხანის ადამიანები რა ენაზე საუბრობდნენ, რომელ ტომს განეკუთვნებოდნენ, რომელი ეთნიკური ჯგუფის ჩამოყალიბებაში იღებდნენ მონაწილეობას. რამდენადაც ქვის და ძვლის იარაღების გარდა არაფერია შემორჩენილი, მსჯელობა რთულდება. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ იარაღთა ერთტიპიურობა შეიძლება კონკრეტულ არეალს გასცდენოდა სხვადასხვა მიზეზთა გამო. მეორე მხრივ, არქეოლოგები სწავლობენ რიგ თავისებურებებს, რაც მათ დრონის თვალსაზრისით, დასკვნის საშუალებას აძლევს გაარკვიონ ქვის ხანის კულტურათა გავრცელების არეალისა და განვითარების წყვეტილობის საკითხი. საინტერესო და ყურადსაღებ დასკვნებს შეიცავს არქეოლოგია ქვის ხანის კულტურისა და ეთნოგენეზის ურთიერთკავშირის შესახებ.

იმის მიხედვით თუ როგორ წარმოუდგენია არქეოლოგიას ადამიანთა

საზოგადოების განვითარება პირველყოფილი ჯგოვის მდგომარეობიდან ცივილიზაციამდე, აღინიშნება სხვადასხვა პერიოდი:

ქვის ხანა: ა. ძველი ქვის ხანა: 1. ქვედა პალეოლითი; 2. ზედა პალეოლითი; 3. მეზოლითი. ბ. ახალი ქვის ხანა: I. ადრე ნეოლითი; 2. გვიან ნეოლითი. II. ენეოლითის ხანა. III. ბრინჯაოს ხანა: ადრე-ბრინჯაოს ხანა; შუა და გვიან ბრინჯაოს ხანა.

ეს მოკლე ჩამოთვლა საჭიროა დასარწმუნებლად, რომ განვითარების ქვედა საფეხურებზე გამოირიცხება ეთნიკურ კუთვნილებაზე მსჯელობა. მხოლოდ მეზოლითის პერიოდში ჩნდება გვაროვნული წყობილების ნიშნები, საფუძველი ეყრება ადამიანთა ჯგოების დაყოფას გორებად (გვარებად), და შემდეგ ტომებად.

ბუნებრივია, რომ პირველყოფილი-თემური წყობილების დროს, ადამიანთა გაერთიანება გორებად, თემებად, ტომებად, ტომთა კავშირებად ყალიბდება დროთა ვითარებაში. პარალელურად მყარდება ურთიერთობანი. მიმდინარეობს ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბების პროცესი, მისთვის მახასიათებელი მატერიალური და სულიერი ურთიერთობებით.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ბოლო გამყინვარების დამთავრების დროისთვის კავკასიაში უკვე არის მკვიდრი მოსახლეობა, რომელსაც ახასიათებს მატერიალური და სულიერი კულტურის ერთობა. არის აზრი ამ კულტურის შესაბამისობის შესახებ ხმელთაშუა ზღვისპირეთის კულტურასთან. უფრო მეტი, მხედველობაში მისაღებადაა მიჩნეული კავკასიურ-ბასკური ურთიერთობების საფუძველიანობა. კიდევ უფრო მეტ საერთოს პოულობენ კავკასიურ და შუამდინარეთის შესაბამისი პეროლიდების კულტურებს შორის. ბოლო ხანებში კი დიდი ინტერესით მიმდინარეობს კვლევა კავკასიურ (ქართველურ) და კრეტა-მიკენის კულტურების ნათესაობის საკითხებზე.

მეცნიერები ამავე დროს ყურადღებას ამახვილებენ კავკასიური კულტურის თავისებურებებზე, რაც იმის დასტური უნდა იყოს, რომ ადგილი ჰქონდა კულტურათა მიღწევების განვითარებას და არა მხოლოდ შემოტანას. საერთო კავკასიური კულტურის შიგნით, რომლის შედარება თამამად შეიძლება ეგეოსის აუზში და მცირე აზიაში არსებულთან, იკვეთება რეგიონალური თავისებურებანიც. ეს ითქმის დასავლეთ საქართველოს, დაღესტნის, ჩრდილო კავკასიის, კავკასიის სამხრეთით მიმდებარე ტერიტორიების მიმართ.

ბუნებრივია ვარაუდი, რომ კულტურათა განფენა ვრცელ ტერიტორიაზე, წამოშობს თავისებურებებს და იწვევს ეთნიკურ ცვლილე-

ბებს. ამ დროს მიმდინარეობს ერთიანი ენის (დედა ენის) დაყოფა დიალექტებად და შემდეგ, მათი დამორების კვალობაზე, დამოუკიდებელ ენებად ჩამოყალიბება.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია ინტენსიური ძიება ცალკეულ ენათა დანაშრეკების გამოვლინების და ერთიანი დედა ენის თუნდაც მიახლოებითი დადგენის მიზნით.

არქეოლოგიამ კავკასიაში გამოიკვლია ძვ. წ. აღ. V–IV ათასწლეულების კულტურა. შრომის იარაღები, მიწათმოქმედების, ნადირობის იარაღები, საცხოვრებელი კერების თავისებურებანი, საოჯახო ჭურჭელი, სამკაულები და სხვა. ფართე შესწავლის საგანი იყო და დასკვნაც შესაბამისი გაკეთდა. ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ მისი წინარე პერიოდის მონაცემები ჯერაც მიკვლეული არაა. ამ მხრივ მკვლევარები, ჯერ ხანობით მაინც, საბოლოო დასკვნას ვერ იძლევიან.

ასევე წყვეტილობას ხედავენ მეცნიერები მტკვარ-არაქსის კულტურის დასასრულსა და მომდევნო პერიოდებს შორის. IV-III ათასწლეულებში არსებული ეს კულტურა მოიცავდა არა მხოლოდ კავკასიას, არამედ ურმიისა და ვანის ტბებიდან მოყოლებული დასავლეთით თანამედროვე თურქეთის აღმოსავლეთი ნახევრის ტერიტორიებს. მისი დასასრულის პერიოდიდან ზდება წყვეტილობა. არის მოსაზრება, რომ ეს შეიძლება მიგრაციის შედეგად მომხდარიყო. შეიძლება ეს იყოს შუმერული კულტურის დასავლეთში გავრცელების შუალედური პერიოდი.

წყვეტილობის შემდეგ ამ არეალში ჩნდება ე. წ. უბეიდის კულტურა, რომელიც წინასაგან არსებითად განსხვავდება, მაგრამ გარკვეულ ერთობას ამჟღავნებს სირია-პალესტინის და ჩეჩენ-ინგუშეთის ტერიტორიაზე არსებულ კულტურასთან. სავარაუდებელია, რომ ამ კულტურის ასეთი განფენაც მიგრაციულ პროცესებთან იყოს დაკავშირებული. ეს მით უფრო ნიშანდობლივია, რომ ადრეული, მტკვარ-არაქსის კულტურა ბევრ საერთოს ამჟღავნებს უკვე ევროპაში არსებულ კულტურასთან. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიგრაცია ისევე ლოგიკურია, როგორც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. კავკასია კი ამ პროცესებში, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, გარიყული ვერ იქნებოდა.

ამ კულტურებისაგან გარკვეულად ცალკე დგას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურა. მისი კავშირები ყველაზე მეტად საერთოს ავლენს შუმერებისა და მაიკოპის კულტურებთან.

ყოველივეს მიუხედავად III ათასწლეულის დასასრულამდე ძნელია გარკვევით ითქვას, ამა თუ იმ ტერიტორიაზე არსებული კულტურა

სწორედ ამა თუ იმ ეთნოსის კუთვნილებაა. არქეოლოგიური მონაპოვარი არ არის შემაგრებული ლინგვისტური მონაცემებით. კავკასიაში, სადაც ეთნოსთა დიდი სიმჭიდროვეა ეს საკითხი იოლი გადასაწყვეტი არაა. აქ ყოველი კუთხის კულტურაში მოიძებნება ახლო თუ მოშორებით მაცხოვრებელი ეთნოსების მახასიათებელი ელემენტები. ამ ნიადაგზე შეიძლება მხოლოდ ფრთხილი მოსაზრების დაფიქსირება, მაგრამ არა მტკიცება.

ლინგვისტთა მხრიდან კარგა ხანია მიმდინარეობს საერთო კავკასიური ენის (დედა ენის) აღდგენის ცდა. რას მიაღწევს მეცნიერება დღეს უცნობია. ჩვენ ისიც კი ვერ შევძელით, რომ იბერიული, ქართულს ლექსიკისაგან გამოგვეყო. ჯერაც არ არსებობს დიალექტების, დიალექტებზე ტოპონიმების, მითოლოგიის და ა. შ. ლექსიკონები. ზოგჯერ პირიქითაც ხდება. ცდები, შეიქმნას მეგრულ-სალიტერატურო ქართული, სვანურ-სალიტერატურო ქართული ლექსიკონები სეპარატიზმად ინათლება. არა და ეს სამუშაო საშურია და პრინციპული მნიშვნელობის. გლობალიზაციის პროცესში შეიძლება დაიკარგოს დიალექტებში დალექილი ძვირფასი მემკვიდრეობა. უკიდურესად უსუსურ დონეზეა კავკასიურ ენათა ურთიერთმიმართების საკითხების კვლევა. რა კვლევაზე შეიძლება მსჯელობა, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იმპერიალისტურმა ძალებმა კავკასიელ ეთნოსთა ძალისმიერი დაპირისპირება მოახერხეს პრინციპით: გათიშე და იბატონე.

კავკასიაში მცხოვრებ ეთნოსთა ენები დროთა ვითარებაში ისე არიან დამორებული, რომ მათ ერთობაზე IV-III ათასწლეულებში, მსჯელობა ძნელდება. ახლობლობის, ნათესაობის ის დონე რაც არსებობს, ლოგიკურად მიანიშნებს მათ შორეულ ერთობაზე, მაგრამ კვლევისათვის აულებელ ბარიერებს ქმნის. არა, და თუ ვერ დადასტურდა კავკასიურ ენათა შორეული ერთობა, კიდევ უფრო გაძნელდება შუმერულ, პელაზგურ თუ ბასკურ-გასკონურთან ნათესაობის ელემენტების დაძებნა.

უნდა დაემატოს, რომ ის, რაც თანამედროვე ტრადიციული მეცნიერებისათვის დაუძლეველია, ხვალის მეცნიერება შეძლებს ბარიერების გადალახვას და შორეული წარსულის გაცოცხლებას. დღეს კი უნდა ითქვას, რომ თუ დადგენილად ითვლება სემიტური ენების ერთი წარმომავლობა, თუ უტყუარია ისიც, რომ ინდოევროპულ ენებს ერთი ფუძე აქვთ, რატომ უნდა გამოირიცხოს ე. წ. იაფეტური ენების შორეული ნათესაობა. იმიტომ ხომ არა, რომ მისი ფესვები უფრო ღრმად საძებარია. ძვ. წ. ა. V ათასწლეულიდან კი იმდენი დრონია გასული, რომ

ერთობის დამადასტურებელი ნიშნების მოძებნა შეუძლებელი ხდება.

დღეს მეცნიერებს მხოლოდ დასაშვებად მიაჩნიათ შუშერულისა და კავკასიურ-იბერიულის გენეტიკური კავშირი. მსჯელობაა ხათურისა და ადიღურ ენების სიახლოვეზე. ხათები (პროტოხეთები) სამხრეთ კავკასიას უშუალოდ ემეზობლებოდნენ და ძნელი დასაშვები არაა მათი ნაწილის ჩრდილოეთში მიგრაციის წარმოდგენა. ასევე მსჯელობაა ხური-ურარტული ენის სიახლოვეზე ნახურ-დაღესტნურთან. ხურიტების მიგრირება მესოპოტამიის მთიანეთიდან კავკასიის მთიანეთისაკენ ძალიან რთული და შეუძლებელი არ იქნებოდა.

ყველაფერთან ერთად საჭირო იქნება იმის გათვალისწინება, რომ კავკასიური ენები არა მხოლოდ ერთიმეორეს იყვნენ მოწყვეტილები, არამედ მათ ისტორიის მანძილზე იმდენ უცხო ეთნოსთან ჰქონდათ ხანგრძლივი შეხება, რომ ღრმა ცვლილებების გამოწვევა ძნელი წარმოსადგენი არ არის. ამიტომ საკვირველი აღარაა, რომ კავკასიელ ეთნოსებში სამი ძირითადი ენობრივი ჯგუფი ჩამოყალიბდა: ადიღური, დაღესტნური და ქართველური.

არქეოლოგები იმ დასკვნას ემხრობიან, რომ ეს სამივე ჯგუფი მათი ძირითადი საცხოვრისის ადგილას ძვ. წ. ა. V ათასწლეულში მაინც უნდა გამოჩენილიყვნენ. ამის საფუძველს მათ აძლევს მაიკოპის და მტკვარ-არაქსის კულტურების IV ათასწლეულებში ჩამოყალიბების შესახებ დებულება.

ანთროპოლოგია, ლინგვისტიკა, არქეოლოგია ერთხმად აღიარებენ, რომ იბერიულ-კავკასიური ამ ადგილებში ყოველთვის იყო. ყოველ შემთხვევაში სხვანაირი დასკვნის რეალური საფუძველი არ ჩანს, ეს რა თქმა უნდა არ გამოირიცხავს რაღაცა ნაწილების მიგრაციულ პროცესებს. უფრო მეტი, არ გამოირიცხება სემიტურისა და ინდო-ევროპული ელემენტების ამ არეალში მოხვედრისა და დამკვიდრების შესაძლებლობა. წმინდა, შეურყენელი შეურეველი ეთნოსები არ არსებობენ და გარკვეული უცხო ელემენტების არსებობას ვერც კავკასიაში მაცხოვრებელი ეთნოსები აცდებოდნენ.

მეცნიერებს სარკვევი და სამსჯელო არ დაეღვეათ. ამ შემთხვევაში არსებითია, რომ არქეოლოგია ადასტურებს კავკასიის და მის მიმდებარე რეგიონებში ადამიანური ცხოვრების უწყვეტ არსებობა-განვითარებას. რომელ ტომებს შეეხებათ ეს? სადამდე უნდა ვეძიოთ მათი საცხოვრისი? ამ საკითხებზე საინტერესო მასალები აქვს შემონახული მითოლოგიას.

5. ლექსიანი

(ეითოლოგიური ცნობები)

ქართველების ეთნოგენეზის საკითხთან უშუალო კავშირშია მითოლოგიური თეოლოგიის პრობლემები. ადამიანთა საზოგადოების დასაწყისი, მათი გაერთიანება გორებად, თემებად, ტომებად, ქალაქ სახელმწიფოების და ბოლოს სახელმწიფოების შექმნა თანხვედრა რელიგიური შეხედულებების ჩამოყალიბებას, ტოტემიზმს, საგვარეულო, სატომო და ა. შ. ღმერთების გაჩენას. ადამიანების ცრურწმენა და რწმენის სიმბოლოების არსებობა ისევე ძველია, როგორც თავად ადამიანი. შესაბამისად საზოგადოების განვითარების პარალელურად ვითარდებოდა რელიგიური შეხედულებების სისტემა. ამდენად, ღმერთების პანთეონის სრულყოფილება ეთნოსის ცივილიზაციის დონის მახასიათებელს წარმოადგენს.

ქართველობის საცხოვრებელი არეალის მახლობლად შუმერების, ფინიკიელების, პელაზგების ცივილიზაციების არსებობა უკვალოდ არ ჩაივლიდა არა მხოლოდ მატერიალური ცხოვრების განვითარებულობის, არა მხოლოდ პოლიტიკური მომწიფებულობის, არამედ სულიერი ამაღლების თვალსაზრისითაც. ამდენად, სავარაუდებელია, რომ თუ ქართველების იმ შორეულ წინაპრებს ჰქონდათ კავშირები მახლობელ ცივილიზაციებთან, მაშინ მათ მეზსიერებაში მეზობლების მიღწევები უნდა ასახულიყო.

რამდენადაც განსახილველი საკითხის ფესვები მიდის იმ შორეულ წარსულამდე, რომლის შესახებ წერილობითი, ენობრივი ძეგლები არ არსებობს, საჭირო ხდება იმ გადმოცემებზე დაყრდნობა, რაც რელიგიურ მითოლოგიას აქვს შემონახული.

უძველესი ცივილიზაციის ადამიანებს, შუმერებს ღმერთების მთელი პანთეონის შესახებ ჰქონდათ რწმენა და თაყვანისცემა. რამდენად სრულადაა ამოკითხული მეცნიერების მიერ ეს ისტორია, ეს ჯერ კიდევ კვლევის ამოცანაა, ამ შემთხვევაში კი სურათი ასეთი ისახება: ჯერ იყო ოკეანე, სადაც ბინადრობდა ღმერთების დედა ნამუ. მან შვა მაღალი მთა, რომელზეც დაესახლა ცის ღმერთი ანი. მასთან დაკავშირებული იყო მიწის ღმერთქალი გი. სინათლის ღმერთმა ენლილ-მა გათიშა ანი გი-საგან და ცამ ზევით აიწია. ცისა და მიწის კავშირმა წარმოშვა

შვიდი ძლიერი და მრავალი სუსტი ღმერთები. ბოლოს ანი შეიქმნა ცის მეუფე, ენლილი დედამიწისა.

მკვლევარები ღმერთების სახელებს ზოგჯერ არაერთგვარად აფიქსირებენ, იმის მიხედვით თუ დამწერლობის რომელ ნიშანს როგორ ამოიკითხავენ.

შუმერების ღმერთებია: ცისა ანი (ნანა, ანა). მზისა – შამაში, ნათესა და ნაყოფიერების, დედობის–ინანა (ნინანა), მიწა-გი და მიწის ღმერთი ენლილი, ეა. წყლისა-ენქი (ენგურა), მთვარისა-სინი, უტუ-ნათელისა, დლისა; ნანშე-წინასწარმეტყველებისა, სიზმრების ახსნისა; დამუ-ჯანმრთელობისა, მკურნალობისა; გალა (გალუ)-მიწისქვეშეთის ღმერთი; მამი-კაცთა მშობელი; ბაუ (ბაბა)-ნაყოფიერებისა. ღმერთების ტოლია პაპ-სუქალი-მრჩეველი პაპა.

ღმერთებმა შექმნეს ადამიანი. წყლის ღმერთმა ენქი-მ, თიხის მიწისაგან გამოძერწა აგურისა (ადამიანი), რომელსაც შემდეგ ეა ეწოდა.

შუმერებს ჰქონდათ მწყობრი წარმოდგენა წარღვის შესახებ. ღმერთებმა ენლილმა და ეამ თავგასულ ადამიანებს მოუკლინეს 7 დღიანი წარღვა. გადარჩა მხოლოდ მათგან გაფრთხილებული უთნაფიშთიმი, რომლისგანაც გამრავლდა ადამიანთა ახალი მოდგმა.

შუმერებმა შექმნეს უძველესი ეპოსი ღმერთების ნაშობ მოკვდავ გმირ გილგამეშ-ზე, რომლის თავგადასავალი ისევე მომხიბლავია, როგორც ფინიკიელ მელკარტისა და პელაზგ ჰერაკლესი.

შუმერთა ღმერთების ძველი თაობის წინააღმდეგ მიწის ღმერთ ეა-ს შთაგონებით ჯანყებიან ახალგაზრდები, დაამხოვენ მათ ბატონობას და ახალი ბატონის-მარდუკის ხელმძღვანელობით განაგებენ ადამიანთა მომავალს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ღმერთების თაობათა ცვლა არ მოხდებოდა საზოგადოებაში შესაბამისი სოციალ-პოლიტიკური თუ ეთნიკურ-ტომობრივი ცვლილების გარეშე. ეს მით უფრო სავარაუდებელია, რომ შუმერული ენის ადგილს მალე აკადიური იკავებს, რასაც შემდეგ ძველი ბაბილონის ხანა მოსდევს.

ქართულ შუმერული ურთიერთობების კვლევა არაა იმ დონეზე, რომ კატეგორიული დასკვნების გაკეთება შეიძლებოდეს. უფრო მეტი, ზოგი რამ ვიცით შუმერების შესახებ, მაგრამ თითქმის არაფერი იმ პერიოდის ქართველების (ან მათი წინაპრების) შესახებ. არა და თუ კავკასია და მისი მიმდებარე მხარეები ისევე დასახლებული იყო, როგორც მცირე აზია, შუამდინარეთი ან ბალკანეთი, მაშინ ვარაუდის დონეზე,

ლოგიკურია აზრი, რომ შუმერული კულტურა არ აისახა ქართველების წინაპრების მახსოვრობაში იმიტომ: ა) ქართველების წინაპრები ჯერ კიდევ არ მოსახლეობდნენ ამ არეალში; ბ) ქართველების წინაპრები განვითარების ისეთ დაბალ დონეზე იყვნენ, რომ ვერ გაითავისეს უცხო კულტურა; გ) ქართველების წინაპრებმა მიიღეს შუმერული კულტურა, მაგრამ დროთა ვითარებაში იგი დაიკარგა ან შეიცვალა.

არიან მკვლევარები, რომლებიც იზიარებენ წინა ქართველურისა და შუმერულის მჭიდრო ნათესაობის იდეას. ენათმეცნიერულ-ლინგვისტური ელემენტები ამის საილუსტრაციოდ თითქოს კიდევაც მოიძებნება, მაგრამ რამდენად საკმარისია ეს მეცნიერული დასკვნისათვის?

ქართველი სპეციალისტები მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ ქართველების წინაპრებს ჰყავდათ ღმერთები ურ-ნინა და ურ-ბაუ. ეს სახელები თითქო კიდევაც ეხმაურება შუმერების ღმერთებს ბაუ-ს და ინანა-ს (ნინა ნა-ს) რამდენად სარწმუნოა მათი იდენტურობა-არ ვიცით. შეიძლება მომავალში კიდევაც მოიძებნოს სარწმუნო მტკიცება. ასევე შეიძლება ვარაუდი, რომ შუმერული წყლის ღმერთი ენკი (ენგურა) იყო ცნობილი კავკასიაში და აქ მცხოვრებმა ტომებმა თუ არ აღიარეს ის თავის ღვთაებად, ყოველ შემთხვევაში ადგილი მაინც მიუჩინეს მდინარე ენგურში. შეიძლება სრულიად შემთხვევითად მივიჩნიოთ ის, რომ თიხისაგან გამოქერწილს შუმერულად აგურისა (ადამიანი) ეწოდებოდა და ის, რომ თიხისაგან იქერწება აგური (საშენი მასალა). ცალკეულ სიტყვათა ჟღერადობა მტკიცების საფუძველს ვერ შექმნის თუ მათ შინაარსობრივად ერთნაირი დატვირთვა არ ახლავს.

კიდევ უფრო უმნიშვნელოა ფინიკიურ და ქართულ თეოლოგიურ-მითოლოგიურ პანთეონებს შორის მსგავსების ელემენტები. ელი, ვალი, ასტარტა, დაგონა, აშერა ქართულ სიძველეებში მსგავსებას ვერ პოულობენ. ის, რომ ზნეობის ქალღმერთ აშერას სალოცავი ხანმატში ჰქონდა, ვერაფერ დამაიმედებელს ვერ იძლევა. ქართველებში არსებული ხანმატის სალოცავი და სახელწოდება შეიძლება უბრალო დამთხვევაც არ იყოს, მაგრამ არც არაფრის მომცემია თუ ყოველივეს დამატებითი ახსნა არ მოეძებნა.

სხვანაირადაა საქმე ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ეგეოსის ზღვის აუზის კუნძულების, მცირე აზიის დასავლეთი ნაწილის ტერიტორიებზე არსებული ტომებისა და მათ მიერ დატოვებული მითიურ-რელიგიური მემკვიდრეობის მიმართ. აქ მაცხოვრებლებმა შექმნეს ძალზე რთული და ყოვლისმომცველი პანთეონი ღმერთებისა და ნახევრად ღმერთებისა.

ამ შემთხვევაში მიზანია არა ამ ღვთიური არსებების სამეფოს-ოლიმპოს სრული დახასიათება, არამედ იმ ცალკეული ელემენტების წარმოჩენა რომელთა კავშირი ქართველების ეთნოგენეზთან ახლოს იქნებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პელაზგების მიერ შექმნილი ღვთიური პანთეონი ძველი ბერძნების მიერ წარმატებით იქნა შეთვისებული და ბევრად სრულყოფილი. ეს პროცესი კი დაიწყო ძვ. წ. აღ. II ათასწლეულში, როდესაც ქართველების ეთნოგენეზის საკითხი უკვე წერილობითი ძეგლების მიხედვით იკითხება და ამდენად ამ წყაროს მნიშვნელობა აქტუალობას კარგავს.

პელაზგიური მითოლოგიის ძირითადი, სიცოცხლის წარმოშობი ღმერთებია გე-ა (გე-ო) და ურანი. გე-ო ან გეა მიწის ქალღმერთია, დედა მიწაა, როგორც სვან-ხევსურები ეძახიან დეა-ა. ძნელია მტკიცება, აქვს რაიმე კავშირი შუმერულ მიწის ქალღმერთ გი-ს, პელაზგურ მიწის ქალღმერთ გე-სთან თუ არა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ორივე ერთი ფუნქციის მატარებელია, ორივე დაახლოებით ერთ ეპოქაში იყო პატივში, ორივე საკმაოდ ახლო სივრცეში „მოღვაწეობდა“ და მათ „მფლობელობაში“ მყოფ ტომებს შორის ინფორმაციული კავშირები ვერ გამოირიცხება, მაშინ შეიძლება გარკვეული კავშირის დაშვებაც. ეს კავშირი შუამდინარეთიდან ბალკანეთამდე მოიაზრებს წინააზიის იმ ტერიტორიებს, სადაც ქართველების ეთნოგენეზის არეალია.

ურანი ზეცის ღმერთია. იგი აღნიშნავს რაღაც დიდ, გაუვალ სივრცეს ქართულად მას უღრანი ეწოდება. დღევანდელობაში სიტყვა უღრანი დიდი ტყის მისამართით გამოითქმის, მაგრამ რა დიაპაზონი ჰქონდა მას უძველეს დროში? ხომ არ იყო იგი ურანის შესატყვისი?

გე-ო (ა) ურანთან კავშირში წარმოშობს ტიტანებს, რომლებიც თავის მხრივ საფუძველს უდებენ ჰელიო-სს (მზეს), სელენას (მთვარეს), ეოსს (განთიადს), ქარებს, ვარსკვლავებს.

ჰელიოსის (მზის) უმცროსი და ეოსია, რომელიც განთიადს, რი-ურაუს, აისს ნიშნავს. ვარდისფერი ეოსი სამყაროს მისი ძმის ჰელიოსის მოსვლას აუწყებდა. რა კავშირშია ეოსთან აისი, რას ნიშნავს მათთან მიმართებაში დაისი, ეს ძალზე დასაფიქრებელი საკითხია. უბრალო დამთხვევაა? თუ არა საიდან საით არის წასული ეოსი? რატომ არ არის პელაზგიურ მითოლოგიაში დაისის ან დეოსის ადგილი?

გავიდნენ დრონი და გე-ას (გე-ოს) შეგონებით ტიტანმა კრონმა დაამხო, მამის, ურანის ბატონობა და თავად გამეფდა ღმერთებს შორის.

თუ ურანი უსაზღვრო ზეცის ღმერთი იყო, კრონი უსაზღვრო დრო-ის ღმერთია. მოკლედ, კრონი შინაარსობრივად დრონის გამგებელია.

გე-ამ (გე-ომ) და დრონმა (უკაცრაგად კრონმა) შვეს ღმერთები: ტანატა-სიკვდილის, ერიდა-შუღლის, ატა-მოტყუების, კერ-მტერ-ობის.

ეს ღმერთები კრონის თანმხლებლებად ითვლებიან ანუ დრონის დამახასიათებელია მოტყუება, შუღლი, მტრობა, სიკვდილი.

ქართველებში შემორჩენილია გამოთქმა მიცვალებულის მისამართით: სული ტატანამ გააფრთხობინაო. სიკვდილის ღმერთ ტანატას აქვს რაიმე კავშირი ამ გამოთქმასთან თუ ეს სიტყვათა ფლერადი დამთხვევაა?

ერიდა-ს პელაზგიურ ღმერთთა პანთეონში განსაკუთრებული საფრთხილო მისია ეკისრა. იგი შუღლის ჩამოგდების, მტარვალობის, შეურიგებლობის საკითხებს წყვეტდა. მასთან ურთიერთობაში სხვა ღმერთებიც კი ფრთხილობდნენ. შარიან კაცს ჩვენში ყველა ერიდება. ერიდეთ აფრთხილებენ ერთი-მეორეს. ერიდა ღმერთის ფუნქცია შინაარსობრივად ემთხვევა იმ საფრთხეს, რაზეც ქართველები ერიდეს-ს იტყვიან. ერიდა ღმერთი და ერიდე სიტყვათა დამთხვევაა თუ შეიძლება მათ შორის უძველესი ერთობა მოიაზრებოდეს?

ატა დაბნეულობის, გონების დაბინდვის, მოტყუების ღმერთია. მოგვიანებით მან მითოლოგიაში ზევსის ქალიშვილის სახელი დაიმკვიდრა, რომელიც ადამიანებში ტყუილს, სიცრუეს თესავს. მან თვით ზევსიც მოატყუა. განარისხებულმა ღმერთების მეფემ ატას ყურში ხელი ჩაავლო და ოლიმპოდან ძირს ისროლა. ღმერთებს შორის ატა ცნობილი იყო, როგორც სიცრუისათვის ყურით გადაგდებული. ქართველებში სიცრუის მთქმელს მატყუარას ეძახიან. ატა ყურით გადაგდებული სიცრუისათვის მატყუარაა, ატაყურაა. დრონმა იცის ბევრი რამის და მათ შორის სიტყვის ცვლილება. ატაყურა მატყუარად შეიძლებოდა ქცეულიყო თუ უბრალო დამთხვევაა? საკითხი ღიაა.

უმშვენეირესი, სილამაზის ქალღმერთად მიჩნეული აფროდიტა ზღვის ქაფიდან გამოსულად და თავდაპირველად ზღვაოსნობის მფარველად ითვლებოდა. მის სახელთანაა დაკავშირებული აფრა, რომელსაც გემებზე იყენებდნენ და რომელიც მოგონებად შემორჩა. პელაზგიურ-ბერძნული მითოლოგიის თანახმად უძველეს პერიოდში განთქმული ზღვაოსნები კრეტელები და კოლხები იყვნენ და არც უნდა იყოს გასაკვირი რომ აფრა მხოლოდ ქართული ლექსიკონის კუთვნილება გახდა.

თვით ღმერთების დიდი დედოფალი ჰერა, თავდაპირველად იმის ქალღმერთი იყო, რასაც ადამიანები სუნთქავენ-ჰაერის. ღიას, ჰერა

ჰაერის მფარველი იყო. ჰერა-ჰაერ-ი. ესეც შეიძლება შემთხვევითი დამთხვევაა? ვინ იცის.

შეიძლება შემთხვევითია: ის, რომ ღმერთების დედა გეას ქალიშვილი, სკვითეთში (კილიკიაში) გამოქვაბულში მცხოვრები გველთევზა ექიღნა ბოროტ, დაუნდობელ, საშიშ არსებად ითვლებოდა, რომელიც ადამიანებს დაექადნა, რომ სიკეთით არ გაახარებდა; ის, რომ ეოლი ქართა მბრძანებელი, მულამ ეულად დაეხეტება; ის, რომ ნიქსი სიბნელის, ნისლის ქალღმერთია და ა. შ.

ყურადღება მისაქცევია ის კავშირები, რაც მცირეაზიულ და კრეტულ-პელაგზურ კულტურათა ურთიერთობაში აშკარად შესამჩნევია. პელაგზიური მითოლოგიის თანახმად ღმერთების დედა გეა (გეო)-ს ადგილს კრეტელი რეა იკავებს. ზევსის მშობელ რეა-ს ხშირად რეაკიბელას უწოდებენ. კიბელა კი მცირეაზიაში ღმერთების დედადა მიჩნეული. რატომ უნდა მომხდარიყო ეს შერწყმა? იმიტომ ხომ არა, რომ ოლიმპიელი ღმერთების უმრავლესობა წარმოშობით ბალკანეთიდან არ არიან? თვითონ ზევსი კუნძულ კრეტაზე დაიბადა. მისი აღმზრდელები კურეტები და (კოლხი კორიბანტები) იყვნენ. აფროდიტა კუნძულ კვიპროსიდანაა, აპოლონი და არტემიდა კუნძულ დელოსზე იშვნენ და ფრიგიიდან მივიდნენ ოლიმპზე, დიონისეც ფრიგიული დაფდაფების თანხლებით მოგზაურობდა და ა. შ. ცალკე უნდა ითქვას ნიმფა მაკრისზე. იგი იყო კუნძულ ევბეას მფარველი და კუნძულსაც ადრე მაკრისი ერქვა. აქედანაა მზის ღმერთი, ცის კაბადონზე ცეცხლოვანი ეტლით მორაული ჰელიოსი. მაკრისიდან აღმოსავლეთით გადაინაცვლეს მაკრისელებმა (მაკრონებმა), ჰელიოსებმა (ჰენიოსებმა), ხალიბებმა (ალიბებმა – „ილიადას“ მიხედვით).

ყურადღება მისაქცევია ქალღმერთი ფასიანე. ბერძენი ავტორი არგონავტების მოგზაურობის აღწერისას მიანიშნებს იმაზე, რომ მდ. ფაზისში შეცურების დროს არგონავტებს წარმოუდგათ ქალღმერთ ფასიანეს ქანდაკება, ზუსტად ისეთი, როგორც ქ. ათენში დატოვეს. ერთი ღმერთის ერთნაირი ქანდაკება, ამაყად მჯდომარე, წინწილით ხელში, რომელსაც მრისხანე ლომები იცავენ, თუ შემთხვევითი იგივეობაა, მაშინ მცდარად დამჯერებელი გერგეტოზე (წყევლის ადგილი საპელაგოში) უნდა იქნეს გადაცემული, ხოლო მართალი კუნძულ დელოსზე დელიას დღესასწაულებზე (აპოლონის სადიდებელი დღესასწაულები) უნდა აღიდონ.

ცალკე კვლევის საქმეა პრომეთესა და ამირანის იდენტურობის

საკითხი. ამ საკითხზე ბევრი დაწერილა და დაიწერება. ამ შემთხვევაში მხოლოდ მშრალად მიეთითება ზოგიერთ მომენტზე, რათა წამკითხავს ისევე ეამოს, როგორ შეებასაც დაჭრილს მოჰგვირდა ღმერთ აპოლონის მკურნალი ვაჟი იამოსი.

პრომეთე, პელაზგური მითოლოგიის თანახმად ტიტან იაპეტის ძეა (ზოგი მკვლევარი იაპეტს მითოლოგიური ნოეს ძე იაფეტთან აიგივებს). ერთი ვერსიით მისი დედაა ოკეანიდი კლიმენა, მეორე ვერსიით სამართლიანობის ქალღმერთი თემიდა. იგი დაიბადა, როდესაც ოლიმპზე ღმერთებს საბრძანებელი არ ჰქონდათ. ზევსს დაეხმარა კრონის დაძლევაში, მაგრამ ძალაუფლება და ოლიმპზე ადგილი მაინც არ ერგო. პირიქით, ზევსს ემინოდა მისი და სძულდა. ამიტომ, როდესაც პრომეთემ კუნძულ ლემნოსზე, მოსხოს მთის წვერზე არსებული ჰეფესტოს სამჭედლოდან ცეცხლი მოიტაცა (ეს იყო სისხლის სამართლის დანაშაული) და ადამიანებს მისცა, ზევსმა იგი დასაჯა და კაკასიის მთებში კლდეს მიაჯაჭვა. პრომეთეს ამ დანაშაულს ისიც ამძიმებდა, რომ მან ზევსის მეომარი ქალიშვილი ათენა მოიტაცა. კლდეზე მიჯაჭვული პრომეთეს სანახავად ყოველ წელს ჩამოდიოდა ძე დეეკალიონი. (დეეკალიონის სახელი დაკავშირებულია წარღვნასთან. შუემრული მითოლოგიის მსგავსად, ბიბლიური ნოეს დარად, დეეკალიონიც გადაურჩება წარღვნას და ამრავლებს კაცობრიობას).

მითოლოგიურ-თეოლოგიურ პანთეონში ცალკე ადგილი უკავია ათენას. არავინ იცის აქვს კავშირი თუ არა მის სახელს მთა-ზევსურეთში ათენ-გენობის (ათენა-გენობის) დღესასწაულთან. ამ დღესასწაულის თანამედროვე, ქრისტიანული გაგება არადამაჯერებელია ისევე, როგორც ლომისობა, ზედაზნობა (ზედა ზადენობა, თუ ზადენობა) და ა. შ.

საკუთრივ ქართული სინამდვილე ღმერთების ისეთ მწყობრ პანთეონს ვერ ქმნის, როგორც ეს მისი ეთნოგენეზის არეალის მეზობელ ცივილიზაციებს ახასიათებდა. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

ა) ქართველების წინაპრები განვითარების ისეთ დაბალ დონეზე იყვნენ, რომ მათი მსოფლმხედველობა რელიგიურ-პრიმიტიულ წარმოდგენებს ვერ სცილდებოდა; ბ) ქართველების წინაპრები იმდენად ახლო კავშირში იყვნენ ცივილიზაციის სხვა კერებთან, რომ საერთო რელიგიური პანთეონით კმაყოფილდებოდნენ; გ) ქართველების წინაპრებს ჰყავდათ სხვათა ღმერთების შესატყვისი საკუთარი ღმერთები, მაგრამ დროთა ვითარებაში ხსოვნა მათ შესახებ ისტორიას არ შემორჩა.

ღმერთების ის წყება, რომელთა კულტი იყო ქართველებში და

რომელთა შესახებ ინფორმაცია საკამათო არაა, შედარებით გვიანდელი პერიოდისა. V–III ათასწლეულების შესახებ პრაქტიკულად არაფრის თქმა არ შეიძლება. შუმერული ბაუ (ბაბა) – ნაყოფიერების ქალღმერთი და ქართველების ურ-ბაუ, ისევე როგორც ინანა (ნინანა)- ცის მფლობელი ღმერთი და ქართველების ურ-ნინა მხოლოდ ლოგიკური დაშვებით შეიძლება დავაკავშიროთ. რაც შეეხება ხეთურ ტელეფინ-უმს და სვანურ ტელეფია მელიას, ხეთურ არმას და ქართთა-არმაზს, ისევე როგორც ტაროს, ზადენს, კრეტაზე მცირეაზიული წარმოშობის კიბელა (კუბელი), ხეთური კუპალა და ქართველების კოპალე ეს შედარებით გვიანდელი პერიოდია (II–I ათასწლეულები) და ძველ პერიოდზე ინფორმაციას არ შეიცავს. კოლხური ოდი (მიწის ღმერთი), სვანურ-კოლხური დალი (ნადირობის ქალღმერთი), აღმოსავლეთ ქართული ალაღე, ბერიკა და სხვა. ძველ პერიოდს არ უკავშირდებიან. რაც შეეხება ურარტულ ხალდეს (ქალდეს), მისი კულტი, როგორც მთავარი ღმერთისა დიდ სივრცეში იყო პატივდებული და მის ყმებს ხალდეველებს (ქალდეველებს)-აც ეძახდნენ, მაგრამ არც ის სცილდება II ათასწლეულს. ძვ. წ. აღ. ურარტუს (არიანას) ქართ-ის ნაწილიდან ღმერთები გა-ცი და გაემი აზონმა მხოლოდ ძვ. წ. აღ. IV ს. დაამკვიდრა ქართველებში (იბერებში). საქმეს არ შევლის ის, რომ ამ გაე-მს პელაზგიურ გაე-ს (გეოს) შესატყვისად მიიჩნევენ. ფარნავაზის მიერ აღიარებული არმაზი, მისი ძის, საურმაგის მიერ მოვლენილი აინანა, დანანა, ფარნაჯომის მიერ დადგენილი ზადენი სრულიად ახალგაზრდა ღმერთებია და ვერც უძველეს წარმოდგენებს ეხმიანება და არც ქართველების ეთნოგენეზის საკითხს მატებს სიცხადეს. ისინი, ურარტული ღმერთები, ნათესაურ ნიადაგზე შემოეხიზნენ ქართს არიან ქართიდან გადმოსახლებულთა მეშვეობით).

საკითხს გარკვეულობას მატებს ჰეროდოტე, რომელიც მიიჩნევდა, რომ აფროდიტე მცირე აზიულ მითრას უტოლდებოდა. მისივე მტკიცებით იბერები და ხალიბები განსაკუთრებულ პატივს პელაზგიურ ღმერთების პანთეონის გამორჩეულ ფიგურას, ომის ღმერთ არესს მიაგებდნენ. ხაზი აქვს გასმული იმ ფაქტს, რომ გვიან პერიოდშიც კი არესს ახალ სამისნოებს უშენებდნენ და ეთაყვანებოდნენ. (ჰეროდოტე, ისტორია, ტ. II, გვ. 435).

ამორბალები (ამაზონები) მითოლოგიის მიხედვით არესისა და ნიმფა ჰარმონიას ასულებად ითვლებოდნენ. გადმოცემით მათ მცირე აზიაში

სამი ქალაქი ეკუთვნოდნენ ცენტრით თემისკირა (კაპადოკია. მდ. თერ-
მოლონტის აუზი). ამორძალები კოლხი მამაკაცებისაგან ყოლიობდნენ
შვილებს. გოგონებს თავისთან იტოვებდნენ, ბიჭებს მამებს ატანდნენ.
ომის ღმერთ არესის ასულები რატომ უნდა დასახლებულიყვნენ ხა-
ლიბებს, კოლხებს და მუშკებს შორის?

ამ ცნობას ემატება ის, რომ რაკი არესი მუხანათური ომის ღმერ-
თად იყო წარმოდგენილი, მითოლოგიამ იგი განხეთქილების ქალღმერთ
ერიდას დაუკავშირა. ერიდა იქცა არესის თანამგზავრად. იმიტომ ხომ
არა, რომ გონიერი მუხანათობას უნდა ერიდოს? ვინ იცის.

გოგონები

ქართველების ეთნოგენეზის არეალის მეზობლად მცხოვრები ტომები
არ იყვნენ მოწყვეტილნი მის შიგნით დამკვიდრებულებისგან. სავარაუ-
დოა, რომ ადგილი ექნებოდა მათ შერევა-შერწყმას, მიგრაციას, ომებს
და ა. შ. არქეოლოგია ადასტურებს ამ არეალის ფარგლებში ადამი-
ანური არსებობის და განვითარების კვალის უწყვეტობას. ტერიტორია,
რომელიც ურმიისა და ვანის ტბებიდან მოყოლებული, კავკასიის ჩათვ-
ლით, ტიგრ-ევფრატის სათავეების მოცულობით დასავლეთით ეგეოსის
აუზამდე ვრცელდებოდა, საკმაოდ დიდ სივრცეზე იყო განფენილი და
იქ მცხოვრებლებს მატერიალური და სულიერი განვითარების ყველა
პირობას უქმნიდა.

არქეოლოგია ადასტურებს, რომ აქ ჯერ კიდევ 30 000 წლის წინ
იცოდნენ კაჟის გამოყენება. 9-7 ათასი წლის წინ ძველი წელთა აღ-
რიცხვით, უკვე ჰყავდათ მოშინაურებული ცხოველები. 5 ათასი წლის
წინ აქ უკვე იცოდნენ ბრინჯაოს მეტალურგიის საიდუმლოებანი და
მეტალის სხვა მხარეებში გატანასაც ახდენდნენ. დაახლოებით ამავე
დროს ამ ტერიტორიაზე ჩნდება გალაენიანი დასახლებები, მრგვალი
კერიები და ა. შ. აქ არსებულ კულტურის ელემენტებს ხედავენ შუა-
მდინარეთის (მესოპოტამიისა) და ეგვიპტის სივრცეებში. ამ არეალში
IV-III ათასწლეულში მაღალ დონეს მიაღწია ე. წ. მტკვარ-არაქსის
კულტურამ.

ამ კულტურის სამხრეთით, ამავე პერიოდში ჰყავდა ე. წ. შუმ-
ერული ცივილიზაცია. მაგრამ შუმერები არ დასახლებულან უკაცრიელ
ტერიტორიებზე და დამოუკიდებლად არ შეუქმნიათ თავისი სამყარო.
ძნელია რაიმეს თქმა, რა ურთიერთმიმართებაში უნდა ყოფილიყო შუ-

მერებამდე არსებული საზოგადოება ჩრდილოეთით მცხოვრებ ტომებთან, მაგრამ ურთიერთობა რომ ექნებოდათ ეს ბუნებრივია.

რომელიმე ეთნოსის კულტურაზე, მათ გავლენაზე, მონაწილეობაზე ცივილიზაციის საერთო პროცესში ცალკეული ვაჭების, ქოთნების ან სამკაულების მიხედვით ძალზე რთულია. ასევე რთულია და არა სასურველი მსჯელობა იმაზე, რომ ამ არეალის მცხოვრებლები, ფლობდნენ რა ბრინჯაოს წარმოების ტექნოლოგიას, ცდილობდნენ ამ ლითონის გავრცელების გზებზე თავისი ბატონობის დამყარებას. ცნობილი მხოლოდ ისაა, რომ III ათასწლეულის შუა პერიოდში ამ სივრცეში არ შეიმჩნევა სემიტური ან ინდოევროპული ელემენტები.

მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ქართველების ეთნოგენეზის არეალში III ათასწლეულში ცხოვრობდნენ კუტიები, მათ დასავლეთით ხურიტები, შემდეგ ხათები. კუტიებს ეკავათ ურმია-ვანის ტბის მიდამოები. ხურიტებს—ჩრდილო მესოპოტამიიდან სევანის ტბამდე. მათ დასავლეთით ხათები. სწორედ მათ ტერიტორიებზე შეიქმნა შემდეგ ხეთების მძლავრი სახელმწიფო, შემდეგ კი, მოგვიანებით ურარტუს სამეფო.

მიაჩნიათ, რომ ხათების კულტურა გავრცელდა შავიზღვისპირეთიდან. ამასთან, ამ კულტურის ნაშთები მოიპოვება როგორც სამხრეთით, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში, მაიკოპში, ყუბანისპირეთში.

ამ არეალში უხვად მოიპოვება წყლების მახლობლად მცირე ზომის, გალანით დაუცველი დასახლებები გორაკებზე, ასევე მცირე ფართის კერიებით. იქვე ახლო სამარხები, თითო მათგანში ოთხამდე მიცვალებულით. მიწათმოქმედება-მესაქონლეობის ნიშნებით: ქერის, ხორბლის, ვაზის მრავალი ჯიშებით, აგრეთვე ქვისა და ძვლის შრომის იარაღები თოხები, ნამგლები, ტყავის გამოძყვანი დანები, სანადირო ისრები. შემორჩენილია მსხვილფეხა საქონლის, ასევე ნანადირევი ირმის, ღორის, მელას, ფრინველების ნაშთები. მოგვიანებით, IV—III ათასწლეულების მიჯნაზე ჩნდება უხეშად დამუშავებული ბრინჯაოს იარაღები, საფხეკები, საჭრელები, რელიგიური კულტების ფიგურები, მძივები და სხვა. მრავლადაა თიხის ჭურჭელი სხვადასხვა დანიშნულების, თვლიანი ტრანსპორტი და სხვა.

ვინ უნდა ყოფილიყვნენ ამ პერიოდის ცივილიზაციის მატარებელი ტომები? დანამდვილებით რაიმეს თქმა შეუძლებელია. ერთი კი ნათელია, ამ ტომებმა შექმნეს ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა IV—III ათასწლეულებში. მათ მოიცვეს ე. წ. იაფეტური მოდემის სივრცე. მათ

სათავე დაუდეს კავკასიურ-იბერული მოდემის ეთნოსებს. რამდენადაც ამ არეალში შემორჩენილია დაღესტნურ, ვაინახურ, სვანურ, ადიღეური ელემენტები. უნდა ვირწმუნოთ, რომ ეს ტომები იმ დროისათვის შედარებით სამხრეთით იყვნენ განფენილნი.

ერთი რამ უდაოა. საპელაზგოში ღმერთების მესამე თაობის დამკვიდრების პერიოდისათვის ჰელიოხები (მზის შვილები) და კაკკონები ამ არეალში უკვე მკვიდრად ცხოვრობდნენ. მათ მჭიდრო კავშირები ჰქონდათ ისეთ შორეულ ადგილებამდე, როგორსაც ბალკანეთის ნახევარკუნძული წარმოადგენდა. ამ ცოდნის, კავშირების გარეშე პრომეთე ვერ იქნებოდა „მიჯაჭვული“ კაკკონების მთებში—კავკასიონზე. უდაოა ისიც, რომ ეს ტომები ნათესაურ კავშირში იმყოფებოდნენ იაფეტური არეალის ტომებთან. ცნობილია, რომ გეოგრაფიული ისტორიის მამამთავრად აღიარებული სტრაბონი არა მხოლოდ სამხრეთის, არამედ ჩრდილო კავკასიის ტომებსაც იბერებს უწოდებდა. არაა გამორიცხული, რომ ორი ათასი წლის წინ ამ ტომებს უფრო კარგად ახსოვდათ თავიანთი წარმომავლობა და ნათესაური კავშირები.

ძველი დროის ცნობილი ავტორი კორნელი ტაციტი, თავის ანალებში არაორაზროვნად ამტკიცებს, რომ კავკასიაში მცხოვრებ იბერებს და ალბანელებს კარგად ახსოვთ თავიანთი წარმომავლობა ბალკანეთის თესალიიდან. ამ მტკიცების საიმედოობას ხელს ვერ უშლის მისი იაზონთან და მედეასთან დაკავშირება.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ბიბლიაში მოტანილი ცნობები უძველეს ტომთა შესახებ. ძველი აღთქმის შესაბამის ნაკვეთში, ნოეს შთამომავლობაში უხუცესი ძმის, იაფეთის შთამომავლებში, რომელთაგან გამრავლდნენ ტომები და გაიფანტნენ „ქუეყანასა მათსა“, ნახსენები არიან თობელი და მოსოქი. იოსებ ფლავიოსი შენიშნავს, რომ თობალებს ახლა იბერები ეწოდებათო, ხოლო მოსოქი (მოსოხი, მეშეკი) კაპადოკიელების წინაპრებად არიან წარმოდგენილი. თუბალებს და მეშეხებს, როგორც ტომთა დიდ გაერთიანებებს. ძვ. წ. აღ. II ათასწლეულში ასახელებს ასურული წყარო. ამ შემთხვევაში არსებითია ტომთა არსებობის უწყვეტობა ბიბლიაში დასახელებული პერიოდებიდან ახ. წ. აღ. I საუკუნემდე.

პირველ ყოვლისა, მკვლევარებს არასოდეს შეუტანიათ ეჭვი ბიბლიის იმ ნაწილის უტყუარობაში, რომელიც სემიტების წარმომავლობასა და ისტორიას აღწერს. ებრაელი ერი თავის ისტორიას მამამთავარი

აბრაამისაგან იწყებს. შთამომავლობითი ხაზი სემიდან აბრაამამდე დეტალურადაა გადმოცემული და ჭეშმარიტებადაა მიღებული. სემიტები და სემიტიზმი, ანტი სემიტები და ანტისემიტიზმი საყოველთაო მსჯელობის კატეგორიებია.

თუ სემი და სემიტები იმსახურებენ ნდობასა და პატივისცემას, რატომ უნდა უარიყოს მისი უფროსი ძმის იაფეტის და იაფეტიდების რეალობა? რატომ უნდა გახდეს ეჭვის საგანი იაფეტიდების ბიბლიური ჩამონათვალი და მათ შორის თობელ-თუბალი, მოსოქ-მეშეხი. ბიბლია როცა ჩამოთვლის თუ ვინ იყვნენ „ძენი იაფეთისანი“, ერთად ახსენებს „თობელ და მოსოქ“-ს. საინტერესო და პრობლემატურია, დრონის რა პერიოდს ეხება ეს ჩამოთვლა? ამ საკითხზე მკვლევართა ერთიანი მოსაზრება არ არსებობს. განსაკუთრებით არარეალურად ისახება თანაფარდობა უფროსი თაობისა და მომდევნო თაობათა ასაკების განსაზღვრისას. ბიბლიის მიხედვით მამამთავარი ნოე 600 წ. იყო გადაცილებული, როცა არარატის მიდამოებში დაეფუძნა. ამავე ასაკისა იყო მისი შთამომავლების მეხუთე თაობის წარმომადგენელი თარგამოსი, როდესაც შვილებს გაუყო თავისი სამფლობელო. უფრო რეალურია სემის შთამომავლების დასახელებული ასაკი-საშუალოდ 30 წელი. ამ ხაზის დაანგარიშებისას გამოდის, რომ ბიბლიური ნოე-დან აბრაამამდე 370 წელია გასული. ებრაელებმა შესანიშნავად იციან აბრაამის დაბადების წელი (ძვ. წ. აღ. 1813 წელი). იცოცხლა 175 წელი და გარდაიცვალა 1638 წ. სემს შვილები ასი წლის ასაკში ეყოლა, ესენია: „ალიმ და ასსურ და არფაქსად და ლუდ და არამ და კაინან“. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ სემს პირველი შვილები ეყოლა ძვ. წ. აღ. 2083 წ. თუ პარალელს გადავლებთ იაფეთის შთამომავლობაში, მაშინ თობელისა და მოსოქის დასახელება III ათასწლეულის კუთვნილება ხდება, ე. ი. ამ დრონისათვის ქართველების ეთნოგენეზის არეალში დამკვიდრებულები უნდა ვიგულისხმოთ თობელ-თუბალი მოსოქ-მეშეხი, მეორე მხრივ, იაფეტის მოდგმის თაობებიდან მხოლოდ თარგამოსის ასაკია ცნობილი-601 წელი. თუ ვიანგარიშებთ, რომ ასეთივე ხნიერი იყო ნოე და შეიძლება მისი შთამომავლობა თარგამოსამდე, მაშინ თობელისა და მოსოქის ხსენება V ათასწლეულში გადადის. გამოვა, რომ ქართველების უშუალო წინაპრები ამ არეალში უკვე V ათასწლეულში სახლობდნენ.

ასეთი მსჯელობის აუცილებლობა იმითაა გამოწვეული, რომ იმ

ტომების შესახებ, რომლებიც ქართველების ეთნოგენეზში მონაწილეობდნენ მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა არსებობს. წერილობითი ცნობები კი II ათასწლეულიდან ჩნდება.

თარგამოსს თუ რეალურ პიროვნებად მივიჩნევთ, რისი სინამდვილის დასტურს იძლევიან არა მხოლოდ ქართული წყაროები, მაშინ უნდა მივიღოთ მის მიერ შვილებისათვის სამეფოს დანაწილების რეალობა. ბიბლიის მონაცემების საფუძველზე ეს ფაქტი შეიძლება უკიდურეს შემთხვევაში III ათასწლეულის დასაწყისს განეკუთვნოს. მეორე ვარიანტით ეს თარიღი შეიძლება IV–V ათასწლეულებამდე გაიზარდოს, იმის მიხედვით თუ როგორ იქნება გაანგარიშებული თარგამოსის, თარშისის, თვით იაფეთის ასაკი და როგორ დათარიღდება ბაბილონის გოდოლის მშენებლობის პერიოდი (თავად გოდოლის რეალობა, თანამედროვე არქეოლოგიის მონაცემებით, უკვე ეჭვს აღარ იწვევს).

პირველი რასაც ყურადღება უნდა მიექცეს, ესაა თარგამოსის სამეფოს სიდიდე „ხოლო ქუეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა, ეს არს საზღვარი ქუეყანისა მისისა: აღმოსავლით ზღუა გურგენისა, დასავლით ზღუა პონტოსა და სამხრით ზღუა ორეთისა და ჩრდილოთ მთა კაკასია“. ლეონტი მროველის მიერ მოხაზული სივრცე თავისთავად დიდი ქვეყნის არსებობაზე მიუთითებს კაკასიის მთებიდან ორეთის (ხმელთაშუა) ზღვამდე.

გადმოცემის თანახმად, თარგამოსს თავისი მამული რვა შვილისათვის გაუყვია. ამ მამულში მრავალი სახელწოდების ტომი თუ ტომთა გაერთიანება შედიოდა, მაგრამ არა დაპყრობილი, არამედ ერთი წარმომავლობით და ერთიანი ხელმძღვანელობით შეკრული. არ უნდა იქნეს დავიწყებული ჰეროდოტეს (ბევრად გვიანი პერიოდის მისამართით ნათქვამი) სიტყვები: „სპარსელები ცხოვრობენ და აღწევენ სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც უწოდებენ მეწამულს. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმართულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ სასპეირები, სასპეირებს ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევენ ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფაზისი. ეს ოთხი ტომი მოსახლეობს ზღვიდან ზღვამდე“. (თ. ყაუხჩიშვილი ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თ. 1960 წ. გვ. 82). რამდენადაც სპარსელ-მიდიელების ზევით შავ ზღვამდე სხვა უცხო ტომები არ იხსენიება, უნდა ვიფიქროთ, რომ ტომთა სიმრავლის და მიუხედავად, ავტორი მათ ერთ ნათესაურ კავშირად მიიჩნევს. თუ ჰეროდოტეს დროს ტომთა და მოსახლეობის

სიმრავლის და მიუხედავად ჯერ კიდევ შეიძლება მსჯელობა მათ ერთობაზე, იმ დონემდე, რომ ისინი ერთი სახელწოდებით წარმოვიდგინოთ. მით უფრო მეტი ერთობა იქნებოდა ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში. და არა მხოლოდ მცირე აზიის ტერიტორიაზე.

უძველესი (უხნესი) ბერძენი ავტორი ჰესიოდე, ეხება რა პრომეთეს შესახებ არსებულ მითს, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ იგი კავკასიის (კავკონების) მთებს მიაჯაჭვეს ზევსის (ჭეჭა-ქუხილის ღმერთის) ქალიშვილ ათენას მოტაცებისათვის. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, რომ არსებობს პრომეთეს ასეთი დასჯის სხვა მოტივის შესახებ მითი. არსებითია ის დამთხვევა, რაც შეინიშნება მითთან ამირანის შესახებ. ამირანი ასევე იტაცებს ჭეჭა-ქუხილის ღმერთის (ტარო-სის) ასულ ყამარ (კამარ, შემდეგ თამარ) ქალიშვილს და ამ დანაშაულისათვის მასაც კავკასიის მთას მიაჯაჭვავენ. მითების ასეთი სიუჟეტური დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ არაფერი ითქვას მიჯაჭვის ადგილზე, რა ზევსს ბალკანეთში უღუმბოს მთა არ აკმაყოფილებდა?

პრომეთეს და ამირანის ერთობა უძველეს მითოლოგიაში გამონაკლისი არ არის. დიდი დამთხვევაა შუმერულ, ბიბლიურ, პელაზგიურ (აქედან კი ძველბერძნულ) მითებს შორის წარდგინის შესახებ. სამივე შემთხვევაში ღმერთი სჯის ადამიანებს, მაგრამ გადაარჩენს ერთის შთამომავლობას. ასევე ბევრი საერთო არსებობს შუმერულ, ფინიკიურ და პელაზგიურ (აქედან ძველბერძნულ) გადმოცემებში გილგამეშის, მელკარტეს და ჰერაკლეს შესახებ. ამას ემატება გადმოცემა კადმოსის შესახებ. ფინიკიის მეფის აგენორის ვაჟი კადმოსი აღწევს ბალკანეთის ნახევარკუნძულს, აარსებს ქალაქს და რაც მთავარია ავრცელებს ასოთი დამწერლობას ფინიკიურის მსგავსად. ძველი ბერძნული მითოლოგია გადმოგვცემს, რომ იმ პერიოდში ფართედ იყო გავრცელებული პელაზგიური დამწერლობა. ამ დამწერლობის ქომაგი ლინოსი ხელს უშლიდა ფინიკიური დამწერლობის გავრცელებას. საქმე მხოლოდ მაშინ წავიდა წინ, როცა კადმოსმა ლინოსი მოკლა. მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ მითოლოგიის თანხვედრ გავრცელებას მოძრაობა ჰქონდა მცირე აზიიდან ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ. მითოლოგია ფეხს ვერ აიდგამდა. იგი მიიტანეს მცირე აზიიდან ბალკანეთზე გადასახლებულმა ტომებმა. აქედან, პელაზგები-მცირე აზიიდან, შეიძლება კავკასიიდან გადასახლებული ტომები იყვნენ. (აქეთ ლაზები ან ლაზგები, იქით პელაზგები?).

ჩვენ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა იმას, ბალკანეთიდან გადმოსახლდნენ მცირე აზია-კავკასიაში თუ პირიქით, მნიშვნელოვანია იმ უძველეს დროში ლეგენდებისა და მითების დონეზე მათი მჭიდრო კავშირის (შეიძლება ერთობის) აღიარება.

ყოველივე ამას უნდა მიემატოს მითი არგონავტების შესახებ.

მოკლე სიუჟეტი: ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ქალაქ სახელმწიფო ორქომენის მეფე ათამანტს ჰყავდა შვილები ფრიქსე და ჰელე. მიტოვებულმა ათამანტმა შვილებს უცხოტომელი დედინაცვალი იწო მოუყვანა. იწომ გერების დაღუპვა განიზრახა და ხრიკების მეშვეობით მიზანსაც მიღწევდა, მაგრამ ახლობლებმა ბავშვები გააპარეს.

ამავე დროს ათამანტს ევალებოდა საღვთო ვერძის აღზრდა, რომელსაც წესისამებრ ოქროს საწმისი ეფარა. საწმისი გარდამავალი იყო და იმ მეფეს ეკუთვნოდა, რომელსაც ვერძის აღზრდა დაეკისრებოდა. იმ დროს ვერძს ათამანტი ზრდიდა. როდესაც ფრიქსემ და ჰელემ მამის საბრძანებელი მიატოვეს ოქროს საწმისიანი ვერძი თან წაიყვანეს, როგორც ძალაუფლების სიმბოლო.

ჰელე გზაში დაიღუპა. ფრიქსემ კოლხეთში, მეფე აიეტთან ჰპოვა თავშესაფარი. ვერძი ღმერთებს შესწირეს, როგორც წესი იყო, საწმისი შეინახეს. აიეტი ადრე კორინთოს მეფე იყო კოლხეთთან ერთად. შესაბამისად მის მამულში იყო დელფოს ცნობილი სამისნო. მას ისეთივე უფლება ჰქონდა ვერძის შეწირვისა, როგორც სხვა პელაზგ მეფეებს, ისეთივე უფლება ჰქონდა საწმისის ფლობისა, როგორც ნებისმიერ პელაზგ მეფეს.

ფრიქსე აიეტის ქალიშვილ ქალკიოპეს ცოლად ირთავს და ოთხი ვაჟი ეყოლებათ: არგო, მელასი, ფრონტისი და კიტისორე. როცა შვილები წამოიზარდნენ, მონღომეს მამის კუთვნილი სამეფოს ორქომენის დაუფლება. ამ მიზნით ისინი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გაემგზავრნენ.

ოქროს საწმისის, როგორც საღვთო ძალაუფლების სიმბოლოს, დაკარგვის გამო პელაზგიურ ქალაქ-სახელმწიფოებს ევალებოდათ მისი უკან დაბრუნება. შეიკრიბა ვაჟკაცთა გუნდი, მაგრამ არავინ იცოდა გზა კოლხეთისაკენ და ვერც ისეთ სწრაფ გემს ააგებდა, რომელიც კრეტულის ან კოლხურის მსგავსად შეძლებდა სრუტეების ღინების (საათში 4-8 კმ) გადალახვას. ასეთი პიროვნება აღმოჩნდა აიეტის ბაღში არგო. მან ააგო გემი და თავისი სახელი უწოდა. ათამანტი

კი შეპირდა სამეფო ძალაუფლების გადაცემას, თუ ოქროს საწმისს დაუბრუნებდნენ.

არგონავტები კოლხეთში ჩადიან და აიეტის უმცროსი ქალიშვილის მედეას დახმარებით ოქროს საწმისს ხელში ჩაიგდებენ. აიეტს, ისევე როგორც მის შვილებს სურდათ კორინთოში მეფობის დაბრუნება. არგონავტების ჩამოსვლა მედეასთვის იყო შესაძლებლობა, განეხორციელებინა ჩანაფიქრი.

ესაა არსი, დანარჩენი ფორმაა მისი.

აიეტი ერთდროულად იყო კოლხეთისა და კორინთოს მეფე, ეს ხომ არ მიანიშნებს ამ ორი სამეფოს მოსახლეობის ერთობაზე? მდინარე ფაზისში (რიონში) შეცურებულ არგონავტებს ქალღმერთ ფასიანეს ისეთივე სკულპტურა შეხვდათ, როგორც იყო ათენში. ხომ არ მიანიშნებს ეს, მოსახლეობის, მათი კულტურის, რელიგიურობის ერთობაზე?

მითოლოგიის თანახმად აიეტის ერთი და კირკეა (ცირცეა) რომის დამაარსებლების დიდი დედაა. მეორე და პასიფაე კრეტის ლეგენდარული მეფის, მინოსის მეუღლეა, ანდროგეას, ფედრას, არიადნასა და მინოტავრის დედაა. ჩვენო რომ ჩამოვაცილოთ ამ გადმოცემებს, გვრჩება ცნობა კოლხეთისა და კრეტის, კოლხეთისა და ეტრუსკების კულტურების ახლო ურთიერთობის შესახებ. ამას თუ დაემატება ცნობა ღმერთების მეფის, ზევსის აღზრდაში კოლხი კორ-აბანტების (ტყავის ან ტყავზე წერის სპეციალისტების) მონაწილეობის შესახებ, გამყარებული არქეოლოგიური მონაცემებით (ერთტიპიური ამფორები, ცულები და სხვა), მაშინ შეიძლება დავეთანხმოთ მოსაზრებას ამ კულტურათა და მათი შემქმნელი ტომების ეთნიკური ნათესაობის შესახებ.

საკითხავია, რამდენად ძველია არგონავტების ისტორია? კითხვა უბრალო ინტერესის საგანი როდია. არგონავტებმა იხილეს კოლხეთის ისეთი ძლიერი სამეფო, რომელსაც საპელაზგოში ბადალი არა ჰყავდა. როდის შეიქმნა ეს სამეფო? მხოლოდ ისაა ცნობილი გადმოცემებით, რომ კოლხეთის სამეფოს გვერდით იყო ტავრიდის სამეფო, სადაც აიეტის ძმა პერსი მეფობდა. მათი მამა ღვთიური მზის ღმერთი ჰელიოსია, დედას კი პერსე ერქვა. მათი მიწიერი მამა მერმეროა, პაპა-ილი (ილო?). ამავე დროს ისინი აფროდიტეს ახლობლებად ითვლებოდნენ. (დადგენილი ტრადიციების თანახმად მეფური, მდგომარეობის ადამიანს ღვთიური შთამომავლობა უნდა ჰქონოდა).

პელაზგიურ მითოლოგიაში ყველაფერია მოცემული, საჭიროა მხოლოდ ჩადრმაკება-შედარება. პრომეთე ღმერთების მეორე თაობის

შთამომავალია. იგი ეხმარება ზევსს (მესამე თაობის ღმერთების ბატონს) ძალაუფლების მოპოვებაში, მაგრამ იძულებულია უცნობა, საშიშია, მიუღებელია ახალგაზრდა ღმერთებისათვის, რომ არც ძალაუფლებას უნაწილებენ და არც ოლიმპზე ადგილს არ სთავაზობენ. მაშინ მან კუნძულ ლემნოსზე მოსხოს მთის წვერზე სამჭედლოდან (სადაც მუდმივი ცეცხლი ენთო) მოიტაცა ცეცხლი და ადამიანებს მისი მოხმარება ასწავლა. (პრომეთე ისე ძველი ღმერთია, რომ მისი კულტი ცეცხლის გამოყენების ცოდნასთანაა დაკავშირებული?)

პრომეთე, შვილი იაპეტისა (იაფეტისა?), არის დევკალიონის მამა. ჰელაზგიურ მითოლოგიაში დევკალიონი ბიბლიური ნოეს მსგავსად წარდგინდა გადარჩენილი მამამთავარია. იგი ყოველ წელს ჩადის კავკასიის კლდეზე მიჯაჭვული პრომეთეს სანახავად. (ეს ტომთა და კულტურათა უძველეს კავშირებზე მითითებაა?). დევკალიონის შთამომავალი დარდანი კორინთოს მეფე იყო. აქედან იგი ელინმა გააძევა და აიძულა დარდანელის სრუტით მცირე აზიაში შვილებთან ერთად გადასულიყო. აქ იგი თევკრების მეფე თევკროსს ჩაესიდა და საფუძველი დაუდო დარდანების მოდგმას. მის შემდეგ მეფობდა ვაჟი ერისთონი. ერისთონს ჰყავდა ილი და ტროსი. ილი იყო უშვილო და მეფობა დარჩა ტროსს, რომელსაც ეყოლა კლეოპატრა, ილი, ასარაკი და განიმედი. ამ ილის ვაჟი იყო ლაომედონი, ხოლო მისი მემკვიდრე პრიამე (ცნობილი ტროას მეფე და ომის მონაწილე).

ვარაუდის დონეზე შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთის მეფე აიეტი დარდანის ერთი ხაზის გამგრძელებელია (ერისთონი-ილი-მერმერო-აიეტი).

ვარაუდის რა საფუძველი არსებობს? ჰეროდოტე. ჰეროდოტეს გადმოცემით პარისმა (ალექსანდრემ), პრიამეს ვაჟმა, პირმშვენიერი ელენეს მოტაცებით შური იძია არგონავტებზე, რომლებმაც აიეტის ასული მედეა გაიტაცეს. არაა საჭირო იმის მტკიცება, რომ შურს მხოლოდ ახლობლის გამო იძიებენ. ამ ნათქვამს დაემატება მეორე, მინოსისა და პასიფაეს ქალიშვილ არიადნას მოტაცება თეზეის მიერ. პასიფაე ისეთივე ახლობელია ტროელებისა, როგორც აიეტი.

ნათქვამს კიდევ ერთი ელემენტი უნდა დავამატო. არგონავტების შვილები ტროას ომში ღებულობენ მონაწილეობას. გამოდის, რომ არგონავტთა ლაშქრობის დათარიღება შესაძლებელია ტროას ომის დათარიღების საფუძველზე. თუ ეს დავადგინეთ, ზევით ათვლა – როდის რა შეიძლება მომხდარიყო დიდ სიძნელეს აღარ შეადგენს.

მკვლევარებს შორის ტროას ომის დათარიღებაზე ერთიანი აზრი არ არის. ერთნი ფიქრობენ, რომ ტროა დაეცა ძვ. წ. აღ. 1183 წელს. მეორენი ამ თარიღს 1209 წლამდე სწევენ. აქედან გამომდინარე, არგონავტების კოლხიდაში ლაშქრობის თარიღად 1225 ან 1250 წლები მიიჩნევა. თვალსაზრისი მრავალია, დასკვნა არაზუსტია.

ამ დათარიღებას თუნდაც იმიტომ აქვს წუნი, რომ ძალზე ბევრ შეუსაბამობას შეიცავს: ჰომეროსის „ილიადა“-ს მიხედვით ტროას ომი ბრინჯაოს იარაღებით წარმოებდა. რკინა ჯერ კიდევ ცნობილი არ იყო. არა და ძვ. წ. აღ. XIII საუკუნეში რკინა საკმაოდ ცნობილი ლითონია. ტროელების წინააღმდეგ ომს აწარმოებენ სხვადასხვა ტომების წარმომადგენლები. მათ შორის დორიელები (ძირითადი ბირთვი ბერძენებისა) არ ჩანან. არა და ამ დროს ისინი ბალკანეთის ნახევარკუნძულს იპყრობენ. ამ დროიდან ხდება პელაზგიური მოსახლეობის თანდათანობითი გაქრობა და ბერძნულით შეცვლა. ტროას ომში აქაველები მხოლოდ აქილეუსის ტომელებად არიან წარმოდგენილი (მირმიდონელები). ჰომეროსი არაფერს ამბობს პელოპონესის ტომების აქაველობაზე, რომ აღარაფერი ითქვას კრეტელებზე. არა და მეცნიერთა მტკიცებით ძვ. წ. აღ. XVII-XVI საუკუნეებში პელოპონესში (მიკენი) უკვე აქაველები ბატონობენ. კუნძული კრეტა მათ XV ს. შუა ხანებში დაიპყრეს. შესაბამისად, შეუძლებელია ჰომეროსს ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილება ვერ შეენიშნა და „ილიადა“-ს შესაბამის ადგილას, სადაც ჩამოთვლილია რომელი ტომი რამდენი გემით მოვიდა ტროას დასალაშქრად, ეს ფაქტი არ აღენიშნა. მომხდურთა მთავარსარდალი ანუ მეფეთა-მეფე აგამემნონიც კი პელაზგია ან მინიელი, რაც საბოლოო ანგარიშით ერთი და იგივეა.

აგამემნონი და მენელა ოსი მცირე აზიელი, მეონის მითიური მეფის ტმოლოსის ჩამომავლებია. ტმოლოსის მემკვიდრე იყო მეფე ტანტალი (ტანტალოსი). ძალზე მდიდარი, ამაყი, მოუსვენარი. ღმერთებს ეჯიბრებოდა ყველაფერში, რის გამოც იგი ზევსმა შერისხა. ტროას მეფე ილიმ ტანტალის ვაჟი პელოპი მეონიდან (ქალაქ სიპილადან) გააძევა. დამარცხებულმა დიდი ქონება აიტანა გემებზე და საპელაზგიოში გაიქცა. აქ მან მუხთლობით ჩაიგდო ხელში მეფობა და ისე შეიძლო, რომ საპელაზგიოს ამ ნაწილს მისი სახელის მიხედვით პელოპონესი ეწოდა. მამას და პაპას ქცევით არც მისი ვაჟები ათრეი და ფიესტი ჩამოუვარდებოდნენ. მათ სიკვდილამდე მიიყვანეს დის ქმარი, მიკენის მეფე სფენელა. აქ ათრეი გამეფდა სიდის სიკვდილის შემდეგ. შურიანი ფიესტი ძმის ცოლს შეუჩნდა და მათ ერთად მოიტაცეს ძალაუფლების

სიმბოლო ოქროს საწმისიანი ვერძი, მაგრამ მეფობა ვერ წაართვეს. ამის შემდეგ ძმები მხოლოდ იმის ცდაში იყვნენ თუ რით ეძიათ ერთიმეორეზე შური. ათრეის ვაჟები იყვნენ აგამემნონი და მენელაე. შურისძიებას გარიდებულებმა მათ სპარტის მეფე ტინდარეს შეაფარეს თავი. აქ აგამემნონმა მეფის უფროს ქალიშვილს ქმარი მოუკლა, შვილი გაუგლო და ქერივი ცოლად შეირთო. შემდეგ სიმამრის ჯარით მიკენის მეფობა წაართვა ბიძას. მეორე ძმა მენელაემ ტინდარეს უმცროსი ქალიშვილი ელენე მოიყვანა ცოლად და მისი ქმრობით გახდა სპარტის მეფე. ხოლო, როცა ელენე პარისს გაჰყვა ტროაში და თან სამეფო განძი გაიყოლა, მენელაეს სხვა გზა არ ჰქონდა, ან ელენე უნდა დაებრუნებინა ან სხვისი სამეფო მიეტოვებინა.

ჰომეროსი „ილიადა“-ში აღწერს რა ომს ტროას წინააღმდეგ არსად არ ამბობს ბერძენთა ხელმძღვანელობაზე, აგამემნონის ბერძნობაზე. მეცნიერების თვალსაზრისით, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ბერძნული ენა ძვ. წ. აღ. XIV საუკუნიდან იკიდებს ფეხს, ხოლო პელაზგიური, ზოგის თქმით არაბერძნული IV საუკუნემდე ინარჩუნებს არსებობას. თვითონ აგამემნონის წინაპარ პელოპსზე, თუკიდიდე (ბერძენი ავტორი) „ისტორიაში“ აღნიშნავს, რომ პელოპონესის დამაარსებელმა პელოპსმა ძალაუფლება იმ სიმდიდრის წყალობით დაიმკვიდრა, აზიიდან რომ მოიტანა ღარიბთა ქვეყანაში.

ყოველივე იმიტომ იყო თქმული, რომ წამკითხველი დარწმუნებულიყო: ტროას ომის თარიღი, შესაბამისად არგონავტების ლაშქრობის და აიეტის კოლხეთის არსებობის პერიოდი ჯერ კიდევ დასადგენია. უხეში დაანგარიშებით ყოველივე ძვ. წ. აღ. XV საუკუნეზე ადრე უნდა მომხდარიყო, მაგრამ ვერ გასცილდებოდა ძვ. წ. აღ. II ათასწლეულს, რამდენადაც თარგამოსის მემკვიდრეთა შორის მისი სამფლობელოს გაყოფა III ათასწლეულის დასაწყისში მოხდებოდა.

წიგნი პირველი

წარსულის კვლევა კომპლექსურ მიდგომას საჭიროებს. მხოლოდ წერილობითი ან მატერიალური ძეგლების შესწავლა საკითხს ვერ ამოწურავს. ბოლო ხანებში ეთნოგენეზის კვლევის ერთ ძირითად მიმართულებად ენის ლინგვისტური ანალიზი იქცა. კვლევის ეს მეთოდი ძალზე პერსპექტიულია, მაგრამ დღეისათვის დაუსვეწავი. ინდოევროპული, სემიტური, იაფეტური ენების ერთი ფუძე ენის არეალი და დაყოფის დრო ღრმა ანალიზს მოითხოვს. ასევე მეტი ჩაღრმავება საჭირო, როცა ლინგვისტები ამტკიცებენ, რომ ძვ. წ. აღ. მესამე ათასწლეულისათვის, მტკვარ-არაქსის კულტურის დაცემის დრონისათვის, კავკასიის არეალში იაფეტური ფუძე ენა უკვე დაყოფილი იყო სამ მიმართულებად: დღევანდელი ტერმინოლოგიით, ქართველურ, ადიღურ და ნახურ-დაღესტნურად. ამას ემატება ის რეალობა, რომ თვითეული მათგანი შემდეგ ფუძე ენებად ჩამოყალიბდა და დაიყო ტომთა სიმრავლის მიხედვით.

ძალზე პერსპექტიული და საშურია ცალკეული კუთხეების დიპლექტების კომპლექსური შესწავლა. გლობალიზაციის პროცესი უეჭველად დაღს დაასვამს და რიგ შემთხვევაში წაშლის კიდევ ფუძე ენების გააზრების შესაძლებლობას.

ენობრივი სიახლოვე და რიგ შემთხვევებში დამთხვევები ჯერ კიდევ არ იძლევიან დასკვნების გაკეთების საშუალებას. შუემრული და კავკასიურ-იბერიული, ხათური და სვანური ენობრივი, თუნდაც რიტუალური სიახლოვე გარკვეულ კავშირებზე მიუთითებენ, მაგრამ მეცნიერული დასაბუთების საფუძველს ვერ ქმნიან.

უძველესი დამწერლობითი ცნობა ქართველების ეთნოგენეზის ტომების შესახებ სარგონ I (2334-2284 წწ.) პერიოდს ეხება. ნათქვამია, რომ სარგონმა 2300 წ. ძვ. აღ. იომა ჩრდილოეთიდან შემოჭრილ ტომებთან. ვინ იყვნენ ეს ტომები ამ ცნობიდან არ ჩანს, მაგრამ შემდგომი დრონის ცნობები მხოლოდ ორ გაერთიანებას ასახელებს. ამ მხრივ პირველ რიგში კვლავ ბიბლიური მონაცემებია აღსანიშნავი. ბიბლიურ-მითოლოგიური თუბალი და მეშენი შემდეგში არაერთგზის იხსენიებიან, როგორც ისტორიულად არსებული თუბალ-ტაბალ-იბერები და მუშქი-მუსკი-მესხი.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ქართველთა ეთნოგენეზის ბიბლიური ვერსია მყარად ფუძს მხოლოდ

ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ იკიდებს, მაგრამ ამიტომ ამ მტკიცებას უნდობლობა არ შეიძლება გამოეცხადოს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბიბლიის ეს ნაწილი ისტორიულ რეალობას ასახავს და მეორე, შემდგომი დრონის ისტორია ამ მტკიცებას (ტომთა ორი დიდი გაერთიანების შესახებ) ძვ. წ. აღ. მეორე ათასწლეულიდან მოყოლებული, არაერთგზის ადასტურებს.

ბიბლიის ამ დებულების თანახმად, ასურეთის სამეფოს დამაარსებელ სარგონ I, ძვ. წ. აღ. 2300 წ. ომი შეიძლება ჰქონოდა თობალ-ტაბალებთან (ასურულად). უფრო ნაკლებ სავარაუდოა მოსოხ-მუსეკებთან (ასურულად), რომელნიც ბევრად უფრო დასავლეთით მოსახლეობდნენ.

ბიბლიურ ცნობებზეა აგებული ქართული ვერსია იაფეტის შთამომავალ (IV თაობაში) თარგამოსის მიერ საქალდეველოს ტერიტორიებისა და ტომების შვილებისათვის განაწილების შესახებ. უკვე აღინიშნა, რომ ეს გაყრა თარგამოსიანელებისა, უკიდურეს შემთხვევაში ძვ. წ. აღ. III ათასწლეულს განეკუთვნება.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ მკვლევართა გარკვეული ნაწილი უნდობლად ეკიდება მროველის მიერ თარგამოსიანელთა არსებობისა და მათ მიერ საქალდეველოს გაყოფის აღწერილობას. ერთნი მიიჩნევენ, რომ მროველმა თავისი ვერსია შექმნა, რათა საქართველოს მიერ მეზობელი ქვეყნების მიერთება იდეოლოგიურად გაემართლებინა. მეორეთა აზრით მროველი ტენდენციურია, პროსომხური ავტორია და სომეხ ისტორიკოსთა გავლენით აღწერს ყოველივეს. მესამენი მიუთითებენ წერილობითი წყაროების არ არსებობაზე.

მროველს რომ თავად გამოეგონა თარგამოსიანელთა ერთობის საკითხი, იმისათვის, რათა ქართველების გარშემო სხვა ერთა შემოკრება გაემართლებინა, საკითხავია, რატომ მიანიჭებდა უპირატესობას არაქართველ ჰაო-ს (ჰაიკს სომხურად) ან, და რატომ გამოტოვებდა სკვით ალანებს (ოსებს), შირვანელებს, აფხაზებს და ა. შ. უეჭველია მას ჰქონდა წერილობითი წყარო, რომელიც დღევანდლამდე მაინც უცნობია. შესენებისათვის უნდა ითქვას, რომ ქრისტიანობა ბრძოლით, იძულებით დამკვიდრდა და შესაბამისად მანამდე არსებული ბევრი რამ გაანადგურა. მათ შორის არ უნდა იქნეს მივიწეებული ისტორიული ცნობა „უწმინდური“ წიგნების შესახებ. ისარგებლა თუ არა ლეონტი მროველმა რომელიმე „უწმინდური“ (არაქრისტიანული) წიგნით, არაა ცნობილი, მაგრამ თუ გათვალისწინებული იქნება გაყრის ის დეტალურობა რაც მის მიერაა მოცემული, შეიძლება დადებითი პასუხის გაცემა. ყველაფერს

გარდა, ცნობილია, რომ საქართველოს მეფეები თავს უწინარეს აფხაზთა მეფეებს უწოდებდნენ. რა მოტივით გამოტოვებდა მროველი აფხაზებს, რატომ არ მიაკუთვნებდა მათ თარგამოსის შვილებს?

ეგება არ ჰქონდათ ქართველებს ქრისტიანობამდე დამწერლობა? მაშინ რა ვუყოთ ბერძენ ავტორთა ცნობას იმის შესახებ რომ კოლხებს ჰქონდათ „კორიბიშები“, ტყავზე ნაწერი და ნახაზი დოკუმენტები, რომლებზეც არა მხოლოდ ეწერა, არამედ გამოსახული იყო ზღვა და მდინარეები. რა ვუყოთ ცნობას იმის შესახებ, რომ ძვ. წ. აღ. VIII ს. ფრიგიაში იყო ანბანური დამწერლობა, რომელიც მუშქებმა ფინიკიიდან შემოიტანეს. რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ სემიტურ და ბერძნულთან შედარებით ქართული ბგერათა სისტემა უფრო სრულყოფილია და ასევე ასოთა სისტემაც. რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ დავათის სტელაზე ამოტვიფრული ანბანი ქრისტიანობამდეა. და ბოლოს რა ვუყოთ იმ გადმოცემას, რომ ძვ. წ. აღ. IV ს. ფარნავაზ მეფემ ახლებურად გააწყო ანბანი. როგორ მოხდა, რომ ფინიკიელებისაგან მუშქების მეშვეობით აღებული დამწერლობა ძველმა ბერძნებმა მსოფლიოში განავრცეს, კავკასია კი გამოჩნდა? კითხვა მრავალია, პასუხია ძვ. წ. აღ. III ს. პოეტი აპოლონიოს როდოსელი: „კოლხებს დღემდე შემონახული აქვთ თავიანთი მამათაგან ნაწერი კირბები, რომლებზედაც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი“. როცა შენი უკეთესია, სხვისა აღარ გინდება.

მსოფლიო ავტორიტეტის მქონე მეცნიერ ა. აინშტაინს კითხვაზე, რას იტყოდით ექსპერიმენტმა, თქვენი დებულების სისწორე რომ არ დადასტუროს? უპასუხია: მე დასკვნები ლოგიკური აზროვნების საფუძველზე მაქვს გაკეთებული. თუ ექსპერიმენტი მის სისწორეს სადაოს განდის, ნიშნავს ექსპერიმენტი მცდარია. ასეთია ლოგიკის ძალა.

ლეონტი მროველის მიერ მოცემული საქალდეველოს განაწილების სურათი ისე ზუსტია, რომ შეუძლებელი იქნებოდა მისი ასახვა წერილობითი წყაროს უქონლად. განა ვინმემ დაამტკიცა, რომ ჰომეროსს გემთა კატალოგის გადმოცემისას წერილობითი წყარო ჰქონდა? მაგრამ ისეთი დეტალებითაა ყოველივე მოცემული, რომ ასეთი დასკვნა ლოგიკური ხდება. ასევე ლოგიკურია, რომ მროველი 3 (სამი) ათასი წლის შემდეგ ვერ შეძლებდა თითოეული შვილის კუთვნილი საგამგებლოს საზღვრების ზუსტ აღწერას, წერილობითი წყარო რომ არ ჰქონოდა.

რაც შეეხება მროველის პროსომხურობას. ძვ. წ. აღ. III ათას-

წლეულში სომხობა არ არსებობდა. თარგამოსის უფროსი ვაჟი ჰაოსი ისეთივე თობელი (ტაბალი, თაბალი, იბერი, სასპერი-სახელწოდება იცვლებოდა, ერი რჩებოდა) იყო, როგორც მისი ძმები. შესაბამისად მას კანონიერად მიეკუთვნა მამის სამფლობელოს საუკეთესო ნახევარი. რაც შეეხება სომხებს (არმიანებს), სომეხ ისტორიკოსთა მტკიცებით ეს ერი ყალიბდება ძვ. წ. აღ. VIII–VI საუკუნეებში. მროველი თარგამოსიანელთა გაყრისას გულისხმობდა თარგამოსის უფროს ვაჟს ჰაოს და არა სომეხ ერს, რომელიც კიმერიელებთან თობალების ნაწილის შერევის შედეგად ჩამოყალიბდა, თობალებს ჩამოსცილდა, დაუპირისპირდა, მაგრამ მახსოვრობაში დარჩა, რომ მათი ნაწილი ჰაოსის ჩამომავალია და თვითონაც ჰაოსის მიწებზე ცხოვრობენ. მროველი რომ პროსომხური ისტორიკოსი ყოფილიყო, არ აღნიშნავდა, რომ ჰაოსა და ქართლოსის სამფლობელოების საზღვარია მთაგრეხილზე, საიდანაც გამოძინარე წყალი მტკვარს უერთდება და მდ. არაქსს მისდევს.

უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის ცნობა, რომ ქართლოსს და მის მიერ მოყვანილ ქართვეს (კარდუხთა ნაწილს) აქ მცხოვრები მთის იბერები დახვდნენ. ქართ-ოსი (ქართლოსი) მივიდა ადგილს „სადა შეერთვის არაგვ მტკუარსა, და განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა შინა ეწოდების არმაზი და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისი თვისისა ქართლი.“

მოსულებს გარკვეული წინააღმდეგობა გაუწიეს მონათესავე, მაგრამ მაინც გაუცხოების გზაზე მდგარმა ტომებმა, რომლებსაც ისტორია მთის იბერებს უწოდებს. ქართ (კარდები), ბარის იბერები, განსხვავებულდნენ მთის იბერებისაგან. მკვლევართა აზრით მთისა და ბარის იბერებს შორის საზღვარი ასე გამოიყურება: წილკანი (წინ კარი?), მეჯვრისხევი, ქარცხინვალი, წობენი, ფხვენისი, საქართლის ციხე. მთის იბერთა შორის მოიაზრებიან ფხოველები, ჭართლელები, დვალები, წანარები. მათ შორის უნდა იგულისხმებოდნენ კავკასიის მთებს გადასული ტომები, რომლებიც კავკა-სოსის ხელმძღვანელობით იკავებენ ტერიტორიებს „ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულამდე კავკასისა, დასავლით.“ მროველის ეს ცნობა თარგამოსიანელთა მიერ ლომეკიდან (მდ. თერგი) შავ ზღვამდე ტერიტორიების დაკავების შესახებ კავკონების (მთის იბერების) ტომთა სიმრავლესა და სიძლიერეზე მითითებაა.

ლეკანისა და კავკასის მიერ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიების

ათვისება იმ პერიოდს ეხება, როდესაც იქ რამდენიმე ცნობილი ტომები არა სახლობენ. დღეს მდ. თერგის დასავლეთით და დვალეების ტერიტორიაზე მცხოვრები ოს-ალან-სკვითები, იმ დროს „ზღვა-მდინარის“, ვოლგის აღმოსავლეთით მოსახლეობდნენ. მათი შემოჭრა კავკონთა (კავკასოსის) საცხოვრებელ არეალში ძვ. წ. აღ. VIII ს. უნდა განეკუთვნებოდეს, როდესაც კიმერიელების დიდი ტალღა კოლხეთის გავლით შეიჭრა წინა აზიაში, ხოლო სკვითების ტომები დარუბანდის გზით გამოჩნდნენ ურარტუს სამეფოს მიდამოებში. მაშინ უნდა მომხდარიყო ირანული წარმოშობის ალანთა მიერ კავკონების განდევნა ნაწილობრივ თერგის აღმოსავლეთით (ვანინახები) და დასავლეთით (ძიგებ-ჯიქები, ჩერქეზები). დასავლეთის ნაწილს მოგვიანებით თურქულენოვანი ყარაჩაელები და ბალყარელები ავიწროებენ და უსახლდებიან.

ლექოსიანები იძულებულნი ხდებიან კავკასიანებს საცხოვრებელი არეალი დაუთმონ მდ. ლომეკის (მდ. დერგის, თერგის) აღმოსავლეთით. მათგან ჩრდილოეთ მხარეს მყარად იკავებენ მომხდური ტომები. ხანგრძლივი ურთიერთობა ბუნებრივად ბადებს საერთო ნიშნებს. ამიტომ იტყოდა სტრაბონი: მთის იბერები სარმატების მონათესავენი არიანო.

ზედმეტია განმარტება, რომ „თარგამოსის შვილთა“ სახელები სინამდვილეში არსებულ ტომთა გაერთიანებათა სახელწოდებების ასახვაა, რეალობის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემაა.

ტომების გამრავლება, ტომთა შიგნით მოსახლეობის ზრდა იწვევდა მათ გაყოფა-გაყრას და მიგრაციულ პროცესებს. სხვანაირად ძნელი ასახსნელია ჰერების მოსახლეობა კავკასიაში და ვანის ტბის სამხრეთით, ქართების (კართუხების) ცხოვრება დღევანდელ ქართლში და ურმიის ტბის ჩრდილოეთით. კავკონთა (კავკასიანთა) მკვიდრობა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ულუმბოს (ოლიმპოს) მთის კალთებზე, მცირე აზიაში და კავკასიაში. სწორედ კავკონებმა მისცეს სახელი მთაგრეხილს, რომელსაც კავკასიონი ეწოდება.

ლეონტი მროველის ისტორიული ცნობიდან დასაზუსტებელია ეგროსის (ეგრისელთა) რაობის საკითხი. ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის იქით ნაწილობრივ აღმოსავლეთ საქართველოში და დასავლეთში რიონს (ფაზისს) ჩრდილოეთით ფიქსირდება სვანური ტოპონომიკა და უნდა ვივარაუდოთ მათი მატარებელი მოსახლეობა. სვანები დიდ ტერიტორიას ფლობდნენ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში და არ შეიძლება ეს არეალი ერთ ტომს (სვანებს) აეთვისებინოთ. ისტორიაში შემორჩე-

ნილია დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სანიგების ტომის სახელწოდება, მათ ჩრდილოეთით სხვათა შორის აქაველების და დღევანდელი ლეჩხუმის მიდამოებში სუანების ტომების სახელწოდებები. ვინ იყვნენ ისინი? რატომაა მათ ტერიტორიებზე ერთნაირი წარმომავლობის ტოპონომიკა?

მკვლევართა ერთ ნაწილს დადასტურებულად მიაჩნია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მდ. ყუბანამდე ფართედაა დღესაც შემორჩენილი სვანური ტოპონომიკა. ჩერქეზ-ადიღეველთა ენობრივი მონაცემები ბევრ რამეს უწოდებენ სვანურ ქედს, მდინარეს, ტყეს, სამოსახლოს. სვანური წარმოშობისად მიაჩნიათ იქ არსებული დოღმენები. არაკავკასიური ეპოსი კი ძვ. წ. აღ. VII ს. ჩნდება ჩრდილო კავკასიაში.

სვანთა მონათესავე ტომთა სიმრავლე სავარაუდოს ხდის მათი გაერთიანების და გაერთიანების სახელწოდების არსებობას. საკმარისია მიეთითოს სტრაბონის ცნობაზე, რომლის თანახმად სვანებს შეეძლოთ 200 000 მეომრის გამოყვანა, რომ სვანთა გაერთიანებას 300 კაციანი საბჭო მართავდა.

რა გაერთიანება შეიძლება ჰქონოდა სვანურ ენოვან ტომებს? ისტორია ამ არეალში აფიქსირებს სახელწოდებას ჰენიოხები. დღეს ჰენიოხებობაზე პრეტენზიას მრავალი აცხადებს, მაგრამ რეალურად ვინ შეიძლება იგულისხმებოდეს ამ გაერთიანების ქვეშ?

პირველ რიგში უნდა გამოირიცხონ ის ჩრდილოეთ კავკასიელი ტომები, რომელთა გამოჩენა-არსებობა ისტორიამ მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვით დაასახელა. ასევე უნდა გამოირიცხონ თურქულენოვანი ტომები, რამეთუ ძველ წელთა აღრიცხვისას ისინი არ არსებობდნენ ამ არეალში. უნდა გამოირიცხონ ის ტომებიც, რომლებიც ამ არეალში არსებობენ, მაგრამ იხსენიებიან რამდენიმე ათასწლეულის შემდეგ. ძველ აღმწერელთა მრავალსაუკუნოვანმა თაობებმა თუ ამ არეალში რომელიმე ტომის არსებობა არ დააფიქსირეს, როგორ შეიძლება მათი პრიორიტეტების ან პრეტენზიების საფუძვლიანობის აღიარება თანამედროვე პერიოდში.

იყო დრო, როდესაც ადამიანს სიკვდილი ერჩია სიცრუის თქმას. თანამედროვეობამ არარაობად აქცია ეს მორალური პრინციპი. ალოგიკურობა ლოგიკურობად გადაიქცა და არაკაცობა კაცობად. მაგრამ ხომ არის სიმართლეც?

სიმართლე გვეუბნება, რომ მონიშნულ არეალში (ეგროსის წილ

ქვეყანაში), რომლის მონაცემები ლეონტი მროველს ასე აქვს დახასიათებული: „ხოლო ეგროსს მისცა ქუეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი, აღმოსავლეთით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვან ლიზი, დასავლით ზღვა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგროს ალაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი, აწ მას ადვილსა ჰქვიან ბელია.“

უფრო ზუსტად გეოგრაფოსი და ისტორიკოსი ვერ იტყოდა 3 ათას წელზე მეტ წინანდელ ამბავს. დღეის გადასახედიდან, 5 ათას წელზე მეტი ხნის მოვლენის გადმოცემა (მინიმუმ 5 ათასი) პრაქტიკაში არ გვხვდება. რის მიხედვით შეიძლება მსჯელობა იმ დროს მოსახლე ადამიანთა ეროვნებაზე? არქეოლოგია, ტოპონომიკა, წერილობითი ან ზეპირი გადმოცემები. ყოველივე სვანურ ენოვან მოსახლეობას უკავშირდება.

პრინციპული მნიშვნელობა აქვს თავად სახელწოდებას ჰენიოხები. საიდან გამომდინარეობს ეს სახელი? გათვალისწინებული უნდა იქნეს ის, რომ მომდევნო ხანაში (ძვ. წ. აღ. II ათასწლეული) ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები იხსენიებენ მეფე აიეტს, რომელიც ტრადიციით ღვთის შვილი იყო. აიეტი ჰელიოსის (მზის ღმერთის) ძედ იხსენიება. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ჰელიოსის ძე აიეტი უძლიერესი ქვეყნის მეფეა. ის ერთდროულად ფლობდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე კორინთოს, სიმონიდეს, დელფოს და კავკასიაში დასავლეთ საქართველოს, აიას ქვეყანას. იონელების ზეობის ხანაში იძულებული გახდა საბოლოოდ კავკასიაში დამკვიდრებულიყო. იძულებითი მიგრაციის დროს ბუნებრივია იგი თან თანატომელებს, კორინთელებს (შემდეგში კოლხებს) წამოიყვანდა. იმ დროიდან უნდა იგულისხმებოდეს კოლხთა დამკვიდრება სვანურენოვანი ტომებით დასახლებულ არეალში შესაძლებელია საერთო სახელწოდება ჰენიოხებიც იმ პერიოდში დამკვიდრებულიყო. თუ საყოველთაო ტრადიცია მეფეს რომელიმე ღმერთის შვილად აღიარებდა, რა საკვირველია თუ აიეტი თავს ჰელიოსს (მზის ღმერთის) შვილად გამოაცხადებდა და ამით ჰელიოსებზე ბატონობას განიმტკიცებდა.

საფიქრებელია, რომ უძველესი ბალკანური ტომები კავკონები და ჰელიოხები (ჰენიოხები) კავკასიის პირველ მოსახლეებს წარმოადგენდნენ. სვანური, ადიღური, ვაინახური, დაღესტნური კვალი მტკვარ-არაქსის კულტურასა და შემდგომში ხეთის იმპერიის ფარგლებშიც მოიაზრება. უშედეგოდ არაფერი ხდება. არაფრიდან არაფერი წარმოიშობა.

ისტორიული წყარო, რომელიც პელაზგურ-ლაზური ტომის ჰენიოს-სვანურ ეგროსელთა არეალში გადმოსახლებას დაადასტურებდა, არ არის. არის ფრთხილი ვარაუდი. კავკასიაში ერთი-მეორეს სვდება და ერწყმის ორი კულტურა აღმოსავლურ-შუმერული და დასავლურ-პელაზგიური. ეს ასახვას ჰპოვებს ადგილობრივ ტომთა ცხოვრებისა და აზროვნების ნირზე. მკვლევართა ნაწილს მიაჩნია, რომ კავკასია და წინა აზია ის არეალია, საიდანაც დასავლეთით ხდება მიგრაცია და არა პირიქით. ეს სპეციალური ანალიზის საგანია. ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ აქ ხდება ორი ცივილიზაცია, რომელიც საერთო კავკასიურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ლოგიკურია, რომ კულტურათა გავრცელება ადამიანთა მოგზაურობა-მიგრაციებთანაა დაკავშირებული. სხვანაირად ვერც შუმერული ელემენტები გაჩნდებოდა კავკასიაში, ვერც კრეტისა და კოლხეთის ურთიერთობაზე იქნებოდა მსჯელობა და არც ისტორია იქნებოდა ასეთი.

ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის იქით არავითარი წერილობითი ცნობები არ მოიპოვება. ფიქსირდება მხოლოდ ის, რომ აქ დამკვიდრებულ ტომებს ბრძოლით მოუპოვებიათ საცხოვრებელი არეალი. ბრძოლა ჰქონიათ კასპიებთან და ჰირკანებთან. ვინ იყვნენ ისინი? მონათესავე, იაფეტური თუ სხვა მოდემის ტომები? რამდენადაც არქეოლოგია დაბეჯითებით ამტკიცებს ამ ტერიტორიებზე კულტურის განვითარების უწყვეტობას, სავარაუდებელია, რომ ისინი მონათესავე ტომები იქნებოდნენ.

ძველი წელთა აღრიცხვის მესამე ათასწლეულის დასაწყისისათვის და მეორეს დასასრულისათვის აღინიშნება დიდი ცვლილებები რაც მიგრაციულ-პოლიტიკურ პროცესებთან უნდა იყოს დაკავშირებული. საპელაზგოში (პელაზგისში) იაპეტის (მკვლევართა ნაწილის აზრით იაფეტის) თაობის ღმერთებს ცვლიან მესამე თაობის ღმერთები ზევსის მეთაურობით. ახალი თაობის ღმერთები მისულები არიან კუნძულებიდან: კრეტა, კვიპროსიდან და მცირე აზიიდან. პარალელურად პე-ლაზ-გებს შორის ჩნდება იონიურ-ეოლური ელემენტები. ასევე, არა იაფეტური (არა პე-ლაზ-გური) ელემენტები ჩნდება მცირე აზიაში.

მკვლევართა შორის არავენ დაობს იმ ფაქტზე, რომ არც ბიბლიაში, არც ძველ ბერძნულ, ეგვიპტურ, ასურულ წყაროებში არაფერია ნათქვამი ხათი-ხეთების შესახებ. მიზეზი ამოუხსნელია. არა და არქეოლოგია მტკიცედ მიუთითებს მცირე აზიაში არსებულ კულტურაზე. კაპადოკიაში მოპოვებული ფირფიტები, ხეთური ლურსმული დამწერლობის ძეგლები

ისეთი ფაქტია, რომელსაც ახსნა ესაჭიროება. რამდენად სწორედია ამოხსნილი? რამდენად მართებულადაა წაკითხული? რამდენ სიმართლეს შეიცავს ესა თუ ის მტკიცება? სადაო ბევრია.

უდაო მხოლოდ ისაა, რომ ამ არეალში აღმოცენებული სახელმწიფო გვერდს ვერ აუვლიდა იაფეტური მოდემის ტომთა გაერთიანებას, მათ მონაწილეობას პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებში. თუ ხეთების მეფე თელიფინუ სახელმწიფოს ძლიერებას შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე განავრცობს, ბუნებრივია იგი იქ მცხოვრებ ტომებსაც შეიერთებდა. თუ მეფე ხათუსალიმ დედაქალაქი სამხრეთით გადაიტანა და ქალაქს ხათუსა უწოდა, ცხადია იგი სამხრეთის დაპყრობას ესწრაფვის. მისმა მეგვიდრე მურსილიმ ძვ. წ. აღ. 1595 წ. აილო კიდევ ბაბილონი და უშუალოდ ეგვიპტეს (კემეს ქვეყანას-ბერძნულად) დაუპირისპირდა. ხეთის ძლიერება ძვ. წ. აღ. XIII საუკუნეში ე. წ. ზღვის ხალხების შემოსევამ მოსპო.

ხეთის სამეფო ისეთი მოვლენაა, რომელიც ჯერ კიდევ საჭიროებს დიდ ძალისხმევას. ამ შემთხვევაში კი აღსანიშნავია, რომ იგი მდებარეობდა მოსოხ, მეშეხ, მუშქი, მუსკების მუდმივი საცხოვრებლის არეალში და თუ მეცნიერთა აზრით, ხეთურ ენაში ინდოევროპული ელემენტები შეინიშნება ან გნებავს ჭარბობს, ეს მესხთა წინაპრების დამსახურებას ოდნავადაც ვერ ამცირებს.

მეცნიერთა შორის დღესაც არაა ერთობა მეშეხი-მუშქი-მუსკის მესხებთან გაიგივების საკითხში. ქართველ მკვლევართა წარმატებული ძალისხმევა ყოველთვის გაგებით არაა მიღებული.

რატომ უნდა მომხდარიყო, რომ მეზობელი სახელმწიფოების წერილობით ძეგლებში ხეთა და ხეთების ისტორია არ აისახა? ბიბლიასთან მიმართებაში შეიძლება ორი გამართლება მოიძებნოს: 1. ბიბლია აღწერს უძველეს დროს, უძველეს ტომებს ჩამოთვლის და მაშინ ეს სახელმწიფო არ არსებობდა; 2. ბიბლია ასახელებს მეშეხს (ასურულად მუსკი, ბერძნულად მესხი). ტომთა ეს გაერთიანება ძალზე დიდ ტერიტორიას ფლობდა, სიძლიერით გამოირჩეოდა და მისი ხსენება ყოველივეს მოქმედია.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იოსებ ფლავიოსი, რომელიც აღნიშნავს, რომ მეშეხი კაპადოკიელთა წინაპარიაო. კაპადოკია კი ძალზე ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, სადაც ხეთების სახელმწიფო ივარაუდება.

ძველ ბერძნებთან მიმართებაში საკითხი სხვაგვარადაა. იგი და-

კავშირებულია თვით ბერძნების, მათი ცივილიზაციის ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დამკვიდრებასთან.

რამდენად იყვნენ აქველები, იონელები თავდაპირველად მისულნი საპელაზგოში ბერძნულენოვანი ტომები? საიდან მივიდნენ ისინი? საკითხი სულაც არ არის საბოლოოდ გარკვეული. გარკვეული მხოლოდ ისაა, რომ საპელაზგოში დორიელთა მიხდომა-გაბატონება განეკუთვნება მოგვიანებით პერიოდს და ემთხვევა „ზღვის ხალხების“ ამოდრავებას თუ არ იწვევს მას. ზღვის ხალხებმა დაამხეს ხეთის სიძლიერე და ძველბერძნული (ვიტყოდი დორიული) ცივილიზაციის ჩამოყალიბების დროს ეს სახელმწიფო აღარ არსებობდა.

აღავლენდნენ დამარცხებული ბაბილონელები და ეგვიპტელები მათი საძულველი მტრის სიდიადეს თუ დამარცხებას გამარჯვებულად წარმოიდგენდნენ? ვინ იცის. მეცნიერებამ შეიძლება მომავალში მოუძებნოს ახსნა ამ მოვლენას.

აქვე ხაზი უნდა გაესვას ი. ფლავიოსის დებულებას კაპადოკიელთა წარმომავლობის შესახებ. ეს უაღრესად საყურადღებო ცნობაა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კაპადოკიური კულტურა განსაცვიფრებელია; მეორეც, კაპადოკიელი იყო წმინდა გიორგი, ზაბილონი, წმინდა ნინო. როდესაც გადაწყდა ქრისტიანობაზე მოსაქცევად მქადაგებელთა მივლინების საკითხი, წმინდა ნინო სავარაუდოა ენის სიახლოვის, ცოდნის მხრივაც იქნებოდა შერჩეული თუბალ-ტაბალ-იბერებში წამოსასვლელად.

მუშქების გარდა სხვა იბერიულ-კოლხური ტომებიც უნდა ყოფილიყვნენ ხეთის გაერთიანებაში შესულნი. ძველი ბერძენი ავტორები არაერთგზის ჩამოთვლიან მათ. იმპერიის დანგრევამ ყველას დამოუკიდებლობისაკენ გზა გაუხსნა. ლოგიკურია, რომ დაიწყებოდა ბრძოლა. პირველობისათვის. ისტორია ადასტურებს მრავალი, შედარებით მცირე სამეფოს არსებობას.

ძველი წელთა აღრიცხვის 1100 წ. ასურეთის მეფე ტიგლათ-პილესარ I (1115-1077) აღნიშნავს „მუშქების 5 მეფის“ შესახებ. ნათქვამია, რომ თავისი სიძლიერით მოქადულე 20 000 მუსკი ხუთი მეფის სარდლობით, რომელნიც მანამდე დაუმარცხებლნი იყვნენ, კუმუხში ჩამოვიდნენ და ქვეყანა დაიპყრესო. მკვლევართა დაანგარიშებით ამ დროს ცენტრალურ ანატოლიაში მათ მძლავრი სახელმწიფოებრივი გაერთიანება აქვთ და ცდილობენ სირიის დაბლობისაკენ გაჭრას. მეფე ტიგლათ-პილესარ I ცდილობს მუშქების განდევნას, რომლებმაც ძვ. წ.

აღ. 1165 წ. დაიკავეს მესოპოტამიის ალზის და ფურულუმზის ტერიტორიები, ხოლო 1115 წ. კუმუხის (კათუმხის) მიდამოები.

ცნობა მწირია, მაგრამ ბევრის მეტყველი. ჯერ ერთი: რატომაა, რომ ისტორიული წყაროები ხეთის იმპერიის შესახებ სდუმან, ხოლო მუშქების ლაშქრობაზე არა. რატომ? ხეთის იმპერიის არსებობისა და ისტორიის პრობლემა ჯერ კიდევ შესასწავლია. და არა მხოლოდ მისი. მკვლევართა შორის ძალზე ბევრია სადაო ამა თუ იმ წარწერის ამოხსნის მართებულობაზე. იმის მიხედვით ვინ როგორ წაიკითხავს ან განმარტავს რაიმე სიტყვას, მასზე დაყრდნობით არ არსებული სახელმწიფოს საკუთარ წარსულად გამოცხადება ბევრი ეროვნების მკვლევარს სჩვევია. მაგალითები ე. წ. ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლად ყრია. მათი გახსენება მიზანშეუწონავია რათა არ ეწყინოთ ძვირფას მეზობლებს. მეორეც, როგორ შეიძლება არსებულიყო მძლავრი იმპერია, ეარსება მრავალი საუკუნის მანძილზე, დაემარცხებია ეგვიპტის ფარაონი კადეშთან ბრძოლაში ძვ. წ. აღ. 1312 წ. და ყოველივე არ შემონახულიყო თუნდაც მითოლოგიის სახით.

ტიგლათ-პილესარ I-ის ეს ცნობა არაორაზროვნად მიუთითებს მუშქების მრავალი სამეფოს არსებობაზე. რამდენი სამეფო ჰქონდათ? მოსახლეობის და მეომართა რა რაოდენობას აერთიანებდა? რა სიდიდისა იყო მათ მიერ დაკავებული ტერიტორია თუ ისინი ჩრდილოეთით პონტოს (სპერის, შავ) ზღვას უწევდნენ, სამხრეთით კი სირიის დაბლობის დაკავებას ცდილობდნენ. რა სიძლიერის მფლობელები იყვნენ მუშქები თუ ისინი მძლავრ ასურეთსაც დაუმარცხებლად მიაჩნდა?

კითხვები არაა რიტორიკისთვის. მკვლევართა მიერ მიღწეული წარმატების მიუხედავად პასუხი მაინც არ ჩანს.

ტიგლათ-პილესარ I-ის აღნიშნული წარწერა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ქართველთა ეთნოგენეზის კუთხით. ასურეთის სამეფოს ფუძემდებელი სარგონ I ძვ. წ. აღ. 2300 წ. მიუთითებს ჩრდილოეთიდან შემოჭრილ ტომებთან ბრძოლის ფაქტზე, მაგრამ არ ასახელებს რა ტომებია ისინი. მხოლოდ ლოგიკური დასკვნის სახით ივარაუდება, რომ თუბალები უნდა ყოფილიყვნენ. ასურეთის ჩრდილოეთით ისინი მოსახლეობდნენ. ტიგლათ-პილესარის ცნობა კი ასახელებს მუშქებს.

რა მცირე დასკვნის გაკეთება შეიძლება? ის რომ ძვ. წ. აღ. III-II ათასწლეულებში ასურეთის ჩრდილოეთი და ჩრდილო დასავლეთი ტერიტორიები უცვლელად უკავიათ თუბალ-მუშქებს. მეორე არა ნაკლებ საყურადღებო: ეს ორი ტომი კი არა ტომთა გაერთიანებებია: მესამე

უფრო მნიშვნელოვანი. მათ ჰყავთ მრავალი მეფე. პარალელების გავლებით ითქმება: იმ დროს, მათი მეზობლები პელაზგები (შემდეგ კი ძველი ბერძნები) ქალაქ-სამეფოებად იყვნენ დაყოფილნი. ერთი ტომი რამდენიმე ქალაქ-სამეფოსაც ქმნიდა. საფიქრალია, რომ მუშქებიც, ქალაქ-სამეფოებად ცხოვრობდნენ და მხოლოდ დიდი ღონისძიების დროს მეტ-ნაკლებად დროებით (დაპყრობითი ომი ან თავდაცვა) ერთიანდებოდნენ.

(ეგებ ესეც იყო ხეთის შიდა პოლიტიკური სტრუქტურა და ამიტომ არ არსებობს მყარი ცნობები ამ სახელმწიფოს ერთეულის შესახებ? ვინ იცის.)

მუშქების შედარება-გატოლება ე. წ. ძველბერძნულ პოლიტიკურ (და არა მხოლოდ) კულტურასთან მით უფრო დასაშვებია, რომ აღიარებულია თვალსაზრისი: ლაშქრობების დროს მუშქებმა (მუსკებმა, მესხიომ) ფინიკიიდან გადაიღეს ანბანური დამწერლობა, რომელიც მათგან ბერძნებმა წაიღეს. დღეს ამის მეტის თქმა არ ხერხდება, თუმცა თურქეთის ტერიტორიაზე წარმოებულ არქეოლოგიურ კვლევას მომავალში ბევრი კორექტივის შეტანა შეუძლია.

ქალაქ-სამეფოების არსებობის სასარგებლოდ სხვა ცნობებიც არსებობს. ასურეთის მეფე სალმანასარ II (860-825 ძვ. წ. აღ.) ძვ. წ. აღ. 858 წ. ლაშქრობს ტაბალთა (თუბალთა) წინააღმდეგ. ომის შედეგს ასე აღნიშნავს: ეფფრატი გადავლახე, ჩავედი ტაბალთა ქვეყანაში და მათი 24 მეფისაგან საჩუქრები მივიღეო.

მკვლევართა შორის ეჭვს არ იწვევს, რომ ტაბალებსა და მუსკებს (თუბალ-მეშეხებს) ძვ. წ. ა. XII-XI ს. ურმიისა და ვანის ტბებიდან მოყოლებული დასავლეთით ძალზე ვრცელი ტერიტორიები ეკავათ. ისინი განფენილნი იყვნენ კავკასიიდან სამხრეთითაც მდ. ეფფრატ-ტიგრისის სათავეებში და სირიის დაბლობზე გასვლას ცდილობდნენ. ასურეთის მეფე ტუკულატ-ადარ I ძვ. წ. აღ. 1275 წ. ასახელებს ქვეყანას კარდუ (კარდუხები, ხალდები). ქსენოფონტე (ძვ. წ. აღ. 401 წ.) აზუსტებს და ამბობს, რომ ამ წარმომავლობის ტომებიდან ყველაზე სამხრეთით კარდუხები ცხოვრობენ. სტრაბონი განმარტავს, რომ კაპადოკიელები ზღვაამდე და მდ. ჰალისამდე ერთ ენაზე ლაპარაკობენო. ეხება რა იგივე საკითხს აპ. როდოსელი აღნიშნავს, რომ ხალიბთა მიწა უსაზღვროაო.

ურმიის და ვანის ტბებიდან დასავლეთით მდ. ჰალისამდე და კავკასიიდან ეფფრატის სათავეებამდე, მართლაც ძალზე დიდი ტერიტო-

რიაა. და მაინც წყაროებში დასახელებული 5 მუშქი და 24 ტაბალი მეფე საკმაოდ დიდი რიცხვია. თუ არა ქალაქ-სახელმწიფოები ამდენი სამეფოს არსებობა ძნელი წამროსადგენია.

ამ შემთხვევაში ცალკე უნდა განიხილებოდეს კოლხეთი, ეგროსის კუთვნილი ქვეყანა. ყველაზე ცნობილი გადმოცემით, აქ ქალაქ-სამეფოები კი არა, ერთიანი ძლიერი სახელმწიფო უნდა არსებულებოდა. ყოველ შემთხვევაში აიეტის პაპის-ილის, მამის-მერმეროს და მისი მემკვიდრეების დროსაც. რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ასე უცნობია, მაგრამ ძვ. წ. აღ. XII–XI სს-ში ამ ადგილებში მოიაზრება კოლხურ (ქაშქების) ტომთა დიდი გაერთიანება. ძვ. წ. აღ. XII ს. ასურული წყაროები მას კილხას-ს უწოდებენ, VIII ს. ურარტული წყაროები კი კულხას-ს.

მკვლევართა შორის არაა აზრთა თანხვედრა ტომთა ამ გაერთიანების საზღვრების შესახებ. ამ შემთხვევაში კი არსებითია მათი ყოფნა სამხრეთ კავკასიაში, მათი საერთო არსებობა.

თუბალ-ტაბალ-იბერთა საცხოვრის არეალში ძვ. წ. აღ. XIII–XI სს. ორი ძლიერი სამეფო იქმნება: დიაოხი (ტაოხი) და ბიანინილი (ურარტუ). თავის სამშობლოს მოსახლეობა ბიანინილს უწოდებდა, თუმცა მსოფლიო ისტორიას იგი ურარტუს სახელწოდებით შემორჩა. ურარტუს მას ტრადიციული მეზობლები და მტრები ასურელები ეძახდნენ.

მიზანი არაა ურარტუს ისტორიის მთლიანობაში გადმოცემა. ამ დარგის მკვლევარებს საკმაოდ ღრმად აქვთ პრობლემა დამუშავებული. ამიტომ შემოვიფარგლები მოკლე ცნობით. ძვ. წ. აღ. IX ს. ურარტუ აღწევს ძლიერებას და ცდილობს ტერიტორიულ განვრცობას. მეფე სარდუკი I (835-825 წწ.) იღებს მეფეთა მეფის ტიტულს და პირველ რიგში მრისხანე ასურეთს უმტკიცებს თავის უპირატესობას. ბრძოლა წარმატებულია. მალე მეფე მენუა იპყრობს სირიის ნაწილს, ავიწროებს ასურეთს, გავლენას ავრცელებს ამიერკავკასიაზე. მისი მემკვიდრე არგიშტის (786-735 წწ.) დროს ურარტუს სამეფო სიძლიერის ზენიტშია. ამ დროს ასურეთი მხოლოდ თავდაცვითაა დაკავებული, ბაბილონის დამხობა უახლოესი მომავლის საქმე ჩანს, ტბა სევანის მიდამოები და უტიების (შემდეგში უდინების) ტომი უკვე მიერთებულია. ბრძოლა მიმდინარეობს დიაოხის (ტაოხის,) მისაერთებლად, პროგრამაშია კულხას (კილხას) დაპყრობა. მეფე არგიშტი II (713–685 წწ.) თავის გავლენას ავრცელებს კასპიის ზღვამდე.

მეფე მენუა იმპერიის ტერიტორიას ყოფს მსხვილ ოლქებად და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით მართავს ქვეყანას.

ძვ. წ. აღ. VIII ს. 20-იან წლებში ამიერკავკასიაში და მცირე აზიაში ახალი ძალა გამოჩნდა. კიმერიელთა დიდი შენაერთები კოლხეთის გავლით შეიჭრნენ მცირე აზიაში.

ასურეთის ძლევამოსილი მეფე სარგონ II (722-705) მრავალ ცნობას იძლევა ტაბალების ქვეყნების შესახებ. პირველი შეეხება ასურული ტერმინით ბიტ-ბურუტას სამეფოს, დედაქალაქით ტულგარიმი. ცნობაში აღნიშნულია, რომ როდესაც ტაბალთა მეფის ჰვლი-ს ნაცვლად ტახტზე მისი მემკვიდრე ამრი დასვეს, მას ქალი მივათხოვე და მზითვად ჰილაკუ (კილიკია) მივეცი და ამით სამეფო გავუდიდეო.

აღსანიშნავი ფაქტია. ტაბალებს ამ დროს ორი სამეფო ჰქონიათ. ურარტუ და ბიტ-ბურუტი. პირველში ამ დროს ურსა II მეფობდა, მეორეში ამრი.

სარგონის ცნობით, კიმერიელები (მას შემდეგ რაც ლიდის სამეფოს ანადგურებენ, შემდეგ მუსკებს და კარდუხებს) ურარტუს სამეფოს შეესივნენ და ძვ. წ. აღ. 715 წ. მძიმე დარტყმა მიაყენეს. აქედან ისინი შეიჭრნენ სირია-პელესტინაში და ეგვიპტეს უწიეს.

იმავე პერიოდში კასპიის ზღვის სანაპიროს გავლით ამიერკავკასიაში გამოჩნდნენ სკვითები. ურარტუმ ვერ გაუძლო ორმხრივ დარტყმას და დასუსტდა.

შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ირანული წარმოშობის მიდიელებმა. მათ ძვ. წ. აღ. VII ს. შექმნეს საკუთარი სამეფო. მიდიელებმა ბაბილონელებთან ერთად ბოლო მოუღეს ასურეთის ბატონობას. მალე (ძვ. წ. აღ. 590 წ.) სკვითების დახმარებით ურარტუც გაანადგურეს. ურარტუს მეფეებმა თავისი რეზიდენცია მტკვარ-არაქსის სათავეებში გადაიტანეს და აქედან განაგრძობდნენ ბრძოლას ქვეყნის დიდების აღდგენისათვის.

კიმერიელები ადგილობრივ მოსახლეობას შეერივნენ. სავარაუდოდ ეს მოხდა კილიკიის მეზობლად, ამრის სამეფოს ტერიტორიაზე. მკვლევართა ნაწილის მტკიცებით ამ შერევის შედეგად ჩამოყალიბდა სომეხი ერი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომეხების გამოჩენის პრობლემა საბოლოოდ გარკვეული არ არის. აზრთა ერთობაა მხოლოდ იმ საკითხში, რომ ურარტუს სამეფოს ტერიტორიაზე სომეხთა წინაპრები ძვ. წ. აღ. VII ს-ნ იხსენიებიან. მკვლევართა (მათ შორის სომეხ მკვლევართა) შორის სხვადასხვა თვალსაზრისია თუ საიდან უნდა გადმოსახლებულიყვნენ სომეხთა წინაპრები ურარტუს მხარეში. სომეხ მეცნიერებს

(ძირითად ნაწილს) მიიჩნია, რომ მათი წინაპრები ადრე ბალკანეთში, მაკედონელების მეზობლად ცხოვრობდნენ და ბრიგების ტომს შეადგენდნენ. იქიდან მცირე აზიაში გადმოსახლებულები მუშქებს შორის დასახლდნენ და ფრიგიელები ეწოდათ. ფრიგიიდან კი იძულებულნი გახდნენ ურარტუს სამფლობელოში ჩასახლებულიყვნენ.

სომხების ზემო ევფრატისპირეთში გამოჩენის ფაქტი ჯერ კიდევ სერიოზულ კვლევას საჭიროებს. ამ შემთხვევაში კი მნიშვნელოვანი თავად ფაქტია. ჰეროდოტე (ძვ. წ. აღ. V ს.) ტერმინ არმენიას (არმინას, სომხეთს) ძვ. წ. აღ. VI–V სს. ამბებს უკავშირებს. (ამ საკითხზე საკმაოდ დამაჯერებლად აქვს მოთხრობილი ნ. ხაზარაძეს და განმეორება საკითხს სიცხადეს ვერ შემატებს).

მკვლევართა შორის აზრთა თანხვედრაა იმ საკითხებში, რომ ირანის აქამენიდების სამეფო შექმნა კიროსმა (ძვ. წ. აღ. 558-529 წწ.) მან თავის გავლენას დაუმორჩილა მიდია, სირია, პალესტინა და ბაბილონი. მისი სამეფო მეშვეობით განავრცეს. დაიპყრეს ეგვიპტე, შუა და მცირე აზია და ბოლოს საბერძნეთსაც შეუტიეს. მათ მოსპვეს აქ არსებული ყველა სამეფო. ტერიტორიები დაყვეს სატრაპობად. XIX სატრაპოში გააერთიანეს თუბალ-მეშხური (იბერიულ-მესხური) წარმომავლობის ტომები: ტიბარენები, მოსინიკები, მაკრონები, მოსხები და მარები. ისტორია გვეუბნება, რომ სპარსელებს ქართველები და კოლხები არ დაუპყრიათ, ისინი სატრაპოში არ შედიოდნენ. პლუტარქე ამბობს, რომ იბერები (ქართველები) არ ემორჩილებოდნენ არც მიდიელებს, არც სპარსელებს და მოგვიანებით არც მაკედონელებს. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია, რომელსაც სხვა არც თუ იოლად გასარკვევი საკითხი უკავშირდება.

ირანელების მიერ მეზობელი ქვეყნების დაპყრობას მოჰყვა ირანული სახელწოდებების გავრცელება.. მეშხების (მუშქების) მხარეს მას შემდეგ ეწოდა კაპადოკია (ცხენების ქვეყანა). ურარტუს შესაბამისად არმინა ან არიანა. სპარსეთის მეფე დარიოს I (ძვ. წ. აღ. 522-486) ერთ წარწერაში ურარტუს (ასურულ) ნაცვლად მსჯელობაა არმინა-ზე (სპარსულად) ან არმინუაზე (ელამურად). საბოლოოდ ქრება ურარტუ, ჩნდება და მკვიდრდება ელამურიდან გადმოღებული ბერძნული არმენია. შესაბამისად ტერმინი ვრცელდება გეოგრაფიულ გარემოზე და აქედან მოსახლეობაზეც.

სწორედ გეოგრაფიული ნიშნით დაიყო ურარტუ (არმენია) სპარსელების მიერ. ტერიტორიის ის ნაწილი, რომელსაც სპარსეთი

ვერ აკონტროლებდა ეკუთვნოდა ქართს და იყო ქართლის არმენია ან არიანა. შესაბამისად დამკვიდრდა ტერმინი არიან ქართი. მეორე ნაწილი იყო არიან სპარსეთი და მესამე იყო სამხრეთ დასავლეთის არიანა (ბერძნულად არმენია), სომხეთის არიანა.

ძველი დროის ცნობილი მხედართმთავარი და ჟამთააღმწერელი ქსენოფონტე „ანაბასის“-ში ძვ. წ. აღ. 401 წ. ამბებს აღწერს. იგი მონაწილე იყო სპარსეთში მიმდინარე მოვლენებისა. მეფე არტაქსერქსე II აუჯანყდა ლიდის, ფრიგიის და ღიდი კაპადოკიის სატრაპი უფლისწული კიროსი. კიროსის არმიაში 13 000 დაქირავებული ბერძენი მეომარიც იყო. ბაბილონთან ახლოს ბრძოლის დროს კიროსი დაიღუპა. ბერძნები იძულებულნი გახლდნენ უკან მობრუნებულიყვნენ. ვანის ტბის მიდამოებში ისინი კარდუხებს შეეჭიდნენ. იქიდან მდ. კინტრიტი გადალახეს და (სპარსეთის არიანას) ტერიტორიაზე გადავიდნენ. აქედან უკვე დასავლეთ არიანაში (არმენიაში) მოხვდნენ. არიან ქართლისაგან განსხვავებით ეს ორივე, სპარსეთისა და სომხეთის არიანა (არმენია) სპარსეთის ოლქებს წარმოადგენდა.

დასავლეთ არიანადან ბერძნები არაქსის სათავეებში უკვე ტაოხების (დიაუხის) ტერიტორიაზე გავლით ხალდეების (ქალდეელების), ქვეყანაში გადავიდნენ. შემდეგ გაიარეს სკვითების ტერიტორია და მაკრონების ქვეყანაში შევიდნენ. აქედან ისინი კერასუნტის დასავლეთით რვა დღე მოსინიკების ტერიტორიაზე მიდიოდნენ და ტიბარენებს მიღწიეს. ირკვევა, რომ იმ პერიოდში სპარსეთს არ ემორჩილებოდნენ კარდუხები, (ხალდეები), მაკრონები, მოსინიკები, კოიტები და ტიბარენები. ტომები, რომელთა ქართულ ეთნოგენეზში მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს.

უპრიანია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ჰეროდოტეს ცნობა, რომლის მიხედვით მის პერიოდში (და არა უძველეს დროს) სპარსეთის ყურიდან მოყოლებული, შავ ზღვამდე ოთხი მოდგმის ტომები მოსახლეობდნენ: სპარსელები, მიდიელები, სასპერები და კოლხები. მუშქ-მესხოის ჰეროდოტე არ ასახელებს, რადგან ისინი შედარებით დასავლეთით მოსახლეობდნენ და ამ ოთხი მოდგმის არეალში არ იჭრებოდნენ. არც ისაა გამოსარიცხი, რომ ჰეროდოტე მუშქებს კოლხებს მიაკუთვნებდეს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ლოგიკურია დასკვნა, რომ ურარტუს (ბიაილინის) ნაცვლად არმენიის (არიან-ას) დამკვიდრება სრულებითაც არ ნიშნავდა ამ ტერიტორიების სომხურ კუთვნილებას. იქ კვლავ თუბალ-ტაბალთა მოდგმა ცხოვრობდა, იმ მცირე გამონაკლისის გარდა, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას მოსული ელემენტი შეერია. ამ შემ-

თხვევაში არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ისინი კომირიელებად იწოდებოდნენ, ფრიგიელ-ბრიგებად თუ ალარიოდებად. ფაქტი ერთია, რომ ისინი ძვ. წ. აღ. VII-VI სს. ადრე აქ არ დამკვიდრებულან. მეორე მხრივ თუ გავიხსენებთ ბიბლიურ-მითოლოგიურ თარგამოს (თარგომს-სომხურად) და მის შთამომავლობას, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსულები შეერივნენ ჰაოსის (ჰაიკის-სომხურად) ტომს და მიიღეს მისი სახელი. ამიტომ სომხეთის თვითსახელია ჰაოსიანი (ჰაიკს) თუმცა ქართველების გარდა მთელი მსოფლიო მათ სპარსულ-ბერძნულად არმენებს უწოდებს.

საკითხის გარკვევა რომ დასრულდეს აღსანიშნავია: სტრაბონის „გეოგრაფიის“ მიხედვით, საკუთრივ არმენია (სომხეთი) თავიდან პატარა იყო. მხოლოდ ძვ. წ. აღ. 190 წ., ანტიოქ დიდის სარდლებმა ბრძოლებით მიუმატეს მას სოფენე, აკისენე, არტაქსატი. ასევე იბერიას ჩამოაჭრეს პარიადრეს მთის კალთები, ზორზენე და გოგარენე. ხალიბებს და მონიკებს კარენიტი და ქსერქსენე. კატაონებს-აკილისენე. სარდლები არტაქსია და ზარიადრი მხოლოდ ანტიოქ დიდის ხელქვეით იბრძოდნენ, მაგრამ შემდეგ გაიმეფებაც შეძლეს და დიდი არმენიის შექმნაც. ეს მოხდა ძვ. წ. აღ. II საუკუნეში. მანამდე ალექსანდრე მაკედონელმა ძირეულად შეცვალა საზოგადოებრივი ცხოვრება, რომელიც თუბალ-მემეს-კოლხებს უშუალოდ შეეხო.

ალექსანდრე მაკედონელზე იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ რაიმეს კვლევას ან კიდევ ერთხელ გამეორებას აზრი ეკარგება. მხოლოდ აღსანიშნავია, რომ იგი აზიას იპყრობდა არა მხოლოდ როგორც დიდი სარდალი, არამედ როგორც იქ მცხოვრები ტომების განმათავისუფლებელი. სწორედ ამან განაპირობა არნახული წარმატება და პოპულარობა.

სხვა იყო სურათი სპარსეთის იმპერიაში. სატრაპოებში გაერთიანებული ტომები ბედს არ ურიგდებოდნენ და თავდასხნას ცდილობდნენ. ცნობილია რომ მეფე არტაქსერქსე II (405-359 წწ. ძვ. წ. აღ.) დროს სპარსეთს განუდგა დასავლეთის ყველა სატრაპი. არტაქსერქსე III 359-338 წწ. მთელი მეფობა აჯანყებულებთან ბრძოლაში გაატარა, სანამ აღზევებულმა ეგვიპტელმა მონამ ბაგოასმა არ მოაწამვლინა. ტახტზე ბაგოასმა მეფის უმცროსი ძე არსესი დასვა, მაგრამ მალე ისიც მოწამლა და ტახტზე დარიოს კოლომანი ავიდა ძვ. წ. აღ. 336 წ.

ამავე წელს მაკედონიაში მოკლეს მეფე ფილიპე და სახელმწიფოს სათავეში ალექსანდრე ჩაუდგა, რომელსაც ბედად ეწერა დარიოსის იმპერიის განადგურება.

იმ პერიოდისათვის ურარტუ (არიანა), სამ ნაწილადაა გახლეჩილი. არიან ქართს მეფობს იარელოსი, ურარტუს მეფეების მემკვიდრე. არიან სპარსეთში სატრაპია, იბერთა გუგარების ოლქის დიდი მთავარი მითრიდატე, რომელიც დარიოსის სიძეა და კიოსისა და არიანას მეფე. საფიქრალია, რომ მითრიდატეც ურარტუს მეფეთა შთამომავალი უნდა ყოფილიყო. მის სახელს ასევე უკავშირდება პონტოს ხალიბთა სახელმწიფოს მეფეების შთამომავლობა. სამხრეთ-დასავლეთ არიანაში (არმენიაში) ალექსანდრე მაკედონელმა დარიოსის კარისკაცი მითრინი დანიშნა სატრაპად. (არაა აუცილებელი პარალელურად იქნეს განხილული მოვსეს ხორენაცის მიერ გადმოცემული ისტორია. ეს სულ სხვა თემაა.)

ალექსანდრე მაკედონელმა დარიოს კოდომანის ჯარები დაამარცხა ძვ. წ. აღ. 334 წ. იენისში მდ. გრანიკოსთან. თან ისე, რომ სპარსელებს 20 000 ქვეითი და 2 500 ცხონოსანი მეომარი მოუკლეს, მაკედონელებმა კი მხოლოდ 25 კაცი დაკარგეს. ამ მარცხმა სპარსეთის იმპერია წელში გატეხა. მეორე სასტიკი ბრძოლა ძვ. წ. აღ. 333 წ. ნოემბერში მოხდა. სპარსელთა 200 000 ჯარი სრულიად განადგურებულ იქნა ქ. ისოსთან. დარიოსის დედა და ცოლ-შვილი ტყვედ ჩავარდნენ, დაღვა იმპერიის აღსასრული.

იმ არეულ სიტუაციაში, არიან ქართის მეფის იარელოსის ვაჟმა აზომ გაცლა ამჯობინა და შეეცადა სამეფოს ცენტრი შუა ქართში, ქ. მცხეთაში გადმოეტანა.

ქართში მაშინ სხვადასხვა კუთხეებს მამასახლისნი განაგებდნენ. მცხეთას კი იჯდა უფალი მამასახლისი სამარა. აზო-ნმა მამასახლისი და მისი ახლობლები დაახოცინა და „ძველ მცხეთაში“ გამაგრდა. მემატინე ამბობს, რომ ეს იყო პირველი მეფე მცხეთას და ქართში. აზონი ეტყობა, თავს მყარად ვერ გრძნობდა და ამიტომ არიან ქართიდან წამოიყვანა ნათესავნი და ერთგულნი. მანვე წამოიღო ურარტელების ძველი კერპები გაცი და გა-ემი.

ეს ქართ-უხთა (კარდუხთა) მეორე ტალღა უნდა იყოს ამ მხარეში გადმოსახლებული ვანისა და ურმიის ტბების მიდამოებიდან. პირველი ტალღა მოვიდა ქართ-ოსთან ერთად. მათ მთის იბერები (საფიქრალია კაკონების ტომები) მთებში შერეკეს და მათი კუთვნილი მიწები დაი-საკუთრეს. მეორე ტალღა აზონს მოჰყვა. ძნელი მისახვედრია რამდენი ადამიანი იგულისხმება ცნობაში იმის შესახებ, რომ აზო იმ წამოი-

ყვანა რვა სახლი და ათი სახლი მამამშუქეთანი. არსებითია, რომ მან საფუძველი დაულო მეფობას ამ მხარეში.

ბოლომდე გარკვეული არაა თუბალ-მემეხებს, შემდეგ კი კოლხებსაც ჰქონდათ ცალკე პოლიტიკური ერთეულები სამეფოების სახით, ქართს კი არა. რამ განაპირობა ასეთი მდგომარეობა? თუ ვივარაუდებთ, რომ აქ სოციალური ურთიერთობანი და პოლიტიკური ვითარება არ იყო მომწიფებული ასეთი მაღალი სახელმწიფოებრივი ორგანიზებისათვის, არ ვიქნებით მართლები. ტაბალები ცხოვრობდნენ ვანის ტბის მიდამოებში და ქართშიც. ისტორიულად ცნობილია ტაბალების ქვეყანა ურარტუ და ჰვლი, ამრის ქვეყანაც. ცალკე უნდა აღინიშნოს ტაოხების (დიაუხის) ქვეყანა. ტაბალ-იბერები ერთი მოდემის ტომებია მეზობლად და ხშირად ერთ სახელმწიფოში გაერთინებულნი. ქართი-იბერი როგორ დარჩებოდა განუვითარებელი? უფრო ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ქართვენი, როგორც განაპირას მცხოვრებნი, იცავდნენ დანარჩენებს ჩრდილოეთის მხრიდან და გარკვეული თავისუფლება-თვითმყოფლობით ხასიათდებოდნენ. ურარტუს მეფე მენუა, როდესაც ქვემო ქართს, მდ. არაქს-მტკვრის (კოროს) სათავეებს თავის სახელმწიფოს შემადგენლობაში აერთიანებდა (მომავალ არიან ქართს ქმნიდა) შეძლებდა მთლიანად ქართის მიერთებასაც —, მაგრამ განაპირა მხარის მიერთება სახელმწიფოს უფრო მეტ საზრუნავს გაუჩენდა, ვიდრე სარგებელს. ამიტომ შეგნებულად არ იქნა გაუქმებული მამასახლისთა ინსტიტუტი. განა მთელი ისტორია არ ადასტურებს განაპირა, სასაზღვრო მხარეების შედარებით თავისუფლებას? ასე იყვნენ თუშები, ხევსურები, მოხევეები (წანარები). დვალები აღმოსავლეთ საქართველოსთან მიმართებაში.

აზონ იარედოსის ძემ, როდესაც საფრთხე იგრძნო სამხრეთიდან (წინასწარ ვინ იცოდა საით გაუტევედა უძლეველი ალექსანდრე), მართებულად გადასწია სამეფოს ცენტრი ჩრდილოეთით. ამით მან სათავე დაულო ქართის, მომავალი იბერიის სამეფოს. ლიტერატურაში არსებული ვარაუციები აზონის ბერძნობაზე, დაუნდობლობაზე და ა. შ., არ უნდა გახდეს მიზეზი მისი იმ დამსახურების დაკნინებისა, რომ მან ქართიდან განდევნა უცხო ელემენტები, გაერთიანა ქართის ტომები და გავლენა ხაზარეთამდე განავრცო.

დაანგარიშებით აზონი მცხეთას ძვ. წ. აღ. 332 წ. უნდა დაფუძნებულყო. ისიც ცნობილია, რომ ქართის დიდი მეფე ფარნავაზი ამ დროს მხოლოდ სამი წლისა იყო. ობოლი ბავშვი დედამ მთაში გახიზნა, იქ, სადაც აზონის ძალაუფლება არ ვრცელდებოდა.

წყაროები მოწმობენ, რომ ძვ. წ. აღ. 335 წ. დაბადებულმა, ბავშვობაში მამამოკლულმა და დევნილმა ფარნავაზმა მთაში კარგი აღზრდა-განათლება მიიღო და იმდენი შეიძლო, რომ 26 წ. ასაკში გამეფებაც მოახერხა, დიდი სამეფოს შექმნაც და დამწერლობის რეფორმირებაც.

შემორჩენილი ცნობების თანახმად მცხეთაში გადმოსახლებულმა აზომ დაიმორჩილა ქართი (იბერია) ერთიდან და მდ. ბერდუჯიდან (დებედა) სპერის (შავ) ზღვამდე. მათ შორის კოლხეთის (ეგრისის) დიდი ნაწილი, ოსები, ლეკები და ნაწილობრივ საზარები. მან ქვეყანა გაწმინდა იმ უცხო ელემენტებისაგან, რომელთაც გადმოცემა ბუნ-თურქებს უწოდებს და რომელთაგანაც წარყვნილი და წარეცხილი იყო ბარის იბერთა კულტურა. იმ ზომამდე, რომ დამწერლობაც მოსპობის გზაზე იყო.

განდევნილ უცხოტომელთა ნაცვლად აზომ ჩამოსახლა არიან ქართიდან ურარტელნი. ერთი ცნობით მათი რაოდენობა განისაზღვრე-ბოდა 8 რიგითი სახლობა, 10 ახლობლებისა. მეორეთი 1000 მდაბიოთა სახლობა 10 ახლობლებისა (მთავრებისა). რა რაოდენობისაც არ უნდა ჩამოესახლება აზოს ურარტელნი, ისინი მაინც უცხო იქნებოდნენ დამხდურებისათვის და მათ შორის წინააღმდეგობაც ბუნებრივი იქნე-ბოდა. მით უმეტეს, რომ ახლად მოსულებს თავისი ძველი ღმერთებიც თავს მოუხვევიათ ადგილობრივებისათვის.

ამ ფაქტორებმა უეჭველად გააადვილეს მცხეთის მოკლული უფალი მამასახლისის სამარას ძმისწულის ბრძოლა მონათესავე მომხდურებთან. ფარნავაზი ამ ბრძოლისას ეყრდნობა მონათესავე ეგრისის (კოლხეთის) ერისთავ ქუჯის. მას გვერდში უდგანან ცოლეურები (ღურბუკები), დის საქმრო (ოსების მეფისწული), შვიწროებული ლეკები და საზარები.

ფარნავაზმა აზოსთან ბრძოლაში სელევეკიდების (ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრეები) მხარდაჭერაც მიიღო. ანტიოქმა მას მე-ფის გვირგვინი გამოუგზავნა და თავისი ერისთავები მიანმარა. კლარ-ჯეთში გამაგრებული აზოი მოკლეს. ფარნავაზმა მის დევნაში დაარბია ანძიადორი და ძველი აკილისენის ოლქი მდ. ეფრატის სათავეებში, სოფენასთან ახლოს.

ფარნავაზმა შემოიძტკიცა არიან ქართი, პარიადრის მთების მიდამ-ოები, ხორძენე და გოგარენე. მტკიცედ დადო საზღვარი მდ. არაქსზე. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა სელევეკიდებისა და პონტოს სამეფოებთან, ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომებთან. სტრაბონი ამ ტომთა

ნაწილს იბერებად მიიჩნევს ისევე, როგორც ქართ იბერებს. მათ შორის ლეკებს, ღურძუკებს, დიდოელებს, დვალეებს. მათ საცხოვრებელში ალანები (სკვითების ჩამომავლები) ძვ. წ. აღ. VIII-VII სს უნდა გამოჩენილიყვნენ, როდესაც სამხრეთ კავკასიის და მცირე აზიას კიმერიელ-სკვითთა ტომები შემოესიენ.

ფარნავაზმა გაერთიანებული იბერიის (ქართ-ის) სამეფო საერთოსთაობად დაჰყო, ერისთავთა მეთაურად კი სპასპეტი (სარდალი) ჩაუყენა სათავეში. ორგანიზაციული რეფორმების წყალობით შეძლო მძლავრი სამეფოსა და ძლიერი დინასტიური მმართველობის შექმნა. მანვე გაატარა კულტურულ-რელიგიური რეფორმები. ყოველივემ განაპირობა იბერიის სამეფოს დამოუკიდებლობა და სიმყარე იმ დროს, როდესაც წინა აზია რომის იმპერიის ხელთ აღმოჩნდა.

კიდევ ერთხელ გასახსენებელია აპოლონ როდოსელის ნათქვამი, რომ ხალიბთა ქვეყანა უსასრულოაო. ასევე ქსენოფონტე, რომელიც აღნიშნავს, რომ ხალიბები ორ ნაწილად ცხოვრობენ – აღმოსავლეთით და დასავლეთით.

ძვ. წ. აღ. VIII-VII სს. მომხდარმა ცვლილებებმა ხალიბთა ცხოვრებაც შეცვალა. ურარტუს იმპერიის რღვევა-დაცემას მოჰყვა აღმოსავლეთ, ვანის ტბის მიდამოებში მცხოვრებ ხალიბთა, ტაბალთა, სუბართა, იბერთა, თუბალთა (სახელწოდება მრავალია, მონათესავე ტომები იგივენი) კონსოლიდაციის ცენტრის გადანაცვლება და იბერთა მძლავრი სამეფოს შექმნა. როგორც თავის დროზე ურარტუს მეფეებმა დიაოხის (ტაოხის) ტომთა გაერთიანების მიწები კულხას სამეფოსთან გაინაწილეს, ისე მათი სამფლობელოები გადანაწილდა ახალ სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა შორის.

იბერიის სამეფოს პარალელურად დასავლეთის ხალიბები (იბერები) ქმნიან პონტოს სამეფოს.

დასავლეთის იბერიულ-ხალიბური ტომები: ხალიბები, ტიბარენები, კოლხები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები, ტაოხები სხვადასხვა დროს სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებში შედიოდნენ. ხალიბები, გადმოცემით კუნძულ ვებეას სოფელ ხალიბეადან არიან გადასულები მცირე აზიაში და აქ გამრავლებულები. თავის დროზე ჰომეროსი აღნიშნავდა ალებებისა და პაფლაგონიელების მონაწილეობას ტროას ომში.

მცირე აზიაში მათ დააარსეს ქალაქები: სინუპე, ამისოსი, ტრაპიზონი, ამასია, გაძიურა, კოტიორა, კერასუნტი, სტამენა, ცელა, ქაბერა, ამასტრია, კომანა, სინორია, თემისკირა, ფარნაკია და სხვა.

სკილაქსი (ძვ. წ. აღ. VI ს.) მიუთითებდა, რომ ტიბარენების შემდეგ დასავლეთი ხალიბთა ტომს ეკუთვნის და მათ აქვთ გამაგრებული ნავსადგური გენეტი.

ხალიბების ქვეყანაში დიოდა მდინარეები ჰალისი, ირისი და თერ-მოლონი.

თავის დროზე კიმერიელებმა სინუპეს უწიეს. ფრიგიასა და ლიდის სახელმწიფოებთან ერთად პონტოელი ხალიბების ქვეყანაც იავარყვეს. ძვ. წ. აღ. VI–V სს. ამ ტერიტორიებზე სპარსელები გამოჩნდნენ და სატრაპიად (დაპყრობილ სამართავ ოლქად) აქციეს.

როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა სპარსეთის იმპერია მოსპო პონტოს მეფე მითრიდატემ (ძვ. წ. აღ. 337-302 წწ.) მისი ძალაუფლება სცნო და დაემორჩილა. ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ (ძვ. წ. აღ. 323), მისმა სარდლებმა დაპყრობილი მიწები გაინაწილეს. შესაბამისად მითრიდატე კაპადოკიის მმართველის ევმენის დაქვემდებარებაში გადავიდა. ევმენი მალე ანტიგონემ შეცვალა. ძვ. წ. აღ. 302 წ. მითრიდატე ანტიგონემ სიკვდილით დასაჯა.

მითრიდატეს დარჩა ძე მითრიდატე, რომელმაც ძვ. წ. აღ. 296 წ. თავი დამოუკიდებელ მეფედ გამოაცხადა. სელევდიკების დინასტიამ ბოლოს ცნო პონტოს სამეფოს დამოუკიდებლობა და სამოყვრო ურთიერთობაც დაამყარა. სირიის მეფე სელევკოს კალინიკმა უძცროსი და მითრიდატე II მიათხოვა, ხოლო მისმა მეშვიდრემ ანტიოქოს III მითრიდატეს ასული ლაოდიკე შეირთო.

ამ დროს განსაკუთრებით ძლიერდება რომის იმპერია. დასავლეთ ევროპის დამორჩილების შემდეგ ჯერი აღმოსავლეთზე მიდგა და ძვ. წ. აღ. 190 წ. მათ სელევდიკების სამეფო მოსპეს. რომის ქვეშევრდომობა მაშინვე აღიარეს გალატიის, პერგამოსის, პაფლაგონიის და კაპადოკიის მეფე-მმართველებმა. მათგან განსხვავებით პონტოს მეფე ფარნაკიმ (ძვ. წ. აღ. 190-170 წწ.) დამოუკიდებელი, ძლიერი სახელმწიფოს შექმნა განიზრახა. მან მცირე სომხეთის მმართველ მითრიდატეს დახმარებით დაამარცხა და დაიპყრო კაპადოკია, პერგამონი, ბითინია, გალატია და პაფლაგონია. თავის მხრივ რომის იმპერიამ ძვ. წ. აღ. 179 წ. დაამარცხა ფარნაკი და მონაპოვარზე ხელი ააღებინა.

პონტოს სამეფოს, მეზობელი ქვეყნების ხელში ჩაგდებაზე, ამით უარი არ უთქვამს. განსაკუთრებული ენერგიით მოქმედებდა მითრიდატე VI ევპატორი (კეთილშობილი) ძვ. წ. აღ. 132-63 წწ. მისი მოღვაწეობის

და ლეგენდარული შესაძლებლობების შესახებ საისტორიო წყაროები ძალზე ბევრს და საინტერესოს გვაუწყებენ.

ამ შემთხვევაში მხედველობაში მისაღებია პირველ რიგში ის, რომ პონტოს სამეფო იბერიულ-კავკასიური და კოლხური მოდგმის ტომების სამფლობელოს წარმოადგენდა. პონტოს სამეფოს შემადგენლობაში უშუალოდ შედიოდა კოლხეთის ქვეყანა. სამეფოს უკიდურეს აღმოსავლეთ სიმაგრეს მის მიერ დაარსებული ახალციხე წარმოადგენდა, აქ ჰქონდა გადანახული მითრიდატეს თავისი სიმდიდრე. დასავლეთ საქართველოში ჯერ უმცროსი ძმა მითრიდატე ჰყავდა მმართველად, მაგრამ როდესაც ძმამ გამოყოფა და ცალკე სამეფოს შექმნა მოინდომა, ეს ტერიტორიები უშუალოდ მიუერთა თავის ქვეყანას. ამდენად არ არსებობს საფუძველი, რომ პონტოს სამეფო ქართველთა ეთნოგენეზში მონაწილე ქვეყნად არ ჩაითვალოს და მისი ისტორია ისე იქნეს გაშუქებული, როგორც უცხო სახელმწიფოსი. მითრიდატე პონტოელმა (პონტოელი უნდა ეწოდოს მხოლოდ იმისათვის, რათა სხვა მითრიდატეებისაგან განსხვავდებოდეს, რომელნიც მრავლად იყვნენ ქართველების წინაპართა შორის) შეძლო და აერთიანა მეშენ-მუსკ-მესხოს ტომთა ტერიტორიები. მის სამეფოში შედიოდა დღევანდელი ყირიმის ნახევარკუნძული, იქიდან მოყოლებული შავი ზღვისპირეთის აღმოსავლეთი. ერთი პერიოდი იგი ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და საბერძნეთსაც დაეუფლა.

მითრიდატე წარმატებით ებრძოდა რომის მძლავრ იმპერიას, მაგრამ ბოლოს ჰანიბალის ბედი გაიზიარა. მის მარცხში ლომის წილი დაიდო სომხეთის მეფე ტიგრან II, რომელიც სიძე იყო, რომელსაც ტიგრანოკერტის გასაძლიერებლად მითრიდატემ 250 000 ტიბარენელი ჩაუსახლა, რომელსაც ყოველთვის ეხმარებოდა დიდი სასომხეთის შექმნაში. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა შვილების მახარე-სა და ფარნა-კის განდგომა-ღალატს.

აღსანიშნავია, რომ მითრიდატეს მცდელობაც არა ჰქონია დაე-ლაშქრა იბერიისა და ალბანეთის სამეფოები. მან მხოლოდ მესხურ-კოლხური (ერთი ძირის მქონე) ტომები შემოიკრიბა. მყარად რომ არ იყოს დამკვიდრებული სახელწოდება პონტოს სამეფო, მას თამამად შეიძლება დიდი კოლხეთის სამეფოც წოდებოდა.

მხოლოდ შედარებისათვის აღნიშნავენ მკვლევარები, რომ მითრიდატემ დაამარცხა დაუმარცხებელი სკვითები. ის ძალა, რომელმაც თავის დროზე დარიოს I დიდი არმია გაანადგურა და რომელმაც მაკედონე-

ლის ჯარები მოიგერიეს. ის, რომ თავად ალექსანდრე მაკედონელი არ სარდლობდა ამ ჯარს შედეგს ვერც ცვლის და ვერც ამართლებს.

რომაელებმა საბოლოოდ სძლიეს მითრიდატეს, მაგრამ ამას რამდენიმე ათწლეული მოანდომეს, შეაკლეს მრავალი კონსული და სარდალი, მეომართა თვლა კი შეუძლებელი იქნებოდა. მის წინააღმდეგ წლობით იბრძოდნენ ისეთი მძლავრი სარდლები, როგორებიც იყვნენ კორნელიუს სულა, ლუკულუსი და პომპეუსი. უკანასკნელმა მხოლოდ მოლალატეთა დახმარებით დაამარცხა მითრიდატე, სდია ძველ ნავსადგურ ლაიაძდე. აქ დააარსა ციხე ქალაქი და მას ნიკოფსია უწოდა. სწორედ ეს გამაგრებული პუნქტი იყო ყოველთვის ჯერ კოლხეთის, შემდეგ კი გაერთიანებული საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი.

(ამჟამად იქ ჩამომდინარე პატარა მდინარეს კრასნოდარის მხარის მდ. ნოგოპსუხი ეწოდება).

პონტოს სამეფოს მოსპობამ იბერიას საშუალება მისცა თავისი ძლიერება დასავლეთის მიმართულებით წარემართა. ამავე დროს დასავლეთ საქართველოს არეალში ჩნდებიან ახალი ძალები.

პომპეუსმა კოლხეთის მმართველად არისტარქე დატოვა, ქვეყანა კი პონტოს სამეფოსთან ერთად რომის პროვინციად გამოაცხადა. ეს მცირე ხნის მიღწევა იყო. რომს ძალა აღარ ჰყოფნიდა შემოემტკიცებინა და მოთარეშე ტომებისაგან დაეცვა იმპერიის შორეული მიწები. ამით ისარგებლა მითრიდატეს ძე ფარნა-კემ და დროებით პონტოს სამეფო აღადგინა. ასე, გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა ბრძოლა. 63 წ. რომის ცნობილმა იმპერატორმა ნერონმა პონტოს სამეფო გააუქმა და კოლხეთი, თავად პონტო და მცირე არმენია პროვინციებად გადააქცია.

ცალკე უნდა აღინიშნოს მცირე არმენიის შესახებ. ქსენოფონტეს ცნობები ორი არმენიის შესახებ, მცირე არმენია არ უნდა იქნეს გაგებულნი ორი სომხური სახელმწიფოს სახით. მცირე არმენია ეწოდა ურარტუს იმპერიის დასავლეთ ნაწილს, სადაც მხოლოდ იბერიულ-კოლხური მოსახლეობა იყო.

უკვე ითქვა, რომ ურარტუს სპარსელები არიანას, ელამურად კი არმიანას ეძახდნენ. ასევე უწოდეს მათ მუშქების ქვეყანას კაპადოკია. ბერძნებმა სპარსელების მიხედვით ურარტუს არმენია უწოდეს და ეს სახელწოდება დამკვიდრდა კიდევ. როდესაც აზონმა არიან ქართიდან (ქართის არიანადან) მცხეთის მიდამოებში არიანები დაასახლა, არიან ქართის დასავლეთ ნაწილმა გარკვეული დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

ამ ნაწილს ბერძნულად მცირე არმენია ეწოდა. მნიშვნელოვანია არა ირიოს სასომხეთი და არმენია, სომხებით დასახლებული არმენია და იბერულ-კოლხური ტომებით გაჯერებული არმენია (მცირე არმენია).

რომის მიერ პონტოს სამეფოს გაუქმებას, კოლხეთის, მცირე არმენიის პროვინციებად გადაქცევას მოჰყვა მმართველობის დეცენტრალიზაცია, ტერიტორიების დაუცველობა, რითაც დაუყოვნებლივ ისარგებლეს მეზობელმა ტომებმა. სტრაბონი აღნიშნავს, რომ ამ პერიოდში ჩრდილო კავკასიაში მოსახლე, კავკონური წარმოშობის ჯიქების ტომმა შეავიწროვა კოლხეთის ჩრდილოეთში მცხოვრები აქავლები და კერკეტები და მათი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა. იმავე პერიოდში თავი აიშვეს მთის ხეობების თემებმა და იწყეს ზღვისპირა ქალაქების ძარცვა. პლინიუსი, აღწერდა რა ამ რეგიონში შექმნილ ვითარებას, აღნიშნავდა, რომ ბიჭვინთა (პიტიუნტი), მდიდარი საზღვაო სავაჭრო ცენტრი სრულიად გაძარცვულია. ისტორია ცხადყოფს, რომ ბიჭვინთის ბედი უნდა გაეზიარებინა ცხუმსაც (დიოსკურია, სოხუმი). უფრო ნაკლებ გამაგრებული დასახლებანი უარეს მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ. თავდამსხმელები მასობრივად უღელტდნენ ადგილობრივ მაცხოვრებლებს და მათ მამულებს იკავებდნენ. ასე გაჩნდა არა მხოლოდ ჯიქების ახალი სამოსახლო, არამედ სანიგები დიოსკურიასთან, უფრო სამხრეთით კი აბაზგები, აფშილები და მისიმილიანები. ამასთან, თუ ჯიქები ჩრდილოეთიდან მოსულ კავკონური წარმოშობის ტომია, იგივე არ ითქმის დანარჩენებზე. სანიგები და მისიმიანელები სვანური წარმოშობის ტომებადაა მიჩნეული. ეჭვს აბაზგები და აფშილები ბადებენ. მათი წარმომავლობაა ბოლომდე დაუდგენილი. აზრი, რომ ისინი კავკონური წარმოშობის ადიღური ტომის განაყარი ელემენტებია, მავანთა დიდი სურვილისა და ძალისხმევის მიუხედავად უსაფუძვლოა. იმ პერიოდში ამ წარმომავლობის თემთა არსებობა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში, ყუბანისპირეთში მოიაზრება. ჯიქები ის ავანგარდია, რომელიც კოლხეთის უკიდურეს ჩრდილოეთში პირველები იმკვიდრებენ ადგილს: სვანური (ჰენიოხები, ჰელიოხების) ტომების არეალში ისინი გვიან პერიოდში იჭრებიან.

ჯიქების სამხრეთით ტერიტორიებს მთებიდან ჩამოსახლებული სანიგები და მისიმილიანები იკავებენ. მათ სამხრეთით აბაზგები და აფშილები კოლხური წარმომავლობის ტომებია, მოძლიერებულნი ახალი ვითარების პირობებში. ისევე, როგორც სელოხეხები მდ. ხობის მდამოებში. ამ ერთეულმა თავისი ცალკე სამეფოც კი შექმნა.

პონტოს სამეფოს გაუქმებამ ძვრები არა მხოლოდ კოლხეთის ჩრდილოეთში გამოიწვია. სამხრეთში წამყვან პოზიციებს იკავებენ მთებიდან ჩამოსახლებული ჭანები (სანები), მაკრონების გვერდით-ჰენიოხები, რომლებიც ადრე ჩილდირის ტბასთან ცხოვრობდნენ. ძიდრიტები, რომლებიც ადრე არ იხსენიებიან, რადგან სხვა ტომის შემადგენლობაში შედიოდნენ. საკითხის სინათლისათვის გასახსენებელია მითრიდატე პონტოელის მიერ სომხეთის მეფე ტიგრან II 250 000 ტიბარენელის ჩასახლება ტიგრანოკერტში. საფიქრებელია, რომ ამ ოდენობის ქვეშ ერთი ტომი არ იგულისხმება. ასევე იქნებოდნენ მაკრონები, მოსინიკები და ა. შ. ეს ტომები ერთიანდებოდნენ და იყოფდნენ, გარკვეულ მიზეზთა გამო. მათი ცალკეული ელემენტები ძლიერდებოდნენ ან სუსტდებოდნენ. ამის მიხედვით ქრებოდნენ ან წარმოიშობოდნენ ამა თუ იმ სახელწოდების ტომები, მიკრო სამეფოები და ა. შ.

სხვანაირად წარმოუდგენელია იმის დაჯერება რომ დიოსკურიაში სავაჭროდ 70 ტომის წარმომადგენლები იყრიდნენ თავს. სტრაბონის ეს ცნობა სიფრთხილით მოპყრობასაც ვერ უძლებს. მით უფრო არა სანდოა ცნობა აქ 300 ტომის შეხვედრის შესახებ, რომელთაც 130 ენაზე თარჯიმნები დასჭირდებოდათ. რაც არ უნდა უნდოდეთ დიოსკურიის სიძლიერისა და აყვავებულობის დემონსტრირება, რაც არ უნდა აფერადებდნენ სინამდვილეს, ამ რეგიონში სვანურ-კოლხური ტომების გარდა არავინ მოსახლეობდა. ამ შემთხვევაში მხედველობის გარეთაა ბერძნულ-რომაული კონტიგენტი.

ადგილობრივი ტომები პერიოდულად ძლიერდებოდნენ ან სუსტდებოდნენ, ერთი მეორეს ეჯახებოდნენ ან კავშირებს ქმნიდნენ კონკრეტულ-ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე. ასეთივე იყო დამოკიდებულება დამპყრობ რომაელებთან. ასეთ ვითარებას უნდა აღნიშნავდეს ფლავიუს არიანეს ცნობა კოლხეთის ტერიტორიაზე მეფეების სიმრავლის შესახებ. კერძოდ ნათქვამია, რომ ტრაპეზუნტის მახლობლად სანების ტომის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობენ მაკრონები და ჰენიოხები. მათი მეფეა ანქიალე. მათ შემდეგ მოდიან ძიდრიტები და ლაზები. ლაზების მეფეა მალასია. ლაზებს ჩრდილოეთით ეკვრიან აფსილები (აფშიტები) მეფე იულიანეთი სათავეში. მათ ზევით მოსახლეობენ აბასკები (აბაზგები). მათი მეფეა რესმაგი (რისმაგი?). უფრო ჩრდილოეთით არიან სანიგები, მეფით სპადაგი. არიანეს დასკვნით, ყველა ეს მეფე რომის იმპერატორ ადრიანეს მიერ იყვნენ დამტკიცებულები და მას ერთ-

გულებდნენ. ეტყობა მოკლე დროში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. რომის იმპერატორ სეპტიმიუს სევერს (193-211 წწ.), კოლხეთში მცხოვრებ ტომთა დამორჩილება ხელახლა დასჭირვებია.

III საუკუნიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი ძალა გამოჩნდა გერმანული ტომების სახით. გოთების ტომმა ხელში ჩაიგდო ბოსფორის ფლოტი და მისი მეშვეობით შავიზღვისპირეთი მოარბია. გოთებმა კაპადოკიასაც უწიეს. ქართველების ეთნოგენეზის არეალში გოთების გამოჩენა რა სახსენებელია, როცა გერმანული ტომები თვით რომის იმპერიას ესხმოდნენ და რომს დაპყრობით ემუქრებოდნენ.

გოთებს მოჰყვნენ სარმატები. არის ცნობა იმის შესახებ, რომ სარმატებმა ჩრდილოეთ კავკასიასთან ერთად კოლხეთიც მოარბიეს და მდ. ჰალისამდე ზღვის სანაპიროებს ატერორებდნენ.

კიდევ უფრო ძლიერი ძალა გამოჩნდა IV ს. ჰუნების სახით. ჰუნებმა სკვით-ალანთა არეალი გადათელეს, ადგილობრივები გაჟლიტეს ან შეიერთეს და გოთების შევიწროებაც მოახერხეს. ბოლოს ჰუნებმა ატილას მეთაურობით რომსაც უწიეს. ჰუნებს ალან-სკვითების დიდი გაერთიანების მოსპობის დროს, მხოლოდ კავკასიას შეფარებული ოსები გადაურჩნენ.

რომს კავკასიისათვის აღარ ეცალა. ამ ვითარებამ ბევრად შეუწყო ხელი კოლხეთში ლაზების გაძლიერებას და მათი სამეფოს დაარსებას. საქართველოს ისტორიის მკვლევარები ყოველმხრივ აანალიზებენ ლაზიკის სამეფოს აღმოცენება-გაძლიერების პირობებს და მათი აქ განმეორება ახალს არაფერს იძლევა. მხოლოდ უნდა აღნიშნოს ლაზიკის დამოკიდებულება მეზობელი ტომებისადმი. ლაზებმა თავის გავლენას დაუმორჩილეს სკუმიას (ლეჩხუმელების) და მისიმიანების სვანური ტომები, შეიერთეს აფშილეთი და ინტერესთა სფეროში მოაქციეს აბაზგთა ტომი. ლაზთა სამეფოს დედაქალაქად მიაჩნიათ ციხე-გოჯი (ნოქალაქევი), რომელიც თავის დროზე (ძვ. წ. აღ. IV—III სს) ეგრისის მთავარ ქუჯის დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდა.

კოლხეთის სამხრეთ ნაწილში სანების (ჭანების) ტომთა გაერთიანება შეიქმნა. I—II სს. ისინი ისეთ ძლიერებას აღწევენ, რომ არაერთგზის არბევენ სომხეთს. ამ გზით მათ კაპადოკია, კილიკია, სირიაც დაულაშქრავთ. ისტორია გვამცნობს, რომ მათი ძარცვა-რბევით შეწუხებული რომაელები, ხშირად საჩუქრებით ცდილობდნენ ურთიერთობის მოგვარებას.

სხვანაირად განვითარდა პროცესები აღმოსავლეთ საქართველოს

ტერიტორიაზე. აზონის მიერ შექმნილმა და ფარნავაზის მიერ განვრცობილმა იბერიის სამეფომ დროის გამოცდას გაუძლო და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია.

ფარნავაზის შემდეგ იბერიაში მეფობდა საურმაგი. გადმოცემის თანახმად იგი აღაშენებდა დედაქალაქს. მან მცხეთის მისასვლელ გზასთან ახლოს დადგა აინანას კერპი. მისმა მემკვიდრე მირვან (მირიანი I) მეფემ მამის ძალისხმევა განაგრძო როგორც ქვეყნის, ასევე ღვთის მშენებლობის მიმართებით. მის სახელთანაა დაკავშირებული დანიანას კერპის გამობრწყინება ღმერთების პანთეონში. წინაპრებს არც ფარნავაზი ჩამორჩა. მან აღაშენა ციხე „მთასა ზედა“ და დადგა ზადენის კერპი. ისტორიულ მასწავლებლებს შემორჩა ზედა ზადენის (ზედაზენის) ხსენება. კერპი კი სავარაუდოდ ქრისტიანობას ემსხვერპლა. მისმა მემკვიდრე არსოკმა შთამომავლობას თავი იმით დაამახსოვრა, რომ ქალაქს გალავანი აუშენა.

ძვ. წ. აღ. III–I სს. მოღვაწე ფარნავაზიანთა დინასტიიდან ყველაზე მეტი მეფე არტაგის (არტოკის) შესახებაა ცნობილი. მან ისტორიას თავი პომპეუსთან ურთიერთობით დაამახსოვრა. მის სახელთანაა დაკავშირებული მტკვრის დინების ქვეშ მოქცეული ქვის ხიდის მშენებლობაც.

ფარნავაზიანთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ შეძლეს სამეფოს მოშენება-მოღონიერება. საკმარისია სტრაბონის დამოწმება, რომელიც აღნიშნავდა, რომ იბერია კარგადაა დასახლებული როგორც ქალაქებად, ასევე დაბეზად. ხაზს უსვამდა, რომ არის ხუროთმოძღვრების წესით აგებული სახლები, ბაზრები და საზოგადოებრივი შენობები. განსაკუთრებით საინტერესოა მითითება საზგადოებრივი შენობების არსებობაზე. ძველი წელთაღრიცხვისათვის ამ ხასიათის ნაგებობებით ყველა ერი ვერ დაიკვერხნიდა.

იბერიის სამეფოს ახლო სამოკავშირეო ურთიერთობები ჰქონდა ჩრდილო კავკასიის ტომებთან და საჭიროების შემთხვევაში კოორდინებურადაც მოქმედებდნენ.

იბერიას ჩრდილოეთიდან მთის იბერები იცავდნენ. მთის იბერები კავკონური ტომებისაგან შედგებოდნენ. ქართული წარსული მათ კავკას-ოსის სახელთან აკავშირებს. ლეონტი მროველის ცნობით ამ გაერთიანებას ეკავა ჩრდილო კავკასიაში ტერიტორიები მდ. ლომეკიდან (თერგიდან, დერგიდან) დასავლეთით შავ ზღვამდე. ძვ. წ. აღ. VIII ს. მოყოლებული მათ ჩრდილოეთით გამოჩნდნენ კიმერიელები და სკვითები. სკვით-ალანებმა მთის იბერების (კავკონების) არეალში

დაფუძნება შეძლეს. კავკონების ნაწილი თერგის მარჯვენა მხარეში ლეკოსის (დაღესტნელების) კუთვნილ მიწებზე გადავიდა (ბაცბურქისტურ ტომები) და მეზობლები შეავიწროვა. დვალეები მაღალი მთის ხეობებში ჩაიკეტნენ. დასავლეთით განფენილმა ტომებმა ჩერქეზულ-ადიღეურ მოდგმას დაუდეს სათავე.

იბერიის სამეფოს ჰქონდა სიძლიერის და სისუსტის პერიოდები. თუ აზონმა და ფარნავაზმა მისი საზღვრები შორს სამხრეთში გასწიეს და განამტკიცეს, შემდეგში ძვ. წ. აღ. 190-185 წწ. სომხეთმა შეძლო მისთვის საკმაოდ დიდი ტერიტორიების ჩამოცილება. ისტორია გვამცნობს, რომ არტაქსიასა და ზარიადრის დროს ჩამოაჭრა სომხეთმა იბერიულ-კოლხურ ტომებს დიდი ტერიტორიები. პარიადრის მთის კალთები, ზორზენე და გოგარენე, კარანიტი (კარნუ ქალაქი, ერზურუმი), ქსერქსენე და აკილისენე. აპოლიდორის ცნობით ადრე იბერებსა და არმენებს (არიანებს და არა სომხებს) მდ. არაქსი ყოფდა, შემდეგ ეს საზღვარი სომხების სასარგებლოდ დაირღვა.

რთული იყო ურთიერთობა რომთან, ძვ. წ. აღ. I ს. პართია ძლიერდება და ცდილობს სომხეთი დაისაკუთროს. მის გამო იწყება გაუთავებელი ომები. ისტორიული ცნობების თანახმად, ამით ისარგებლეს იბერებმა და ალბანელებმა და რომის დაქვემდებარებას თავი დააღწიეს. რომის ხელისუფლებამ შესანიშნავად იცოდა ამ ორი ერთეულის მნიშვნელობა შორეულ აღმოსავლეთში და შეეცადა კვლავ მათ დამორჩილებას. ძვ. წ. აღ. 36 წ. ანტონიუსის სარდალი პუბლიუს კრასუსი შეიჭრა იბერიაში და ფარნავაზ II მოკავშირეობის ზავით დაიმორჩილა. შემდეგ იგივე ბედი ეწია ალბანეთს და მის მეფე ზობერს.

რომს ალბად შეეძლო დამარცხებული ქვეყნების მიერთება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში წინააღმდეგობა გაგრძელდებოდა და სომხეთისათვის ბრძოლა გართულდებოდა. თავის მხრივ მოკავშირეობის სტატუსმა ალბანეთ-იბერიას დამოუკიდებელი მოქმედების და გაძლიერების საშუალება მისცა.

ახალი წელთა აღრიცხვის I–II საუკუნეებში იბერიის სამეფო ძლიერდება და რომისაგან დამოუკიდებლადაც რამდენჯერმე ამარცხნებს პართიას. რიგ შემთხვევაში რომი იბულებულია დაუთმოს ურჩ მოკავშირეს. მით უფრო, რომ იბერიას საშუალება აქვს საჭიროების შემთხვევაში გახსნას კავკასიონის გადასასვლელები და სათარემოდ გადმოუშვას სკვით-ალანთა შეიარაღებული შენაერთები.

რომის იმპერია დიდად ძლიერდება და წარმატებებს აღწევს პართიასთან შერკინებაში იმპერატორ ტიბერიუსის დროს (14-37წწ.) ტიბერიუსმა თავის გავლენა ალბან-იბერებზეც გააძლიერა. ტაციტი 23 წ. აღნიშნავდა, რომ რომის ლეგიონები ამ ორი სამეფოს ინტერესებს იცავდნენ. ტიბერიუსმა სომხეთი ჩამოაცილა პართიას და იქ პონტოს მეფე პოლემონის ძე ზენონი დასვა. ზენონმა მიიღო არტაშე-ს სახელი და 18-34 წწ. მართავდა სომხეთს. მისი სიკვდილის შემდეგ პართიის მეფე არტაბან III (13-38 წწ.) დაიკავა სომხეთი და თავისი ძე არშაკი გაამეფა.

ერთი წლის შემდეგ მდგომარეობა თვით პართიაში გართულდა. დიდებულთა ერთი ნაწილი აუჯანყდა არტაბანს და რომის დახმარებით ტირიდატი დასვეს ტახტზე. ეტყობა ამ ბრძოლაში იბერიის მეფე მითრიდატეს ჯარიც იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ტიბერიუსი მითრიდატეს მოკავშირეობისათვის სომხეთის ტახტს შეჰპირდა. რომს აწყობდა პართიისათვის ძლიერი მეტოქის დაპირისპირება.

მითრიდატე მეფის ძე ფარსმანმა პართიასთან ომში დაიხმარა ალბანელები და სარმატები, შეიჭრა სომხეთში დაიკავა დედაქალაქი არტაქსატა. პართიის მეფემ დიდძალი ჯარით თავისი მეშვედრე ოროდი დაუპირისპირა იბერებს. ისტორიული ცნობის თანახმად ფარსმანი ბრძოლის დროს დაესხა ოროდს და მძიმედ დაჭრა. იბერებმა გაიმარჯვეს. შედეგად სომხეთში მითრიდატეს ძე მითრიდატე გამეფდა (ფარსმანის ძმა), ხოლო პართიაში ტირიდატი.

ტირიდატს დიდხანს არ უმეფია. არტაბანმა ტახტი დაიბრუნა და სასომხეთის დაბრუნებაც მოინდომა. იბერებმა კვლავ გაიმარჯვეს და მეფობა მითრიდატეს დარჩა.

37 წ. გარდაიცვალა იმპერატორი ტიბერიუსი. იგი საოცრად აღვირ-ასხნილმა კალიგულამ (37-41 წწ.) შეცვალა. მის კაპრიზებს ბევრი შეეწირა. მისი გადაწყვეტილებით სომხეთის მეფე მითრიდატე რომში დაიბარეს და დააპატიმრეს. ამით იბერია-პართიის ჭიდილი სომხეთის დაუფლებისათვის არ შეწყვეტილა. ახლა უკვე მეფე ფარსმან I სომხეთის შემოერთებისათვის მედგრად იბრძოდა. მისი შეჩერება რომმა მხოლოდ იმით მოახერხა, რომ ახალმა იმპერატორმა კლავდიუსმა მითრიდატე პატიმრობიდან გაათავისუფლა და კვლავ სომხეთის მეფედ დაადგინა.

ფარსმან I აღარ აწყობდა, თუნდაც ძმის ხელმძღვანელობით სომხეთის დამოუკიდებლად არსებობა. ჭეშმარიტად ძალა აღმართს

ხნავს, გამარჯვებული კი ბოლოს მართალი ხდება. 51 წ. იბერიის ჯარებმა სომხეთი დაიკავეს, მითრიდატე სომეხთა მეფე კი ფარსმანის ძე რადამისტი-თ შეცვალეს.

მალე კვლავ პართიამ იმძლავრა და სომხეთის სამეფო ტახტი დაისაკუთრა. პართიისა და რომის იმპერიის ახალი დაპირისპირება გარდუვალი გახდა. რომი იბერთა, როგორც მოკავშირეების მძლავრობას სომხეთში ეგუებოდა პართიელებისას კი არა. საბოლოო ანგარიშით 58 წ. პართიელები განდევნეს. გამარჯვებულ მძარცველთა წესის თანახმად დაპყრობილი მიწები გაინაწილეს. იბერიამ, პონტომ, მცირე არმენიამ მიიერთეს ამ სამეფოთა მოსაზღვრე ტერიტორიები. ბრძოლა სომხეთის დაუფლებისათვის გაგრძელდა და 63 წ. ზავით დასრულდა. ზავის თანახმად სომხეთზე გავლენას პართიაც ინარჩუნებდა და რომიც. ტახტს კვლავ პართიული წარმომშობის არმაკიდები იკავებდნენ, მაგრამ მხოლოდ რომის ნებართვით.

ასეთი შედეგი არ აწყობდა ფარსმანის ძე მითრიდატეს. 70-იან წლებში მან ჩრდილოეთიდან გადმოიყვანა მოქირავნე ჯარი, იბერებთან შეერთებული ძალებით შეიჭრა სომხეთში და მიდიაში. ისტორიული ცნობის თანახმად, იმდენად დიდი იყო ძარცვა-რბევის შედეგი, რომ პართიის მეფემ იბერიის მეფეს რომში უჩივლა, როგორც რომის მეგობარს, რომელმაც ზავის პირობები დაარღვია.

მითრიდატე ფარსმანის ძე ქართამ მითრიდატეს ძემ შეცვალა, მაგრამ სომხეთისადმი (როგორც პართიის ვასალისადმი) დამოკიდებულება არ შეცვლილა. ერთი ცნობის თანახმად ქართამ-მა სომხეთის უფლისწული დაატყვევა და დარიალის ციხეში ჩაკეტა. ტყვე მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც პართია-სომხეთმა იბერიას ჯავახეთ-არტაანის წაგლეჯილი მიწები დაუბრუნეს.

ცნობა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს სომხეთი მხოლოდ სხვათა საჯიჯგნ ერთეულს წარმოადგენდა. სრულებითაც არა. რამდენადაც იმ დროს პართიაც და რომიც ურთიერთჭიდილით დასუსტებულები იყვნენ, სომხეთი ცდილობდა პართიის დახმარებით რომის უღელიც მოეცილებინა და მეზობლებისათვის ტერიტორიებიც წაეგლიჯა. ეს კი პართიის მიზნებშიც შედიოდა. თავის მხრივ სომხეთის მეზობლები ცდილობდნენ რომის იმპერიის მიმხრობას და გამოყენებას.

ამ ვითარებას უნდა აღნუსხავდეს ცნობა იმის შესახებ, რომ იმპერატორ დომიციანეს დროს რომაელთა ლეგიონი იბრძოდა ალბანეთის ტერიტორიაზე. ეს შეიძლება ყოფილიყო ან ალბანელთა ან იბერიის

დასახმარებლად. იმავე პერიოდში რომალები აქტიურად მოქმედებენ სომხეთის დასავლეთში.

რომის საიმპერატორო ტახტზე ტრაიანეს (98-117 წწ.) ასვლის შემდეგ პართიასთან ურთიერთობა და ბრძოლა სომხეთის დაუფლები-სათვის მწვავედება. ტრაიანემ 114-116 წწ. სასტიკად დაამარცხა პართია და მთლიანი სომხეთი დაიკავა. სომხეთის მიერთებით ტრაიანემ იბერიასთან კავშირი გაამყარა. მით უფრო, რომ იბერიელები ამ ომში აქტიურად მონაწილეობდნენ მეფისწულ ამაზასპის სარდლობით. ამ ბრძოლების შედეგად მოხერხდა პართიის ინტერესების მოთოკვა ალბანეთის მიმართაც. იბერიის სამეფოს მოესპო საფრთხე აღმოსავლეთიდან და შეიძლებოდა აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება სამხრეთით. ეს შესაძლებლობა წარმატებით გამოიყენეს მეფეებმა მითრიდატე III და ფარსმან II (ქველმა).

შეიცვალა რომის პოლიტიკა იმპერატორ ადრიანეს (117-138) დროს. რომის იმპერია აქტიური საომარ მოქმედებას წყვეტს და უკვე მოპოვებული ტერიტორიების შენარჩუნებას ცდილობს. ასეთსავე საგარეო პოლიტიკურ კურსს ადგას მისი მემკვიდრე ანტონინუს პიუსი (138-161). ამ დროს იბერიის სამეფოს სათავეში ფარსმან ქველი უდგას. მან შეძლო სამხრეთში პოზიციების განმტკიცება და სამეფო საზღვრების შავი (პონტოს) ზღვის სანაპიროებამდე განვრცობა. ამ ცნობას კაპადოკიის მმართველი ფლავიუს არიანე იძლევა 131 წ. მისი თქმით, მდ. ჭოროხის სამხრეთით, ზღვის პირას მობინადრე ძიდრიტების ტომი რომს კი არა იბერიის სამეფოს ემორჩილებოდა.

ფარსმანი ზღვაზე გასასვლელის მოპოვებით არ დაკმაყოფილებულა. 134 წ. მან ალანთა დიდი შენაერთი გადმოუშვა სამხრეთით და მიდია, სომხეთი და კაპადოკია გაამარცხინა. რომის უკმაყოფილება ფარსმანმა „არ ვიცოდის“ მეთოდით ჩააქრო. სომხეთი და მიდია კი ისე იყო მოოხრებული, რომ პართიის მეფე ვოლოგემ II რისხვა ვერ დაიოკა და ფარსმანს მოკავშირე-მეგობარ რომთან უჩივლა, თან არც ის დაუმაღავს, რომ საკუთრივ პართიამ მოთარეშეებისაგან დიდძალი საჩუქრებით იხსნა თავი. საფიქრელია, რომ ასეთი საჩივრების გასაქარწყლებლად და მეგობრობის განსამტკიცებლად (მომავალი სამოქმედო პროგრამის შესათანხმებლად) უნდა ჩასულიყო ფარსმან ქველი რომში სტუმრად, რის შესახებაც სანდო ცნობებს რომაული წყაროები გვაძეცნობენ. ამ სტუმრობის დროს რომმა სცნო ფარსმანის უფლებები მიერთებულ ტერიტორიებზე. ნიშნად მტკიცე მეგობრობისა ამხედრებული ფარსმანის

ბეგლი დაიდგა რომში. იბერია გახდა პირველი მეგობარ-მოკავშირე აღმოსავლეთში.

იბერიის სამეფოს წარმატებები წარმატებით აღმოჩნდა. III საუკუნის სინამდვილე ქვეყნის მესვეურებს მხოლოდ თავდაცვითი ბრძოლების საშუალებას აძლევდა.

ყოველივე დაიწყო ირანში სასანიდების დინასტიის გაბატონებით. მეფე არდაშირმა (224-241 წწ.) შეძლო ირანული წარმოშობის ტომების გაერთიანება ცენტრალიზებულ სახელმწიფოში. მალე იგი რომს დაუპირისპირდა საკმაო ძლევამოსილებით. არდაშირის მემკვიდრე შაპურ I (241-272 წწ.) რომის იმპერატორი ვალერიანე ტყვედ აიყვანა. რომაელებმა მისი გამოხსნა ვერ შეძლეს. ირანმა რომის იმპერიას შუამდინარეთთან ერთად კავკასიის სამეფოებიც ჩამოაცილა. ამის შემდეგ ღირსეული მეტოქეების ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, რაც ალბანეთს, სომხეთს და იბერიას მძიმე მდგომარეობაში აყენებდა.

საუკუნის ბოლო პერიოდში ძალთა თანაფარდობის სასწორი რომის სასარგებლოდ გადაიხარა. იმპერატორმა დიოკლიტიანემ (284-305 წწ.) ქვეყნის რეფორმირება მოახდინა. იმპერია ორ ნაწილად გაჰყო. თვითონ აღმოსავლეთ იმპერიას ჩაუდგა სათავეში და ირანს შეუტია. 298 წ. დაიღო ზავი (ნიზიბინის ზავი), რომლის ძალითაც იბერია და სომხეთი რომის გამგებლობაში დარჩა.

IV ს. პირველ ნახევარში იბერია ცდილობს პრობლემები მოაგვაროს ირანთან. ამასთან კვაშირში უნდა იყოს ცნობა ტახტის მფლობელ მირიანის სპარსული წარმომავლობის შესახებ. მის გამგებლობაში ჩანს სომხეთი, რანი, მოვაკანი, ჰერეთი და ეგრისის ნაწილი. მისი მეფობის დროს სომხეთს რომაელთა დახმარებით დამოუკიდებლობა მოუპოვებია. იმპერატორ კონსტანტინეს შუამავლობით დაპირისპირებულნი შერიგდნენ და სომხეთის მეფე თრდატის ასული სალომე მირიანის ძე რევს (რევი მართალი) შერთეს.

მეფე მირიანის სახელთანაა დაკავშირებული ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება. რა დადებითი და რა უარყოფითი შედეგები მოჰყვა ამ აქტს, რთული საძიებელია. ფაქტია, რომ ამ პერიოდიდან მოყოლებული ქვეყანა ქრისტიანულად იწოდება და დღესაც მყარად მკვიდრობს.

IV ს. მეორე ნახევარი ირანის წარმატებებით აღინიშნა. იბერიის სამეფო ოფიციალური ჩაურევლობის პოზიციამ ვერ იხსნა. ცნობილია,

რომ შაბურ მეფემ იბერიას თავს მოახვია გავლენა. მეფე საურმაგი იბერიიდან გაძევებულ იქნა და ტახტზე ასფაგური (ვარაზ-ბაკური) აღზევდა. თავის მხრივ იმპერატორმა ვალენტმა საურმაგს ჯარი მი-
ახმარა. რით დამთავრდებოდა ჭიდილი დიდ სახელმწიფოთა შორის
ძნელი სათქმელია, რომ არა შერიგება-გარიგება ვარაზ-ბაკურსა და
საურმაგს შორის. მათ იბერია გაჰყვეს მტკვარ-არაგვის აღმოსავლეთ
და დასავლეთ ნაწილებად და ორმეფობა დაამკვიდრეს.

V ს. დასაწყისში იბერიის ტახტზე ფარსმან IV ჩანს. იგი
წარმატებით ექიშებოდა აღმოსავლეთ რომის იმპერიას. ისტორიული
ცნობა ადასტურებს მის გამორჩეულობასა და მძლავრობას. მან ჰუნები
გადმოუშვა სამხრეთით და ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის) პროვინ-
ციები დაარბევინა. დამშვიდდა და დაზავდა მას შემდეგ, რაც მისი ძე
ბიზანტიის იმპერატორად აღზევდა.

ფარსმანის საქმე წარმატებით განავრცო მირდატმა, რომელიც
ძმის შემდეგ მეფობდა. მირდატმა შეძლო ირანის გავლენისაგან ქვეყნის
დახსნა და ბიზანტიის წინააღმდეგ კლარჯეთისათვის წარმატებული
ბრძოლის წარმოება. ბოლოს იგი ირანთან ჭიდილში დამარცხდა და
ტყვედ ჩავარდა. ამას ცეცხლთაყენისმცემლობის მომძლავრება მოჰყვა
იბერიაში. ასე გაგრძელდა, ვიდრე სამეფო ტახტზე არჩილ I არ ავიდა.
მან ქრისტიანობა მოამძლავრა და შეუტია ირანის პროვინციებს რანსა და
მოვაკანს. ამ ბრძოლებში აქტიურად მონაწილეობდა მისი ძე მირდატი.
გადმოცემა გვაძნობს, რომ ბრძოლა მოყვრობით დასრულდა. მირდატმა
ცოლად მოიყვანა რანისა და მოვაკანის ერისმთავარ ბარზაბოდის ასული.

მათი ვაჟი ვახტანგი მეფობდა V ს. მეორე ნახევარში. ამ დროს
ირანის მიერ სასომხეთში მეფობა გაუქმებულია. ეს მოხდა 428 წ.
მალე იგივე ბედი ალბანეთსაც ეწია (510 წ.) რჩებოდა იბერია, რომლის
ლევანდარული მეფე ვახტანგ გორგასალი დიდხანს ზეობდა მტრებზე
და ორგულებზე. ცნობილია მისი წარმატებითი ლაშქრობა ჩრდილოეთ
კავკასიაში ოსებისა და ყივჩაღების წინააღმდეგ. ბრძოლით მან ჩრდილო-
ეთიდან აფხაზეთსა და შავ ზღვას უწია. ამ ლაშქრობის დროს უნდა
ასულიყო იგი იალბუზზე. იგი მონაწილეობდა ირანის მოკავშირედ
შუა აზიისა და ინდოეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში. ასევე ცნობილია
მისი წარმატებითი ლაშქრობა ბიზანტიის წინააღმდეგ. ვახტანგ მეფეს
მიღწევები ჰქონია შინაურ საერო და სასულიერო ფეოდალებთან ჭი-
დილში. მის სახელთანაა დაკავშირებული კათალიკოსის წინამძღვრობის
შემოღება ნაცვლად მთავარეპისკოპოსისა.

ვახტანგ გორგასლის შემდეგ იბერიის სამეფოს მძიმე დრო დაუდგა. ირანმა სომხეთსა და ალბანეთში მეფობის მოსპობის შემდეგ იბერიას შეუტია და საწადელსაც მიღწია 523 წ. გურგენ მეფე მომხრე დიდებულებით ქვეყნიდან გადაიხვეწა და ბიზანტიას მიაშურა. ირანმა მოახერხა და არა მხოლოდ იბერია დაიკავა, არამედ კავკასიის უღელტეხილებზეც მკაცრი კონტროლი დააწესა. კავკასიის ყოფილი სამეფოები ერთ სამართველო ოლქად გაართიანა და სათავეში მარზპანი ჩაუყენა. ამავე დროს გააძლიერა მომხრე პიტიახშებისა და მამასახლისების გავლენა. ასეთივე პრივილეგიით სარგებლობდა „ქართლის კათალიკონი“ და მისი წრე. ეს ფაქტი კი სრულიადაც არ გამოორიცხავდა ქრისტიანობისა და იბერიელობის შევიწროებას.

თუ გავიხსენებთ, რომ იბერიელები ადრე მოკავშირობდნენ, მაგრამ არ ემორჩილებოდნენ არც ერთ ძლიერ მეზობელს, მაშინ ძნელი წარმოსადგენი არ იქნება მათი შეურიგებლობა. კიდევ უფრო მძიმე პირობებში უწევდათ არსებობა ალბანელებსა და სომხებს. აუტანელმა მდგომარეობამ განაპირობა 571 წ. სომხების აჯანყება ვარდან მამიკონიანის მეთაურობით. ბიზანტიამ თავის მხრივ დახმარება აღმოუჩინა აჯანყებულებს, რაც საბოლოო ანგარიშით იბერიისა და სომხეთის (ბერძნების დახასიათებით პერსარმენიის) ბიზანტიის გავლენის სფეროში მოქცევით დასრულდა.

აჯანყების დროს (571 წ.) იბერების წინამძღოლს გუარამს, იუსტინე კეისარმა კურაპალატის საპატიო ტიტული მიანიჭა. ამიერიდან მისი ჩამომავლები ერისმთავრის წოდებით მოიხსენიებიან. 591 წ. როცა სასომხეთი და უკვე ქართლი (არა იბერიის სამეფო) ირანისაგან დამოუკიდებლობას აღწევენ ერისმთავარი სტეფანოზია, რომელიც პატრიკოსის ტიტულით მოიხსენიება.¹

ისტორიულად არანაკლები მნიშვნელობის მოვლენა იყო 606-608 წწ. სომხურ-ქართული საეკლესიო ერთობის მოშლა და დაპირისპირება მონოფიზიტებად და დიოფიზიტებად. ერთი შეხედვით არაარსებითი განხეთქილება მრავალ საუკუნოვან ჭიდილში გადაიზარდა. ამ ჭიდილს სათავე ირანის შაჰ ხოსრო II დაუდო. მან 614 წ. დაიპყრო იერუსალიმი, წმინდა ადგილები, მოიწვია ქრისტიანთა კრება და დაადგინა:

1. პატრიკოსის ტიტული ყურადსადები მოვლენაა, რადგან ამავე ტიტულს ანიჭებენ დასავლეთ საქართველოს მთავრის დონემდე ჩამოქვეითებულ ლაზეთ-ეგრისის მეფეთა შთამომავლებს.

მისი გავლენის სფეროში მცხოვრებ ქრისტიან მორწმუნეთ უნდა უარეყოთ მრწამსი. ვისაც ამ რელიგიის მიმდევრად დარჩენა სურდა, სომხური ქრისტიანობა უნდა ეღიარებინა. ირანი სომხური რელიგიისადმი შემწყნარებლური პოლიტიკით ცდილობდა სომეხი მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას და ქრისტიანებს შორის შუღლის ჩამოგდებას. შაჰის ეს ბრძნული გადაწყვეტილება კარგად გაითავისეს როგორც ირანის ხელისუფლებამ, ისე სომხური ეკლესიის მესვეურებმაც ეს პრინციპი. პირობებში, როცა რელიგიურობა ეროვნულობას უტოლდებოდა, ნიშნავდა ქრისტიანების გათიშვას, რაც დამპყრობს სურდა და გრიგორიანულ მრწამსზე გადაყვანას მასებისა, გასომხებას, რაც სომხურ ეკლესიას აწყობდა.¹

შაჰის ასეთ გადაწყვეტილებას არაფერი ზიანის მეტი ქართველები-სათვის არ მოუტანია. ადარნასე სტეფანოზის ძე ერისმთავარი და კირიონ კათალიკოსი იძულებულნი გახდნენ ქართლიდან გადახვეწილიყვნენ. ისტორია არაფერს ამბობს თუ რამდენმა მიბაძა მათ ქცევას.

მალე კვლავ ბიზანტიამ იმძლავრა. ჰერაკლე კეისარმა ჯერ კაპადოკიაში ბრძოლისას დაამარცხა ირანის მხედრობა, შემდეგ კი ხაზარებთან კავშირში წინევისთან დასცა ირანის ძლიერება. კავკასიაზე და კერძოდ ქართულ სამთავრო-სამეფოზე გავლენა გაიმყარა და იქ თავისი მმართველობაც შემოიღო.

იბერიულ-კოლხური ტომები ერთიმეორეს ექიშებოდნენ და ეხმარებოდნენ კიდევ. ახლა, როცა ბიზანტიამ ქართლზე გაავრცელა გავლენა, მეტი საშუალება მიეცა კოლხეთში თავისუფალი მოქმედებისა. მეტი საშუალება სწორი მოქმედებისას მეტ შედეგს მოიტანდა და ასეც მოხდა. ლაზთა სამეფო, რომელიც IV ს. გარკვეულად დამოუკიდებელია და მომძლავრებული, ბიზანტიის მხრივ ხელყოფას ყოველმხრივ წინააღმდეგობას უწევდა. ლაზიკამ (ეგრისმა) მოახერხა და იბერიის დასავლეთი ტერიტორიები დაიკავა. მან ასევე მიიერთა აფშილეთი, აბაზეთი და სინიგეთი. ასეთივე ბედი ეწიათ მისიმიანებსა და სკვიმნებს. ბოლოს ჯერი საკუთრივ სვანეთზე მიდგა.

საუკუნეები გრძელდებოდა ომი კავკასიის დასაუფლებლად. ყოველი

1 ირანის შაჰ ხოსრო II პრინციპი საუკუნეების მანძილზე წარმატებით მოქმედებდა. იგი შესანიშნავად გამოიყენეს არა მხოლოდ სხვა რელიგიის წარმომადგენლებმა, არამედ ერთმორწმუნე რუსეთის ხელისუფლებამაც.

დამპყრობი ცდილობდა დასაპყრობთა გათიშვას, ურთიერთდაპირისპირებას და საკუთარი პოზიციის გამყარებას. ამ მხრივ გამანაკლისს არც ბიზანტიის იმპერია წარმოადგენდა. სწორედ ისინი უწოდებდნენ ეგრისის სამეფოს ლაზიკას.¹ თავის მხრივ ლაზიკის მეფეებიც თავს არ იზოგავდნენ ოღონდ დამპყრობები ერთიმეორისათვის დაეპირისპირებინათ და თავი გადაერჩინათ. პერიოდულად მიზანსაც აღწევდნენ, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ქვეყანას ხან ერთი აგრესორი მარცვადა, ხან მეორე. ამ ბრძოლებში უფრო მეტი იყო დანაკარგი და მეტი ღალატი.

VI ს. ეგრისის მეფეს აბაზგები გაუდგნენ და ბიზანტიის ბატონობა ირჩიეს. ამ ტომს ორი მთავარი მართავდა და ორივე მოკლეს. მძიმე გამოდგა ბიზანტიის ყმობა და ახლა ამ ახალი ბატონის წინააღმდეგ მიმართეს იარაღი. ბიზანტიამ აჯანყებული მოღალატეები მოსპო.

აბაზგების მაგალითს აფშილებმა მიბაძეს. იმ სხვაობით, რომ მათ ირანელები ირჩიეს ბატონად. ირანელები რატომ იქნებოდნენ ბიზანტიელებზე მეტად ჰუმანურები? შედეგმაც არ დააყოვნა და ბოლოს აფშილებმა ისევ ლაზებთან ყოფნა ირჩიეს.

ამგვარად ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა.

უკეთესი მდგომარეობა არც ლაზთა (ეგრთა) სამეფოს ჰქონდა. ირან-ბიზანტია ორივე მძარცველი მტერ-მოკავშირე იყო. აგრესორთა ურთიერთდაპირისპირებისას ლაზთა სამეფო სიტუაციის მიხედვით ხან ერთს მიემხრობოდა ხან მეორეს. ამ ბრძოლების დროს 554 წ. ბიზანტიელმა სარდლებმა მეფე გუბაზი ღალატით მიიტყუეს და მოკლეს. ისტორიაში კარგადაა ცნობილი ლაზების სახალხო კრება და იქ გამომსვლელ ორატორთა არგუმენტები. ყოველივე იმით დასრულდა, რომ ბიზანტიამ ლაზიკის სამეფოც დაიმორჩილა და სვანეთიც. ლაზებმა გუბაზის ნაცვლად მეფედ მისი ძმა წათე მიიღეს. ირანმა კი მარცხი აღიარა და 562 წ. ზავი დადო ბიზანტიასთან.

გაიმყარა რა მდგომარეობა ბიზანტიამ 562 წ. ლაზეთ-ეგრისში მეფობა გააუქმა. მეფე წათეს მემკვიდრეები პატრიკიოსის თანამდებობაზე იქნენ ჩამოქვეითებულნი. განმეორდა ის რაც იბერიაში მოხდა. დამატებით ცხუმისა და ბიჭვინთის საეპარქო ჩამოცილებულ იქნა ლაზეთისას და უშუალოდ დაექვემდებარა ბიზანტიურს. სხვა მხრივ ლაზეთის პატრიკიოსი კვალავ ფლობდა სამეფოს სივრცეს.

1 ბერძნები ბალკანეთის ძველ მოსახლეობას პე-ლაზ-გებს უწოდებდნენ. ეგრისის მოსახლეობას კი ლაზ-ებს, ლაზიკას, კოლხებს.

VII ს. შუა ხანებში დასუსტებული ირანის ნაცვლად კავკასიის ისტორიულ არეალში არაბები გამოჩნდნენ. მათ დაამარცხეს ბიზანტია, დაიპყრეს ირანი და 640 წ. სომხეთში შევიდნენ. ამის შემდეგ, 654 წ. ქართველთა სამფლობელოს მიაღწენ. ქართლის ერისმთავარმა (პატრიკიოსმა) ზავი ითხოვა და მორჩილებას შეპირდა. ბოლოს ორი მტაცებელი ბიზანტიის კეისარი და არაბთა ხალიფა კავკასიიდან მიღებული ხარკის შუაზე გაყოფაზე შეთანხმდნენ. იყო 686 წელი.

ქართველთა საცხოვრის არეალში შემოჭრილი ძალები სათავისოდ იღვწოდნენ, დამხდურები კი არც ერთს ქედს არ უხრიდნენ. ამიტომ მოძალადეთა წარმატება, თუნდაც ხანგრძლივი, მაინც განწირული იყო. ისტორია გვეუბნება, რომ ქართველთა ერისმთავარმა ნერსემ შეძლო დროებით უღლის გადაგდება. წარმატება იმდენად მძლავრი იყო, რომ მცირე ხნით მან არაბები სომხეთიდანაც განდევნა.

მოიშორეს ერთი მტერი და სასწრაფოდ იგი მეორემ შეცვალა. მხოლოდ ბუნებას კი არა, პოლიტიკასაც არ უყვარს ვაკუუმი 688 წ. ბიზანტიის კეისარმა იუსტინემ ჯარი გამოაგზავნა დასაპყრობად. მათ არც ხაზარები ჩამორჩნენ და დაიწყო ხანგრძლივი დავა კავკასიისათვის.

თავის დროზე აზონმა (აზო-მ) ქართლი ხაზარებისაგან გაწმინდა და მათი ნაწილი დაიმორჩილა. ვახტანგ გორგასალმა ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის დროს ოს-ხაზართა გაერთიანებულ ჯარს აწვინა მარცხი. დროება შეიცვალა და ხაზარებმა აქეთ შემოუჭიეს სამხრეთელეს. ადარბადაგანი და ალბანეთი მათ სათარეშოდ იქცა. 628 წ. კი თბილისიც აიღეს და გაძარცვეს.

VII ს. ბოლოსათვის მაინც არაბებმა გადასძალეს. ამ საქმეში მათ ადგილობრივებიც დაეხმარნენ. ცნობილია, რომ 697 წ. ლაზეთის პატრიკიოსი გიორგი ბარნუკის ძე ბიზანტიას აუჯანყდა და დასახმარებლად არაბებს მიმართა. გაიმეორა გაჭირვებულთა ძველი მეთოდი. ახალი მტერი მიიხმარა ძველის წინააღმდეგ. შედეგად არაბებმა მთელი დასავლეთ საქართველო დაიკავეს. ლაზიკის ძველი ცენტრი ციხე-გოჯი არაბების ხელთ აღმოჩნდა. საერთო ჯამში არაბთა ბატონობა თითქმის ნახევარ საუკუნეს გაგრძელდა.

ბიზანტიის იმპერია, რომელსაც მუდმივი ომი ჰქონდა არაბებთან გავლენის სფეროს გაფართოებისათვის, იოლად ვერ შეურიგდებოდა დასავლეთ საქართველოს (ლაზიკის, აფხაზეთის-როგორც ის ბიზანტიურ წყაროებშია მოხსენიებული) დაკარგვას. არც შერიგებია. ამ შემთხვევაში მის ბუნებრივ მოკავშირეებად გამოდიოდნენ ის ადგილობრივი ძალები,

რომლებიც არაბთა ექსპანსიას ეწინააღმდეგებოდნენ და ის გარეშე ძალები, რომელთაც სურდათ კავკასიელი ტომების (ეთნოსების) არეალის მითვისება. ასეთებს წარმოადგენდნენ ალანები და ხაზარები. ხაზარებსა და არაბებს შორის ისედაც სწარმოებდა ბრძოლები.

ცნობილია, რომ 728 წ. არაბებმა ილაშქრეს ხაზარეთზე და ბრძოლით მდ. ვოლგასაც მიაღწიეს. არც ხაზარები დარჩენილან ვალში და შედეგად აღმოსავლეთ კავკასია იქნა გაჩანაგებული. 737 წ. კვლავ არაბებმა (მურვან ყრუს მეთაურობით) დალაშქრეს ხაზარეთი. ასეთი იყო ურთიერთობა არაბებს, ხაზარებსა და ბიზანტიელებს შორის.

კავკასიელებს არც ერთი მომხდური არ ეხატათ გულზე. ისინი ცდილობდნენ ყველასათვის წინააღმდეგობა გაეწიათ და შეუძლებლობის შემთხვევაში „ნაკლები ბოროტება“ ამოერჩიათ. ეს მით უფრო, რომ თუ ხაზარები რბევა-თარეშით კმაყოფილდებოდნენ, ბიზანტიელები და არაბები დაპყრობილ ქვეყნებში თავიანთ მოხელეებს ნიშნავდნენ. ასე იყო მომრავლებული პატრიკიოსები, მაგისტროსები, ვიპატორები და ა. შ. არაბები რატომ ჩამორჩებოდნენ სხვებს. მათ თბილისში დასვეს ამირა, რომელიც ქართლის ერთპიროვნული მმართველი უნდა ყოფილიყო. ამირას დამხმარედ თბილისშივე დატოვეს ერისმთავარი.

დაპყრობილებს რა შეეძლოთ ფარული თუ ამკარა წინააღმდეგობის გაწევის გარდა. ქართლში წინააღმდეგობას ერისმთავარი ედგა სათავეში, ლაზიკაში ერისთავი. ბიზანტიისათვის ორივე პატრიკიოსი იყო. ყოველი მებრძოლი მხარე მოკავშირეს ეძებდა. რამდენადაც ქართულ-კოლხურ ტომთა არეალი არაბებს ეკავათ, ბუნებრივად ბრძოლაც მათთან უნდა ეწარმოებინათ. ერისთავისა და ერისმთავრის მოკავშირედ პირველ რიგში ბიზანტია გამოდიოდა. თავის მხრივ ბიზანტია, თავადაც შეჭირვებული არაბებისაგან, ცდილობდა ხელი შეეწყო ლაზ-აფხაზთა და იბერ-ქართთა ბრძოლისათვის.

ქართლში წინააღმდეგობას ერისმთავარი სტეფანოზი მეთაურობდა. მას აქტიურად ედგნენ მხარში შვილები მირი (მირიანი?) და არჩილი. დასავლეთში ბრძოლას ლეონ ლაზთა მთავარი უძღვებოდა. იგი შიდა ეგრისიდან (ლაზიკიდან) გადავიდა საკუთრივ აფხაზეთში¹, დააფუძნა

1. ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალის დროს მდ. კელასურის (ძველად კორახის) ჩრდილოეთი ტერიტორია ბიზანტიის „კუთვნილებას“ წარმოადგენდა. აქ იყო აგებული ზღუდე. შემდეგ პერიოდში, როდესაც აბაზგები ლაზთა მეფეს განუდგნენ, ბიზანტიამ კიდევ უფრო მტკიცედ მოიკიდა ფეხი. VIII ს. დასაწყისში აქ უკვე არაბები იყვნენ.

სამთავრო და იქიდან ცდილობდა წინააღმდეგობის ორგანიზებას. მან მოახერხა აფხაზეთში მტკიცე პლაცდარმის შექმნა, დაუკავშირდა ქართლის ერისმთავარს ერთობლივი მოქმედების მიზნით და სცნო რა ბიზანტიის კეისრის უზენაესობა, დანმარება ითხოვა მისგან. ლეონ მთავარმა მდგომარეობის გამყარების მიზნით თავად ცოლად მოიყვანა ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის შვილიშვილი (მირის ქალიშვილი) გურანდუხტი, ხოლო ძმას შერთო ხაზართა ხაკანის ქალიშვილი. ამრიგად შეიკრა წრე არაბთა წინააღმდეგ.

ლეონ მთავრის (პატრიკიოსის) მდ. კელასურის ჩრდილოეთ მიწებზე დამკვიდრება არა უცხო, მაგრამ რთული საქმე იყო. ბიზანტიას ისედაც დაკარგული ჰქონდა ეს ტერიტორია. იქ ლაზიკის მეფეთა შთამომავლის დამკვიდრება, შედეგს არ ცვლიდა. სანაცვლოდ რთულდებოდა შინაგანი მდგომარეობა და არაბებთან დამოკიდებულება.

პირველ რიგში უნდა მიეთითოს ისტორიული გეოგრაფიის მდგომარეობაზე: მდინარე კელასური (ძველი სახელწოდება კორახი, ე. წ. კორახის ზღუდის გასწვრივ ჩამომდინარე, რომლის სახელწოდება მომდინარეობს კოლხური ტომის კორახის მიხედვით¹) წარმოადგენდა წყალგამყოფს ლაზიკის (ეგრისის) სამეფოსა და ბიზანტიურ აბხაზეთს (ლაზიკას) შორის. წყალგამყოფს წარმოადგენდა აგრეთვე ჰენის წყალღლევიანდელი მდ. კოდორი. ჰენიხი (ჰენიოხები) ტომის სახელწოდების მიხედვით. ძველი ეგრის წყალი ანუ მდ. ღალიძგა ლაზების (ეგრების) სამეფოს შემადგენლობაში იყო. მდ. ბზიბი (ანუ ბზები), სხვანაირად კაპოეტის წყალი (კაპოეტი ორაგულის ჯიშის თევზია) ისევე ორგანულად კოლხურ-იბერიული სახელწოდებაა, როგორც მდ. კალმახი ან მდ. კინტრიტი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე.

ეს ითქვა, რათა გათვალისწინებულ იქნეს, რომ იმ დროს ერთიანი სამთავრო არ არსებობდა, ქვეყანა დაყოფილი იყო სხვადასხვა ტომთა სახელწოდების ტერიტორიებად. მდ. კოდორის ხეობაში (ძველი ჰენის

1. საკითხის დასმის წესით შეიძლება ვარაუდის გამოთქმა, რომ კორახები. კორი-ნ-ხები წარმოადგენდნენ იმ დიდი ტომის ნაწილს, რომელთა შესახებ ნათქვამია, მათი აიეტთან ერთად კორ-ინთოდან გადმოსახლების შესახებ. არც ისაა გამოსარიცხი, რომ ძვ. წ. აღ. კოლხას-კულხას ტომთა გაერთიანება მასთან ორგანულ კავშირში იყო. ამ საკითხს სჭირდება დატალური ანალიზი.

წყალი) მისიმიანელები სახლობდნენ. მდ. კელასურის ხეობაში კორახები (კორ-ინ-ხები), მდ. გუმისთის (გუმის მთის) მიდამოები აბსილებს ეკუთვნოდათ, შემდეგ მოდიოდნენ აბშილები, მათ ზევით სანიგები და ბოლოს აბაზგები. სანიგები სახლობდნენ მდ. მზიმთისა და სოჭის მიდამოებში. მათგან ჩრდილოეთით აბაზგები. ყველანი (და არა მხოლოდ ისინი) ჰენიოხების ტომთა დიდ გაერთიანებას ქმნიდნენ. უფრო გვიან ხანაში ჰენიოხებს სვანები უნდა წოდებოდათ. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ნათქვამი, რომ სვანებს 200 000 მეომრის გამოყვანა შეეძლოთ და ცხუმში (სოხუმში) სავაჭროდ თავს იყრიდა 70 ტომის წარმომადგენელი.

არაბთა ბატონობის წინააღმდეგ მებრძოლი ლეონ პატრიკოსი მკვიდრდება მდ. კელასურის ჩრდილოეთით ტერიტორიებზე, ჰქმნის პოლიტიკურ ერთეულს და დებულობს აფხაზთა მთავრის ტიტულს. ეს არ იყო იოლად მოსაგვარებელი. ამ ტერიტორიებზე მთავრის ტიტულის პრეტენდენტები ცნობილი შავლიანის გვარის წარმომადგენლები იყვნენ. მხოლოდ ძალის უპირატესობით და იძულებით შეძლო ლეონმა იქ დამკვიდრება. შავლიანებმა დათმეს, მაგრამ დროებით. შემორჩენილია ისტორიული ცნობა მათი ბრძოლის შესახებ ლეონ აფხაზთა მთავრის წინააღმდეგ.

ლეონ მთავრის ბრძოლა ძალაუფლებისათვის და არაბთა წინააღმდეგ ერთი პროცესის ორი მხარეა. მისი წარმატებები ქართლის ერისმთავარ სტეფანოზის მხარდაჭერით იყო გამაგრებული და არაბების წინააღმდეგ საერთო ბრძოლას ძალას მატებდა.

ქართველთა დაუმორჩილებლობა აშკარა ფართე აჯანყებაში რომ არ გადაზრდილიყო ხალიფატმა 735 წ. სადამსჯელო ექსპედიცია მოაწყო მურვან იბნ-მუჰამედის (ქართველთა მიერ მურვან ყრუდ წოდებულის) სარდლობით.

მურვან ყრუმ გადაქელა ქართლი და ყოფილ ლაზიკის სამეფოს ტერიტორიებზე გადავიდა, სადაც ერისმთავარმა სტეფანოზმა ოჯახითურთ ნახა თავშესაფარი. ერისმთავარი სტეფანოზი აქვე იქნა დაკრძალული. არაბებთან ბრძოლის ხელმძღვანელობა უკვე მის ვაჟებს მირის, არჩილს და აფხაზეთის მთავარ ლეონს დაეკისრა.

მთავარი ლეონი ფლობს ბიზანტიის „კუთვნილ“ აფხაზეთს და აღიარებს მის უზენაესობას. თავის მხრივ ბიზანტია ცნობს მირისა და არჩილის მეფობას კოლხ-იბერთა დანარჩენ არეალზე, უგზავნის მათ

მეფეთა გვირგვინს და ლეონს აკისრებს მათ ქვეშევრდომობას. ამით ბიზანტიას სურს მოამძლავროს ბუნებრივი მოკავშირე, რაკი ჯვართ მათი დახმარება არ შეუძლია.

მურვან ყრუმ ბრძოლებით გაიარა დასავლეთი. არგვეთში შეიპყრო და აწამა დავით და კონსტანტინე ერისთავები. დაიპყრა და დაანგრია ციხე-გოჯი. დაიძრა მირის, არჩილისა და ლეონის დასამორჩილებლად. არაბობა მიადგა ანაკოფიის ციხე-ქალაქს (ახლა ახალი ათონი), სადაც გამაგრებული იყვნენ სტეფანოზის ძენი. ლეონი სობღისის ციხეს ამაგრებდა. სამივენი შეთანხმებულნი მოქმედებდნენ.

არაბებმა ანაკოფიას ალყა შემოავლეს, მაგრამ უშედეგოდ. ციხის დამცველებმა და საშველად მოსულმა ლეონ მთავრის ძალებმა ერთობლივი შეტევით მომხდურები დაამარცხეს, სდიეს და აფხაზეთიდან აოტეს შემდეგ პერიოდში მირიმ, არჩილმა და ლეონმა ლაზიკის (ეგრისის) სამეფო განწმინდეს არაბებისგან. ამის შემდეგ ხალიფატს ამ ტერიტორიების დალაშქრა აღარ შეეძლო. შეიქმნა მდგომარეობა, როცა ქვეყანას სამი გამგებელი გაუჩნდა. ბიზანტიის დასტურით შეთანხმდნენ. ლეონი, მირის სიძე და მემკვიდრე აღაშენებდა მდ. კელასურის (კლისურის) ჩრდილოეთით ახლა უკვე აფხაზთა სამთავროს. მეფე მირი იქნებოდა ციხე-გოჯს და იქიდან უხელმძღვანელებდა საერთო საქმეს. მეფე არჩილი გააგრძელებდა ყოფილი იბერიის სამეფოს არაბებისაგან განთავისუფლების პროცესს.

მაღე მეფე მირი მიიცვალა. არჩილ მეფესა და ლეონ აფხაზთა მთავარს შორის მოხდა შეთანხმება, რომლის ძალით არჩილი იქნებოდა მდ. კელასურის სამხრეთით ტერიტორიების გამგებელი. მისი რეზიდენციები ციხე-გოჯში და ქუთათისში. ლეონი არაორაზროვნად აცხადებდა თავს არჩილის ქვეშევრდომად და აღნიშნავდა, რომ კელასურიდან საზართა მდინარემდე სივრცე ბიზანტიის კეისარმა მას არჩილის დახმარებით დაუმტკიცა.

ამ შეთანხმებით ორივემ ისარგებლა. არჩილმა შეძლო დასავლეთთან ერთად აღმოსავლეთ საქართველოს დაკავებაც. გამონაკლისს მხოლოდ თბილისის საამირო შეადგენდა. მეფემ ერისთავებს სამემკვიდრეო უფლებები მისცა. არჩევითი თანამდებობის სამემკვიდრეოდ გადაქცევამ კი განამტკიცა ერისთავების ძალაუფლება. ამიერიდან მათ მიეცათ სტიმული ებრძოლათ მსხვილი ერთეულების კიდევ უფრო გასაძლიერებლად. საბოლოო ანგარიშით პროცესი მსხვილი სამთავრო-სამეფოების შექმ-

ნით დაგვირგვინდა. არჩილ მეფე კარგი რეფორმატორ-ორგანიზატორი გამოდგა, რაც არ ითქმის მის მემკვიდრეებზე, იოანესა და ჯუანშერზე.

764 წ. ხაზარებმა დალაშქრეს ქართლი. ჯუანშერი ტყვედ წაიყვანეს, იოანე მალევე დაიღუპა. ქვეყანა უმეთაუროდ დარჩა. ხელმძღვანელობის ტვირთი ნერსე ქართლის ერისმთავარს დააწვა. სამეფომ სამთავროებად დაშლა დაიწყო. ნერსე ერისმთავარი ხალიფა მანსურმა 772 წ. ბაღდადში დაიბარა და დააპატიმრა. სამი წლის შემდეგ ახალმა ხალიფამ იგი ქართლში დააბრუნა. მალე მას კვლავ დააპატიმრება მოუნდომეს, მაგრამ შეძლო ბრძოლით ხაზარეთში გადასულიყო, იქიდან კი აფხაზეთში წავიდა, სადაც უკვე ლეონ II დახვდა, როგორც მთავარი და მოკავშირე. ქართლში ერისმთავრად ნერსეს დისწული სტეფანოზი იქნა დანიშნული.

ამ დროს იწყება კახეთის სამთავროს გამოყოფა დანარჩენი ქართლისაგან, შემდეგ კი მას ჰერეთის სამთავრო გამოეყოფა. ქართლში სტეფანოზის შემდეგ ერისმთავარი გახდა მისი მამის გურგენის ძმა აშოტი. არაბებთან უთანხმოების გამო იგი სტოვეებს თბილისს და დიდი ძალისხმევის შემდეგ ტაო-კლარჯეთის სამთავროს აფუძნებს.

ამრიგად, იბერიისა და ლაზიკის სამეფოთა ტერიტორიებზე ცენტრალური ხელისუფლების არ არსებობის პირობებში VIII ს. ბოლოს რამდენიმე მსხვილი სამეფო-სამთავრო ჩამოყალიბდა. საუკუნის დასაწყისში ფორმალურად მაინც ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციას თბილისის ამირა ასრულებდა. საუკუნის შუა ხანებში ეს ფუნქცია არჩილ მეფემ იტვირთა. საუკუნის ბოლოსათვის არც ამირას ჰქონდა რაიმე რეალური ძალაუფლება და არც არჩილ მეფის შთამომავლებს.

თბილისის ამირა ფლობდა ტერიტორიებს არაგვიდან ტაშისკარამდე. არაგვის აღმოსავლეთი ქვეყანა კახეთის სამთავროში ერთიანდება. მოგვიანებით მას ჰერეთი ცალკე ერთეულის სახით გამოეყოფა. კახეთის მთავრებს ქორეპისკოპოსები წარმოადგენენ. მესამე ერთეული, ჰერეთის სამთავრო კახეთსა და ალბანეთს შორის მდებარე ჰერეთა ტომის კუთვნილ მიწებს აერთიანებდა. აქ არჩილ მეფის დასტურით მთავრობდნენ (შემდეგ მეფობნენ) ვახტანგ გორგასლის შთამომავლები.

მეოთხე მსხვილ ერთეულს ტაო-კლარჯეთის სამთავრო-სამეფო წარმოადგენდა. აშოტ ბაგრატიონმა ქართლის ბოლო ერისმთავარმა მიატოვა თბილისი და არტანუჯს გამაგრდა. მან შეიერთა ამიერ-იმიერი ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, სამცხე, ჯავახეთი, სპერი, არტაანი. აჭარა, ნივალე და მძლავრი სამთავრო შექმნა. იგი წარმატებით იბრძოდა დანარჩენი ქართლის შესაერთებლად.

მეზუთე მსხვილი ერთეული აფხაზეთის სამთავრო იყო. მდ. კელასურს ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანას მეფე მირის გარდაცვალების შემდეგ სამხრეთის ტერიტორიების მიერთების შესაძლებლობა მიეცა. მეფეს ქალიშვილის მეტი მემკვიდრე არა ჰყოლია. ქალიშვილი კი ლეონ მთავრის მეუღლე იყო. შესაბამისად ლეონი მეფე მირის კანონიერი მემკვიდრეა. ამ იურიდიულ უფლებას ემატება ის, რომ ლეონი ლაზიკის მეფეთა შთამომავალია და ისტორიულად აქვს ამ ქვეყნის ფლობის პრეტენზია. 753 წ. ლეონ აფხაზთა მთავარი, მისმა ძმისწულმა ლეონ II შეცვალა. იგი ძალზე ენერგიული მმართველი გამოდგა. მან შეძლო მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება, ბიზანტიის უღლის მოშორება, ქვეყნის დედაქალაქის ქუთაისში გადმოტანა, ეკლესიის ბიზანტიის გამგებლობიდან მოწყვეტა და მცხეთის ეკლესიისათვის მიერთება. და ბოლოს.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებული ერთეულები ფორმალურად მაინც პატივს მიაგებდნენ არჩილ მეფის შთამომავლებს და თავს მათდამი დაქვემდებარებულად მიიჩნევდნენ. 787 წ. გარდაიცვალა უკანასკნელი მემკვიდრე ჯუანშერი. ამის მერე მთავრებს ხელ-ფეხი გაეხსნათ. ყოველი მათგანი ცდილობდა თავი მეფედ გამოეცხადებინა და შუა ქართლი დაეკავებინა.

შუა ქართლს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდგომარეობა ეკავა და პოლიტიკური ცენტრის როლს ასრულებდა. ამიტომ ჯუანშერის გარდაცვალებისთანავე იწყება ბრძოლა შიდა ქართლის დასაკავებლად. ჰერეთის ბაგრატიონებმა ჯუანშერის გარდაცვალებით ისარგებლეს, გაუდგნენ კახეთის მთავრებს და ბოლოს სამეფოც დააარსეს.

თავის მხრივ კახეთის მთავარი, ქორეპისკოპოსი გრიგოლი არაგვს გადავიდა და ქსნის ხეობა დაიკავა. ეს იყო გამოწვევა დანარჩენი სამთავროებისა და პრეტენზია ჰეგემონობაზე. გრიგოლს ზურგს თბილისის ამირა უმაგრებდა.

რამდენადაც არტანუჯში დამკვიდრებამდე აშოტ ბაგრატიონი ქართლის ერისმთავარი იყო, გრიგოლის პრეტენზიები პირველ რიგში მის ავტორიტეტს ლახავდა და მისი საგამგებლოს დაპყრობად აღითქმებოდა. მართალია აშოტ კურაპალატიც არ იყო არჩილ მეფის მემკვიდრე, მაგრამ ქართლზე უფრო მეტი კანონიერი უფლება ჰქონდა ვიდრე ქორეპოსკოპოს გრიგოლს.

მეფის ტიტულზე და ქართლის სამეფოს ყველა ტერიტორიაზე

მეფობის კანონიერი უფლება მხოლოდ აფხაზეთის მთავარს ჰქონდა. როგორც მეფე მირის მემკვიდრე, აფხაზეთის მთავარი აცხადებდა პრეტენზიას და დაიკავა კიდეც ლიხსიქითა ტერიტორიები. ჯუანშერის გარდაცვალების შემდეგ, ლეონ II უკვე არჩილ მეფის მემკვიდრეც გახდა. ამით მან შესანიშნავად ისარგებლა და თავი მეფედ გამოაცხადა. რამდენადაც ბიზანტია ლაზიკას (ეგრისს) აფხაზეთად მოიაზრებდა და მის მეფეებს აფხაზეთა მეფეებს უწოდებდა, ამდენად ლოგიკური იყო, რომ ლეონ II აფხაზეთა მეფის ტიტული მიიღო და დედაქალაქი შიდა ქართს მიუახლოვა, ქუთაისში გადაიტანა. როდესაც მან ეკლესია კონსტანტინეპოლის ეპარქიას ჩამოაცილა და მცხეთას დაუქვემდებარა, ამით აშკარა პრეტენზია განაცხადა, როგორც არჩილ მეფის კანონიერმა მემკვიდრემ.

საინტერესოა, რომ ასეთივე კანონიერი უფლება აშოტ კურაპალატსაც არ ჰქონდა. მით უმეტეს, რომ ქართლის ერისმთავრობა მან იძულებული ნებაყოფლობით დათმო და ახალი სამთავროს მეფობა იკისრა. ამავე დროს, დასამახსოვრებელი ფაქტია, რომ ლეონ II ძმა თეოდოსი, რომელიც აფხაზეთს მეფობდა 798-825 წწ., აშოტ კურაპალატის სიძე იყო და ეს ორივე მხარეს კომპრომისებისკენ უბიძგებდა. (ვინც თვალს გააღვენებს ამ ორი ერთეულის ურთიერთობის ისტორიას, დარწმუნდება მათ მჭიდრო ერთობაში, როგორც პოლიტიკურ, ასევე გენეტიკურში).

ქორეპისკოპოსის გრიგოლის მიერ ქსნის ხეობის დაკავება გამოწვევა იყო როგორც ტაო-კლარჯეთის, ასევე აფხაზეთის სამეფოსი. აშოტ კურაპალატმა გამოწვევა მიიღო და სიძის, თეოდოსის დახმარებით დაამარცხა და განდევნა კახელები. ეს არ ნიშნავდა, რომ აფხაზეთსა და კახეთს შორის მხოლოდ ქიშპი არსებობდა. პოლიტიკამ არ იცის მუდმივი მტერი ან მოყვარე. ისტორიულად ცნობილია, რომ 915-920 წწ. კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე და აფხაზეთის მეფე კონსტანტი ერთად ლაშქრობდნენ ჰერეთის წინააღმდეგ. ერთი პერიოდი აფხაზეთს ეკავა არიშისა და გავაზის ციხეები. ასევე ცნობილია, რომ აშოტ კურაპალატის შემდეგ ტაო-კლარჯეთის სამთავრო ნაწილდება, შინაურ ბრძოლებში სუსტდება და სამთავრო-სამეფოთა შორის ჰეგემონობას აფხაზეთს უთმობს. სანაცვლოდ აფხაზეთის სამეფო ისე ძლიერდება რომ X ს. შუა მონაკვეთში ჯავახეთსაც იერთებს და პრეტენზიას უკვე ყველა ქართულ საერისთავო-სამთავროთა გაერთიანებაზე აკეთებს.

IX ს. მოყოლებული ქართლის ტერიტორიების მიმართ პრეტენზიას ამჟღავნებენ სომეხთა მეფეები ბაგრატიუნის გვარიდან.

ბაგრატუნები სპერის ბაგრატიონთა გვარის განაყოფიერება, სომხეთში გადასული და იქ დამკვიდრებულები. ამ ორი გვარის ერთობის ისტორია ბევრნაირადაა „ახსნილი“. ყველაზე რეალური მანც ფარნავაზიანთა დინასტიას უკავშირდება. თუ ვინმე უპირატესობას სომხურ ვარიანტს მიაკუთვნებს, ბაგრატიონების ჰაოსის (ჰაიკის-სომხურად) შთამომავლობის შესახებ, ის მანც ქართველობამდე მივა, რადგან თავად, ჰაოსი ისეთივე თაბალ-ტაბალ-იბერი იყო როგორც ქართ-ოსი, ეგრ-ოსი, ჰერ-ოსი. ლე-კოსი თუ კავკა-სოსი. (დავის შემთხვევაში არც ისაა ანგარიშიდან ჩამოსაწერი თუ როდის და როგორ ყალიბდება სომხობა, ვის ტერიტორიაზე და ვის ფესვებზე. ამას დამატება თუნდაც მითრიდატე პონტოელის მიერ 250 000 ტიბარენელის ჩასახლება ტიგრანოკერტში და ა. შ. ანგარიშში მისაღებია ისიც, რომ ტაბალ-იბერთა მიწების დაკავების დროს ცხოვრება კი არ ისპობოდა, არამედ შერეულ მოსახლეობას ქმნიდა. ბევრი იბერი ლაშქრობების დროს რჩებოდა, სომხდებოდა და ა. შ.). ამიტომ სრულიად ბუნებრივია და ლოგიკური, როცა ან ბაგრატიონი ერევა ბაგრატუნების გამეფების საქმეში ან პირიქით ბაგრატუნები ცდილობენ უკვე ქართველთა დავაში ჩარევას.

ხანგრძლივი ურთიერთბრძოლის პროცესში საბოლოო ანგარიშით ტაოს მფლობელები ძლიერდებიან. ისტორიული ფაქტია, რომ X ს. მეორე ნახევარში ტაოს მეფე დავითი არა უბრალოდ კურაპალატის, არამედ აღმოსავლეთის კურაპალატის წოდებასაც ღებულობს. ეს ნიშნავს, რომ მას ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილიც ემორჩილება. ისიც ფაქტია, რომ მას სომხეთთან. საზღვარი მდ. არაქსზე აქვს დადებული. შეიძლება არა იმ ფორმით როგორც ეს ფარნავაზის ან გორგასალის დროს იყო, მაგრამ მანც.

არაორდინალური პიროვნება და მმართველი იყო დიდი დავით კურაპალატი. ხანგრძლივი და მძიმე ომების შედეგად შექმნილი ვრცელი სამეფო მან შვილობილ ბაგრატ III უანდერძა. არა და ცოტა სივრცე როდი მოზღუდა მან. მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორისათვის გაწეული დახმარების სანაცვლოდ მიიღო ე. წ. ზემონი ქვეყანანი კარნუ ქალაქის (დღევანდელი ერზურუმის) ჩათვლით. აგრეთვე სამხრეთ ბასიანი, არაქსის სათავეები, პროვინციები აღმოსავლეთ ევფრატის ხეობაში. მანვე 990 წ. დალაშქრა ვანის ტბის ჩრდილოეთი მხარე და იქ თურქების ნაცვლად ქართველები და სომხები ჩაასახლა. რამდენიმე წლის შემდეგ (997 წ) მისი ბრძანებით ვანის ტბის ჩრდილო აღმოსავლეთი მხარეც

იქნა დალაშქრული. დაამარცხეს თავრიზის, ადარბადაგანის, ხორასნის საემიროთა ჯარები. დავით კურაპალატი არა მხოლოდ ქართველთა, არამედ სომხების დამცველსაც წარმოადგენდა.

პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ ქვეყნის გამთლიანების გეგმის მიღებას. ქართლის ერისთავმა იოანე მარუშისძემ წამოაყენა ქართველთა სამთავრო-სამეფოების გაერთიანების იდეა. გაერთიანების ლიდერად დავით კურაპალატი იგულისხმებოდა. იდეის თანახმად კურაპალატს ან თვითონ უნდა დაეკავებინა ქართლი ან ხელი შეეწყო ბაგრატ გურგენის ძისათვის. ეს ერთი და იგივე იყო. რადგან დავითი უძეო, ბაგრატის მამობილად და უფალად ითვლებოდა. მხედველობას არ უნდა გამორჩეს ის ამბავი, რომ ბაგრატის მამა გურგენი, ქართველთა მეფის ტიტულის მატარებელი იყო. არც ისაა მეორეხარისხოვანი ისტორიული ცნობა, რომ ბაგრატის დედა გურანდუხტი აფხაზთა უსინათლო მეფის თეოდოსის და იყო.

რა გამომდინარეობს ყოველივედან?

ერთადერთი ლოგიკური დასკვნაა, რომ სისხლით ნათესაობის საფუძველზე ბაგრატი ერთდროულად აფხაზთა, ქართლელთა და სამხრეთ საქართველოს მეფეთა მემკვიდრე იყო. შესაბამისად, მისი გამეფებით ამიერი და იმიერი ქვეყნები გაერთიანდებოდნენ. ერთობლივი ძალით კი განდგომილ კახეთისა და არაბთა ხელთ დარჩენილი თბილისის მიდამოების შემოერთებაც უახლესი მომავლის საქმე ხდებოდა. ქართველთა ისტორიის მკვლევარები ამიტომაც მიიჩნევენ ბაგრატს გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფედ. ამ საქართველოს ბიზანტიელები ხშირად აფხაზეთის სამეფოსაც უწოდებდნენ. თვით ქართველ მეფეთა ტიტულატურაც აფხაზეთით იწყებოდა. ეს უკვე იყო არა იბერიის, არა ლაზიკის, არა არიან ქართის, არა ჰონტოს, არა კულხას, არა დიაოხის, არა ურარტუს, არა თუბალ-ტაბალთა, არა მეშხ-მუსკ-კაპადოკიელთა ქვეყანა, არა საქალდეველო არამედ საქართველო, სადაც შერწყმული იყვნენ ყველა ტომები, რომლებიც ეთნოგენეზში მონაწილეობდნენ.

ამიერიდან ეს არის ქართველი ერი და ისტორიაც არის არა კავკონთა ტომების გაერთიანების, არა ჰელიოსთა (ჰენიოსთა) ტომების გაერთიანების, არა კოლხური ტომების გაერთიანების, არა მესხური ტომების გაერთიანების, არა მთის და ბარის იბერთა ტომების არამედ ყველასი ერთად შერწყმულებისა და შეერთებულებისა, სადაც კიდევ

რჩება ტომობრივი, დიალექტური, კუთხური თავისებურებანი, მაგრამ სადაც ერთობის გენეტიკურ-ფსიქიკური გაგება უფრო მძლავრია და წარუშლელი.

ბაგრატ III გამეფება იბერიულ-კოლხური ტომების უმთავრესი საცხოვრისების შეერთებას მოასწავებდა. მისი საზღვრები სამხრეთით ვანის ტბისა და ევფრატის ხეობების მიდამოებს ესაზღვრება და მოიცავდა. აქ დავით კურაპალატის მიერ დამკვიდრებული ქართველები და სომხები მოსახლეობდნენ. დასავლეთით სამეფო ოლთის-თორთომ-სპერის მხარეებს მოიცავდა და შავ ზღვაზე (სპერის, პონტის) გადიოდა. ჩრდილოეთი საზღვარი ჯიქეთის ჩათვლით (ჯიქეთი ლეონ მთავარმა მიიერთა ბიზანტიის იმპერატორის დასტურით) მდინარე ყუბანამდე (ხაზარეთის მდინარემდე) აღწევდა. ჯიქებსა და აფხაზებს შორის კი ბუნებრივ საზღვრად ითვლებოდა ციხე-ქალაქ-ნავსადგური ნიკოფსია (ყოფილი ლაია) და იქ ჩამომდინარე წყალი, რომელსაც ახლა კრასნოდარის მხარის მდ. ნოვოფსუსხი ეწოდება და ტუაფსეს ჩრდილოეთით მდებარეობს. კაკასიის (კაკონთა) მთების იქით იყო ვრცელი ტერიტორიები სვანების, დვალეების, ძველი ოსების (არა ალანების), წანარების (მონევეების), ფხოველების (ხვესურების), მოსოხების (თუშების) სამკვიდრო. აღმოსავლეთით, ბაგრატის სამეფოს ჯერ კიდევ შემოსაერთებელი კახეთი და თბილისის საემირო ზღუდავდა. კახეთ-ჰერეთის აღმოსავლეთში მოძმე ალბანელები უკვე თურქდებოდნენ (კიდევ ერთხელ გავიხსენოთ კორნელი ტაციტის ცნობა იმის შესახებ, რომ ალბანელები და იბერები თავს თესალიიდან წამოსულებად თვლიან).

თქმა ადვილია. ბაგრატის მდგომარეობა კი მძიმე იყო. მსხვილი ფეოდალები იმდენად მორჩილებდნენ, რამდენადაც მეფე ძლიერი იყო. ქართლის დიდგვაროვნები თავიანთ სამფლობელოებში თავს მცირე მეფეებად გრძნობდნენ და სხვას იოლად ვერ იმეფებენ. კახეთის მთავარებისკოპოსები თავად ცდილობდნენ დანარჩენი საქართველოს მიერთებას. არც ქართლის გულში გაჭიმული საამირო იყო ხელწამოსაკრავი ძალა. ამას ემატებოდა ბიზანტიის იმპერიის მიერ დავით კურაპალატის სამკვიდრეოს მიტაცება. მეფობა ოცნებაშიც არაა იოლი და ცხადში სისხლით და ბრძოლებით იყო გაჯერებული. ბაგრატს და მის მემკვიდრეებს საუკუნოვანი მცდელობა დასჭირდათ ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

საქმეს ართულებდა XI საუკუნის შუა ხანებში თურქულენოვანი

მრავალრიცხოვანი ტომების შემოსევა ირან-კავკასიის მიმართულებით. არაბობა არ იყო გადაგდებული და გამუსულმანებულმა თურქებმა (მათ წარმატებით დალაშქრეს ბაღდადი და ახალ რელიგიას ეზიარნენ) იწყეს კავკასიის რბევა.

თურქულენოვანმა ტომებმა იოლად დაამარცხეს ალბანელები და რამდენადაც ოჯახებით მოდიოდნენ, დამხვდურთა შორის ჩასახლება დაიწყო.¹ 1048 წ. მომთაბარე-მარბიელ-დამპყრობი ძალა სასომხეთს მიაღწა. რა შეეძლოთ სომხებს, როცა თურქებმა 1071 წ. ბიზანტიის ჯარები გაანადგურეს. თუ ძლიერს სძლევ, სუსტი ტყუილად ცდილობს თავის გადარჩენას.

სომხეთს საქართველო მოსდევდა. ისეც ხდება, როცა უნებლიედ მტერს საქმეს უადვილებ. ბიზანტიამ 1045 წ. სასომხეთში მეფობა გააუქმა. ანისის სამეფოს პროვინციად გადაქცევა ემუქრებოდა. სომხების დაცვა საქართველომ სცადა (ბაგრატ IV, ერთი პერიოდი, ანისიც დაიკავა ადგილობრივ დიდებულთა ხელშეწყობით). ყველაფერი ცვალებადია და ამდენად დროებითი. თურქებმა მოქიშპეები თავის სასარგებლოდ დააშორიშორეს.

სომხეთ-საქართველოს ურთიერთობა ყოველთვის იყო გადაჯაჭვული. თუ ძვ. წ. აღ. IV ს. (არიანეს მოწმობით) მათ იბერიული ტომების სამხრეთით მცირე ტერიტორია ეკავათ, შემდეგ შეიძლეს, იმრავლეს და IX–X ს. უკვე საქართველოს სამეფო-სამთავროების საქმეებშიც აქტიურად მონაწილეობდნენ. ამას ყველაფერთან ერთად დინასტიურმა ნათესაობამაც შეუწყო ხელი.² სომხების წვლილი ქართველი ერის გენეზისის საკითხში, ისევე როგორც არა მხოლოდ თუბალ-ტაბალიბერებისა არამედ საკუთრივ ქართ-ებისა და შემდეგ ქართველებისა სომხების გენეზისში ძნელად დასადგენია. პრობლემას, ისტორიულ ასპექტზე მეტად, დღევანდლობისა და სახვალის მნიშვნელობა გააჩნია. თუ სომხები X–XI ს. ერეოდნენ ქართველთა საქმეებში ზოგჯერ

1 როგორც სასიამოვნო ფაქტი უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ აზერბაიჯანში არის მისწრაფება ღრმად გაიაზრონ ალბანური ფესვების მნიშვნელობა და შესაძლებლობის თანახმად წარმოაჩინონ გზა და შედეგი.

2 ბაგრატიონ-ბაგრატუნების წარმომავლობისა და ურთიერთობის შესახებ ბევრი თქმულა და ითქმება. ეს დაუმთავრებელი საკითხია.

როგორც მოკავშირეები და ხშირად მეტოქეები, ასევე ჰქონდა ადგილი პირუკუ ქმედებებს. თუ სომხებმა ერთი პერიოდი მოახერხეს და დაიკავეს ქ. დმანისი, „ქართველთა ველი“ (ლორე) და რეზიდენცია ქ. სამშვილდეში დაიდეს, მეორე მხრივ დავით კურაპალატი ქართველებს ასახლებს ვანის ტბის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რაიონებში. 1065 წ. ქართველებმა დაიკავეს კარის, ვანანდისა და კარნიფორის ციხე-ტერიტორიები. მდ. ეფრატის მარჯვენა შენაკადის ბაგრეევანდის ხეობა, ცენტრით ვალაშკერტი. აქ დაარსებულ იქნა ქართული საეპისკოპოსო. საინტერესოა, რომ ეს საეპისკოპოსო მოხსენიებულია XV ს. სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სიაში. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ აქ ჯერ კიდევ შერეული მოსახლეობა იყო და ქართულად მღვდელმსახურება მიმდინარეობდა.

თურქ-სელჩუკთა მიერ სომხეთის იავარყოფა ქართველთათვის მწარე ნიშანი უნდა ყოფილიყო. მართლაც უბედურებამ არ დააყოვნა. 1064 წ. ისინი სულთან ალფ-არსლანის მოთავეობით საქართველოში შემოიჭრნენ. მომთაბარე-მეჯოგე თურქები, ისტორიკოსთა ცნობით, დაპყრობილ ადგილებში მიწათსარგებლობის კულტურას სპობდნენ, სახლდებოდნენ და ბალ-ვენახებს საძოვრებად აქცევდნენ. განსაკუთრებით გართულდა ვითარება XI ს. 80-იან წლებში. ეს პერიოდი ისტორიაში დიდი თურქობის სახელითაა შემოსული.

საქართველოს ისტორია ვრცლად ასახავს ერის ძნელბედობის პროცესებს. ამ მხრივ მოკლე მიმოხილვა ღრმა მეცნიერულ ანალიზზე პრეტენზიას ვერ განაცხადებს. და არც არის საჭირო. დიდ თურქობასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი ფაქტი უნდა აღინიშნოს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საგანგებოდ მიუთითებს, რომ თურქთაგან „მოხუცი არა შეწყალებულ იქნეს, ხოლო ქალწულნი გინებულ“.

როცა ეთნოგენეზის საკითხზეა მსჯელობა ასეთი ცნობის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. გენეტიკური თვალსაზრისით შეუბღალავი ერი არ არსებობს. ვერც ქართველები დარჩებოდნენ ისე, რომ მათ ჯიშს, სისხლს უცხო არ შერეოდა ან თვითონ არ მოეხდინოთ აღრევა. ამ მხრივ საკმარისია გავიხსენოთ ისტორიული ცნობა იმის შესახებ, რომ ვანტანგ გორგასლის ზეობისას საბერძნეთთან ომის დროს ქართველებმა არ დაინდეს ქალთა სიწმინდე. მიაბიჭობა იქნებოდა იმის გაფიქრება, რომ ომებს თან არ ახლდა სისხლის აღრევის მასობრივი პროცესები, მაგრამ ისტორიკოსს, რომ ეს საგანგებოთ აღენიშნა, ეს კი იშვიათობაა.

სხვა ფაქტორებთან ერთად ესაცაა გასათვალისწინებელი, რამაც აიძულა ერისშვილები, ისეთი უკადრებელი ნაბიჯი გადაედგათ, რაც ცოცხალი მეფის გადაყენებასა და ფაქტობრივად სასახლის გადატრიალებას ნიშნავს. ძნელბედობის ჟამს სახელმწიფო მართვის საქმეს იძულებითი ნებაყოფლობით ჩამოშორდა გიორგი II და ტახტზე მისი 16 წლის ვაჟი დავითი ავიდა.

ყოველ მეფობა, განცდილ ერს ჰყავდა გამორჩენილი და რიგითი გამგებელი. არც საქართველოა ამ მხრივ გამონაკლისი. ერმა ბევრი მეფე-ბატონი გამოიცვალა, მაგრამ ერთეულია მათში ისეთი, რომელსაც დახასიათება არ სჭირდება. როცა იტყვი ქართლოსი, აიეტი, ფარნავაზი, გორგასალი, რა საჭიროა მსჯელობა, ვისზეა საუბარი. ზუსტად ასევე აღმაშენებელი განმარტებას არ საჭიროებს. ეს არ ნიშნავს, რომ ერს არ ჰყოლია სხვა გამორჩენილი წინამძღოლები. მხოლოდ ფარსმანი ორი იყო. იყო მითრიდატე პონტოელი, აზონი, მირიანი, აშოტ და დავით კურაპალატები, არჩილი და ა.შ. მაგრამ გამორჩეულთა შორისაც ზომ არიან გამორჩეულები. ასეთი 16 წლის ყმაწვილი გაამეფეს 1089 წელს.

და ქვეყანა იყო წამხდარი, და ერი დაბეჩავებული, და საერო და საეკლესიო მმართველობა გარყვნილი. არ იყო საშველი თვინიერ 16 წლის გმირისა.

დავით აღმაშენებელზე იმდენი თქმულა და დაწერილა, რომ საეჭვოა ვინმე მკვლევარმა რაიმე ახალს მიაგნოს. ასჯერ ნათქვამის ასმეერთედ განმეორება კი აქტუალობას მოკლებულია. მით უფრო, რომ სამსჯელო არა მთლიანად ისტორიული მოვლენებია, არამედ მხოლოდ ეთნოგენეზთან დაკავშირებული საკითხები.

აღმაშენებელმა სამეფოს გაერთიანება-გაძლიერებისა და ბოლოს კავკასიის იმპერიის შექმნის მიზნით 60 მნიშვნელოვანი ომი გადაიხადა. ამ ომების სიაში შეტანილი არაა ყველაფერზე საყურადღებო-ომი თავკასული (მისი პოზიციიდან) ფეოდალების წინააღმდეგ. არა და, რომ არა ბაღვაშთა, აბულითისძის და სხვა გვარების ურჩობის მოთოკვა, იბერიულ-კოლხური ტომების ერთ ერად შეკვრა ვერ მოხდებოდა. ამასთან, ურჩები მხოლოდ საერო მსხვილი გვარების წარმომადგენლები როდი იყვნენ. უარესი საფრთხე ქვეყნის და ერის გამთლიანებას საეკლესიო ბოლოებისაგან ემუქრებოდა. „დავითის ისტორიკოსი“ აცხადებს: „წმინდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნენ.“ „რომელნი ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა ურჯულე-

ბასა აწურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა“. „სახლით უფლისათ და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი ურჯულოება და ცოდვა“. უფრო ნათლად აღწერა შეუძლებელია.

და რა მოიძოქმედა აღმაშენებელმა?

გამდგარი ერისთავების მამულები სახელმწიფო (სამეფო) საკუთრებად გახადა. გამდგარი მღვდელმთავრების ნაცვლად სახელმწიფოს (სამეფოს) ერთგულები დაადგინა. პირველ ყოვლისა მწიგნობართუხუცესის და ჭყონდიდელის (საეპისკოპოსოს) თანამდებობები გააერთიანა. გიორგი ჭყონდიდელის დისწულს სვიმონს (ერთგულ საეკლესიო პირს) ბედიისა (აფხაზეთი) და ალავერდის (კახეთი) წინამძღვრობა დაავალა. წაშალა კუთხურობა, ეკლესიურად შეკრა ერი. თვით ეკლესია (საღვთო საქმე) სახელმწიფოს (მეფეს) დაუქვემდებარა.

მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ორმოცი ათასი ყივჩაღის ოჯახიანად ჩამოსახლება. ისინი კომპაქტურად დააფუძნეს ჰერეთის, ქართლის საზღვრისპირა მიდამოებში და ჩრდილოეთ სომხეთში. თუ იანგარიშება იმ დროის ოჯახების წევრთა რაოდენობა, საგრძნობი ციფრი გამოდის. მართალია ჩამოსულები ქრისტიანებად მონათლეს, მაგრამ საბოლოო ასიმილაცია საუკუნეზე მეტ ხანს გასტანდა. ამასთან პროცესი ორმხრივი უნდა ყოფილიყო. ყივჩაღური გენი და სისხლი თავისთვის იბრძოლებდა და საზღაურს მოითხოვდა.

აღმაშენებელს თავგადაკლულ ინტერნაციონალისტობას ვერ დააბრალებენ, მაგრამ სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მოსახლეობისადმი ლოიალური დამოკიდებულება სახეზეა. ეს მან პრაქტიკით ნათელყო. წერილობითი წყაროები გადმოგვცემენ, რომ თბილისი, რუსთავი, სამშვილდე, დმანისი სავსე იყო არაბებით, სპარსელებით. საერთოდ მუსლიმანებს გარკვეული შეღავათებიც ჰქონდათ. მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობა მხოლოდ ვაჭრობის სფეროს არ მოიცავდა. ასეთ პირობებში შერეული ოჯახების შექმნაც არ გამოირიცხებოდა.

მკვიდრად ჩასახლებულ უცხოელებზე არანაკლები იყო ნაქირავები. ცნობილი ფაქტია, რომ ქართველები მეომრებს ქირაობდნენ ყივჩაღეთში, ოსეთში, კავკასიელ მთიელებში (განსაკუთრებით ლეკებში) და შორეულ ქურთებსაც კი. შემდეგში ცნობილი მხარგრძელების გვარი ნაქირავები და გაქართველებული ქურთებიდან მოდის.

სომხებზე ლაპარაკი არაა, იმ დროს სომხებზე ახლობელი თანამებრძოლები ქართველებს არ ჰყავდათ. ერთობის გრძნობა იმდენად

დიდი იყო, რომ სომხები თვითონ იწვევდნენ ქართველებს, ხშირად საკუთარ ბელს ანლობდნენ. ის ერთი ფაქტიც საკმარისია, რომ 1045 წ. სომხებმა „ქალაქის უხუცესთა“ გადაწყვეტილებით ქ. ანისი საქართველოს მეფე ბაგრატ IV გადასცეს. (სხვა ამბავია, რომ ბაგრატმა ქალაქი ვერ შეინარჩუნა). სომეხი ისტორიკოსის მათე ურჰაელის თქმით აღმაშენებელი სომეხთა ტომის მოყვარული იყო. საფიქრელია, რომ არა დაპყრობის მიზნით, არამედ ერთობის ძალით აღმაშენებელმა სომხეთი საქართველოს შემოუერთა. ამით სამეფოს შემადგენლობაში გრიგორიანული მოსახლეობის რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ რელიგიულ ნიშანს არც სომხების განფენისათვის შეუშლია ხელი და არც ქართული მეციხოვნეების სომხეთის ქალაქებში და გამაგრებულ ადგილებში ყოფნისათვის. თუ ფაქტი გამაგრებული იქნება ცნობით იმის შესახებ, რომ ლორე-ტაშირის, ანისის, შარვანის სამფლობელოებში ქართული ადამიანისტრაცია დამკვიდრდა, უნდა დავასკვნათ, რომ ისტორიული ერთობა (რაც იმ დროს დავიწყებული არ იყო), ასიმილაციური პროცესებით უფრო განმტკიცდა. (ივანე ორბელის ანისის მფლობელ-მმართველად, დადგინებით დაედო საფუძველი სომეხ ორბელინ-თა განთქმულ საგვარეულოს) და ასე რამდენს?

რამდენად მტკიცე იყო ერთობის გრძნობა და ნაკლები ეროვნული განსხვავებულობის შეგრძნება იმ ფაქტებიდანაც მტკიცდება, რომ საქართველოში ჩნდება სომხური ეკლესიები, კერძო სამფლობელოები და პირიქით სომხეთში ქართული. შემორჩენილია წერილობითი ცნობა, სადაც კახა თორელი აღნიშნავს: „ვიყიდე ხოვლე ხოჯა სალამის ცოლისა და შვილისაგან ნახევარი და ნახევარი ჰასან სუმბატის ძისა სომეხისაგან და იოსებ ბულბაფაის ძისა ჰურიისაგან.“ ქართლის შუაგულში ჩნდება სპარსული, სომხური, ებრაული ქონება. თავის მხრივ, მცხეთის საკათალიკოსოს ეპარქიაში XIV ს. ცნობით შედიოდა ვალაშკერტი, ანისი, კარი. სხვა ფაქტებს ჰფარავს თამარ მეფის ერთი დოკუმენტი, სადაც თავს ბაგრატუნთანად მოიხსენიებს. განმარტება ზედმეტია.

განსხვავებული იყო დამოკიდებულება კავკასიონის ჩრდილოეთით მცხოვრებ ეთნოსებთან. გაძლიერებულ საქართველოს მათზე დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ უშუალოდ ტერიტორიული შემოერთების საკითხი არ დასმულა. ერთი მხრივ მეომრების დაქირავება, მეორე ისტორიული სიანხლის გაგება კასპიის ზღვის სანაპიროდან შავ ზღვაზე მცხოვრებ ეთნოსებს ქართველურ ტომებთან აახლოებდა და საერთო მომავლის

შექმნისაკენ უბიძგებდა. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ნათქვამი, რომ მთის იბერები სარმატებს ენათესავებოდნენო.

მაინც გამოსაყოფია ქართველთა და ოსების ურთიერთობის ისტორია. იგი ძველი წელთა აღრიცხვის სიღრმეში იღებს სათავეს. ქართლში მამასახლისობის (ქლაქ-სამთავროების) ნაცვლად ერთიანი სამეფოს აღმდგენელმა აზონ იარედოსის (ურარტუს ანუ არიან-ქართის ბოლო მეფე) ძემ შეიძლო და ოსეთი დახარკა. ფარანავაზმა პოლიტიკა შეცვალა და ოსეთის მოკავშირეობა ირჩია. ამავე დროს, და მიათხოვა ოსთა ლაშქრის წინამძღოლს და დინასტიურ ნათესაობას დაუდო სამანი. რამდენად მჭიდრო იყო ქართველთა და დანარჩენ კავკასიანთა ურთიერთობა, გავლენა და დაახლოება, ამაზე მეტყველებს ქართული კულტურულ-რელიგიური კერების სიმრავლე ამ ეთნოსებში. აღარაფერია გასაკვირი ტოპოლოგიის, მითოლოგიის, ეთნოლოგიის დამთხვევებისა და პარალელების კვლევისას. მხოლოდ პატარა მაგალითია ის, რომ სვანების ნადირობის ღმერთი და მწყებსების მფარველი ავსატი ყარაჩაი-ბალყარებში ავმატ-ად მოიხსენიება, ხოლო ოსებში იგი ცნობილია აფსატ-ის სახელით. ქართული, თურქული და ირანული წარმომავლობის ტომებს შორის ღმერთის სახელი და ფუნქცია უბრალო დამთხვევაა?

და მაინც ქართველთა და ოსთა დინასტიური ნათესაობა ისეთი მრავალსაუკუნოვანი მოვლენაა, რომ გარკვეული გაგებით ოსთა მეფეების ქართველებად და პირიქით საქართველოს მეფეებისა ოსებად (განსაკუთრებით ლაშა-გიორგიდან მოყოლებული) მონათვლაც არაა საფუძველს მოკლებული. ეს არ გამორიცხავს სხვა ქვეყნებთან ინტენსიურ დინასტიურ ნათესაობას, მოყოლებული კონსტანტინეპოლიდან და შარვანის შაჰებით დამთავრებული.

აღმაშენებლის ხანას დაემთხვა ქრისტიანული ევროპის ჯვაროსნული ლაშქრობები წმინდა ადგილების „დაუფლების“ მიზნით. 1095 წ. რომის პაპმა ურბან II მოუწოდა ევროპის სამეფოებს ეზრუნათ ქრისტეს საფლავის „გამოხსნისათვის“ მუსლიმანთა „ტყვეობიდან“. 1097 წ. ჯვაროსნებმა აიღეს ქ. ედესა, 1098 წ. ქ. ანტიოქია, 1099 წ. იერუსალიმი. აქ მათ ქრისტიანულ-ჯვაროსნული სამეფოები დააფუძნეს.

საქართველოს სამხრეთი საზღვრების მახლობლად მიმდინარე პროცესები მტრებს ასუსტებდა და აქტიური საგარეო მოქმედების კარგ საფუძველს ქმნიდა. არაა გამორკვეული ქართველთა შესაძლო მონაწილეობა ამ ლაშქრობებში, ისევე, როგორც ჯვაროსნების ყოფნა საქართველოში.

ისტორია გვამცნობს, რომ საუკუნეთა მანძილზე ერთი ბედი ჰქონდათ და ერთად იბრძოდნენ ქართველები, სომხები და შარვანელები (გათურქებული ალბანელი). ამ ურთიერთობას ცხადია ასიმილაციური პროცესები თან ახლდა. ხდებოდა არა მხოლოდ გაქართველება, არამედ პირიქითაც.

მხოლოდ ერთი ფაქტი. აღმაშენებლის მემკვიდრე დემეტრე I (1125-1156 წწ.). ქალიშვილი რუსუდანი დარუბანდის მფლობელ სულთან მალიქს მიათხოვა და ქ. განმა მიდამოებით და მაცხოვრებლებით მზითვად მისცა. მან აგრეთვე გაჰყო შარვანი. ქ. შემახოს აღმოსავლეთი შარვან შაჰს „დაუთმო“, დასავლეთი ნაწილი კი მდ. თერთწყლის (ახლა მაყსუ) აქეთა მხარე სამეფოს „შეუერთა“. ნათელია, რა ასიმილაციური პროცესები, სისხლის შერევის რა ინტენსივობა უნდა მომხდარიყო ასეთი ჩუქება, დათმობა, დაპყრობის დროს. ცხადია, თუ ერთი მხრივ ქართული გენი და ჯიში რჩებოდა საქართველოს გარეთა ტერიტორიებზე, იგი ადგილობრივი ეთნოსების გენეზისში იღებდა მონაწილეობას და პირიქით.

საქართველოს ზეობა და პირველობა კავკასიის არეალში მონღოლების შემოსევებამდე გაგრძელდა. შესაბამისად დიდი ხნის მანძილზე ქართული ჯიში ითვისებოდა მეზობელ ქვეყნებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეზობლები ისტორიულად მონათესავე თუ არა ახლობელი ეთნოსები იყვნენ, მაშინ ბუნებრივი იქნებოდა ქართული ტიპის, ჯიშის მოსახლეობის გაჩენა მათ არეალში. კიდევ ერთხელ გავისწინოთ ცნობა, რომ ალბანელები და იბერები თესალიიდან (ბალკანეთის ნახევარკუნძული) არიან წამოსულები. ესეც რომ არ იყოს, კავკასიაში მეზობლად თანაცხოვრებამ ბევრი საერთო დაამკვიდრა მათ შორის. დაახლოებით იგივე ითქმის სომხებზე. ტრაპიზონის სამეფო ისედაც იბერიულ-კოლხი ტომებით იყო დასახლებული და ასიმილაციურ-მიგრაციული პროცესები ახალ ელემენტს ვერ გააჩენდა.

XIII ს. საქართველოს სამეფოს სიძლიერის დაკნინება-დაცემის პერიოდი. კატასტროფულ მარცხს არა მხოლოდ მტრების სიძლიერე, არამედ ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებიც განსაზღვრავდა. აღმაშენებელმა შექმნა მძლავრი კავკასიური იმპერია და მის ხელმძღვანელად ძე, დემეტრე თვითონ აკურთხა მეფედ.

სამეფოს ერთიანობის და სიძლიერის საყრდენ ფენას წვრილი აზნაურობა წარმოადგენდა. მსხვილი ერისთავები იზოლირებული იყვნენ ან აშკარად მაინც ვერ ეურჩებოდნენ სიუზერენს. ვითარება თანდათანობით

შეიცვალა მისი მემკვიდრეების დროს. მაგალითი მეფემ მისცა (თე-
ვზი თავიდან იხრწნება). 1150 წ. დემეტრე I ნებით დააპატიმრეს და
თვალში სინათლე წაართვეს აღმაშენებლის უმცროს ვაჟს და მეფის
ძმას ვახტანგს. სამეფო ტახტი გაამყარეს შესაძლო პრეტენდენტის
ჩამოცილებით. ორგულობის თესლი ჩაგდებული იქნა.

ძმის მოლაღატეს შვილი რად დაინდობდა. 1155 წ. აუმხედრდა
მეფეს და სამეფო ტახტი დაიკავა დავით V სახელით. ექვსი თვე
იმეფა მამის წინააღმდეგ მოჯანყემ და გარდაიცვალა.¹ ფიქრობენ, რომ
შავბნელი საქმის ინიციატორი ბერად აღკვეცილი დემეტრე იქნებოდა.
შვილის მოულოდნელი-საბედნიერო გარდაცვალების შემდეგ, იგი მე-
ფობას დაუბრუნდა. (აღმშენებლობით თუ არა არაკაცობით ზომ აჯობა
მამას). 1156 წ. დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ მისი უმცროსი ვაჟი
გიორგი III გამეფდა და ზეობდა 1184 წლამდე.

ისტორიულად გიორგი III ენერგიულ და წარმატებულ მეფედ ითვ-
ლება. მის სახელს უკავშირდება ლაშქრობა დარუბანდის მხარეს. გიორ-
გის მამიდა თამარის შვილმა, შარვანის შაჰმა აღსართანმა, დახმარება
სთხოვა დარუბანდელლებთან ომში. გიორგიმ იახლა მეორე ნათესავი,
ბიზანტიის მომავალი იმპერატორი ანდრონიკე კომნენი და გაილაშქრა
აღმოსავლეთით. მოაოხრა დარუბანდის ჩრდილოეთი მიდამოები, აიღო
ქ. შაბურანი, დაპყრობილი მიუმტკიცა შარვანმას და ძლევამოსილი
დაბრუნდას ქ. თბილისს.

გიორგი III ძე, ტახტის მემკვიდრე არ ჰყავდა. ჰყავდა გარ-
დაცვლილი ძმის (დავით V) ვაჟიშვილი დემნა და თავისი შვილი
თამარი. ისტორიული სამართლიანობა და სამართლის სამართლიანობა
მოითხოვდა დემნა (დემეტრე) უფლისწულის მემკვიდრედ აღიარებას.
ჩვენ ეს ვიცით. მაშინ ამას მტკივნეულად აღითქვამდნენ. ამიტომ დემნას
ძლიერი თანამგრძობნი და თანამოაზროვნენი ჰყავდა, სიმამრის ივანე
ორბელის მეთაურობით.

ძალაუფლება ავადმყოფობასავით გადამდებია. ძალაუფლების ავად-
მყოფობა კიბოზე უარესად იპყრობს ადამიანის ორგანიზმს. გიორგი
დიდი ხნის მეფე იყო. ძმის უცნაურმა სიკვდილმა გაუხსნა გზა ტახ-
ტისაკენ. მან კარგად იცოდა, რომ ადამიანის სიკვდილით მთავრდება
მასთან დაკავშირებული პრობლემები, და დაამთავრა კიდევ 1177 წ.,

1. სომეხი ისტორიკოსი ვარდანი, დავით V მომწამლელად ქ. ანისის
გამგებელ ივანე ორბელს ასახელებს.

დემნას ჯანყი ტახტის დასაკავებლად. მეფობის კანონიერი კანდიდატი დაიჭირეს, დააბრმავეს, დაასაჭურისეს, მოკლეს, დამარხეს და ტახტი-საკენ გზა გაუხსნეს ქალს.

ქალის გამეფება სხვა ქვეყნებში მომხდარა, მაგრამ არა ქართველთა შორის. ამ საქმეს ცვლილებები ჯერ ადამიანთა გონებაში სჭირდებოდა, შემდეგ მმართველი სოციალური ჯგუფის შიგნით. დიდგვაროვნები ტრადიციების მომხრენი იყვნენ. რყევები მათ არ აწყობდათ. ჩანაფიქრის აღსასრულებლად გიორგის სხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლების იმედი უნდა ჰქონოდა. და აღზევდა ნაყიფჩადარი (თუ ყიფჩალი) ყუბასარი. მეფის ერთგულებისათვის მან ამირსპასალარობა დაიმსახურა. აზნაურის ნაყიფემა აფრიდონმა კი მსახურთუხუცესობა და ერისთავთ-ერისთავობა. ისტორია არ გვამცნობს კიდევ ვინ რა მოიგო. იყო ფარული დაპირისპირება დიდებულებსა და აღზევებულებს შორის. ამკარა ჭიდილს ხელსაყრელი ვითარება სჭირდებოდა.

1184 წ. მეფე გიორგი III მიიცვალა. პრტენდენტი, თანამეფედ დამტკიცებული თამარი იყო. ის უკვე იყო მეფე, მაგრამ მმართველ ფენაში დაჯგუფებებსაც სჭირდებოდათ სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შენარჩუნება ან განმტკიცება ან მოპოვება და აღსდგენენ დიდებულნი ქვეყნისანი. თანამემამულეთა ინტერესებისათვის არა, ქვეყნის დასაცავად არა, საკუთარი და ჯგუფური (კლანური) სურვილების აღსასრულებლად.

გავიხსენოთ ისტორიკოსის მწარედ ნათქვამი: „სახლით უფლისათ და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი ურჯულოება და ცოდვა“. აღმაშენებელმა აღკვეთა მღვდელთა ურჯულოება. გიორგი ჭყონდიდელს მწიგნობართუხუცესის თანამდებობა შეუთავსა. საერო და სასულიერო ძალაუფლება აერთიანა. „ურჯულოება და ცოდვა“ მოთოკილი იქნა, მაგრამ მოისპო? ეს მუდმივი კითხვაა. სწორედ სამღვდლო-საეკლესიო დიდებულმა კათალიკოსმა მიქაელმა მისცა ტონი კლანის ფარულ ჯანყს. ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს (მეფის შემდეგ პირველი თანამდებობის პირს) ანტონ გნოლისთავის ძეს ძმები დაუხოცეს, საყრდენი გამოაცალეს და კათალიკოსმა მიქაელმა მისი საერო თანამდებობა შეითავსა. შემდეგი დარტყმა უკვე არა მემკვიდრეობით აღზევებულე-ბზე, არამედ საკუთარი დამსახურებით დაწინაურებლებზე მიიტანეს. ამ ჯგუფის ლიდერები ყუბასარი და აფრიდონი ძალაუფლებას მოაცილეს.

დიდებულების გამარჯვება აღზევებულთა დამარცხება იყო. სოციალურ-პოლიტიკურ ასპარეზზე ძალაუფლების მოპოვების მსურველთა

ჯგუფი გამოვიდა მეჭურჭლეთუხუცესის ყუთლუა არსლანის მეთაურობით. მეფის უახლოეს თანამდებობის პირთა შორის მეჭურჭლეთუხუცესი ხუთიუელში შედიოდა და დიდი გავლენითაც სარგებლობდა. მისმა კლანმა წამოაყენა „კარავის“ (დღევანდელი პარლამენტის ტოლფასი) დაარსების იდეა. მეფეს შეეძლო ცალკეულ თანამდებობის პირებს შეეღოდა, მაგრამ ქვეყნის ავტორიტარული მმართველის აღმასრულებელი ხელისუფლის დონეზე ჩამოქვეითებას არა. საქმე კომპრომისით მოგვარდა. ისეთი კომპრომისით, რომ საქმროსაც კი დიდებულთა დარბაზი უნიშნავს მეფეს.

საქართველოს ისტორიაში თუ რომელიმე მონაკვეთია ფართოდ განხილული, ეს თამარ „მნათობის“ ზეობის ხანაა. ამიტომ აქ მხოლოდ ერთი საკითხია გასახსენებელი. ესაა მმართველი ელიტის წარმომადგენლების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა და „სამემკვიდრეო“ (არა სამმართველო) მამულებში პატარა მეფეების დონეზე ამაღლება. მას თან ახლდა ფუფუნებით „ზრწნა“. ამ სენს კი შვილებიც (გიორგი-ლაშა და რუსუდან სოსლანები) ვერ გადაურჩნენ.

ყველა აშკარა და ფარულმა უბედურებამ თამარ მეფის შემდეგ იჩინა თავი.

ისტორია ძუნწად, მაგრამ მრავალმნიშვნელოვნად, გვამცნობს ახალი მეფის გიორგი IV (ლაშას) ბუნებას და წინააღმდეგობას დიდებულებთან. ის ამბავი, რომ განძის თავნებობის აღსაკვეთად წასული მეფე დიდებულ მხედარმთავრებთან შეუთანხმებლად მოქმედებს, უკვე შინაგანი წინააღმდეგობის მაჩვენებელია. ის, რომ ქვეშევრდომმა მხედარმთავრებმა თავნებობა უსაყვედურეს და მეფემ პირობა მისცა მათ გარეშე არაფერი მოემოქმედა, უკვე დიდებულთა უკმაყოფილებისა და მძლავრობის გამოძნატველია.

ლაშას პიროვნების და ქცევის კულტურის დახასიათება, მისი როგორც პიროვნების (და არა მხოლოდ მეფის) სასარგებლოდ არაფერს მეტყველებს.

აი მოკლე დახასიათება: ლაშა „მიდრკა სიბოროტედ თანამიყოლითა უწესოთა კაცთა.“ „მსმურთა თანამიდრეკილი“. „სიბილწესა უმეტეს გარდაირია“. მიჰყვა „მსმურობათა და დედათა უწესოთა თანა აღრევას“. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქვეყნის მართვის უპირველესი პირნი ათაბაგი ივანე და ვარამ გაგელი დარბაზის თათბირებსაც (დღევანდელი უშიშროების საბჭოს) აღარ ესწრებოდნენ. ეს კი ვასალთა თავგასულობისა და სიუზერენის სისუსტესა და უავტორიტეტობაზე მეტყველებს, ავტორიტარული მმართველობითი სისტემის პირობებში.

სამწუხაროა, თუ არა ტრაგიკული, ასეთი მეფის ყოლა იმ ვითარებაში, როცა ქვეყნის გარედან სასიკვდილო საფრთხე ახლოვდებოდა.

ჩინგის ხანმა დიდი ძალისხმევით მოახერხა მონღოლური წარმოშობის ტომების გაერთიანება და დაპყრობით ომებზე გადავიდა. „1211-1215 წწ. მან დაარბია ჩინეთი და ნადავლთან ერთად იქაური სამხედრო ტექნიკაც აითვისა და დაისაკუთრა. იაპონიის წინააღმდეგ ლაშქრობა იაპონიის ზღვამ შეიწირა. 1219 წ. ჩინგის ხანმა ძალები შუა აზიისაკენ დაძრა. 1220 წ. მონღოლებმა მოჰამედ ხორეზშმაჰი განდევნეს. გაქცეულს 30 000 მონღოლი დაადევნეს ჯეზე და სუბუდაის სარდლობით. იმავე წელს მონღოლები აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გამოჩნდნენ. საქართველოს საზღვრებთან მათ ორჯერ დაამარცხეს ქართველები, შემდეგ გაბრუნდნენ და კასპიის ზღვის შემოვლითი გზით ჩინგიზ ხანთან დაბრუნდნენ. კიდევ ერთი ცნობა: 1223 წ. მდ. კალკასთან მათ რუსთა და ყივჩაღთა გაერთიანებული ძალებიც დაამარცხეს.

ლაშა-გიორგიმ მონღოლების წასვლა საკუთარ გამარჯვებად მიითვალა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე აღარ უზრუნვია. 1222 წ. მან და რუსუდანი შარვანშას მიათხოვა და საზეიმო ქორწილიც გადაიხადა. არის თვალსაზრისი, რომ ქორწილის დროს იგი მოწამლეს და მალევე გარდაიცვალა. საქართველოს სამეფო ტახტი ლაშა-გიორგის უკანონო შვილს (თუ შვილი შეიძლება უკანონო იყოს) მცირე წლოვან დავითს უნდა დაეკავებინა. მის მზრუნველად და მეფის მოვალეობის შემსრულებლად რუსუდანი აღიარეს.

ისტორიული ცნობა მეტყველებს, რომ უზრუნველობაში, დროსტარებაში, ბედოვლათობაში (ვაი თამარ „მნათობს“) რუსუდანი ძმას არ ჩამოუვარდებოდა. თვალთმაქცობით, ტრაბახით, არაადამიანობით აჭარბებდა კიდევ. მისი წერილი (1223 წ.) რომის პაპისადმი, რომ მისმა ჯარებმა მონღოლებს 25 000 მეომარი მოუკლეს და კავკასიიდან გააძევეს მტკნარი ტყუილია. სწორედ ამ დამარცხებულებმა და 30 000-ან 25 000 მეომარ მოკლულებმა, (ტყვეებზე აღარაა მსჯელობა), შემდეგ მდ. კალკასთან მოიპოვეს გამარჯვება და მშვიდობიანად დაბრუნდნენ შავ აზიაში.

მონღოლებისაგან დამარცხებული ხორეზმის შაჰ მუჰამედის ადგილი ძე ჯალად აღ დინმა დაიკავა. მან შეძლო სამეფოს აღდგენა და ბრძოლებით 1225 წ. საქართველოს სამეფოს მიადგა. აგვისტოს თვეში სასომხეთის სოფ. გარნისთან ბრძოლაში მან ქართველების ჯარს სძლია. არის ცნობა იმის შესახებ, რომ გამარჯვება ქართველთა სპასალარის

მხარგრძელის მოღალატური საქციელის გამო მოახერხა. გზა სამეფოს დედაქალაქისაკენ განხნილი იყო. რუსუდან მეფის არასახელმწიფოებრივ-მა პოლიტიკამ განაპირობა თბილისის დაცემა. იყო 1226 წ. 9 მარტი. გადმოცემით, მხოლოდ ქალაქში 100 000 მოქალაქე იქნა მოკლული.

ჯალად ად დინი მონღოლებმა შეცვალეს. მათ ჩორმადან ნოინის სარდლობით 50 000 მეომარი დაძრეს ირანისა და კავკასიის წინააღ-მდეგ. ირანის დაპყრობის შემდეგ აიღეს განძა, შამქორი და უშუალოდ ვარამ გაგელს, ძველ, სახელოვან, პატივდებულ სარდალს მიადგნენ. გაგელმა შებმას გაცლა ამჯობინა. მეფე რუსუდანმა, კარგ ცხოვრებას მიჩვეულმა, საომარი ვითარება ვერ აიტანა, სრულიად აფხაზეთში გადაბრძანდა და ქუთაისს დაეფუძნა. მიტოვებული აღმოსავლეთ საქა-რთველო მონღოლებმა თითქმის უომრად დაიკავეს. 1242 წ. რუსუდანმა ზავი ითხოვა. იგი მონღოლთა ყველა პირობაზე თანახმა იყო თუ ისინი მის შვილს (ალბად შარვაშისგან) საქართველოს მეფედ აღიარებდნენ. ძმისწული, ტახტის მემკვიდრე დავითი, მან წინასწარ გააგზავნა სიძესთან უვადო სტუმრობის და შემდეგ მისი მოკვლის პირობით.

როგორი ტენდენციურიც არ უნდა იყოს ჟამთააღმწერელი, როგორც არ უნდა ცდებოდეს, ყველაფერს ვერ მოიგონებდა და რუსუდან მეფეს ცილს ვერ დასწამებდა. არა და იმდენად დიდი სიმდაბლეა ყოველივე, რაც მასზე მოგვითხრეს, რომ განმეორებაც საზიზღრობაა.

ისტორია ობიექტურია და სუბიექტური. თვალის დახუჭვა და შელამაზება არაა ისტორიული ჭეშმარიტების საზომი. ამიტომ, როცა ვრცლად გვიყვებიან ქართველების, მათი მეფეების დამსახურებაზე, ღალატიც არ უნდა იქნეს დავიწყებული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი რჩება, ათასი საგმირო საქმეების ჩამდენი ქართველები, დიდგორის, ბასიანის ბრძოლები მომგები მებრძოლები, წინა აზიის მძლავრი იმპერია, როგორ იოლად დააჩოქა ჯალალ ად დინმა. 50 000 მონღოლმა როგორ იოლად გაიმარჯვა და თავისი ხანგრძლივი ბატონობა დაამყარა საქართველოში.

მონღოლებმა საქართველოს ჩამოაცილეს არაქართული მოსახლეო-ბის ტერიტორიები. მის შემადგენლობაში დატოვეს სომხეთი. და აღარ იყო საქართველო, მონღოლებისათვის იყო „გურჯისტანის ვილაიეთი“.

რუსუდან მეფე 1245 წ. გარდაიცვალა. მისი ვაჟი დავითი ყა-რაყორუმში იყო მეფედ დასამტკიცებლად და მისი არაფერი იცოდნენ.

ამიტომ მიიძიეს ლაშა-გიორგის ძე და ისიც ყარაყორუმში გაგზავნეს მანგუ ყაენთან დასამტკიცებლად.

დროებით ქვეყანა უმეფოდ დარჩა. წესრიგის შენარჩუნების მიზნით მონღოლებმა „ვილაიეთი“ შვიდ ღუმანად დაჰყვეს. გადასახადი და ჯარის გამოყვანა ღუმანის თავებს ეკისრებოდათ. დასავლეთ საქართველო, რომელიც მონღოლებს არ დაუპყრიათ ორ ღუმანად იყო წარდგენილი.

უმეფობის ხანამ ქვეყანა საგონებელში ჩააგდო. დაიწყო ერთიანი ორგანიზმის რღვევის პროცესი. განსაკუთრებით აქტიურობდა ეგარსლან ბაკურციხელი. ღუმანის თავებმა, ერისთავებმა, დიდებულებმა 1247 წ. თავი მოიყარეს კოხტასთავს და მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება დაგეგმეს. მონღოლებმა შეთქმულები დააკავეს და ქ. ანისში ჩორმან ნონთან წაიყვინეს დასასჯელად. შეთქმულები ქალაქის მოედანზე დაბორკილები დააყარეს საწამებლად. მოხდა ისე, რომ ცოტნე დადიანი კოხტასთავიდან ადრე წავიდა ჯარის შესაკრებად და დაჭერას გადაურჩა. როგორც კი გაიგო შეთქმულთა დაპატიმრებისა და წამების შესახებ, წავიდა ანისში, მსახურებს თავი დააბორკინა და სხვებთან ერთად დაჯდა. ამ უცნაურმა თავდადებამ მოყვასთაღმი (სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად) უბიძგა მონღოლებს ქართველთა გათავისუფლება. ცოტნე დადიანის საქციელი ისტორიის საამაყო ფურცლად დარჩა.

მონღოლებმა ორივე დავითი (შემდეგ მათ ულუ და ნარინი უწოდეს) საქართველოს მეფეებად დაადგინეს. მათ სახელთანაა დაკავშირებული ქვეყნის ორ სამეფოდ (ქართლ-კახეთის და აფხაზეთის, შემდეგ მას იმერეთის ეწოდა) გაყოფა. ასევეა მათ სახელთან დაკავშირებული ორი სამეფო დინასტიის დამკვიდრება (ვისი?) და მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებების მოწყობა.

არა და ქვეყანას ძალზე გაუჭირდა. 1254 წ. მონღოლებმა მოსახლეობისა და მათი ქონების აღწერა ჩაატარეს. საინტერესო შედეგი იყო. თუ ყოველი მეათე კომლი (კომლი შეიძლება 20 სულიანიც ყოფილიყო) ერთ მეომარს გამოიყვანდა, საქართველოში 90 000 მეომარი შეიკრიბებოდა. გამოდის, რომ საქართველოში სულ მცირე 900 000 კომლი მაინც იყო. (კომლთა რაოდენობის დამალვას, გადასახადების შემცირების მიზნით მაინც შეეცდებოდნენ). დემოგრაფები კომლის წევრთა რაოდენობის მინიმუმს იღებდნენ და ასკვნიან, რომ იმ დროს საქართველოს მოსახლეობა 5-6 მლნ. შეადგენდა. იმ პერიოდისათვის ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და იმაზე მიუთითებს, რომ სწორი

ორგანიზაციის შემთხვევაში მტრებისაგან თავდაცვაც შეეძლოთ და თავდახსნაც. ლოგიკური იქნება აღნიშვნა იმ ფაქტისა, რომ ამავე მონღოლებმა ვერ შეძლეს რუსუდან მეფის სიძის, ყიასდინის ბევრად სუსტი სასულთნოს დაპყრობა. უფრო მეტი. ირანის ტერიტორიაზე ალაშუთის ციხის (ე. წ. ქაჯეთის ციხის) აღებას და რამდენიმე ათასი მულიდის დამორჩილებას მონღოლებმა 10 წელი შეაღიეს და მხოლოდ 1256 წ. აისრულეს წადილი.

ქვეყანას ძალზე გაუჭირდა. და ეს მოხდა მხოლოდ გადასახადებისა და მონღოლთა მიერ წარმოებულ ბრძოლებში ქართველთა მონაწილეობის სავალდებულობის გამო. ამ მიზეზით 1259-1260 წწ. ორჯერ იყო აჯანყება საქართველოში. ამ ჯარში ყოფნისას დაიღუპნენ დავით ულუ და მისი ვაჟი. გაჭირვების არანაკლები მიზეზი მონღოლთა კომპაქტური დასახლებების გაჩენაა. ცნობილი ფაქტია, რომ დასახლებები დაფუძნებული იყო ბარდავში, მდ. იორის სანაპიროებზე, თავად კახეთ-ჭერეთში, ქ. რუსთავისა და ყარაიას მიდამოებში. ამას ემატებოდა ჩრდილოეთის ურდოს მოლაშქრეთა დიდი ნაწილის „ჩაჯდომა“, (საცხოვრებლად დაფუძნება კოლის მთაზე, ჯავახეთ-თრიალეთში. აღარაფერია სათქმელისაკომენტარო, როცა ვგებულობთ, რომ სახელმწიფოებრივი საზღვრების გასწვრივ მონღოლთა დასახლება მეთოდურად მიმდინარეობდა. ასე დაიკავეს მათ შაქის მიმდებარე ადგილები და შედეგად ეს კუთხე საქართველოს საბოლოოდ ჩამოშორდა.

მონღოლურ დასახლება-ასიმილაციის პოლიტიკას აგრძელებდნენ მთიანი კავკასიის ხეობებში თავშეფარებული ტომები. მონღოლების ჩრდილოეთის სახელმწიფო „ოქროს ურდო“ კავკასიის ჩრდილოეთით მცხოვრებ ტომებს დევნიდა და აიძულებდა ხსნა სამხრეთით ეძიათ. დავით ულუს მეფობის დროს ოსებმა გადმოლახეს მთები და დაიწყეს ჟინვალიდან დმანისამდე ცალკეულ ადგილებში ჩასახლება. 1292-1293 წწ. ქართველთა აჯანყების ჩახშობისას მონღოლების მოკავშირეებად ოსები გამოდიან. მათ დაიწყეს ქართველების მამულებიდან აყრა და იქ ჩასახლება. საფრთხე უკვე სახელმწიფოს ცენტრალურ ნაწილებსაც დაემუქრა. (ცალკე შესწავლის საგანია დავით სოსლანის მეფე-შთამომავალთა დამოკიდებულება ამ პროცესებისადმი).

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქართულ მიწა-წყალზე უცხო ტომელების მასობრივ ჩასახლებას დემოგრაფიული სურათის შესაბამისი შეცვლა და ასიმილაციური პროცესები უნდა მოჰყოლოდა. ამასთან

არა მხოლოდ უცხოელთა გაქართველება, არამედ ქართველთა ვთქვით გაოსება, გასომხება, გათათრება (მონღოლებს თათრებს უწოდებდნენ). რაც ერის, ენობრივი მონაცემებიდან მოყოლებული გენეტიკურით დამთავრებული, ყველა სასიცოცხლო ნიშანზე აისახებოდა.

როცა საკუთრივ საქართველოს ასე გაუჭირდა, საფიქრალია, რომ უარესი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ტრაპიზონის სამეფოში და საერთოდ მონათესავე ტომებით დასახლებულ ადგილებში.

დაცემული ქვეყნის, დაქსაქსული და გზააბნეული ერის სატკივარს ვერაფერს შევლოდა მამულიშვილთა სუსტი მცდელობები. ვერც დავით ულუს ძე დიმიტრის თავდადება უშველა. 1289 წ. 12 მარტს მონღოლებმა მას თავი მოკვეთეს, ამით ქვეყანა მორიგი რბევისაგან გადარჩა, მაგრამ მონობის უღელი ვერ მოიშორა.

საუკუნის ბოლოს მონღოლებმა მიეცა მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიის დაპყრობის ვაჟები. ჯერ უფროსი დავით VIII, შემდეგ 1299 წ. მცირეწლოვანი გიორგი და 1302 წ. საშუალო ძმა ვახტანგი III. ბედისტრიალმა იხედა იხე, რომ 1308 წ. ვახტანგი გარდაიცვალა, შემდეგ 1311 წ. დავითი და მეფედ დარჩა უმცროსი გიორგი. გიორგი მეფეებში V და ერის წინაშე დამსახურებისათვის, – ბრწყინვალე. და ზეობდა 1314 წლიდან 1346 წლამდე.

წაქცეული ქვეყნის ფეხზე დაყენებას საუკუნე დასჭირდა. ბრძოლას აგრძელებდა დავით IX გიორგის ძე (1348-1407 წწ.) ბაგრატ V დავითის ძე (1360—1393 წწ.), გიორგი VI ბაგრატის ძე (1393-1407 წწ.).

გიორგი ბრწყინვალემ დაიწყო იმით, რაც ვითარებამ უკარნახა. ისტორია განმეორდა, მხოლოდ სხვა პირობებში და სხვა ფორმით. მსხვილი მთავრები, ერისთავები, რომლებიც პატარა მეფეებს თამაშობდნენ მამულში, ცივის მთაზე მიიპატიჟეს, მოითათბირეს და მიჰქვითეს. ერთი დარტყმით მოისპო გამდგარ ფეოდალთა კლანი. 1327 წ. მონღოლები ქვეყნიდან გააძევეს და ხარკის გადახდა შეწყვიტეს. 1329 წ. დასავლეთი საქართველო შემოვიდა ერთი მეფის გამგებლობაში. 1334 წ. გამდგარი სამცხე-საათაბაგო იქნა შემოერთებული. ბოლოს მთის ჯერიც დადგა და მიხედეს აშლილ სვანებს, დვალებს, ქსნისა და არაგვის ერისთავებს. მიღებულ იქნა „ძეგლის დადება“ რომელიც რელიგიურ და სამოქალაქო საკითხებს აწესრიგებდა. შემუშავებული იქნა „ხელმწიფის კარის გარიგების“ კოდექსი, რომელიც სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ორგანიზაციულ საკითხებს ეხებოდა.

ისტორიული ცნობა ცალკე აღნიშნავს სიძნელეს, რაც უცხო ეთნოსთა საქართველოში ყოფნას ახლდა. მხოლოდ ოსებისაგან ქვეყნის ტერიტორიის გაწმენდას 3 წლი დასჭირდა. ძალით ჩასახლებულთა ძალით, რბევით, ხოცვა-ჟლეტით თავიდან მოშორება უცხო, არაადამიანური, არაქრისტიანული ნაბიჯით იქნებოდა. მშვიდობიანმა მეთოდებმა კი წლები მოინდომა. ამას მოჰყვა კავკასიონის გადასასვლელების გამაგრება.

ხელმწიფის კარის ენერგიულმა მოქმედებამ და ერის კონსოლიდაციამ სასურველი შედეგი მოიტანა. ისტორია გვამცნობს, რომ ოსები, დუშუკ-ლუნძი, ლეკები, შარვანელები, ყარაბაღელები, რანის მცხოვრებნი „კუხლად მოხარკედ აქუნდა“. საქართველოს სამეფოს ფარგლებში რჩებოდა ანისი, ღვინი, მთლიანად სომხეთი. კვლავ გავლენის სფეროს წარმოადგენდა ტრაპიზონის სამეფო და შაჰარმენის სასულთნო.

და ასე გაგრძელდებოდა, რომ არა თემურ ლენგი. დიდი მეომარი და ძლიერი დამპყრობი იყო დაკოჭლებული თემური. შიში, დანდობა და შენდობა მის ლექსიკონში არ არსებობდა. 1386 წლიდან 1403 წლამდე პერიოდში რვაჯერ ილაშქრა მან საქართველოს წინააღმდეგ. რვაჯერ, რადგან არ წყნარდებოდნენ, ბედს არ ურიგდებოდნენ ქართველები.

1405 წ. გიორგი VIII მეფობის დროს კვლავ სფინქსივით აღდგა ქვეყანა, კვლავ შემოიკრიბა ჩამოცილებული მეზობლები. კვლავ კავკასიის იმპერიას მიეღწვოდნენ ქართველები. გიორგი მეფემ ბრძოლით იარა თავრიზამდე, გზად შემხვედრი ყველა დალაშქრა, მაგრამ ძველი დიდების აღდგენა უკვე შეუძლებელი იყო. თემურ ლენგის წყალობით მთის ხალხები ისლამის მადლს ეზიარენ და ქრისტიანულ საქართველოსთან ძველებური ერთობა და მეგობრობა უკვე შეუძლებელი გახდა. აღარც სამხრეთ კავკასიის ხალხები იყვნენ ძველი მეგობრები, აღარც საქართველოს შეეძლო ძველებურად ხელის გამოლება. საერთაშორისო ურთიერთობებიც შეცვლილი ჩანდა.

წინა აზიის ისტორიულ ასპარეზზე ორი დიდი ძალა იყო წამომართული. სპარსეთი და თურქეთი.

ალექსანდრე დიდის (1412-1442 წწ.) მეფობით დაესვა წერტილი საქართველოს სამეფოს ერთიანობას, სიძლიერეს, განვითარების შესაძლებლობას. ქვეყანა დაღმართზე იწყებდა სიარულს. საუკუნის შუა პერიოდისათვის გამოიკვეთა მსხვილი ფეოდალური სამთავროების სეპარატისტული განზრახვანი. შეიქმნა საბედიანო (სადაც აფხაზეთი და

სამეგრელო ერთად შედიოდნენ), გურიის სამთავრო, რომელიც ფორმალურად მაინც ცნობდა მეფის ხელისუფლებას და სამცხე-საათაბაგო, რომელიც ფაქტობრივად დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა. 1451 წ. მისი მმართველი ყვარყვარე ჯაყელი საბოლოოდ დაადგა საათაბაგოს საქართველოს სამეფოსაგან მოწყვეტის გზას და არსად ჩანდა აღმაშენებელი, არ ჩანდა გიორგი ბრწყინვალეც.

ძნელბედობის ჟამი დასდგომოდა სრულიად ქრისტიანულ სამყაროს.

1453 წ. თურქეთის სულთანმა მეჰმედ II ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი დაატყვევა და ქრისტიანულ ევროპას შეუტია. 1461 წ. თურქებმა ტრაპეზუნის საკეისროც დაიკავეს. ერთობისა და დახმარების ნაცვლად ქართველებმა „ივაჟკაცეს“ და აღმოსავლეთ საქართველო ორ, კახეთისა და ქართლის სამეფოებად გაყვეს. კახეთ-ჰერეთის მხარეს იმჟამად სპერიდან გადმოხვეწილი ბაგრატიონები კი არა, ყვარყვარე ჯაყელის ტყვეობიდან გამოსსნილი გიორგი V დაეფუძნა.

დაქუცმაცებული საქართველო, სამ სამეფოდ და სამ (დასაწყისში) შემდეგ კი ოთხ სამთავროდ დაიყო და მოამზადა პირობები მტრების მხრივ ხელყოფისათვის. მათაც არ დააყოვნეს. და გაგრძელდა ქართველთა სამფლობელოებისათვის ბრძოლა საუკუნეების მანძილზე.

მხოლოდ XVIII ს. მეორე ნახევარში შეიძლო ქართველობამ მხრების წამოწევა. სოლომონ I იმერეთის მეფის და ქართლ-კახეთის ბატონის ერეკლე II სახელგებთანაა იგი დაკავშირებული. მაგრამ რამდენი რამ მოხდა ორნახევარი საუკუნის განმავლობაში. რამდენი ქართველი დატყვევდა და გაიყიდა მუსლიმანურ სამყაროში. რამდენი არა ქართველი დაეფუძნა, მიიტაცა და მიისაკუთრა დაცარიელებული ქართული მიწები. მყარად „ჩაჯდნენ“ სპარსეთიდან გადმოსული ბორჩალოები გარდაბან-რუსთავ-დმანისის მიდამოებში. ჯერ ერეკლე მეფემ ჩამოასახლა, მეტალურგიის განვითარების მიზნით, ბერძენ-სომეხი ხელოსნები ლორე-ახტალა-ალავერდის მიდამოებში, შემდეგ კი თავად იმრავლეს. სამცხე-საათაბაგო თურქულმა ტომებმა აითვისეს. ჩრდილოეთიდან მთა ჩამოწევა. ლეკებმა ივაჟკაცეს და მთლიანად თუ ვერა, ნაწილობრივ მაინც გაითავისეს კახეთ-ჰერეთის ჩრდილო ნაწილი. დარიალის ხეობა, რომლის გასასვლელ-გავაკებასაც ციხე ჩემია იცავდა, ოსებმა დაიკავეს, ჩმი არქვეს და ალთ აბალთას მიყრილი ქართველობაც ოსებად მოაქციეს. ასეთივე ბედი ეწია ღვალეთს. ჩრდილოეთიდან შემცირდა რაჭისა და სვანეთის საზღვრები. ხოლო სამეგრელოს (ოდიშის, საბედიანოს)

ჩამოცილებულ აფხაზეთის ჩრდილოეთ ნაწილში ადიღეურ-ჩერქეზული წარმოშობის აფსუათა ტომმა იწყო ჩასახლება.

მოკლე ჩამონათვალი ნათელყოფს, რომ ქართულ ეთნოსს ტერიტორიულ-რაოდენობრივ ცვლილებებთან ერთად ფსიქიკურ-გენეტიკური ცვლილებებიც უნდა განეცადა.

ქვეყნიერებაზე უცვლელი მხოლოდ ცვალებადობაა. ფიქრი იმისა, რომ მრავალ ათეულ საუკუნეთა მანძილზე ეთნოსის გენეზისი ცვლილებათა მატარებელი არ იქნებოდა, არარეალურია. მაგრამ ის რაც XVI–XVIII სს. მოხდა უკვე ერის გადაგვარების გზაზე დადგომას მოასწავებდა.

ერთ დროს სწამდათ: დედამიწა დისკოსმაგვარია და ის სამ ვემ-აპზე დგას. სამი საუკუნე გაგრძელდა სამ ვემპას შორის ძალისმიერი დაჟა კავკასიისათვის. XVIII ს. ოციანი წლებიდან ჩაერთო აქტიურად რუსეთი სპარსეთ (ირან)-თურქეთის დავაში. ჩაერთო და გადახარა კიდევაც სასწორი (არა ნიკეს-სამართლიანობის, არამედ ძალის) თავის სასარგებლოდ. საკვლევი საკითხის წარმოჩენას ბევრ ვერაფერს შემატებს თხრობა იმისა, თუ როდის, ვისი წარმატებით მიმდინარეობდა ვეშაბთა შეჯახება. XIX ს. დასაწყისშივე ნათელი გახდა შედეგი.

მხოლოდ ერთი საკითხი. ბოლო უნდა მოეღოს საუბარს კოლონიად გადაქცევის გზით ქართველობის გადარჩენის, გაბედნიერების შესახებ. უნდა დამთავრდეს „უმცირესი ბოროტების“ შესახებ მსჯელობაც. ის, რაც მკვლევართა მიერაა დადგენილი, ნათელყოფს: სპარსეთი უკვე იმდენად იყო დასუსტებული, რომ 10 000 ავღანელმა ცხონოსანმა მოახერხა მისი დაპყრობა. ერეკლე II ისეთ სიძლიერეს მიაღწია, რომ მოხარკედ გაიხადა განძის და ერევნის სახანოები. ევროპა მოელოდა, რომ იგი სპარსეთის შაჰად დაჯდებოდა. ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოს სპარსეთის ძველი შიში გადაგდებული ჰქონდა. თურქეთი, თუმცა ძლიერებას ინარჩუნებდა, მაგრამ მოჩვენებითს. მან არა მხოლოდ იმერეთის სამეფოს დამორჩილებაზე აიღო ხელი, არამედ გაუგონარ დათმობაზეც წავიდა. ცნობილია, თურქეთმა შეთავაზა ქართველებს (ერეკლეს), გაეერთიანებიათ საქართველო, კრედიტის მიცემასაც შეპირდა, კავკასიის მუსლიმან მთიელთა შემოსევების აღკვეთასაც კისრულობდა, ოღონდ კი რუსეთის იმპერია ამიერკავკასიაში არ შემოეშვათ. საკვლევი ერთია: არ თუ ვერ მიიღეს ქართველებმა თურქეთის შემოთავაზება?

რუსეთის იმპერია მომდგარი იყო დარიალ-დერბენტის კარიბჭეს.

სპარსეთზე უკვე საკმაო გავლენა ჰქონდა მოპოვებული. სწორედ რუსეთის წყალობით მოახერხა 1795 წ. ალა მაჰმად ხანმა თბილისის დარბევა. წყალობით, რადგან შეგნებულად დააიმედეს და უღალატეს ერეკლე II, და შეაგულიანეს ალა მაჰმად ხანი. ამ ლაშქრობით სპარსეთს არ უსარგებლია. ისარგებლა რუსეთმა.

1801 წ. დაიწყო და მრავალი ათეული წელი გაგრძელდა აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობის პროცესი. დაპყრობა სხვათა ტერიტორიების არა მხოლოდ ფიზიკურად დაკავებას გულისხმობდა. მთავარი იყო იქ დემოგრაფიული ანექსიის განხორციელება, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის დაჩქარებული ასიმილაცია მოჰყვებოდა¹.

როდესაც რუსეთის იმპერიამ ამიერკავკასიაში შემოაბიჯა, აქ წამყვან ძალას ქართველობა შეადგენდა.² შესაბამისად ძირითადი პოლიტიკურ-სამხედრო და დემოგრაფიულ-ასიმილაციური დარტყმაც აქეთ იქნა წარმართული. 1801 წ. საქართველოს მოსახლეობის 79,4 % ქართველობა იყო, 6,6 % აფხაზები, 6 % სომხები და გასომხებული ქართველები, ბორჩალოები 3,8 %, ოსები 3,37 %. მაგრამ არც ერთი რუსი.

საუკუნის განმავლობაში იმპერიამ მოახერხა, ქართველებს ჩაუსახლა და დაუპირისპირა მეზობელი თუ შორეულად მაცხოვრებელი ერების დიდი ჯგუფები. შედეგად ქართველთა ხვედრითი წილი 61,4 %-დე შემცირდა, აფხაზი მოსახლეობა 1,6 % –მდე. სანაცვლად გადმოსახლებულთა ხარჯზე სწრაფად გაიზარდა სომხების, აზერბაიჯანელების, ოსების, ბერძნების და ა. შ. რაოდენობა. და მაინც ყველას რუსული მოსახლეობის ზრდის ტემპი სჭარბობდა. თუ 1801 წ. არც ერთი რუსი მოსახლე არ ფიქსირდება, საბჭოთა პერიოდში მათმა ხვედრითმა წილმა, 8,7% გადაამეტა და რაოდენობრივად სხვა სლავიანურ მოსახლეობასთან ერთად 400 000 გადააჭარბა.

საქართველოში, დაჩქარებული ტემპით ჩამოაყალიბეს მრავალენოვანი, მრავალ ეროვნანი, მრავალ რელიგიური საზოგადოება. სხვადასხვა პოლიტიკური და საერთო კულტურის, ადათ-წესების, ტრადიციების, ეროვნული ხასიათის მიზანმიმართულად აღრეულ მო-

1. ამ საკითხებთან დაკავშირებით იხ. ა. ახატნელი, რევოლუციური ანექსია, თბ. 2008 წ.

2. ქართველობა ამიერკავკასიის მოსახლეობის 43% იყო.

სახლეობას, საერთო საკომუნიკაციო ენად რუსული დაუდგინეს და ასიმილაციურ პროცესებში ჩართეს.

რამდენადაც საქართველოში ქართველობა ასე თუ ისე უმრავლესობას წარმოადგენდა (60-70% ფარგლებში), ქვეყანას საქართველოს რესპუბლიკა დაარქვეს და ყოველგვარი სახის საპროტესტო მუხტიც ქართველების წინააღმდეგ მიმართეს.

საქართველოში ეთნიკურ დამოუკიდებლობას ყველაზე უკეთ არაქრისტიანული მოსახლეობა ინარჩუნებდა. ენობრივთან, ტრადიციებთან ერთად, რელიგიური ფაქტორი გადამწყვეტი იყო შერეული ოჯახების შექმნის დროს. მიუხედავად თავგადაკლული ათეისტობისა, ვერც გაბატონებული ერის (რუსების) ხელმძღვანელობამ გადალახა რელიგიური ბარიერი და ვერც სხვები აიძულა. შესაბამისად, მუსლიმანურ, იეზიდურ, ებრაულ რელიგიებს თავისი მრევლი ჰყავდათ და ცდილობდნენ მათ შენარჩუნებას. ქართველების შერევა თუ ხდებოდა, უფრო ებრაელობასთან. 2 600 წლიანი გამოცდილება უწყობდა ხელს ასეთ მდგომარეობას.

შედარებით ინტენსიური იყო სომხურ-ქართული შერეული ოჯახების შექმნა და ურთიერთ ასიმილაცია. ორი ძირითადი ფაქტორი უშლიდა პროცესის დაჩქარებას. ერთი ის, რომ 1829 წლიდან მოყოლებული, თურქეთიდან გამოქცეული სომხობა სამცხე-ჯავახეთის დაცლილ მიწებს იკავებდა, კომპაქტურ მოსახლეობას, ფაქტობრივად სომხეთის გაგრძელებას ქმნიდა და ქართველებთან ნაკლები კონტაქტები ჰქონდათ. მეორე ის, რომ რუსული მმართველობა ხელს უწყობდა რა სომხების დიდი რაოდენობით გადმოსახლებას (ერთი პერიოდი თბილისი თითქმის მთლიანად დაიკავეს), ამავე დროს აღვივებდა შუღლს ეროვნულ ნიადაგზე.

იყო რელიგიური ფაქტორიც. მართალია სომხები ქრისტიანები არიან, მაგრამ აქვთ თავისებურება რის გამო მოხდა თავის დროზე ქართველთა და სომეხთა დაშორიშორება. ამავე დროს გრიგორიანელობამ გაუწია დიდი სამსახური სომხების მეობის შენარჩუნებას.

ცნობილი ისტორიული ფაქტია. თემურ ლენგმა კავკასიური ტომები აიძულა მუსულმანება მიეღოთო იგივე ამიერკავკასიასა და წინა აზიაში გაძნელდა და გამონაკლისის სახით სომხური ქრისტიანობა გამოაცხადა ერთადერთ მისაღებ თუ არსებობისათვის დასაშვებ სახედ. რა გასაკვირველია, რომ შევიწროებულ ქრისტიანებს, გამუსულმანებას გრიგორიანელობა ერჩიათ. ამ გზით უამრავი გასომხდა საუკუნეთა განმავლობაში.

ქართველებს შორის ეს პროცესი, რუსეთის ხელშეწყობით, XIX ს. ბოლომდე გაგრძელდა. ამიტომ, საბოლოო ანგარიშით გასომხებული ქართველობა ბევრად მეტი აღმოჩნდა, ვიდრე გაქართველებული სომხობა.

თუ თვალს გავადევნებთ სომხობის ჩამოყალიბების, განვითარების, ეროვნულ ურთიერთობათა ისტორიას, ვალიარებთ მათ ნახევრად თობალობას, ტაბალობას, იბერობას, ქართველობას. მხედველობაშია არა ის, რომელ ისტორიულ პერიოდში, ვის რა ტერიტორიები ეკავა, არამედ ის თუ როგორ მიმდინარეობდა ეთნოგენეზის პროცესები.

ამ საკითხების გაშუქება საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დიდი ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა. ყველაფერი ექვემდებარებოდა ერთ „ღიალ“ მიზანს: რუსეთი ჯერ კიდევ არ არსებობდა, როცა ქართველები, სომხები, ოსები და ა. შ. რუსეთთან გაერთიანებას ცდილობდნენ. ამ მიზანს ემსახურებოდა სხვათა ისტორიების გაყალბება და ეთნოსთა ურთიერთდაპირისპირება. ვერც ქართველები და სომხები აცდნენ ამ ხიფათს. ამ ერების ისტორიაში ბევრი რამ იქნება გამოსაკვლევი. ამ მიზეზით, საილუსტრაციოდ, მივმართავთ არა საბჭოთა მეცნიერებს.

მოსკოვში, 1898 წ. გამოვიდა ცნობილი ანთროპოლოგის, ისტორიკოსის, კავკასიამცოდნის დ. ნ. ანუჩინის ნაშრომი. (Анучинь Д. Н. Армяне в антропологическом и географическом отношении. М. 1898). აი რას ამბობს იგი სომხურ-ქართულ წარმომავლობაზე:

«...долихоцефалический тип есть наиболее древний и притом обнимающий собою все древние народы средиземноморской области, как-то, берберов и египтян северной Африки, древнейшее население Сирии и Малой Азии, пелазгов, этрусков, лигуров, иберов. Роса эта, вышла из северо-восточной Африки... и заселила Египет, Ливию, Сирию, Малую Азию, перешла на острова и материк Греции, в Сицилию, Италию, Сардинию, на йберийский полуостров, проникла на территорию нынешней Швейцарии, Франции, Англии, Ирландии, а также на Кавказ, в Крым, Южную Россию, на Дунай. Эта раса положила основание древнейшим культурам Египта, Хиттитов, Греции, Этрурии, - культурам, предшествовавшим распространению арийцев...» (დასახელებული ნაშრომის 7-8 გვ.).

ამ ჩამონათვალში სომხების, თობალ-თუბალ-ტაბალ-იბერი, წინაპრები თავისთავად იგულისხმებიან, მაგრამ არა კიმერიელი წინაპრები. მათ შესახებ ასეა ნათქვამი: «Таким образом, по крайней мере в

восточной части Малой Азии, брахицефалический армянский тип следует считать позднейшим, пришлым, вторгнувшимся в область типа долихоцефалического» gv. 9.

სომხების წინაპრები ყოველთვის სახლობდნენ მცირე აზიაში. ისინი ტაბალი ჰაოსის შთამომავალნი იყვნენ და ტაბალი ქართოსის, ლეკოს, კავკასოსის განაყარი თანამოძმენი. რაც შეეხება სომხების კიმერიელ წინაპრებს, ისინი კოლხეთის გავლით შეიჭრნენ მცირე აზიის ტომებში, «... армяне перешли в центр Малой Азии и заселили Кападокию и Киликию ... Отсюда они распространились в равнины по течению Тигра..., пошли затем на север и северо-восток, вытесняя туземное население понтийских халдов и овладели, наконец, столицей последних, Тушка-Ваном. Халдийские (ванские) цари страны Урарту вынуждены были перенести свою резиденцию в долину Аракса...» «Побежденные халды должны были отступить на запад, вдоль Аракса, через сарыкамышь к Гассань-кала, в область, сохранившую еще долго спустя название Халдии. Таким образом, армянам удалось утвердиться в так называемой Армении только после долгой, упорной борьбы с племенем Урарту или понтийскими халдами, - племенем, язык которого еще не выяснен, но в котором есть некоторые основания предполагать прародичей картвелского или грузинского племени» (gv. 11).

ამ ისტორიულ ანალიზს უნდა მიემატოს ის ცნობები, რაც შეეხება მითრიდატე პონტოელის მიერ ტიბარენელების ჩასახლებას სასომხეთში, სასომხეთის გადმონაცვლებას ქართველურ ტომთა სამოსახლოში, საუკუნეების მანძილზე ქართველების (უკვე ქართველების) შეღწევას და შერევას სომხებში და დასკვნა ბუნებრივად იბადება: სომხური გენის, ეთნოსის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი ქართველებს (მათ წინაპრებს) მიუძღვით.

აღლად ამას უნდა მიეწერებოდეს სომხეთში „დოლიხოცეფალური“ და „ბრაზიცეფალური“ ტიპის მოსახლეობის არსებობა. იგივეს ადასტურებს სომხური გვარების დიდი რაოდენობა, რომლის ფუძე ქართულია (მჭედლოვი, ხატი-სოვი, ხარატი-ანი, ღარიბი-ანი, ორბელი-ანი, მამიკონი-ანი, ნალბანდი-ანი, ხურო-იანი, აზნა-ვ-ური, ჯიგარ-ხანიანი და სხვა.).

თავის მხრივ სომხური მოსახლეობის დაუბრკოლებელი მიგრაცია საქართველოში მათ გაქართველებასაც იწვევდა. ამიტომაც ქართველთა

(დოლიხოცეფალებს) შორის, არც თუ იშვიათი სომხური (ბრაზიცე-ფალური) ტიპის მაცხოვრებელთა არსებობა.

აქ მოკლედ ნათქვამის საგანი სპეციალურ კვლევა-ანალიზს საჭიროებს. ქართველი ერი ვერ იქნებოდა ისეთი, როგორც არის, სომხური ელემენტის გარეშე. ლოგიკურია იგივე ვიფიქროთ უახლოეს მეზობლებზე, რომელთა მტრად მოკიდებას ორასი წელი ცდილობდა რუსეთის იმპერია და ცდილობს „ძალიან დემოკრატიული“ მისი ხელმძღვანელობა.

2400 წელია რაც ოს-ალანები არა მხოლოდ ემეზობლებიან, არამედ დინასტიურ დონეზე მაინც ემოყვრებიან იბერ-ქართველებს. ეს ურთიერთობანი განსაკუთრებით ინტენსიური XX ს. ხდება. მეფის რუსეთმა ისტორიულ სამშობლოს მოწყვეტა და ქართველებს შორის ჩაასახლა მრავალი ოსი. რაოდენობამ 164 ათასს გადაამეტა. აქედან 60 ათასამდე კომპაქტურად დაასახლა დვალეთში, სამაჩაბლოში, ქსნის საერისთაოში. დვალეები, ვინც დარჩა და გადასახლება ვერ შეძლო, ოსებად ჩაწერა და „უმაღლესი სამხედრო“ მოსაზრებით ეს მხარე 1862 წ. ოსეთს მიუერთა. ქართველებს, დვალეთს და დვალეებს, მხოლოდ შემორჩენილი გვარები (დვალი, დვალიშვილი, დვალიძე, ხეთაგური, ცხოვრობოვი, ხაბელოვი, და ა. შ.) გვასხენებს. ქსნის საერისთაოს, სამაჩაბლოს ტერიტორიებზე ჩამოხიზნული ოსები კავკასიის მთებით მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ დედა სამშობლოდან. (ასე იყო როკის გვირაბის გაჭრამდე). მდგომარეობამ აიძულა ისინი, მჭიდრო კავშირში ყოფილიყვნენ ქართველებთან. ამას ხელი შეუწყო რელიგიურმა, ტრადიციების, ადათ-წესების იდენტურობამ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველთა მხარდაჭერას. გაოსებულმა დვალმა კოსტა ხეთაგუროვმა მათი დახმარებით შეუქმნა ოსებს დამწერლობა. ოსების უდიდესი ნაწილი (100 ათასზე მეტი), მეფის რუსეთმა ქართლ-კახეთის მიდამოებში მიმოფანტა. ეს უფრო მეტად აიძულებდა ხიზნებს, ახლო ურთიერთობა მასპინძლებთან დაემყარებიათ. მეზობლურმა ურთიერთობამ ამ ორ ეთნოსს შორის, ნათესაურში გადაზრდა დიწყო. პრაქტიკულად იშვიათი გახდა ოსური ოჯახი, რომელსაც ქართული სისხლი და გენი არ ჰქონოდა შერეული. თავის მხრივ ქართველები იოლად უნათესავდებოდნენ ხიზნებს. და ასევე გავრძელებოდა, რომ არა რუსეთის ცნობილი იმპერიული პოლიტიკა: გათიშე და იბატონე.

ვინც ოღნავ მაინც იცის ეროვნებათშორისი ურთიერთობის ლენინური თეორია, საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა, მართებულად შეაფასებს

ოსების ქართველებისადმი დაპირისპირების დიდ მცდელობას. არც იმ პროცესების ხასიათი გააკვირვებს, რაც XX ს. ოთხმოციანი წლებიდან აქტიურ ფაზაში შევიდა და არც მათი შედეგები.

ამ შემთხვევაში არსებითია ის, რომ ოსური ელემენტი აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა ეთნოგენეზის საქმეში. ვინც არ უნდა მონდომოს, ვერც ქართველთა და ოსთა ერთობის მომენტებს წაშლის და ვერც მონაწილეობას გენეტიკურ-ფსიქიკური განვითარების საქმეში. ოსებს საამაყოდ ისიც ექნებათ, რომ მათი დავით სოსლანი იყო XIII ს-ან მოყოლებული საქართველოს სამეფო დინასტიის მამამთავარი. ქართველებმა, თავის მხრივ, მონარქიის აღდგენის მოსურნეებს უნდა მოსთხოვონ პრეტენდენტთა გენეალოგია.

სრულიად განსაკუთრებულია აფხაზთა და ქართველთა ურთიერთ-მიმართების, გენეტიკურ-ფსიქიკური ერთობასა და განმასხვავებელი ნიშნების პრობლემა. რამდენადაც უცნაურად ან საწყენად არ უნდა ჟღერდეს, აფხაზების და აფხაზეთის, აფხაზების და აფსუ-ების ფარდობითობის საკითხები ხელახლა შესასწავლია. არ შეიძლება სანდოობის ხარისხი მიენიჭოს ვორონოვების, ტურჩანინოვების და მათი მსგავსი „აკადემიური მეცნიერების“ ნააზრევს. ასევე არ შეიძლება, იმპერიის ცენტრიდან ნაკარნახევი იდეების საფუძველზე, რეალური წარსულის ობიექტური შეფასება. ამ კუთხის და იქ მცხოვრებთა ისტორია ხელახლა საკვლევია.

სამწუხაროდ, არც ქართული საისტორიო მწერლობაა ამ საქმეში უცოდველი.

კვლევისა და ანალიზის მოითხოვს აფხაზეთის (მხედველობაშია მდ. კელასურის, ყოფილი მდ. კორახის ჩრდილოეთი ტერიტორიების) ისტორიული გეოგრაფიის საკითხი. მასთან ორგანულ კავშირშია იქ მაცხოვრებელი ტომების რაობისა და ეთნიკური კუთვნილების პრობლემა. ეგროსის კუთვნილი ტერიტორიების აფხაზეთთან თანაფარდობის, ჰენიოხების, კოლხების, მეგრელების, სვანების ისტორიული გეოგრაფიისა და ეთნიკურობის ურთიერთმიმართების, აფხაზთა ტომის ეთნიკური ცვლილებების საკითხები. თავად ტერმინ აფხაზეთის შინაარსობლივ-გეოგრაფიული განფენილების პრობლემა და სხვა.

ამ შემთხვევაში კი საინტერესოა აფხაზთა და ქართველთა ურთიერთ-„ასიმილაციის“, შერეული ოჯახების შექმნასა და ეთნოგენეზში მონაწილეობის სურათი.

ისტორიის არც ერთ პერიოდს არ დაუფიქსირებია აფხაზეთის და აფხაზების გაუცხოება იბერიულ-კავკასიური ერთობისაგან. მატერიალური და სულიერი მონაპოვარი აფხაზებისა ისევე იყო საერთო იბერიულ-კოლხური ტომების მონაპოვრის შემადგენელი, როგორც კახელებისა, მესხებისა, გურულებისა და ა. შ.

უკვე ითქვა, რომ ქართული ისტორიოგრაფია ეგროსის კუთვნილი მიწა-წყლის ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიის მთავრების შავ ზღვასთან დასასრულს ასახელებს. მას ციხე და პატარა ნავსადგური ლაია (ლაიაში) ეწოდებოდა. ძვ. წ. აღ. I ს. პომპეუსმა ის გაამაგრა და ნიკოფსიად გადანათლა. იმ ადგილას ჩამომდინარე წყალს, რუსები დღეს მდ. ნოვოფსუხოს უძახიან. ეს ტერიტორია შედიოდა საბედიანოს სამთავროში. ადრეულ პერიოდში იგი გაიყო სამეგრელოდ, სვანეთის ნაწილად და აფხაზეთად.

მთავრები დიდხანს ფლობდნენ ძიგებ-ჯიქების ტომის სამოსახლოს, რომელიც მათი სამთავროს ჩრდილოეთს ესაზღვრებოდა. ამ მიწებზე თანდათან შერეული მოსახლეობა გაჩნდა. სწორედ ამ რეალობას ასახავდა ვასილ ტატიშჩევი (В. Татищев. Труды I-II т), როდესაც წერდა «Паче же мною, часть Мингрелии северная, которую турки и кабардинцы именуют абхазос, наши древние именовали обезы. Ныне оной большую часть Кубанцы населяют.» (ციტატი აღებულია პროფ. თ. მიბჩუანის ნაშრომიდან).

სამეგრელოს სამთავროს ჩრდილოეთი ნაწილი თანდათან გაითავისეს ყუბანისპირა ტომებმა, მაგრამ ძირითადი აფხაზი მოსახლეობა კვლავ წამყვან ძალად რჩებოდა.

ანთროპოლოგია უტყუარ ნიშნებს ეხება. შეიძლება ესა თუ ის ისტორიული ცნობა მნიშვნელოვნად ან უმნიშვნელოდ მიიჩნიონ, შეიძლება სწორი შეფასებაც ვერ მისცენ. ანთროპოლოგიური მონაცემს ვერც წაშლი და ვერც შექმნი. აფხაზთა ანთროპოლოგიურმა კვლევამ ვ. ალექსეევი ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: «Антропологические данные как будто свидетельствуют об исторических связях абхазов в большей мере с грузинским миром, чем с адыгским. Вхождение абхазов в состав народов адыгской языковой семьи осуществилось поздно и, во всяком случае, представляет собой вторичное в их этнической истории.» (В. М. Алексеев, Происхождение народов Кавказа, М, 1974, с.194).

ნათლადაა ნათქვამი ადილური წარმოშობის აფსუათა ტომი გვიან გამოჩნდა აფხაზეთის მთიანეთში, იმძლავრა და რუსეთის იმპერიის ხელშეწყობით ბევრსაც მიაღწია. არაა საჭირო ღრმა ისტორიული ძიებანი. საკმარისია ერთი-მეორის გვერდით ჩამოიწეროს აფხაზური და მეგრული გვარები, რომ სურათი ნათელი გახდეს. ისტორიულად, ანთროპოლოგიურად, ადათწესებით, ტრადიციებით, კულტურით და სხვა, აფხაზები საქართველოს განუყრელი შვილები არიან. იმპერიული გათიშე და იბატონეს პოლიტიკა მათ მხოლოდ დროებით ამორებს მშობლიურ ორგანიზმს.

იმპერიულ რუსეთს აფხაზები არ სჭირდება. მას აფხაზეთი უნდა. თუ ქართველობამ ვერ ივარგა, თუ საერთაშორისო საზოგადოება არ მიეხმარა, დღევანდელი აფხაზები ისევე განწირულები არიან, როგორც მოუვიდათ მდ. ფსოუს ჩრდილოეთით მაცხოვრებლებს.

რამდენადაც აფხაზებს იბერიულ-კოლხური ეთნოსისაგან განყენებულად წარმოიდგენენ, ამდენად, პირობითად შეიძლება საუბარი შერეული ოჯახების და აფხაზური გენის მონაწილეობაზე ქართველთა ეთნოგენეზის პროცესში.

ცალკე აღნიშვნას მოითხოვს სლავიანური მოსახლეობის აქტიური შეჭრა ქართულ სამყაროში. ბოლო ორი საუკუნეა ინტენსიურად მიმდინარეობდა სლავთა და ქართველთა ცხოვრების ყველა მხარის დაახლოება და პირველ რიგში შერეული ოჯახების შექმნის გზით. ნახევარმილიონიან, ერთმორწმუნე, შერეულად (არა კომპაქტურად) მაცხოვრებელ მასას სამ მილიონიან ეთნოსთან შერწყმის პროცესში გარკვეული ზეგავლენა უნდა მოეხდინა და მოახდინა კიდევც.

არ შეიძლება თავისუფალი იყოს ერი, რომელიც სხვას ჩაგრავს. კ. მარქსის ეს დებულება სრულიად ასახავს რუს და ქართველ ერთა ურთიერთობას. ამიტომ საკითხის გაშუქების დროს, უნდა გამიჯნული იქნას ერი და მთავრობის პოლიტიკა. პოლიტიკას ადამიანები ახორციელებენ. ამდენად მთავრობასთან კავშირში უნდა განიხილებოდნენ აღმსრულებელი ელემენტები. ერებს სადაო არაფერი აქვთ. სადაოდ ურთიერთობებს მთავრობები ქმნიან.

რუს ხალხთან ქართველებს ჰქონდათ და ექნებათ ურთიერთ გაცვლითი კავშირი. ამ მხრივ საკვლევი არ დაილევა. ამ გაცვლამ შეაძლებინა გენეტიკურად ქართველ პეტრე პირველს და იოსებ ჯუღაშვილს (სტალინს) სათავეში ჩადგომოდნენ რუსეთის იმპერიას. სხვა საკითხებთან ერთად ეს ეთნოგენეზისში მონაწილეობას გულისხმობს.

ქართველური (იბერიული, კოლხური) ტომებით დასახლებული დიდი ტერიტორიებია თურქეთის ფარგლებში. საუკუნეთა მანძილზე მიმდინარეობდა ბრძოლა დასაკუთრებისათვის. ბევრი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორი განაპირობებდა ჭიდილის ხანგრძლივობის. მათ შორის რელიგია წამყვანი იყო. ქართული მოსახლეობის გამუსლიმანების შემდეგ შეძლო თურქეთის იმპერიამ იქ ფეხის მტკიცედ მოკიდება. რელიგიურმა ერთობამ ეთნოსების დაახლოებას დაუდო სამანი. ამ გზით წარიმართა თურქთა და ქართველების მონაწილეობა ეთნოგენეზის პროცესებში. ამასთან, თურქული გენი შემოდიოდა არა მხოლოდ სამხრეთიდან. ალბანეთის დაუფლების შემდეგ, ალბანელთა გამუსლიმანებისა და გათურქების (ახლა-გააზერბაიჯანელობის) შემდეგ, ალბანელებსა და იბერებს შორის გენეზისის პროცესებში ურთიერთობა არ შეწყვეტილა. სხვა საკითხია, ვის მეტი დამსახურება მიუძღვის ამ საქმეში.

მიზანი იყო მოგვეხაზა ქართველთა ეთნოგენეზის სქემატური სურათი. ამ გზით ნათელი გახდა, რომ დღევანდელი ქართველობის ჩამოყალიბების, გენეტიკურ-ფსიქიკური გენეზისის პროცესში ბევრმა მონათესავე ტომებმა მიიღეს მონაწილეობა. ასე შეიქმნა ის ბირთვი, რომლის სიმყარეს ბევრმა ეთნოსმა მიმართა და თუ შეძლო ზეგავლენა მოეხდინა, თავადაც განიცადა უკუზემოქმედება. ქართველობა დღეს მრავალსაუკუნოვანი (ოთხი ათასი წლის პროცესს შევეხეთ მხოლოდ) ეთნიური შერწყმა-დაშორების შედეგია.

II. ისტორიული ლოგიკა

ქართველების ეთნოგენეზის ისტორია ხანგრძლივია და დაუმთავრებელი. მას აქვს დასაწყისი, მაგრამ არა დასასრული. სანამ ეთნოსი (ერი) არსებობს, გენეზისის პროცესი იარსებებს, იმ გაგებით, რომ ვასცემს გარკვეულ მუხტს და მიიღებს სხვა ეთნოსებისაგან.

დღეს გლობალიზაციის პროცესები მძლავრად მიმდინარეობს. მას ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს. ბრძოლამ არ შეიძლება პროგრესი შეაჩეროს. ცხადია, რომ უკვე ყოველი ერი (ეთნოსი) მსოფლიო მნიშვნელობისაა, ორგანულად არის ჩაბმული მსოფლიო პროცესებში და მისი მოთხოვნების შესაბამისად განიცდის ცვლილებებს.

ერები კი არა, პიროვნებები, მათგან დამოუკიდებლად, განიცდიან ცვლილებებს. კ. მარქსი ბრძანებდა, ყოველი ადამიანი, მსოფლიო

პიროვნებად გარდაიქმნებაო. მხედველობაში იყო, რომ საზოგადოებრივი განვითარება გადააჯაჭვავს ინდივიდთა, სოციალური ჯგუფების, ერების, სახელმწიფოების ინტერესებს. ინტერესები გახდება საერთო და შესაბამისად ყოველი ადამიანი დამოკიდებული და დაინტერესებული იმით, რაც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ხდება.

დღეს ეროვნული და სახელმწიფოებრივი საზღვრები სტოვებენ კარჩაკეტილობას და ერთიანი მსოფლიო საზოგადოებრიობის ჩამოყალიბებას უქმნიან პირობებს. ეს არაა დამოკიდებული ცალკეული ინდივიდების, სოციალური ჯგუფების, გნებავთ ეთნოსების ნებაზე. ცივილიზაცია თავისი გზით მიდის და ეროვნული ან სახელმწიფოებრივი ბარიერები მას ვერ შეაჩერებს. უფრო მეტი, გარდუვალი ხდება სხვადასხვა სახელმწიფოთა განვითარების დონის დაახლოება და ინტერესების გადახლართვა. რაც ხდება ერთთან, ზემოქმედებს ბევრზე. სადამდე მივა ეს დაახლოება, რამდენად იმოქმედებს ეროვნულობის თავისებურებებზე, რა თანაფარდობის პროცესს ექნება ადგილი ზოგადსაკაცობრიოსა და ეროვნულს შორის, ამაზე მსჯელობა მხოლოდ ჰიპოტეზების დონეზე შეიძლება. ისტორიული გზა განვითარების ტენდენციის მანსიათებელია.

ლოგიკური ისტორიის მხოლოდ ფრაგმენტული დახასიათება იქნა წარმოდგენილი, რამდენადაც ისტორიული ფესვები წარსულის სიღრმეშია ჩაკარგული, ამდენად შეიძლება მტკიცება, რომ გენეზისის პროცესში ქართველობამ გააიარა განვითარების თავისებური (იმანენტურა) და ამავე დროს საერთო-საკაცობრიო გზის შემოდგენილი, ნაწილი, ის, რაც დამახასიათებელი იყო მისი ასაკის და თანამედროვეობის წამყვანი ერებისათვის, ქართველობამაც გამოსცადა.

განვილილ ისტორიას მეცნიერება სხვადასხვა კუთხით, მიზნით, გაგებით სწავლობს და შეფასების კრიტერიუმებიც განსხვავებულია. შესაბამისად განსხვავებულია დასკვნებიც.

დიდი ხნის მანძილზე მიჩნეული იყო, რომ უფალმა ადამიანი და ადამიანური ცხოვრების სტილი ერთხელ და სამუდამოდ დაადგინა. შესაბამისად, რა აზრი აქვს მცდელობას მისი მოდერნიზაციის მიზნით. უმეტესი მოაზროვნეებისა თვლიდნენ, რომ ცხოვრება ცვალებადია. მაგრამ რა გზით? ზოგიერთის თქმით ცვლილებას რევრესული ხასიათი აქვს: იყო ცხოვრების ოქროს ხანა, შემდეგ იგი რკინის ხანამ შეცვალა. იყო საპირისპირო თვალსაზრისიც. ამ კონცეფციის თანახმად, კაცობრიობის მთელი წარსული სამ პერიოდად უნდა დაიყოს: ქვის

ხანა, ბრინჯაოს ხანა და რკინის ხანა. გამოითქვა აზრი, რომ დაყოფა პირობითია, ქვის ხანის კვალი არ ქრება, იგი საზოგადოებას ბოლომდე გასდევს. ასევეა ბრინჯაოს ხანის მიმართაც. ბოლოს დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომლის თანახმად კაცობრიობა განვითარებაში გადის სამ საფეხურს: ველურობა, ბარბაროსობა და ცივილიზაცია. შემდეგ თვითეული საფეხური შიდა პერიოდებად დაყვეს: დაბალი საფეხური, საშუალო და მაღალი.

წარსულის პერიოდებად დაყოფის სხვა ნიშნებიც გამოიკვეთა დროთა განმავლობაში. ასე მაგალითად: ადამიანთა ცხოვრების პირველი პერიოდი გამოიყო, როგორც შემგროვებელთა და მონადირეთა. მას ადამიანური ურთიერთობის ჯგოფური ცხოვრება შეესაბამებოდა; მეორე პერიოდი ხასიათდება მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის განვითარებით. შესაბამისად, ადამიანთა ურთიერთობა ჯგოფური მდგომარეობიდან, კლანურ-გვაროვნულ ურთიერთობაშია გადაზრდილი; მესამე პერიოდი უკვე ინდუსტრიული საზოგადოების შექმნით ხასიათდება.

დროთა ვითარებაში შემუშავებულ იქნა ისეთი თვალსაზრისიც, რომლის თანახმად არამართებულია ადამიანური წარსულის ასე პერიოდებად დაყოფა. ასე იქმნება სურათი, თითქოს ადამიანთა ყოველ ჯგუფი, ეთნოსი თანაბრად გადის განვითარების ამ საფეხურებს. მაშინ, როცა სინამდვილეში ისტორია ცალკეულ ეთნოსთა ან რეგიონების ცივილიზაციებისაგან შედგება და მათ ლოკალური ხასიათი აქვთ. ლოკალური ცივილიზაციების თვალსაზრისს ეხმაურება ე. წ. ღერძულა დროს არსებობის კონცეფცია, რომლის თანახმად ძვ. წ. აღ. IX—III საუკუნეებია გარდამტეხი და განმსაზღვრელი ძველი დაუწერელ და ახალ, ფილოსოფიურ პერიოდებად ისტორიის დაყოფისას.

უკანასკნელ ხანს გამოითქვა ორიგინალური აზრი, რომლის მიხედვით კაცობრიობის წარსული უნდა დაიყოს ადამიანის გონებრივი, აზრობრივი განვითარების საფეხურების მიხედვით.

ფილოსოფოსებისაგან განსხვავებით არქეოლოგები ისტორიული წარსულის დაყოფას იარაღების მიხედვით ახდენენ. ველურობის პერიოდს უწოდებენ ქვის ხანას. ძველი ქვის ხანა იწყება დაახლოებით ძვ. წ. აღ. 40 ათასი წლის წინ. განვითარებაში გადის სამ საფეხურს: პალეოლითი, მეზოლითი, ნეოლითი. ამ საფეხურების გავლას დასჭირდა 36 ათასი წელი შემდეგ ადამიანები გადადიან ბრინჯაოს ხანაში და ორი ათასი წელი, ეს ლითონი განსაზღვრავს მათი ცხოვრების ნირს.

ბრინჯაოს ხანას ძვ. წ. აღ. მეორე ათასწლეულიდან მოყოლებული რკინის ხანა ცვლის, რომელიც დღემდე გრძელდება.

მკვლევართა შორის გავრცელებული იყო თვალსაზრისი კაცობრიობის წარსულის საკუთრების ხასიათის მიხედვით დაყოფის სასარგებლოდ. მიაჩნდათ, რომ პირველი საფეხური ხასიათდება საზოგადოებრივი საკუთრების ბატონობით. მას, ურთიერთობების შინაარსის მიხედვით პირველყოფილ-თემური წყობილება შეესაბამება. დროთა ვითარებაში საერთო საკუთრებას კერძო ცვლის. კერძო საკუთრება, ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში, გამოვლინდება მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილების ფორმით. ამ თვალსაზრისის თანახმად, კერძო საკუთრებას და მასზე დაფუძნებულ კაპიტალისტურ წყობილებას შეცვლის საზოგადოებრივი საკუთრება და შესაბამისი სოციალისტური წყობილება. საბჭოთა კავშირში არსებული წყობილება მიჩნეული იყო სოციალიზმის ბაზად და ნიმუშად.

რამდენადაც საქართველო საბჭოთა იმპერიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, იგულისხმებოდა, რომ 70 წლის მანძილზე, იქ სოციალისტური წყობილება არსებობდა. აქედან კი მოხდა უკან გადასვლა კაპიტალიზმში, რომელსაც საუკუნის მანძილზე ექსპლოატატორულს, უსამართლოს, მომაკვდავს უწოდებდნენ. თუნდაც ის ამბავი, რომ მეცნიერება უარყოფს განვითარების მაღალი საფეხურიდან დაბლისაკენ დაბრუნების შესაძლებლობას, აუცილებელს ხდის სინამდვილის გარკვევას; რა მოხდა, რა გარდაქმნებს აქვს ადგილი, ამის მიხედვით განიხილება განვითარების ტენდენციები.

არქეოლოგია ადასტურებს ამიერკავკასიაში ადამიანთა ცხოვრებას და ხანგრძლივობას. აღმოჩენილია უამრავი ნივთმტკიცება, რომელიც ადასტურებს ადამიანთა ყოფნას ორი მილიონი წლის მანძილზე. შესაბამისად ადგილი უნდა ჰქონოდა თანაცხოვრების ყველა იმ ფორმას, რაც ამ ხნის განმავლობაში გაიარა ადამიანმა.

პირველ რიგში გასათვალისწინებელია ორი შენიშვნა: 1. ორი მილიონი წლის წინანდელი ნაშთები არ გამოდგება იმის დასტურად, რომ ადამიანი აქ უწყვეტად ცხოვრობდა. ჩვენ არ ვიცით გამყინვარება-დათბობის პერიოდების მონაცვლეობა რა ზეგავლენას ახდენდა ცხოვრების პირობებზე. შეიძლებოდა აქ მუდმივად ცხოვრება თუ არა. 2. თანამედროვე ტიპის ადამიანი (კრომანიონი) ჩამოყალიბდა უკანასკნელი გამყინვარების რაღაცა პერიოდში. ვარაუდობენ 50 ათას წელს. აქაც

ზოგი რამ დასაზუსტებელია. თუ დაახლოებით 20 ათასი წლის წინ გამყინვარებამ პიკს მიაღწია, მაშინ ამიერკავკასიაშიც გაქრებოდა ცხოვრების პირობები. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ ამ გამყინვარებას მოჰყვა მკვეთრი დათბობა და იგი 10 ათასი წლის წინ დასრულდა. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ადამიანის უწყვეტი ცხოვრების ნირზე მსჯელობა შეიძლება 20 ათასი წლის ზღვარს აქეთ.

გასასწავნებელია მეცნიერების მიერ დადგენილი ისეთი მონაცემებიც, როგორცაა: 1. ცეცხლის გამოყენება ადამიანმა ჯერ კიდევ გამყინვარების წინა პერიოდში იცოდა; 2. დაახლოებით 30 ათასი წლის წინ ადამიანები იწყებენ რაღაცა ნიშნების მიხედვით მანძილებზე ინფორმაციის გადაცემას, რაც საფუძვლად უნდა დასდებოდა დამწერლობის წამომოზას; 3. სამხრეთ კავკასიის ახლოს და მომავალში ქართველების წინაპრების საცხოვრისი არეალის ახლოს აღმოცენდა პირველი ცივილიზაციები. დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ძვ. წ. აღ. VIII ათასწლეულის ქალაქური დასახლების ნაშთები.

რა დასკვნის საშუალებას იძლევა ეს ცნობები?

უდაოა შემდეგი: 1. პირველყოფილი ადამიანები ჯოგებად ცხოვრობდნენ. (ჯოგური ცხოვრება, მხოლოდ ადამიანების პრივილეგია არ არის); 2. ჯოგური ცხოვრების დროს ადამიანებს არა ჰქონდათ შრომის იარაღები. (ცალკეულ შემთხვევაში ჯოხის გამოყენება, როგორც საკვების მოპოვების იარაღისა მაიმუნსაც შეუძლია. ვთქვათ ჭიანჭველების ბუდიდან გამოსატყუებლად. დათვსაც შეუძლია ქვის ან ხის კუნძის იარაღად გამოყენება და ა. შ.). შეიძლება ჯოგის წევრები ქვას და ხესაც მიმართავდნენ იარაღის სახით, მაგრამ ეს არ იქნებოდა გააზრებული შრომის იარაღი. იარაღად ქვა და ხე მაშინ გადაიქცეოდა, როცა პირველყოფილი ადამიანი მას გამიზნულად დაამუშავებდა და მოიხმარდა; 3. შრომის იარაღების შექმნისა და გამოყენების პროცესში ირღვევა ჯოგური ცხოვრება და თემურ თანაარსებობაზე გადასვლას იწყებს; 4. ცეცხლის გამოყენება საბოლოოდ აფორმებს ადამიანთა პირველყოფილი მდგომარეობიდან თემურ ცხოვრებაზე გადასვლას; 5. ჯერ კიდევ ჯოგური ცხოვრების დროს მიგრაცია (ამის აუცილებლობა ობიექტურად არსებობდა გამყინვარება-დათბობების მონაცვლეობისას) აფართოებს თვალსაწიერს, აიძულებს ახალი პირობების შესაგუებლად გარდაქმნების მოხდებას, აზროვნებას ავითარებს.

დასკვნა ასეთი უნდა იყოს: რამდენადაც აღნიშნული მიღწევები ადამიანებს ბოლო გამყინვარების პიკის, 20 ათასი წლის წინ, ჰქონდათ.

სავარაუდებელია, რომ ამ პერიოდისათვის ძირითადად დამთავრებულია პირველყოფილი მდგომარეობიდან თემურ წყობილებაზე გადასვლა. შესაბამისად, თუ მეცნიერებას ჯერ არ გააჩნია დაზუსტებული მონაცემები ქართველთა წინაპრების საცხოვრისის არეალში თემური წყობილების შესახებ, ეს არ გამოდგება მისი არსებობის უარყოფის საფუძვლად. საიულისტრაციოდ: მეცნიერებას არ გააჩნია პირველი ცივილიზაციის წყაროების შესახებ მონაცემები, რაც არ გამორიცხავს ასეთი წინაპირობის არსებობას. შუმერული ცივილიზაცია ფაქტია. შესაბამისად ფაქტად უნდა იქნეს მიჩნეული, მისი წარმომშობი პირობების არსებობა. ასევე ფაქტია მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობა და აპრიორი უნდა იქნეს აღიარებული ამ არეალში შესატყვისი წინაპირობების არსებობაც.

დასკვნიდან გამომდინარე დასკვნა: მეცნიერება აღიარებს ხმელთაშუა ზღვისპირეთში და კერძოდ ურმია-ვანის ტბების, კავკასიის, ბალკანეთის არეალში დოლინოცეფალური ტიპის მოსახლეობის არსებობას, რომლის შემადგენელიც იყვნენ ქართველების წინაპარი ტომები და ამდენად თემური წყობილება ამ ტიპის, ამ ტომების ცხოვრების წესი იყო. ეს წესი დამკვიდრებული ჩანს ძვ. წ. აღ. პირველი ათასწლეულის ბოლოს და უნდა ვივარაუდოთ, ბევრად ადრე.

თემური წყობილება პირველყოფილთან შედარებით რევოლუციური მნიშვნელობის წინსვლა იყო, თუმცა ადგილი ჰქონდა საპირისპირო კონცეფციის არსებობასაც. პირველყოფილი ადამიანი, რომელიც არავის წინაშე არაა ანგარიშვალდებული, ქარივით თავისუფალია და იქცევა როგორც უნდა. ასეთი თვალსაზრისი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

პირველყოფილი ადამიანები, რომლებიც მომპოვებელ არსებობას ეწევიან, პრაქტიკულად უუნარონი და გარემო პირობებზე არიან დამოკიდებულინი. არსებობენ იმით, რასაც მოიძიებენ. მოძიება კი ძნელი საქმეა. ჯოგებად გაერთიანება საშუალებას აძლევს აიმაღლონ შესაძლებლობა და კოლექტიურად მიაღწიონ იმას, რაც ცალკეულისათვის წარმოუდგენელია. ფიზიკურად ძლიერისთვისაც კი შეუძლებელია ცალკე არსებობა. შიშია მისი თანხმდები. შიში ჯოგის შიგნით ძლიერის წინაშე, შიში ბუნების მოვლენებისა და ცხოველთა სამყაროს წინაშე. შიში არის წინსვლის სტიმული. ჯოგის შიგნით შედარებით თავისუფალია ძლიერი. ჯოგებს შორის ურთიერთობასაც სიძლიერე წყვეტს. ყველაფერი ძლიერი შიშის მომტანია. ყველაფერი ძლიერი გაღმერთების საგანი ხდება.

ადამიანთა ჯოგი მესაკუთრეთა კრებულია. მის შიგნით ყოველი

თავისთვის იბრძვის, მაგრამ საკუთრება მას არ გააჩნია. მესაკუთრებული თვისებები ბუნებრივია, საკუთების არ ფლობაც ასევე.

პირველი გააზრებული საკუთრება საკუთარი მე-ა. მე-ს გულისათვის დაძრწის, ებრძვის მსგავსს, ბუნებას, ცხოველთა სამყაროს. მე-ს გარეთ გააზრებული საკუთრება ხდება შრომის იარაღი. ქვა, ხე, ძვალი, არა აქვს მნიშვნელობა რა სახის და ფორმის შრომის იარაღს იშოვის, მოიპოვებს, შექმნის, ის მისია. იარაღი ადამიანის სიძლიერის ზრდაა, არსებობის გაგრძელებაა, თავდაცვის საშუალებაა და სხვას ცოცხალი თავით არ დაანებებს. იარაღი კერძო საკუთრებაა.

კერძო საკუთრების განვითარება ადამიანებს საშუალებას აძლევს გაიფართონ და დაიმკვიდრონ სასიცოცხლო სივრცე. ეს უკვე უბიძგებს ჯოგის დონიდან თემის დონეზე გადასვლას. თემის საკუთრება უკვე გააზრებული საკუთრებაა, ჯოგურ ცხოვრებასთან შედარებით მაღალი საფეხურია.

თემური ურთიერთობა ცვლის ადამიანის მეს გაგებას და სხვებთან ურთიერთობას. ჩნდება კოლექტიური საქმიანობის შესაძლებლობა და იქმნება შესაბამისი შრომის იარაღები. თუ ჯოგის შიგნით ყველა ყველას მოწინააღმდეგე იყო ახლა გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობები ყალიბდება. თემის შიგნით კერძო საკუთრების გვერდით საერთო საკუთრება ჩნდება. იწყება შრომის მარტივი დანაწილება. ეს თავის მხრივ ხელოსნობის და გაცვლის აღმოცენებას უწყობს ხელს. თანდათან იცვლება თვითონ ადამიანი, მისი გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობანი, იცვლება პარალელურად ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთობა ბუნებასთან. ადამიანი არ წყვეტს მომპოვებელ საქმიანობას (არ წყვეტს დღევანდლამდე), მაგრამ იმავე დროს იწყებს შრომით მოღვაწეობას (მეჯოგეობა-მესაქონლეობა, ხელოსნობა, მიწის დამუშავება, გაცვლა და ვაჭრობა). შრომითი მოღვაწეობის პროცესში ადამიანის უნარი უფრო მრავალმხრივი და დახვეწილი ხდება, ხელოსნობის პარალელურად საფუძველი ხელოვნებასაც ეყრება. პირველ რიგში საკულტო ხელოვნებას.

მეცნიერება ბუნებრივად მიიჩნევს იმას, რომ თემურ წყობილებაზე გადასვლას ხანგრძლივი დრო დასჭირდა. სხვადასხვა წარმოშობის, გეოგრაფიულ გარემოში მცხოვრებ ტომებს სხვადასხვა. ერთნი, რომ თემურ ცხოვრებას მისდევდნენ, მეორენი ჯერ კიდევ პირველყოფილ მდგომარეობაში იყვნენ. ზოგი ტომი დღესაც არ გასცდენია ცხოვრების

ასეთ წესს. ეს არ გამოირიცხავს განვითარების ერთ საფეხურზე მდგომი ტომების შიგნით საერთო მახასიათებლების არსებობას. ეს საერთო არის ზოგადი, რომლის მიხედვით განასხვავებენ პირველყოფილ-ჯგოფური ცხოვრების წესს თემური ურთიერთობებისაგან.

არქეოლოგებმა ქართველთა წინაპარი ტომების საცხოვრისის არეალში და დღევანდელი საზღვრების ფარგლებში, მრავლად მოიძიეს მასალა, რომელიც ცხადყოფს აქ პირველყოფილი და თემური ცხოვრების არსებობას. ეს თითქოს უწყვეტი არსებობის მანიშნებელი უნდა იყოს, მაგრამ ჯერ-ხანობით მაინც დაუდგენელია მისი ხანგრძლივობა. დაუდგენელია რა ცვლილებას იწვევდა ამ არსებაში დათბობა-გამყინვარების მონაცვლეობა.

მრავლად იქნა გამოვლენილი დიდი დასახლებების ნაკვალევი. როგორც წესი, ნაკვალევი გორაკებთანაა დაკავშირებული. ისტორიკოსთა აზრით, თავდაპირველად დასახლებებს ეტყობა გორაკებზე აწყობდნენ. შეიძლება ცხოვრების უსაფრთხოების მიზნით. ფიქრობდნენ, რომ გორებზე დასახლებებიდან უნდა ჩამოყალიბებულიყო გვარი. მთაში დღესაც უცნობს ეკითხებიან: ვისი გორისა ხარ და არა რა გვარისა ხარ.

გვარის გამრავლება-გაყოფა, ნაწილის სხვა ადგილას, სხვა გორაზე დაფუძნებას იწვევდა. შესაბამისად გაჩნდებოდა ახალი გორი ანუ ახალი გვარი. გვარის სამოსახლოს ეტყობა კარი ეწოდებოდა, ოჯახის სამოსახლოს კი კერა. ეს ორივე ტერმინი ქართველებში დღემდე შემორჩენილი, თუმცა არა მყარად. სოფლებს ხშირად ძირითად მაცხოვრებელთა გვარისა და კარის ერთობით მოიხსენიებენ: წინამძღვრიანთ-კარი, ლაფანანთ-კარი, ვარდანთ-კარი და ასე მრავალი. ყოველ სოფელში მრავალი ოჯახი სახლობს. ოჯახი, ეს მონდოლოურ-თურქული წარმომავლობის სიტყვა ცდილობს შეცვალოს იბერიულ-ქართული კერა. კერა ჯერ კიდევ ინარჩუნებს არსებას, მაგრამ როდემდე?

რამდენიმე კერა ქმნიდა კარს. რამდენიმე კარი თემს. თემებად დაყოფა საქართველოში ისტორიულად ხანგრძლივი დრონის მანძილზე არსებობდა. თემსაც თავისი კარი ჰქონდა. ზოგიერთ ტომთა გაერთიანებაში კარი-ს ნაცვლად ითქმებოდა კირა. თემისკირა-შემდეგ ცნობილი ქალაქის სახელწოდებად იქცა.

ეს ზერელე დახასიათება საილუსტრაციოდ იქნა მოტანილი. ეს ნიშნავს, რომ ქართველურ ტომთა არეალში გვაროვნულ-თემობრივი

ჩამოყალიბებული წყობილება იყო დამკვიდრებული. ისეთივე, როგორსაც ვხვდებით შუმერულ-პელაზგური ცივილიზაციების არეალში.

თემის შიგნით შეიძლება გაერთიანებულიყვნენ არა მხოლოდ გვარით (გორით) ან სისხლით (გვარებით) ნათესავები, არამედ ერთად (მეზობლად) მაცხოვრებელი სხვადასხვა გვარების ადამიანები. თემი არ იყო მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობით განპირობებული გაერთიანება. მას შინაგანი მყარი სტრუქტურა ჰქონდა და მართვა შეურყეველ ავტორიტეტს ემყარებოდა. ავტორიტეტს ხევისბერები, არხონტები (შემორჩენილია არხოტი, არხოტის ხეობა), თემის მამასახლისები (ეს გვიანდელი ქართ-ის დროინდელი ტერმინია) წარმოადგენდნენ.

თემის საფუძველს მიწაზე კარი-ს საერთო საკუთრება შეადგენდა, სადაც თვითივე კერა-ს შეიძლებოდა ცალკე განსაზღვრული რაოდენობა ეკუთვნოდა. ანუ კარი-ს (კირა) შიგნით ქონებრივი თანაბრობა არ იყო. ასევე არ იქნებოდა ერთფეროვნება თემის შიგნით ცალკეულ კარ-თა (კირ-თა) შორის. თემურ წყობილება ხშირად წარმოდგენილია სხვადასხვა შეძლების, მონაცემების ადამიანთა გათანაბრებულ ერთობად, რაც საფუძველშივე მცდარია. როგორც ცალკეული ადამიანები განსხვავდებოდნენ ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობებით, ასეთივე სხვაობა იგულისხმება კერ-ათა (ოჯახთა) შორის კარ-ის და გორის (გვარის) შიგნით. კარი, როგორც წესი ერთი გვარისაგან (გორისაგან) შედგებოდა. მით უფრო საჩენი იქნებოდა ქონებრივი სხვაობა თემის (ხევის, ხეობის) შიგნით სხვადასხვა კარ-ებს (სოფლებს, გვარებს) შორის. ამდენად, როცა საუბარია თემის საკუთრებაზე, არ უნდა იქნას გაგებული თემის წევრთა ქონებრივი გათანაბრების აზრით. ქონებრივი სხვაობა არსებობდა, მაგრამ არსებობდა გარკვეული ზღვარით, რაც ურთიერთდახმარების ურთიერთობებს არ გამოორიცხავდა. ყოველ შემთხვევაში, მეცნიერებისათვის ცნობილი ტომების ცხოვრება სხვა სურათს არ იძლევა. ასე იყო ყველგან და იქნებოდა იმ არეალში სადაც ქართველთა ეთნოგენეზი მიმდინარეობდა.

თემური საკუთრება არ ნიშნავს მიწის, საქონლის ჯოგის, ხელოვნობის პროდუქტის, ნანადირევის და ა. შ. თანაბარ განაწილებას. როგორც პირველყოფილი ჯოგური ცხოვრების დროს, განაწილება ხდებოდა ძლიერის (ჯოგის უფროსის) სასარგებლოდ, ასევე თემის შიგნით და აქედან ტომის მასშტაბით. შეიძლება მიწა ერთობლივი დასაცავი საკუთრება იყო, მაგრამ იქ ყველას ერთი ზომის წილი არ

შეხვედებოდა. შეიძლება საქონლის ჯოგი ერთობლივი მოსავლელ-დასაცავი იყო, მაგრამ იქ ყველა წევრს თანაბარი ოდენობის პირუტყვი არ ეყოლებოდა. უფრო მეტი, არ იქნებოდა თანაბარი შრომის ხარჯვა, არ იქნებოდა თანაბარი შედეგი. თემური საკუთრება არ უნდა იქნეს გაგებული თეორიული კომუნისტური საკუთრების იდენტურად.

თემი და თემური საკუთრება ასევე არ გამოორცხავდა სხვისი შრომის გამოყენების შესაძლებლობას. და ეს შეეხება არა მხოლოდ გარეშე ელემენტს (შემოხიზნული ან ტყვედ აყვანილი ადამიანის კერი-ის წევრად მიღების წესით), არამედ კარი-ს წევრსაც. (სამუშაო ძალის გაცვლა ხელოსნობის, ხელოვნების ნიმუშებს).

დროთა ვითარებაში სხვისი შრომის (სამუშაო ძალის) სესხება, გაცვლა, შეძენა. მომგებიანი გახდა (იქმნებოდა ზედმეტი პროდუქტი) და ამან მონობის აღმოცენება განაპირობა. მონობა. როგორც დროებითი ღონისძიება, ვალის გადახდის, რაიმეს შეძენის საშუალება, თემური წყობილების თანმხლები ფაქტორია. ამ პროცესს გვერდს ვერც ქართველთა წინაპარი ტომები აუვლიდნენ. მონათმფლობელობა მათში ისეთივე ბუნებრივი მოვლენა, როგორც სხვა ერებში იყო.

ქართველთა წინაპარ ტომებს შორის სამხრეთ კავკასიის სივრცეში კერა, გორი (გვარი), კარი (კირა) ისეთსავე გაერთიანებებს აღნიშნავდა, როგორც პელაზგებში გვარი, ფრატრია.

პირველი წერილობითი ცნობები შემონახულნი ბიბლიის მიერ ვერაფერს გვეუბნებიან კერ-ებზე, გორ-ებზე, კარ-ებზე. ისინი მიგვითითებენ თუბალ (თობალ-თა) და მეშეხ (მუშკთა) არსებობაზე. თუბალები და მეშეხები ტომთა გაერთიანებებს წარმოადგენენ. ამ გაერთიანებებს ისტორიულ პერიოდში ოცობით ტომთა მეფეები ჰყავდათ. ისიც არაა ცნობილი, მეფეს რამდენი ტომი ემორჩილებოდა, რამდენი ტომთა ბელადი. ასეთი კონკრეტული დეტალების კვლევა სრულიად შესაძლებელია და მომავალს განეკუთვნება.

ყოველ კერას თავისი ექნებოდა არა მხოლოდ ღამის გასათევი და სამეურნეო ობიექტი, არამედ საფიქრალ-საოცნებო და სალოცავ-დასასაფლავებელი. ყოველი კერა რომელიმე გორის მკვიდრი და გვარის შემადგენელი იქნებოდა (ისტორიულად ასე მოდის დღემდე). შესაბამისად გორის (გვარის) მაცხოვრებლებს აერთიანებდა არა მხოლოდ სამეურნეო, არამედ სულიერ-საკულტო საქმიანობაც. ყოველი გორა ბუნების რაიმე ნაწილს აფეტიშებდა, თავს მის შთამომავლად მიიჩნევდა და რელიგ-

იურ დღესასწაულებსაც უწყობდა. ესა თუ ის ცხოველი, ფრინველი, ბუნების მოვლენა ითვლებოდა გორის დამაარსებელად, მფარველად და მას გარკვეულ პატივს მიაგებდნენ. გვარს ჰყავდა თავისი არქონტი, მაგი, შამანი. სახელწოდება დასადგენია. შეიძლება მოგვი გორი-გვარი-გურუ, რომელიც გარდაცვლილ ახლობელთა სულებს „ეთათბირებოდა“, რჩევებს ღებულობდა და რიტუალს ასრულებდა. გვარს ჰქონდა თავისი საერთო სასაფლაო. ურთიერთ ნათესაური ვალდებულება, საერთო ქონებაზე წილის (თანამესაკუთრის) უფლება. (სოფლად დღემდეა შემორჩენილი საგვარეო სასაფლაოები, სადაც გარეშე მხოლოდ ნე-ბართვის შემდეგ თუ დაკრძალავენ). გვარს შეეძლო გარეშე პირის შვილად (წევრად) აყვანა და იგი რომელიმე კერ-ას წევრი ხდებოდა. შესაბამისად, გვარი სისხლით ნათესაობით იყო შეკრული და ახალი წევრის მიღებაც სისხლის შერევით მტკიცდებოდა.

კერ-ას (ოჯახს) თავისი უფროსი ჰყავდა. შემადგენლობა შეუზღუდავი უნდა ყოფილიყო. ცნობილია, რომ პატრიარქალური ოჯახები რამდენიმე ათეულ და ზოგჯერ ორასამდე წევრსაც მიითვლიდნენ. ოჯახის უფროსი (პატრიარქი) როგორც წესი მისი დამაარსებელი მოხუცი იყო. სიმრავლის ან სხვა მიზეზით გაყოფის შემთხვევაშიც იგი რჩებოდა წინამძღოლად. კერ-იათა უხუცესები (არქონტები) ქმნიდნენ ერთი გორის საერთო საბჭოს. პელაზგებში „აგორა“-ს. თუ კერ-ის უფროსი ოჯახის შემქმნელი იყო, გვარის (გორის) უფროსი საერთო კრებაზე ასარჩევი თანამდებობა ხდებოდა. (ა გორა, სადაც კრება ტარდებოდა და გორის (გვარის) უხუცესებს ირჩევდნენ. (რა შეიძლება ნათესაური იყოს ქართულ გორა-ს და პელაზგურ აგორა-ს შორის დასადგენია.

მკვლევარები ცალკეული კუთხის ტომების შესწავლის დროს ადარებდნენ სხვა კუთხის (გნებავთ კონტინენტის) ტომებს ცხოვრების ხასიათს და განმასხვავებელი ნიშნების აღნიშვნის პარალელურად საერთოსაც გამოყოფდნენ. განვითარების ერთ საფეხურზე მყოფ ტომებს ზოგადი საერთო აერთიანებდა. ამ ნიადაგზე შეიქმნა კონცეფცია საზოგადოებრივი წყობილების ტიპების შესახებ. ისიც დადგინდა იქნა, რომ ცალკეული ტიპის წყობილება ცოცხალი ორგანიზმის თვისებებით ხასიათდება. ეს ნიშნავს, რომ იგი ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად ჩაისახება, იბადება, აღწევს მომწიფებულობას, ბერდება, სუსტდება და იღუპება. ზოგს ხანგრძლივი არსებობა უწერია, ზოგს მოკლე, მაგრამ განვითარების საფეხურები ყველას ახასიათებს. ასე იყო შუმერთა ცივილიზაცია, ფინიკია, ძველი ეგვიპტე, ასურეთი, კართაგენი, ბაბი-

ლონი და ა. შ. შესაბამისად განსხვავებულ ტომთა ცხოვრებაში არის განმეორებადი, ზოგადი და არის სპეციფიკური.

სხვადასხვა შეხედულებანი ამ საკითხზე მოწესრიგა და თეორიად ჩამოაყალიბა გეორგ ვილგელმ ჰეგელმა თავის „ისტორიის ფილოსოფიაში“. მას შემდეგ მკვლევარები დაობდნენ და ასაბუთებდნენ წყობილების შინაგან სტრუქტურას.

თემური საზოგადოება რთული სოციალური ორგანიზმია, სადაც თავს იყრის ადამიანთა სხვადასხვა მატერიალური თუ სულიერი ინტერესები. მთავარი ინტერესი მატერიალური არსებობის უზრუნველყოფაა. ამ საფუძველზე განვითარდა კონცეფცია მატერიალურის პირველადობის და სულიერის მეორადობის შესახებ, რასაც მოჰყვა თეორია ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობის და ფორმაციისა და წარმოების წესის შესახებ.

მართალია ადამიანთა პირველადი საზრუნავი მატერიალურია, მაგრამ იგი არ გამორიცხავს, ვერ გამორიცხავს სულიერ მხარეს. ეს შეეხება არა მხოლოდ დღევანდელ ცხოვრებას, არამედ ადამიანურ ცხოვრებას საერთოდ. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ადამიანის ცხოველთა სამყაროსაგან გამოყოფის ძირითადი (პირველი) ნიშანი შრომის იარაღის შექმნაა. აქედან გამომდინარე, შრომის იარაღების შექმნა-მოხმარება არის ის ძირითადი, რომელზეც აიგება სულიერი ცხოვრება. მართლაც ასე იქნებოდა, ასე რომ ყოფილიყო. სინამდვილეში შრომის იარაღის შექმნა და მოხმარება მატერიალური და სულიერი პირობების ერთობაა. ისე არაა, რომ ჯერ შექმნა, მერე მოიფიქრა, ან ჯერ მოიფიქრა, მერე შექმნა. ის ქმნიდა და აზროვნებდა, აზროვნებდა და ქმნიდა. ამ ორი მხარის დაშორება შეუძლებელია.

ადამიანთა მდგომარეობა მათი ინტერესებისა და მატერიალური რეალობის ერთობაა, სადაც ერთი მეორეს უბიძგებს წინსვლისაკენ, განმეორებისაკენ, რადგან სიცოცხლე ერთჯერადი მოვლენა კი არაა, არამედ დროში გაწეული პროცესია. შესაბამისად, მიღწეული მდგომარეობა წარმოშობს ახალ ინტერესს და ინტერესის შესაბამის მოქმედებას. თემის შიგნით მდგომარეობის სხვაობა, ნიშნავს ურთიერთობათა სხვაობას. ეს უკანასკნელი იწვევს ინტერესთა და მოქმედების განმეორებას და ცვლილებას. განმეორადობა ურთიერთობებისა არის განმეორადობა ადამიანთა შრომითი (წარმოებითი) საქმიანობისა და საქმიანობის პროცესში ადამიანთა შორის კავშირებისა.

თემის შიგნით ადგილი აქვს ადამიანთა შრომით საქმიანობას და ამ საქმიანობის რაღაცა ფორმით ურთიერთობაში გამოხატვას. მიჩნეულია, რომ როგორცაა ადამიანის შრომითი უნარი (ფიზიკური და გონებრივი), ისეთივეა ურთიერთობათა ხასიათი. ადამიანის შრომის უნარს-სამუშაო ძალას უწოდებენ. ამ სამუშაო ძალის შეერთებას შრომის იარაღებთან საწარმოო ძალას. გამოდის, რომ როგორცაა ადამიანთა საწარმოო ძალები, იმავე ხასიათის უნდა იყოს ურთიერთობა ჯერ წარმოების (შრომის) დროს და შემდეგ ცხოვრებაშიც.

თემური საზოგადოების შიგნით აღმოცენდება და ვითარდება საქმიანობის სხვადასხვა სახე. ნადირობა, მიწის დამუშავება, ხელოსნობა, მესაქონლეობა, საკულტო საქმიანობა, გაცვლა. დრონის განმავლობაში საქმიანობის სხვადასხვა სახე სპეციალობის ხასიათს იძენს. სპეციალობების ნახელავი გაცვლის პროცესიდან ვაჭრობის საგანი ხდება. შესაბამისად იცვლება ადამიანთა ურთიერთობების ხასიათი. ყალიბდება შრომითი საქმიანობის გარკვეულ სახეობაში გაწვრთნილთა მემკვიდრეობა. მიმდინარეობს საზოგადოებრივი შრომის დანაწილება და ყალიბდებიან შრომითი სოციალური ჯგუფები.

შრომითი საქმიანობა, შრომის (წარმოების) პროცესში ჩამოყალიბებული ურთიერთობების ხასიათი და ფორმები ასახვას პოულობენ სულიერი ცხოვრების სფეროში. რელიგია, ხელოვნება, ზეპირსიტყვაობა, მითოლოგია. აქაც თანდათან ხდება ადამიანთა ჯგუფების სპეციალიზაცია. რაც უფრო მატერიალურად გაიოლებული და უზრუნველყოფილია თემის წევრთა ცხოვრება, მით მეტად გააზრებული და მრავალფეროვანია სულიერი ცხოვრების სფერო. (მშვიერს სასიმიდეროდ და საცეკვაოდ არ სცალია, მან ჯერ კუჭი უნდა გაიძლოს).

ამ მიმართებით მართებულია მტკიცება, რომ ადამიანთა მატერიალური ინტერესები განაპირობებენ პირველ რიგში მატერიალური წარმოების გაუმჯობესებას. შედარებით მეორე რიგშია მდგომარეობის ცნობიერებაში და მისი გავლით სულიერ ცხოვრებაში ასახვა.

შესწავლილი ტომების გამოცდილება ნათელყოფს, რომ სულიერი ცხოვრება მატერიალურს ასახავს. ცეკვები, სიმღერები, წარმოდგენები, მხატვრობა და ა.შ. შრომის, ნადირობის, ბრძოლის ასახვაა უპირველეს ყოვლისა. ასე იყო ყველაგან, ასე იყო ქართველთა წინაპარი ტომების ცხოვრებაშიც.

დანამდვილებით თქმა, როდიდან შეიძლება თემური წყობილების დამყარებაზე საუბარი, ძნელია. ვერც იმის მტკიცებას დაიწყებს ვინმე, როდიდან ჩნდება მონობის ელემენტის დამკვიდრება. კერ-ის წევრად მიღებიდან და გორის (გვარის) წევრად უცხო პიროვნების აღიარების წესიდან მონად დამორჩილებამდე, კარი-ს (კირა-ს) წევრის დროებით მონად გადაქცევამდე ალბად დიდი დრო იყო საჭირო. კიდევ უფრო ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდებოდა მუდმივი მონობის სისტემის დამკვიდრებას.

ძველი ბერძნული მითოლოგია, რომელიც პელაზგიური მითოლოგიის მხრებზე დგას, იცნობს დროებითი მონობის წესს, აღწერს ღმერთ აპოლონის ნება-ყოფლობას (6 წლიან) მონობის ისტორიას და სხვა. შუმერული, ძველი ეგვიპტური საზოგადოება უკვე მონობის შემცველია. სავარაუდებელია, რომ იმავე ხანებში ყალიბდება მონობის სისტემა ქართველთა წინაპარ ტომებშიც.

მონათმფლობელურ ურთიერთობაზე შეიძლება საუბარი ძვ. წ. აღ. მესამე ათასწლეულში, მაგრამ როდის ჩაისახა, განვითარების რა ეტაპები განვლო, განსჯის საზღვარს მიღმა დარჩება. ხეთების იმპერია, საქალდეველო, აიეტის მძლავრი სამეფო ეჭვს გარეშეა მონების შრომას ეფუძნებოდა. ის ომები, რასაც მეშეხ, მუშქ, მუსკების მეფეები აწარმოებდნენ სამხრეთის მეზობლებთან ტერიტორიების დაპყრობისა და მარცვის გარდა, ტყვეთა მოპოვებასა და მონად გადაქცევასაც ისახავდა მიზნად. თუ ქალაქური დასახლების ნაშთები ძვ. წ. აღ. VIII ათასწლეულს განეკუთვნება, მაშინ საკითხავია ვისი შრომით იქნებოდა იგი აგებული. კერ-ის (ოჯახის), გორი-ს (გვარის), კარი-ს (კირა-ს), თემის წევრს, რომელსაც ყოველდღიურად მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის უნდა ეზრუნა (მისი, ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების ჩათვლით), არ დარჩებოდა დრო და საშუალება დიდი სამუშაოების შესასრულებლად. ეს შესაძლებელი გახდებოდა მხოლოდ მონის შრომის გამოყენების პირობებში. ამიტომ, როცა არქეოლოგები აფიქსირებენ რომელიმე ძეგლის ასაკს ძვ. წ. აღ. ათასწლეულობით სავარაუდებელია, რომ იმ გეოგრაფიულ არეალში მონის შრომის გამოყენებას ჰქონდა ადგილი.

ქართველთა ეთნოგენეზის არეალში დაფიქსირებულია ძვ. წ. აღ. მეოთხე ათასწლეულის ცივილიზაციის არსებობა. იმავე პერიოდს განეკუთვნება მეზობელი შუმერული ცივილიზაცია. იმ დრონიდან მოყოლე-

ბული ჩნდება ქალაქური ტიპის დასახლებები და ქალაქ-სახელმწიფოები მეფეებით სათავეში. ამ ტომებსა და სამეფოებში ქონებრივი დიფერენციაცია გამოკვეთილია. მდიდრების, თავისუფალი მეთემეების, მხედრების, მონების სოციალურ ჯგუფებად საზოგადოების დაყოფა არა მხოლოდ სავარაუდებელი, არამედ ფაქტია.

ეთნოსის სოციალურ ჯგუფებად დაყოფა ხანგრძლივი ბრძოლისა და ერთობის შედეგია. სოციალურ ჯგუფთა ინტერესები მუდმივ წინააღმდეგობაშია, ერთობის შენარჩუნება კი გარდუვალი აუცილებლობაა. ერთობის შენარჩუნების მიზნით საზოგადოება მიდის სახელმწიფო სისტემის შექმნის აუცილებლობამდე. სახელმწიფოს შექმნით ფორმდება კლასებად დაყოფილი საზოგადოების ერთად ჩამოყალიბების პროცესი. სახელმწიფო გამოდის საზოგადოების შიგნით ურთიერთობების მარეგულირებელ და გარედან საფრთხის აღმკვეთ ორგანიზაციად. შესაბამისად, სახელმწიფოს სისტემას გააჩნია საგარეო ურთიერთობების და ქვეყნის შიდა პროცესების მართვის ინსტიტუტები. მონათმფლობელობის დროს შექმნილ ამ მექანიზმს საუკუნეების მანძილზე ზვეწდნენ და აძლიერებდნენ. ასე იყო ყველაგან, ასე იყო ქართველთა ეთნოგენეზის არეალში.

არქეოლოგიური დადასტურების თვალსაზრისით ბევრად ფართოდაა შესწავლილი ძვ. წ. აღ. I ათასწლეულის სახელმწიფოები. დიაოხი, კულხა, ურარტუ, ფრიგია, უფრო მოგვიანებით პონტო, იბერია, ეგრისი მონათმფლობელური წყობილების აყვავების ხანის წარმონაქმნებია. ამ სახელმწიფოთა გეოგრაფიულ არეალში ცხოვრობდნენ თუბალ-ტაბალიბერები, მეშხ-მუშკ-მუსკ-მესხები, ლაზები (ეგრები), სვანები. მხოლოდ შეხსენების სახით თუ ითქმება, რომ ეს სამი დაჯგუფება, თვითიული თავის მხრივ ბევრ ტომს აერთიანებდა. თუ ტაბალ-იბერთა ერთი მცირე ნაწილი, ქართ-ები (ქართ-უხები) დღესაც კი მრავალ ტომთა ნაკრებს წარმოადგენს, უფრო დიდი რაოდენობა იქნებოდა იმ ხანად.

მონათმფლობელური საზოგადოება არ ნიშნავს მხოლოდ მონათმფლობელებისა და მონების სოციალური ჯგუფების (კლასების) არსებობას. მონათმფლობელები იყვნენ სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლები, სამხედრო ძალაუფლების წარმომადგენლები (მხედრობა) და რელიგიური ხელისუფლების წარმომადგენლები-მონობასაც სხვადასხვა ფორმა და ხარისხი ჰქონდა ამა თუ იმ სამეფოში. ეს განპირობებული იყო პოლიტიკური, სამართლებრივი, მორალური, რელიგიური, გეოგრაფიული პრინციპებით. მთავარია, რომ მონა (როგორც სამუშაო

ძალა, როგორც მწარმოებელი) ეკუთვნოდა ბატონს. შეიძლებოდა მისი გაჩუქება, გაქირავება, გაყიდვა. იყო გარკვეული სამართლებრივი ჩარჩოები, რომლის ფარგლებშიც ხდებოდა მეპატრონისა და მონის ურთიერთობების დარეგულირება. ასე მაგალითად: სპარტაში მონა ადამიანად არ ითვლებოდა. მონები ცხოვრობდნენ ქალაქგარეთ და ასრულებდნენ ყველა საქმეს. ათენში კი სხვანაირად იყო. მონა, როგორც მსახური ცხოვრობდა ბატონთან და ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. ცნობილია, რომ გარკვეული პერიოდი, მონები პოლიციის ფუნქციასაც ასრულებდნენ და შესაბამისად შეეძლო დამნაშავე (ვთქვათ მთვრალი) ბატონის დაკავება. მონებად, როგორც წესი, იყიდებოდნენ ქონება დაკარგულები (გაკოტრებულები), ვალში გაყიდულები, ტყვედ აყვანილები, რომელთაც სამუშაო ძალის (გონებრივი და ფიზიკური უნარის) გარდა სხვა ქონება არ გააჩნდათ. მონა შეიძლება ყოფილიყო ფიზიკური შრომის შემსრულებელი და გონებრივი შრომის სფეროდანაც (არქიტექტორი მშენებელი, მხატვარი, პოეტი, გადამწერი, ავრონომი და ა. შ.).

საზოგადოების დაპირისპირებულ სოციალურ ჯგუფების ერთობას თაობათა მანძილზე სახელმწიფო და რელიგია ამაგრებდნენ. სახელმწიფო ქმნიდა შეიარაღებულ ძალას და შესაბამის სამართლებრივ-სადამსჯელო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფდა მოსახლეობის უმრავლესობის (მონები, გაღატაკებული მეთემეები) მორჩილებას. რელიგია ურცხვად აცხადებდა ბატონების ღვთიური წარმომავლობის შესახებ და ჩაგრულებს მოუწოდებდა უსიტყვო მორჩილებისაკენ. სახელმწიფო, სანაცვლოდ რელიგიის მსახურებს ნაძარცვის ნაწილს უთმობდა და შეღავათებსაც უწესებდა.

მიუხედავად ამისა მონათმფლობელური საზოგადოება წინააღმდეგობისა და ბრძოლის პირობებში არსებობდა და ვითარდებოდა. მონათა დიდი და მცირე აჯანყებები არყევდა და სრულყოფდა სისტემას. ქართველთა წინაპრების არეალში მოხდა ერთი დიდი მასშტაბის მონათა აჯანყება. შემონახულია გადმოცემა, რომლის თანხმად აიეტის ძმა ყირიმის ნახევარკუნძულის მფლობელი და იქ მცხოვრები ტომების მეფე იყო. ბევრად გვიან აქ ბერძნული კოლონიები დაარსდა და ბოლოს ხერსონის და ბოსფორის სამეფოში მოხდა მონათა დიდი აჯანყება, მეფე პერისადი ჩამოგდებულ იქნა და მის მაგიერ სკვითი მონა სავმაკი გამოცხადდა მეფედ. (ნიშნადობლივია, რომ მეფობის ინსტიტუტის გარდა ვერაფერი მოიაზრეს მეფობის წინააღმდეგ მებრძოლებმა). ხალიბთა პონტოს

სამეფომ აჯანყება ჩაახშო და ყირიმის ნახევარკუნძული შეიერთა. მითრიდატე პონტოელმა იქ მმართველად უფროსი ვაჟი მახარე დაადგინა.

მონათა, დაპყრობილ ტომთა ბრძოლა პირველ რიგში მეფის ინსტიტუტის შეცვლისაკენ იყო მიმართული. არსებული პოლიტიკური სისტემის მოსპობა მიჩნეული იყო მონობის ინსტიტუტის გაუქმების წინამძღვრად. თავისთავად ეს ფაქტი ეკონომიკურ, წარმოებით ურთიერთობათა პოლიტიკური ურთიერთობებთან ერთობაზე მიანიშნებს, სადაც ეკონომიკური ძირითადია. განმსაზღვრელია. მონათმფლობელური წყობილების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ფორმა შეიძლება განსხვავებული ყოფილიყო (როგორც ეს სინამდვილეში იყო: მონარქიული, რესპუბლიკური) მაგრამ ეს ეკონომიკურ-წარმოებით ურთიერთობათა ხასიათს არ ცვლიდა. სახელმწიფოს გარკვეულ ვითარებაში შეიძლება განმსაზღვრელი, წარმმართველი როლი შეესრულებინა, მაგრამ მისი მიზანი იქნებოდა არსებული წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფა-განმტკიცება და არა მოსპობა.

ამავე დროს, სახელმწიფო გამოდიოდა, როგორც ცალკეული სოციალური ჯგუფების (კლასების) ინტერესების ზევით მდგომი და საერთო-საქვეყნო ინტერესების დამცველი ორგანო. სახელმწიფო მონათმფლობელთა საერთო ინტერესებს იცავდა და არა ყოველი ცალკეული მფლობელისა. გარკვეულ პირობებში სახელმწიფოს რომელიმე მონათმფლობელიც შეიძლება დაესაჯა, მაგრამ ეს არ იქნებოდა კლასის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება.

საგარეო ურთიერთობათა ხაზით სახელმწიფო აერთიანებდა ეთნოსის (ერის) და ეროვნული მონათმფლობელური კლასის ინტერესებს. ამ მხრივაც იგი ზეკლასობრივ ორგანოდ წამოისახებოდა.

სახელმწიფოს სტრუქტურებს როგორც წესი მონათმფლობელთა კლასი აკომპლექტებდა. რა თქმა უნდა იყო შემთხვევები, როცა მონა ხდებოდა წამყვანი მოხელე და შეიძლება სახელმწიფოს ბედის გამგე, მაგრამ ეს იყო გამონაკლისი. სახელმწიფო, როგორც ეკონომიკურად გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველი იყო და ასეთად რჩება დღემდე.

გარეგნულად, ფორმით რელიგია საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფისათვის საეთო მოვლენა იყო. რელიგიური პოსტულატები თანაბრად სავალდებულო იყო ყველა ფენისათვის. იგი მოუწოდებდა არსებულის შემრიგებლობისაკენ, ერთობისაკენ, თანაბრად მოითხოვდა

მორჩილებას ყველა ფენისაგან. რეალურად რელიგია იყო მძლავრი იარილი მონათმფლობელური ურთიერთობის შენარჩუნებისა. ფარაონი, მეფე, იმპერატორი ითვლებოდნენ ერთდროულად ღმერთის წარმომადგენლად და უმთავრეს რელიგიურ მოღვაწედ (ქურუმი, მოგვი, მოძღვარი და ა. შ.). ასე იყო ყველგან, ასე იყო ქართველთა წინაპარ ტომებში და მათ მიერ შექმნილ სახელმწიფოებში.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მონათმფლობელობა იბერიულ-კოლხურ ტომთა შორის IV–VI საუკუნემდე არსებობდა. ერთნი ემხრობიან იმ აზრს, რომ IV ს-მდე, მეორენი VI ს-მდე. შეხედულებათა სხვაობას იწვევს ბატონყმობის გაბატონებულ წყობილებად გადაქცევის (დამკვიდრების) სირთულე. წყობილება საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და დევნიდა მონათმფლობელობას. კონკრეტულად როდის მოხდა საბოლოო გადასვლა მონათმფლობელობიდან ბატონყმობაზე დასადგენად რთულია, რომ არ ითქვას შეუძლებელი.

წმინდა სახის წყობილება არ არსებობს. მონათმფლობელობა ქართველთა წინაპარ ტომებში არ ნიშნავდა, რომ იგი ერთნაირად იყო გაბატონებული ყველგან. მთის ტომები, როგორც წესი თემური წყობილების იერს ინარჩუნებდნენ. უფრო მეტი, მისი ელემენტები დღესაც შემონახულია მთიელთა შორის. ასევე იყო ბატონყმობის ელემენტები მონათმფლობელურ სახელმწიფოებში, ხოლო მონათმფლობელობისა ფეოდალურში. (მონობის ელემენტებს, ისევე როგორც ბატონყმობისა დღესაც ვხვდებით, მაგრამ ეს უკვე გამონაკლისია და არა წესი).

მკვლევარები კვლავაც იღავებენ ასეთ საკითხებზე. ამ შემთხვევაში კი არსებითია, რომ წყობილებათა ცვლა მოხდა და ქართველურ (უკვე) ტომებში ბატონყმობის განუსაზღვრელი ბატონობის ხანა დაიწყო.

ქართულ მწერლობაში კარგადაა გაშუქებული მიწაზე ფეოდალური საკუთრების დამკვიდრების, „მცირე აზნაურთა“ და „დიდ-დიდნი“ აზნაურების ფენების ჩამოყალიბების, ფარნავაზის (ძვ. წ. აღ. IV ს.) მიერ შემოღებული ერისთავთა სამოხელეო ინსტიტუტის, არჩილ მეფის (VIII ს. შუა ხანა) მიერ მისი სამეკვიდრეო თანამდებობად გადაქცევის, თემის რღვევის, „მკვიდრი“ და ხიზანი“ გლეხობის კატეგორიების დამკვიდრების, მიწაზე საკუთრების და მიწათსარგებლობის სხვადასხვა ფორმებისა და წესის შემოღების ისტორიები. ასევე ფართოდაა გაშუქებული ფეოდალთა ძლიერების, ქალაქთა დაცემისა და გაძლიერების, სოფლის მეურნეობის განვითარების, ირიგაციის, ხელოსნობის, შრომის

იარაღების განვითარების, მატერიალური და სულიერი ცხოვრების დარგების ისტორია.

ბატონყმობა საქართველოს სამეფოებში, სამთავროებში კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში არსებობდა და რიგი თავისებურებებითაც ხასიათდებოდა. ეს არ გამოირიცხავს ზოგადის არსებობას. უწოდებენ არსებულს პატრონყმობას, ცდილობენ ევროპის კლასიკური ფეოდალიზმისაგან განსხვავებულად მის წარმოჩენას თუ არა, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ბატონყმობისათვის განმსაზღვრელი საკუთრებითი და წარმოებითი ურთიერთობები სახეზეა. სახეზეა ბატონყმობის წყობილების არსებობა.

ეს ურთიერთობანი გავრძელდა რუსეთის იმპერიის მიერ ქვეყნის დაპყრობისა და კოლონიად გადაქცევის შემდეგაც. უფრო მეტი. ადგილობრივ ფეოდალთა კლასის მხრივ ჩაგვრას დაემატა რუსული სამოხელო ინსტიტუტების მიერ ჩაგვრა და ე. წ. „ეგზეკუციები“ (სადამსჯელო ღონისძიებები). კიდევ ერთი, რუსეთში გლეხობის გარკვეული ნაწილი თემურ ურთიერთობას ინარჩუნებდა. სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა გლეხური სოციალიზმის თეორია. ამ ფაქტს ეფუძნებოდნენ ისეთი რევოლუციურ-ტერორისტული ორგანიზაციები, როგორც იყო „ზემლია ი ვოლია“, „ნაროდნაია ვოლია“, „ჩორნი პერედელ“ და ბოლოს ვ. ლენინის სოციალისტური რევოლუციის, რუსეთში სოციალიზმის შესაძლებლობის თეორია. ამის და მიუხედავად იმპერიის აგრარული პოლიტიკა საქართველოში მიწათსარგებლობის თემური ურთიერთობის რღვევის და თავისუფალი მეთემეების დაყმევებას ითვალისწინებდა. ქართველი გლეხობა მოძალადეებს აჯანყებით პასუხობდა, მაგრამ ძლიერთან სუსტს სიმართლე არ გასდიოდა.

და კიდევ ერთი. მეფის რუსეთში 1861 წ. ბატონყმობის გაუქმება გამოცხადდა. საქართველომდე ამ ღონისძიებამ ბევრად დაგვიანებით მოაღწია და დიდი შედეგიც არ მოუტანია. ვერც მოიტანდა რადგან: 1. რუსეთის იმპერია წარმოადგენდა განვითარების სრულიად განსხვავებული ღონის ეთნოსთა, იარაღის ძალით გაერთიანებულ კონგლომერატს; 2. იმპერიაში (ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით) ბატონყმობის გაუქმება მოხდა ზევიდან, მთავრობის ინიციატივით, იმ დროს, როცა ახალი კაპიტალისტური ურთიერთობები სოციალურ მოთხოვნებს ფეოდალიზმს არ უყენებდა; 3. იმპერიაში მრეწველობა ვითარდებოდა ძირითადად იარაღის წარმოების ხაზით და მას მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებების

მოტანა არ შეეძლო; 4. იმპერიაში კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება XX ს. დაიწყო, მსხვილი წარმოება მხოლოდ სავაჭრო სფეროს მოიცავდა და უცხოურ კაპიტალს ეფუძნებოდა (პროდ უგოლ, პროდ ვაგონი, პროდ სახარ, პროდამეტ); 5. მრეწველობა თავმოყრილი იყო ხუთ ცენტრში. დანარჩენი ქვეყანა ჩამორჩენილ ბატონყმურ ურთიერთობას ინარჩუნებდა. ვ. ლენინის მტკიცებით, ბატონყმობა იმპერიის ქალაქებში მოისპო 1905 წ. რევოლუციის შემდეგ, ხოლო სოფლებში 1920 წ. შემდეგ.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა იყო საქართველოში. ღრმა ტრადიციების მქონე, წვრილი გლეხური ქვეყანა აგრარულ სიახლეებს მოითხოვდა. მრეწველობის განვითარებაზე და სამრეწველო მუშათა კლასის არსებობაზე არასერიოზული საუბარიც არ შეიძლებოდა. ქვეყანა მზად იყო მსუბუქი მრეწველობის პირველ რიგში სოფლის მეურნეობის პროდუქტის გადამამუშავებელი საწარმოების დანერგვისათვის. ბატონყმობის გაუქმებამ, მცირემიწიან ქვეყანაში, გლეხების გალატაკებას შეუწყო ხელი.

მეფის რუსეთის პოლიტიკის შედეგად ქვემო ქართლი, ჯავახეთი, თბილისის მიდამოები სომხური და სლავიანური წარმოშობის მოსახლეობით აივსო. ვაჭრობა-მევახმეობა იყო მათი ძირითადი საქმიანობა (ეს ბუნებრივია, რადგან სხვის მიწებზე დასახლებული ცდილობს ისეთ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რაც საჭიროების შემთხვევაში თან იოლი წასაღები იქნება).

საქართველოში სოციალიზმის არავითარი პირობები არ არსებობდა, აქ ბუნებრივი განვითარების გზით შეიძლება კაპიტალისტური ურთიერთობები მოძლიერებულყო და ისიც სხვა ქვეყნების მიბაძვითა და დახმარებით. 1921 წ. რუსეთის მიერ საქართველოს განმეორებით დაპყრობას სწორედ ასეთი შედეგი მოჰყვა, რომელსაც ოფიციალურმა ხელისუფლებამ და მისგან დამონებულმა მოაზროვნეებმა სოციალიზმი უწოდეს. (ამ საკითხებზე საკმაოდ გარკვევით არის ნათქვამი „პოლიტოლოგიის საფუძვლები“ და „რევოლუციური ანექსია“-ში და განმეორება საჭირო არ არის).

მხოლოდ რამდენიმე წინადადება.

19-20 საუკუნეებში შემუშავებული თეორიული თვალსაზრისის მიხედვით კაპიტალიზმიდან სოციალურ-უსტურ წყობილებაზე გადასვლა გარდუვალია. გადასვლა მოხდება მას შემდეგ, რაც კაპიტალიზმი

ამოწურავს განვითარების შესაძლებლობას. ეს პერიოდი კი დღესაც არაა არც ერთ მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყანაში და მით უმეტეს ვერ იქნებოდა ვერც საქართველოში და ვერც ფეოდალურ რუსეთში;

„ნაროდნიკობის“, გლეხური სოციალიზმის თეორეტიკოსი

ლენინი და მისი „ბოლშევიკური“ (კომუნისტური) პარტია იმედს ეკონომიკის ნაცვლად ძალაზე ამყარებდნენ. მათი აზრით პარტიის დიქტატურა იყო ის იარაღი, რომელიც გარდაქმნიდა, გადახარშავდა მოსახლეობას და აიძულებდა ეცხოვრა ისე, როგორც მათ მიაჩნდათ საჭიროდ. წინააღმდეგობა კი ძალით დაითრგუნებოდა.

მცენიერული თვალსაზრისის მიხედვით, ნებისმიერ ქვეყანაში, მხოლოდ ისეთი წყობილება იარსებებს, როგორცაა ეკონომიკა და კულტურა ხალხისა. იძულების წესით, ეკონომიკისა და კულტურის საჭირო დონის მიღწევის მიზნით, საბჭოთა კავშირში გატარდა ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის და კულტურული რევოლუციის სისხლიანი ღონისძიებები;

იძულებამ ძევის რუსეთის იმპერია საბჭოთა იმპერიად გარდაქმნა, მაგრამ შინაარსი ვერ შეუცვალა. ძველი სამი პრინციპი-ერთი მეფე, ერთი ენა, ერთი რწმენა, დარჩა ძალაში. ასეთი გამოხატულებით-ერთი მეფე-პარტიის გენერალური მდივანი, ერთი ენა-რუსული, ერთი რწმენა-კომუნისტური იდეოლოგია;

საბჭოთა კომუნისტური საუკუნოვანი ექსპერიმენტის უმთავრესი შედეგი იყო: ეკონომიკური პოტენციალი მიუახლოვდა მონოპოლისტური კაპიტალიზმის დონეს. პოლიტიკური წყობა ორი თავით მაღლა იდგა და სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემას გამოხატავდა. პოლიტიკური კულტურა იყო ბურჟუაზიული, მოვარაყებელი სოციალისტური ლოზუნგებით.

დასკვნა: საბჭოთა ქვეყანაში ეკონომიკისა და კულტურის ხასიათმა მოითხოვა წყობილების მოდერნიზაცია. მოიხსნა იდეოლოგიურ-პოლიტიკური მარწუხები. მყარდება მონოპოლისტური კაპიტალიზმი.

საქართველოში, ისევე, როგორც საბჭოთა იმპერიაში იყო შინაგანი წინააღმდეგობების შემცველი სისტემა. არა ბუნებრივ-ისტორიული განვითარების გზით, არამედ იძულების წესით განხორციელებულმა გარდაქმნებმა მოსახლეობა დააყენა მწარე არჩევანის წინაშე. მრეწველობა განვითარებადი (თავისუფალი კონკურენციის) კაპიტალიზმის შესაბამისია. სოფლის მეურნეობა განუვითარებელი აგრარული პროცეს-

ების შემცველია. ასეთ დროს, სახელმწიფოს მონოპოლიური ბატონობა, ეკონომიურ პოტენციალთან დაპირისპირებულ მდგომარეობას ქმნის. ამას ემატება იდეოლოგიური პრინციპების სრული შეუსაბამობა. სურათი ნათელია: ერთია ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობანი, მეორეა მისი მმართველობის სისტემა და მესამე იდეოლოგია. ობიექტური ვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების სამივე შემადგენლის შესაბამისობაში მოყვანას მოითხოვს.

1956 წ. სტალინის პიროვნების კულტის კრიტიკისა და 9 მარტის ხოცვა-ჟლეტის ფონზე მიმდინარეობდა მოსახლეობის გამოფხიზლებისა და შიშის მდგომარეობიდან გამოსვლის პროცესი თუ ადრე ერთეულებისათვის იყო ცნობილი, ახლა ფართე მასებმა დაინახეს, რომ არავითარი სოციალიზმი არ არსებობს, არავითარი ამხანაგობა და თანასწორუფლებიანობა. ყოველივე მოგონილია მშრომელთა მოტყუებისა და ძარცვის მიზნით. გამოფხიზლება ნელა ხდებოდა, მაგრამ პროცესი შეუქცევადი იყო.

სოციალურ-პოლიტიკურ უსამართლობას ემატებოდა ეროვნული ჩაგვრის განცდა. ტოტალიტარული რეჟიმი მკაცრ ცენტრალიზაციას ეფუძნებოდა. იგი არ ცნობდა არარუს ერთა რაიმე უფლებას გარდა ადმინისტრაციული მორჩილებისა. ცენტრის (მოსკოვის) მიერ შექმნილი იყო კარგად ორგანიზებული სისტემა, რომელიც წინასწარ სწავლობდა და გეგმავდა რომელი ეთნოსი რომელს უნდა დაეპირისპირებინათ და რა ვითარებაში.

სოციალური და ეროვნული წინააღმდეგობა სრულიად მოიცავდა საბჭოთა იმპერიას და მუდმივ კრიზისულ მდგომარეობაში ამყოფებდა. სახელმწიფოს სრული მონოპოლია ზღუდავდა ადგილობრივი ინიციატივის ან შაბლონისაგან განსხვავებული ღონისძიებების შესაძლებლობას.

სოციალისტური წყობილების საფუძველს წარმოადგენდა ისეთი კაპიტალისტური ღონისძიებები, როგორცაა: მიწის ნაციონალიზაცია, წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების არსებობა, წარმოების გეგმიურობა. ეს წმინდა წყლის კაპიტალისტური პრინციპები, რომელიც მიღწეული უნდა იქნეს ბუნებრივი განვითარების გზით, წარმოადგენს კერძო საკუთრების ლიკვიდაციას კერძო საკუთრების ფარგლებში. ეს არის კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი და უკანასკნელი ეტაპი. (ამ საკითხზე ნაშრომის გამოქვეყნება სათაურით «Ф. Энгельс о характере государства», მოხერხდა ჯერ კიდევ 1974 წ.).

საბჭოთა კავშირში ამ სამი პრინციპის განხორციელება მიჩნეული იყო სოციალიზმად. ეს იყო მასობრივი ტყუილის შედეგრი, რომელსაც ათეულობით მილიონი ადამიანი შეეწირა. ეს იყო ვ. ლენინის და კომუნისტური პარტიის ვოლუნტარისტული პოლიტიკის ქვაკუთხედი. ეს სამი პრინციპი საზოგადოებას ჰყოფდა ერთიან (გარეგნულად, ფორმით დაქირავებული ბიუროკრატის) ექსპლოატატორთა და ერთიან მუშათა კლასად. (კლასის შემადგენლობაში შედიოდნენ ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკები, რომელთა ბედიც ხელფასზე იყო დამოკიდებული). სახელმწიფო სისტემის აგების ბიუროკრატულ-ჩინოვნიკური პრინციპი ფორმით ყველა მოქალაქეს სახელმწიფოს მიერ დაქირავებულ მუშაკად წარმოადგენდა. სინამდვილეში საზოგადოება ორ დაპირისპირებულ ნაწილად იყოფოდა.

დაპირისპირებულ კლასთა ბრძოლა იყო საბჭოთა წყობილების მთელი ისტორია. ხელმძღვანელობა იმუშავებდა და ღებულობდა ეკონომიკის განვითარების გეგმებს. სინამდვილეში არ იყო გეგმების დროული და ხარისხიანი შესრულების მომხრე. რაც უფრო დაბალი ხარისხის საქონელი იწარმოებოდა, მით მეტი გასაღდებოდა. ნაკლებ-წარმოების და უხარისხო წარმოების მუდმივი კრიზისის პირობებში ცხოვრობდა მშრომელი კლასი.

სოციალურ ჩაგვრას ეროვნული ემატებოდა. საბოლოო ანგარიშით ამან განაპირობა საბჭოთა კავშირის დაშლა. საქართველოში დაიწყო პოლიტიკური სისტემის გარდაქმნა ეკონომიკური მოთხოვნების შესაბამისად. ეს ნიშნავდა ფულად-სასაქონლო ურთიერთობის სრულ ბატონობას, იმ იძულებითი შეზღუდვების გაუქმებას, რასაც მანამდე სოციალიზმად წარმოიდგენდნენ.

ეკონომიკური განვითარების ინტერესები მოითხოვდა პოლიტიკური მარწუხებისა და იდეოლოგიური ბანგისაგან გათავისუფლებას. ეს აუცილებლობა შეიძლებოდა ცივილური ან ბარბაროსული გზით განხორციელებულიყო. უვიცობამ სძლია ცოდნას, ბოროტმა კეთილს, სიბნელემ სინათლეს და არჩეული იქნა ეკონომიკის მართვის სისტემის არა რეფორმების, არამედ მსხვერვის მეთოდი.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეს ნიშნავდა მართვის ბიუროკრატული აპარატის გამყარებას, კომუნისტური ელემენტების შეიარაღებულ ელემენტებთან გაერთიანებას, ორივეს მიერ ეროვნული სიძლიდრის მარცვა, განაწილება, დატაცება, გაყიდვას. პრაქტიკულად მოისპო მექა-

ნიზეული სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. წარმოების ის დარგები და ობიექტები, რის გამოც რესპუბლიკას ინდუსტრიული ეწოდებოდა აღარ არსებობს. სანაცვლოდ რევოლუციური ტემპით მოხდა კაპიტალის დაგროვება მმართველი და მმარცველი ელიტის ხელში.

ამრიგად, ქვეყანაში გაჩნდა დიდი ოდენობის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილება. მსოფლიო ბაზარმა მისი ათვისება სწრაფად მოახდინა დაბალი ხარისხის და მოთხოვნილება დაკარგული საქონლის ხარჯზე. ამის გამო საკუთარი სამრეწველო პოტენციალის ან აგრარული სექტორის განვითარება დამუხრუჭებულია ან აქტუალობას მოკლებული. ეს თავის მხრივ დაკავშირებულია მეცნიერთა, ინჟინერთა, კვალიფიკაციური მუშაკთა დისკვალიფიკაციასთან. მათზე მოთხოვნა რეალურად არ არსებობს. ამან შრომისუნარიანი მოსახლეობა აიძულა საზღვარგარეთ ეძებნა სამუშაო. ორმილიონიანამდე ადამიანმა სამშობლო მიატოვა. ხუთ მილიონიანი მოსახლეობისათვის ეს დიდი დანაკარგია. თუ გავითვალისწინებთ, რომ დარჩენილების უმეტესობა უმუშევარია, დეგრადაციისა და პაუპერიზმის, გაუცხოების დონე გაკვირვებას აღარ გამოიწვევს.

გამოსავალი ერთია. საქართველომ უნდა შეძლოს პროპორციული ადგილის დამკვიდრება მსოფლიო საქონელწარმოებაში. მხოლოდ მოხმარების ხაზით-მოთხოვრობის ტოლფასია. მსოფლიო სავალუტო ფონდისა და მდიდარი დონორების იმედათ ყოფნა დამღუპველია.

აღორძინება პირველ რიგში სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციით უნდა დაიწყოს. თუ საბჭოთა „მექანიზირებული“ მეურნეობები იყო რენტაბელური, უფრო მეტი შესაძლებლობა თანამედროვე აგრარული მეურნეობის შესაძლებლობებშია. საჭიროა სახელმწიფოს შესაბამისი აგრარული პოლიტიკის განხორციელება, აგრარული უპატრონობისა და ანარქიის დარღვევა. პროტექციონისტული პოლიტიკა მოკლე დროში უზრუნველყოფს პროგრესს.

საქართველო გიგანტურ ინდუსტრიულ ცენტრად ვერ გადაიქცევა. ეს არცაა საჭირო, მაგრამ თანამედროვე მსუბუქი ელექტრო-მანქანური წარმოების განვითარება შეუძლია და აუცილებელიც არის.

სახალხო მეურნეობის მოდერნიზაცია პოლიტიკური სისტემის გარდაქმნით უნდა დაიწყოს. დღემდე მაინც მტკიცედ ფუნქციონირებს სისტემის აგების ბიუროკრატიული პრინციპი. მისი ძირითადი ნიშნებია:

1. ზევიდან ქვევით თანამდებობებზე დანიშვნა;
2. ქვევიდან ზევით თანამ-

დებობების მიხედვით ხელფასების ზრდა; 3. თანამდებობების მიხედვით პრივილეგიების განაწილება.

კარგი თანამდებობა კარგი ცხოვრების საწინდარია. ამიტომ ბრძოლა თანამდებობისათვის მისი მუდმივი თანხლება. მსჯელობა დემოკრატიაზე, არჩევნების, მიტინგების, სიტყვის და ა. შ. უფლება შირმაა.

გამოსავალი პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულ პრინციპზე აგება. მისი ძირითადი შემადგენელია: 1. უკლებლივ ყველა თანამდებობის პირთა არჩევითობა; 2. არჩეულ თანამდებობის პირთა კონტროლის გამჭვირვალობა; 3. თანამდებობის პირთა ხელფასების მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის 5:1 ფარდობითობის დაკანონება; 4 ყოველგვარი პრივილეგიების ლიკვიდაცია.

ცხოვრების წესია: ვისაც აქვს სიმდიდრე, ის ძალაუფლებას მიეღობის, ვისაც აქვს ძალაუფლება, ის სიმდიდრეს იხვეჭს.

გასაკვირი არაა, რომ პოლიტიკური და ეკონომიური ძალაუფლების მქონენი ნებაყოფლობით დემოკრატიულ პრინციპს არ განახორციელებენ. ეს თვით დემოსის (ხალხის) გასაკეთებელია.

სარჩევნი

I. ლოგიკური ისტორია

ქართველობა - - - - - 6

ფიქრები გეოგრაფიული გარემოს მნიშვნელობაზე - - - - - 3

ფიქრები ეთნოგენეზის არეალზე - - - - - 15

ეთნოგენეზისის არეალი - - - - - 24

არქეოლოგიური მონაცემები - - - - - 27

ღმერთები (მითოლოგიური ცნობები)- - - - - 32

ტომები - - - - - 40

ზოგიერთი ცნობები - - - - - 50

II ისტორიული ლოგიკა - - - - - 125